ᲛᲝᲐᲛᲒᲔ

თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

№ VIII

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1894

ტფილისი
[illegible]
1894

25

რედაქციის კანტორისაგან.

მოვაგონებთ ხელის-მომწერთ, რომ უკანასკნელის შემოსატანის ვადა პირველი სექტემბერია. ვინც დროზე არ შემოიტანს ფულს, მე-IX ნომერი არ გაეგზავნება.

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

№ VIII

ა გ ვ ი ს ტ ო, 1894

ტ ფ ი ლ ი ს ი
სტამბა ნიკ. ბაბ. ბერძ. ბეჭ. ასოთა ტიპოგრაფიისა ... №... 1894 г. № 13
1894

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 26 Августа 1894 года.

შინაარსი

ბეჭ.

I სიკიულის ძალები. — მოთხრობა მოზრის ოოკკისა, თარგმანი ეკ. მ—სა. 1

II შიოლა ღუდუშაური.— დაუმთავრებელი მოთხრობა ს. ყაზბეგისა. 17

III ნინო.—„შიოლა ღუდუშაურის“ ვარიანტი, მისივე . 25

IV გალაშკა. — დაუმთავრებელი მოთხრობა მისივე . . 33

V საოცარი სიზმარი.—რომანი ე. ბელლამისა, თარგმანი დ. გიოზრგობიანისა. 49

VI სამი ამბავი პიერ ლოტტისა:

1) მოსუტი პატიმრის წუსილი.—თარგმანი ი. მ—სა . 85

2) საკლავი.—თარგმანი მისივე 89

3) კატა.—თარგმანი ს.—ისა. 93

VII აივენგო.—რომანი გალტერ სკოტტისა, თარგმანი (გაგრძელება) 97

VIII ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში.—პოლ ბურჟე.—წერილი კ. ანასშიანისა. 1

IX ღვინის დაყენება.—VI ღვინო, მისი შემადგენარი ნივთიერებანი, მათი მეტ-ნაკლებობის შესწორება და ღვინის შესანახავი საზოგადო საშუალებანი.—პროფესორი ვ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება) 34

X ინდოეთი.—ე. ლამანსკის თხზულებიდან (გაგრძელება) 111

ქრონიკა:

XI შინაური მიმოხილვა.—საჭიროო ძალა: ჩვენი ქვეყნის ბუნებითი სიმდიდრე და ეკონომიური უძლურება. — ცხადი ნიშანი ჩვენი ჩამორჩენისა. — წარმატების კიბე.—ჩვენი ვაჭრული ბალანსი.—როგორ ვისარგებლეთ გარემოებით? — მფარველობითი სისტემა რუსეთში. — სპარსეთის ტრანზიტის მოსპობა. —ფული არა გვაქვსო.—ახალი კანონის შედეგი. — „შუათანა დასის“ კარგი და ავი.—მისი საჭიროება ჩვენში.—მომავალი ძალა.—ნ. ნიკოლაძისა. 123

XII უცხოეთის მიმოხილვა.—საფრანგეთის საქმეებზე.—ნ. ნიკოლაძისა 138

სიკვიულის ქალეგი

მოთხრობა

მორის იოკაისა

ფრანგულიდან

ზარბაზნების სროლა შესწყდა, ომიანობის ამბავი აღარ ისმოდა, ზოგიერთი გმირები ტოტსლები გადარჩნენ. შორს მარტო ელგის სინათლე მოჩანდა და ერუ ქუსილი ისმოდა, რომელიც ქარის ზუზუნს უერთდებოდა. იქნება ეს შემზარავი სმაურობა გმინვა იყო რომელიმე სულთა-მბრძოლი გმირისა, რომელიც ისევე გმირულად იცვალდა ზეცის კარებს მტერთაგან, როგორ ამ რამდენიმე წუთის წინად თავის სამშობლოს საზღვრებს.

სასაფლაო იმ პატარა გორაზე მოჩანდა, სადაც ქალაქი სეპსის კარები იყო: ამ ქალაქის ქალები იმ სასაფლაოზე შეკრებილიყვნენ და თავიანთ ქმრებს, ძმებს, შვილებს და საყვარელ საქმროებს კი არ უცდიდნენ, არამედ გამარჯვების ამბავს.

ისინი ისხდნენ საფლავის ქვებზე, მშვენიერ ამწვანებულ ბალახზე და როდესაც კი გაიგონებდნენ რომელიმე ზარბაზნის ქუხილს, მაშინადგე იტნობდნენ რომელი მხრიდან იყო ნასროლი: «ეს ჩვენი ზარბაზანია», იძახდა ერთი; «ეს გაბორამ გაისროლა», წამოიძახებდა მეორე. სან მტრის მხრიდან იყო სროლა და ეს სმა ზეცის ჭექა-ქუსილს უერთდებოდა.

მთელი სეპსის მანდილოსნები: დედები, ცოლები, დები, გასათხოვარი ქალები, დანიშნულები ოხვრით იძახდნენ: «ისინი, ვისაც ჩვენ მოველით, გამარჯვებულნი უნდა მოვიდნენ უეჭველად, მაგრამ თუ ამ

სასინელ ბრძოლაში მისნებენ სამშობლოს დაცვას თავს და გამოიჭეკვიან, სჯობია, იქვე დაიხოცნენ და ცოცხლები კი ნუ გვეჩვენებიან».

ეკლესიის კიბეზე იჯდა ერთი კაცი, რომელიც გულ-მოდგინედ უურს უგდებდა ხმაურობას. ეს იყო ოთხმოც და ათი წლის მოხუცი; დიდი ხანია მას თვალის სინათლე დაკარგული ჰქონდა და მარტო სულიერი მსედველობა-ღა შერჩენოდა. ისიც ვერ გაჩერდა თავის სასლში, რადგანაც ომიანობის ამბის არა იცოდა-რა და სწუხდა.

იმას გვერდით ერთი ახალგაზდა უმლური ეჯდა, რომელსაც მთელი სასეკვარი მსარე დაშბლა-დაცემული ჰქონდა. ამ უმლურს ერქვა დავითი. მთელი იმისი სული და გული ამ ომიანობით იყო გაშსეკვალული და გულ-ნაკლულად იმასდა: «რატომ მეც იქ არა კარ ამ ომში, რომ ცოტათი მაინც შეკვწიო ჩემს მოძმეებს და სამშობლოსაო!»

იმას მუსლზე ედო დაბადება და უკითხავდა მოხუცს. მარტო ორი კაცი-და იყო დარჩენილი მთელს ქალაქში, ერთი ბრმა და მეორე დაშბლა-დაცემული, დასარჩენნი კი სიაომრად იყვნენ წასულნი.

ისინი კითხულობდნენ დაბადებიდან იმ ადგილს, ს

— რატომ ადარ კითხულობ? ჰკითხა უსინათლომ.

— ბნელა და ასოებს კედარ კარჩევ, მიუგო დაკითმა.

— შენ სტუკი, მზე კიდევ ანათებს, იმის სხივებსა კკრძნობ მე ჩემ სასუზე, რატომ ადარ კითხულობ?

დაკითმა თვალები მოიწმინდა და კითხკა განაგრძო: «და რქკა მას: მე კარ მოსრული ბანაკთაგან და მე მოკილტკი ბრძოლისაგან დღეს, და ჰრქკა

: რაი არს ქმნილი, იტუოდი, შკილო!»

— «განიკლტნეს კატნი ისრაელნი ზირისაგან უცხო თესლთაგან, და წყლულება დიდი იქმნა ერთა შორის და ორნი ძენი შენნი მოისრნეს და კიდობანი ღკთისა წარიღეს».

დაკითმა თავი კედარ შეიმაგრა და დაიწყო ტირილი, თავი მოსუტს კალთაში ჩაუდო. უსინათლო ადარ ეწინააღმდეგებოდა და თითქო კითხულობსო, ნელის ხმით განაგრძო, რადგან მთელი დაბადება ზეპირად იცოდა:

«და რაკამს მოესმენა კიდობნისათვის ღკთისა, დაეცა ilo საკერით, უკანა ზღრუბლსა წინა კარს, და შეიმუსრა ბეჭი მისი და მოკვდა შენ».

სასაფლაოს თხრილთან ხეს ქვეშ ერთი ასალგაზდა დედაკაცი იდგა. ის ოც და ათი წლისა იქნებოდა და მშვენიერი სახისა, თუმცა კი ცოტა სიასტიკის გამომეტყველება ჰქონდა. ერთი მხარე ტისა მზის სხივებით იყო განათლებული და მეორე მხარე კი მოღრუბლული.

ამ უნაგრელ ქალსაც ერთი მხარე სახისა მზის შუქით ჰქონდა განათებული და მეორე ნახევარი კი დაბრდილული. თვალებზე ნელი მიედგა, რომ შორს დაენახა რამე და ისე უძრავად იდგა თავის ადგილას, თითქო ქვისაგან არის გამოქანდაკებულიო.

ეს მანდილოსანი იყო იუდიფი, სეფსის ქალების სიმშვენიერის წარმომადგენელი. თუმცა, მართალია, სეფსის ყველა ქალები სილამაზით განოქმულნი იყვნენ, მაგრამ ამ მანდილოსანს ისეთი განსაკუთრებითი სახის გამომეტყველება ჰქონდა, რომ ყველას უურადღებას მიიქცევდა. ამ ქალაქის მანდილოსნების დიდრონი შავი და შორს-გამჭვრეტი თვალები, შავი სქელი და გრძელ თმა, სასიამოვნო ჭარმოსაით სკვსე სმა, მშვენიერი ტანის მოყვანილობა სი-

ბერემდინ გაჭყვებოდათ სოლმე. იმათი სულის სიმხნეკე არ სუსტ-
დებოდა. რამდენიც უფრო ხანში შედიოდნენ, იმდენი უფრო მეტი
სიმხნეკე, ენერგია და ღონე ეძლეოდათ.

იუდიფს გვერდით ედგა ერთი მშვენიერი თექვსმეტი წლის
ქალი, რომელსაც ერქვა არანკა. იმისი მშვენიერი ნაზი და თეთრი
კანის ფერი, ცისფერი თვალები და ქერა თმა სიამაყის შეხედუ-
ლებას აძლევდნენ. ტანის მოყვანილობა ისეთი ნაზი ჭქონდა, რომ
ბეგონებოდა, ერთი სულის შებერვაზე ყაყაჩოს ფურცლებივით გა-
ფანტებაო.

ეს იყო საცოლო იუდიფის შვილისა, რომელიც ესლა ბრძო-
ლის ველზე იმყოფებოდა. დედა და საცოლო გულმოდგინედ გაიყუ-
რებოდნენ იმ მინდვრისკენ, რომელიც ბურუსით იყო ჩამობნელებული,
და ცდილობდნენ ასალგაზდა მებრძოლი დაენახათ.

— ვერა სედავ, თითქო ვიღაც მოდის ჩვენკენ? ჭკითხა იუდიფ-
მა ასალგაზდა ქალს და შორეულ წერტილზე მიუთითა.

არანკა უფრო მაგრად მიეკრა თავის საყვარელ ადამიანს და ცდი-
ლობდა ნაჩვენები წერტილი დაენახა.

ის ჯერ ვერაფერს ამჩნევდა. იმისი ლურჯი თვალები ისე შორს
ვერ სწვდებოდნენ, როგორც იუდიფის შავი, დიდრონი და ტეტხლით
სავსე თვალები.

ცოტა ხანს შემდეგ შავი წერტილი მიუახლოვდა. ყმაწვილ-ქალს
სიამოვნებამ სახე გაუბრწყინვალა, დედას კი მწუხარება და სიბერაზე
ესატყობოდა.

— ის ჩემი საყვარელი საქმროა, წაიბუტბუტა არანკამ და ორიკე
ელი გულზე მაგრა მიიკრა, თითქო ხშირი გულის-ტკენა უნდოდა
შეემაგრებინა.

— უიარაღოა! დაიყვირა იუდიფმა შეურაცხყოფით, სახე მიი-
ბრუნა და ხელები მიიფარა.

რამდენადაც მოშორებულ მანძილზე იტნო საცოლომ თავისი
საყვარელი საქმრო და სისარული იგრძნო, იმდენად დედას ღაბვა-
რიკით მოსვდა გულში შვილის შერცხვენა.

ბარბაცით და გაუბედავის ნაბიჯით მოდიოდა შემჩნეული კაცი
გზა-გაუკვლეველ მინდორზე, თავი ჩაღუნული ჭქონდა. ბოლოს მუხ-

ლებიც მოეკვეთა და ძირს დაეცა. შემდეგ მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიბა, სულმეორედ წამოდგა და გაემგზავრა ქალაქისკენ.

როდესაც დაინახა, რომ იმ გორაზე, საცა სასაფლაო იყო, სეხსის ქალები შეკრებილიყვნენ, იმათკენ გაემგზავრა. ის ტალახში და სისხლში იყო ამოსვრილი, თმები სახეზე ჭაონდა ჩამოშლილი, ტანისამოსი დაგლეჯილი და ცდილობდა დაემალა ის ჭრილობა, რომელიც მას გულში ჭაონდა. ეკელა ქალებმა იცნეს იუდიფის შვილი. დედას შვილისაგან მარტო თხრილი აშორებდა. იმას იმდენი ღონე არა ჭაონდა, რომ ამ თხრილზე გადმოსულიყო და იქვე მიწაზე დაეშვა.

— შენი იარაღი რა უყავი? ჰკითხა შეშფოთებულმა და გაბრაზებულმა დედამ, რომელიც ქალების გროვას დაშორდა. ყმაწვილ კაცს ამაზე უნდოდა ეპასუხნა რაღაც, მაგრამ სმა ჩაუწყდა. უნდოდა ეთქვა, რომ მისი იარაღი მტერს გულში ჩარჩა.

— სთქვი, რას გაჩუმებულხარ, ომი წაგებულია?

შვილმა მუნჯურად ანიშნა და თავი ჩაღუნა.

— შენ რომ იქ დარჩენილიყავ, ხომ არა ნახავდი იმ სირცხვილს, რომელიც ჩვენ მოგვედის! რისთვის დაბრუნდი?

ყმაწვილი კაცი გაჩუმებული იყო.

— რად გინდა შენი სამშობლოს დაღუპვის შემდეგ სიცოცხლე? გინდა ნახო, როგორ დამარხავენ მას და სხვები როგორ დაეპატრონებიან? შენც უნდა იმ ბრძოლის ველზე მოგეძებნა სამარე, საცა ეოველი პატიოსანი შებრძოლი და გმირი კვდება. წადი, დაიკარგე აქედან! შენთვის აქ, ამ სასაფლაოზე, ადგილი არ არის! შენ აქ ჩვენთან ერთად ვერ ეღირსები სიკვდილს, თავი დაგვანებე! დაივიწყე, რომ აქა ხარ დაბადებული! გინდა იცოცხლე და გინდა მოკვდი, მაგრამ ჩვენ კი დაგვივიწყე!

ყმაწვილმა მებრძოლმა სვეწნით შეხედა ქალებს, მაგრამ ერთსაც არ ეტყობოდა სიბრალული სასეზე. იმან დაუწყო თავის სატოლოს, ერთადერთ იმედს, ძებნა, მაგრამ ის დაჩოქილი იყო და სახე იუდიფის კაბაში დაემალა, რომ თავისი ცრემლები არავისთვის ეჩვენებინა.

იუდიფის შვილი ბარბაცით წამოდგა ფეხზე და ერთ ადგილას იდგა იმ იმედით, რომ იქნება კინმე გამომესარჩლოს და აქ დარჩენა მანიშნოსო. მაგრამ როდესაც ნახა, რომ არავინ არას ეუ-

ბნება, არც სატოლო და არც სხვა ქალები ყურადღებას არ აქცევენ, იმედ-გადაწყვეტილი ისევ უკან დაბრუნდა.

დასუსტებულის ნაბიჯით მიდიოდა მინდვრისკენ, რომ იქნება ტყემდინ მიეღწია და იქ თავ-შესაფარი ადგილი მოეძებნა. დაკრიალმა სელი მოიშორა გულიდან, ს�ა კარგა ღრმა და მძიმე ბრალობა ჰქონდა, ორ ტოტად სისხლი წამოსდა და ემაწვილ მეომარს უდროოდ სიცოცხლე მოუსპო. იმას არავინა ჰყავდა ტანჯვის თანამოზიარე.

კიდევ რამდენიმე სეპსის შვილნი დაბრუნდნენ კალაჭისკენ, მაგრამ ქალებმა ყველანი გარეკეს.

— წადით, მოსძებნეთ სხვა სამშობლო! უყვიროდნენ ისინი მათ:—რადგან თქვენ ვერ დაიცვით თქვენი სამშობლო და თავისუფლება, წუელიმც იყავით, დიკარგენით აქედან, წადით ისე შორს, რომ ვედარავინ ვედარ დაგინახოთ!

დედაკაცებმა საშინელი ყვირილი შეჰქმნეს. იმათი მწუხარების ხმა ზეცას ადიოდა. მოხუცმა, რომელიც ეკლესიის კიბეზე იჯდა, ამ მწუხარების და ხმაურობის მიზეზი იკითხა.

— ტრანსილვანია წაგვართვეს! შენი შვილები და შვილი-შვილნი დაიხოცნენ! გაბორმა სული განუტევა, იმის ზარბაზნები წაიღეს, ღენერალი ომში მოჰკლეს.

ამ სიტყვებზე მოხუცმა უსინათლო თვალები ზეცას მიმართა და წამოიყვირა:

— ღმერთო ჩემო! ჩემო მხსნელო!

დახუჭა საკუნოდ თვალები და მიიცვალა.

დედაკაცებმა აიღეს მოხუცის უძრავი სხეული, რომელმაც სამშობლოს დაღუპვის ამბავი ვერ აიტანა და დაცარიელებულ ქალაქში შესასვენეს. იმათთან ერთად დავითიც მიდიოდა და მწუხარებით იმეორებდა: «რატომ მეც ბრძოლის ველზე არა ვარ? რატომ მეც იმათთან ერთად არ მოვკვდი?»

*
* *

სეპსში არც ერთი ჯანმრთელი მამაკაცი აღარ დარჩა. მამაცნი დაიხოცნენ, დაჩარნი და მშიშარანი გაქცნენ და აი უკანასკნელი კაციც კუბოში წევს.

ქალებ შორის კი იქ მარტო ქვრივნი და ობოლნი იყვნენ; ისი-

ნი გარშემოსკეოდნენ მოხუცის კუბოს და სტიროდნენ. ღმერთმა, რომელიც სედაკდა მათ მწუხარე ცრემლს, იცოდა, რისთვისაც იდგრებოდა ეს მწარე ცრემლი. უძლური კი შეწუხებული იჯდა სკამზე და გაჩუმებული ისმენდა, რომ უკანასკნელი მამაკაციც მოკვდაო. ის მამაკაცების რიცხვში არ ერია.

ამ მოხუცის შთამომავლობა მრავალი იყო. იმისი შვილების და შვილი-შვილების რიცხვის ჩამოთვლა ძნელია. ყველასგან პატივცემული იყო; ისინი, ვისთვისაც ამ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში სიკეთე ექნა, ვინც უბედურებისაგან გამოეხსნა, ან თავის ნუგეშით და რჩევით გაემხნევებინა, არც ერთნი აქ არ იყვნენ, რომ უკანასკნელად მოხუცისათვის პატივი ეცათ. მარტო ერთი დავითი-და იყო დარჩენილი, ყველა მას სტიროდნენ როგორც ნათესავს, ყველანი პატივისცემით და სიბრალულით ახსენებდნენ, მაგრამ ყველაზედ უფრო გულდამწყარი და შეწუხებული იყო იუდიფი, თუმცა კი არ სტიროდა. დავითსაც არც ერთი ცრემლი არ დაუღვრია.

ესენი შეჭყურებდნენ ცას და თვალებიდან ნაპერწკალი სტვიოდათ. იუდიფმა ანიშნა დავითს მეორე ოთახში გაჭყოლოდა და უთხრა:

— დავით, აგერ შენი წინაპარი კუბოში წევს და შენ კი არცერთ ცრემლს არ ჭღვრი. რაზედ ჭფიქრობ? მე კი ვხედავ, რომ შენ ოხრავ და იტანჯები. რისთვის?

სნეულმა თავი ჩაღუნა და გაჩუმდა.

— დავით, შენ რომ ჯანმრთელი იყო და ჯოხების მაგიერად ხრმალი გქონდეს სელში, უეჭველია ეგრე მოწყენილი და თავ-ჩაღუნული არ იქნებოდი, როგორც ეხლა ხარ?

საწყალმა სნეულმა ცეცხლით სავსე თვალებით შეხედა ამ მანდილოსანს, იმას სასეზე გამოისტებოდა თავ-გამოდება და მხნეობა, ოითქო დააკიწყდა, რომ მისი სიმამაცით სავსე სული უძლურ სხეულში იყო ჩაკეტილი.

— შენ თავის დღეში ვერ იგრძნობ ბედნიერებას, განაგრძო ქვრივმა:—არაფერი სისარული აღარ მოგელის შენ სიცოცხლეში. ვინ იცის კიდეკ რამდენ ხანს იცოცხლებ? სთქვი, სიკვდილი რომ წარმოსდგეს შენ წინ, უბრალო კი არა, მამაცური, უფრო ბრწყინვალე, ბრძოლის ველზე და გითხრას: «გადაყარე ეგ შენი ჯოხები, მა-

გის მაგიერად სულში აიდე რაჰე სიშუალება ბრძოლისა და ომსრეგბისა. მე მოგცემ იმას, რაც შენ გიყვარს და რაც სიუკეთესო და სასურველია ამ ქვეყნიერებაზე, გაიკეთე მაგ შენი ჯოსებისაგან ან გუბო და ან კელაჰტარი, რომ შენი სიკვდილის ყამს არაფერი ნიშანი არ დარჩეს და რომ საიქიოს არ მოგაგონოს ეს სიმწარით სავსე ქვეყანა»,—რას იტყოდი?

— მე შენი სიტყვები არ მესმის, უთხრა გაკვირვებულმა დაკითხა.

— იქნება არ მოგწონს ჩემი წინადადება? იქნება სიცოცხლე შენთვის ტკბილია? ამ საშინელ უბედურებაში მაგ უძლურ სხეულისთვისაც კი იქნება სიცოცხლე სასურველია?.. იქნება მაგ ჯოსებს ფრთებად გადაქცევა არ სწყიროთ?

— ოჰ, ნუ იტყვი მაგას, იუდიფ! რა საამოვნებით გავცვლიდი ამ ჩემს ყოველდ უბედურ და უსარგებლო სიცოცხლეს სასურველ სიკვდილზე!—უპასუხა სნეულმა და მერე ჩუმად დაუმატა: — მამაცურ და საპატიოვან სიკვდილზე.

— მერე კის შეუძლია ისე მამაცურად და საპატიოვანად მოკვდეს, როგორც შენ? ამ ბრძოლის ველზე, საცა შენთან ერთად ბევრი სხვებიც იბრძოლებენ. როგორც გაბრიელ მთავარ-ანგელოზი მკვდრებს, შენ შთაუნერგავ იმედ-გადაწყვეტილებს სიმხნეკვეს და როდესაც ისინიც დაიხოცებიან და ყოველგვარი შემწეობა ამოდ-ღა იქნება, მაშინ შენ მტრის სულიდან გამოჭგლეჯ გამარჯვებას, რომელსაც თან წაიღებ. შენ გმირულად მოკვდები.

— ოჰ! რომ შეეძლოს! — სთქვა აღტაცებით უბედურმა: — მაგრამ რა საოცებლობას მოიტანს ჩემი ხმა? ბრძოლაში ვერც კი ვინმე გაიგონებს. ჩემ სუსტ და უძლურ მკლავებს რა შემწეობა შეუძლია? ჩემი სული გამარჯვებას ვერავის ვერ გამოჭგლეჯს!

— ესლა კარგა ფური დამიგდე, აი რას გეტყვი: გამარჯვებულები დღეს ან ხვალ ამ ჩვენს ქალაქში შემოვლენ, მაგრამ ისინი აქ ვერ მოისვენებენ; არც მშვიდობა და არც სიმარული მათ არ ექნებათ. სასლებს დაუკეტავთ, ჩვენ იმათ წინააღმდეგობას გავუწევთ და თუ სეპსის შვილებმა იციან თავიანთი სამშობლოს დაცვა, არც იმათი ტოლები და დედები ჩამორჩებიან მათ. ჩვენ, რასაკვირველია, დაგვა-

მარცხენენ, რადგან ქალების მეფეები სუსტია, თუმცა კი სულით უფრო მსნეები კარო. ჩვენ არა გვაქვს არც იარაღი და არც სხვა რამე დასაცავი საშუალება, იმათ საწინააღმდეგოდ მარტო მსნეობა და სულგრძელობა გვაქვს. მიზანს გამარჯვებით კი არა, არამედ სასელოვანი სიკვდილით მივაღწევთ. შენ ასვალ ი იმ კოშკზე და იქიდან თვალს ადევნებ მტერს და როდესაც მოსალოდნელს დაინახავ, ზარებს ჩამორეკავ. ჩვენ კუბოსთან მოვუცდით იმათ და თუ ძალით შემოსვლას მოინდომებენ ვაი ჩვენ და ვაი იმათ. ყველანი სახლებს დავიცავთ. უომედობა ბრძოლას გვასწავლის და თუ, ვინიცობაა, შიშმა შეასუსტა ჩვენი მკლავები, ზარების ხმა გამოგვაფხიზლებს და ასალ ღონეს ჩაგვინერგავს გულში, შენ იმ დრომდინ რეკე ზარები, კიდრე სუფეელანი არ დავიხოცებით. შემდეგ კუბრში ამოკლებულ ჩვრებს აიღებ, რომლებიც იქ არის თიხაში შესასხული, ტეტლს წაუკიდებ და როდესაც მტერი ქალაქს შემოესევა, გადმოაყარი სასლების ბანებზე. და როცა ქალაქი ტეტლის ზღვად გადაიქცევა, შენც მაშინ საგმეკის კმეკით ასკალ ზეცას.

სნეული აღტაცებით ყურს უგდებდა ამ მსნე დედაკაცის სიტყვებს. ამ უკანასკნელ სიტყვებზე დაკითმა თავისი ჯოხები იქით გადაყარა, იუდიფის წინ დაიჩოქა და რაღაც გამოუთქვეველი სიტყვები წაიბუღღუღა, მაგრამ იმის თვალებში ისეტებოდა სრული თანხმობა და ის სასელოვანი სიკვდილი, რომელიც ესლა იუდიფმა დაუსტა.

— ხომ მსნედ მოიქცეი.

— ოჰ! ბედნიერი კიქნები, სრული ბედნიერი! მე მაშინ ჩემს უძღურებას აღარ კიგრძნობ, გმირად გადაიქცეი! კოშკსაც ტეტლს წაუკიდებ და კიდრე თავში კიდეკ გონება შერჩება, ზარების რეკვას არ შეგწყვეტ და კიგალობებ: «ღმერთო ძლიერო, გვაძნი მონათა შენთა ყოვა-ფორანებმა შესწყალონ».

დავითი დაჩოქილი იყო. სელებ-აბურობილი შესტქერდა ზეცასაკ გულ-მსურველად ლოცულობდა. მთელი მისი სსეული კანკალმა აიტანა.

— წამომეკე, უთსრა იუდიფმა და ფესზე წამოდგომა უშველა.

დავითმა თავისი ჯოხები აიღო და ისე სწრაფად მისდეკდა, თითქო დედამიწას ფესებს არ აკარებსო და ჯოხების მაგივრად ფრთები ასსიაო.

ის უკანასკნელად შეეიდა იმ ოთახში, სადაც მისი მოსუცი წინაპრების გვამი ესვენა, ემთხვია იმის გაყინულ სელებს და იმ ნაირი გრძნობით, რომელიც ქვეყნიერს არ ჰგავდა, წარმოსთქვა: «ჩვენ მალე ვნახავთ ერთმანეთს».

იუდიფმა ქალებს დაუბარა იმის მოსვლამდინ აქ დარჩენილიყვნენ, და კოშკში აიყვანა დაეთი, რომელიც საკვირველის სიჩქარით ადიოდა.

შემდეგ შუბლზედ აკოცა და მარტო მიატოვა. დაეთი მოაკურთხა და დაჯდა. იქიდან ძალიან შორს სედავდა გზასა. როდესაც ძირს მიმავალი იუდიფი დაინახა, დაუძახა და თავის ჯოხები გადმოუყარა:

— მე ესენი ადარ დამჭირდება, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ გამოცდის წამს მხნედ მოიქცევი. კარებიც დაკეტე, აი გასაღებიც.

იუდიფს კოშკის გასაღებიც გადმოუგდო და შორს გზას ტქერა დაუწყო.

*
* *

იუდიფი მიცვალებულის სახლში დაბრუნდა, ყველა ქალები იქ იყვნენ შეკრებილნი. ეზოში გამოიხედო ისინი და თვითონ შუაში ადგა. თავისი მაღალი ტანით ის ყველასგან ირჩეოდა, იმისი გამჭრიახი თვალები თითქო ყველას გულში კითხულობდა, თუ რა გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი. შეუშფოთებელ სახეზე ძალა და ენერგია ესტეოდა, ჰგრძნობდა, რომ მისი შვილები მკვდრები იყვნენ და იმათ მაგივრად წინამძღოლობა უნდა მიეღო.

ადარავინ ადარ ტიროდა, ყველანი სმენად იყვნენ გადაქცეულნი: იუდიფმა დამშვიდებულის ხმით, რომელშიაც ხანდისან ადელვება გამოერეოდა, სთქვა:

— ჩემო დანნო, სეფისის ქერიენო და ობოლნო, უური კარგად დამიგდეთ! ღმერთმა ცუდი და მძიმე განსაცდელი მოგვანიჭა... ჩვენი ბედნიერება და ისინი, ვინც გვიყვარდა, დაკარგეთ. სანლვე დაგიხოცებით თუ ღრმა მოსუცებულობამდინ ვიცოცხლებთ, ჩვენ ათასრებულ სადგომებში მაინც ადარ არის ჩვენთვის ამ ქვეყნიერებაზე ბედნიერება. საუკეთესო წამები ჩვენის სიცოცხლისა ამ დედამიწაზე ეხლა არის. მარტო ეს განსაცდელი არ არის ჩვენი სვედრი: იმათ

მაგივრად, რომელნიც ჩვენ გვეუკვრდა, მოკლენ სსვები, ისინი, ვინც ჩვენი საუკვრლები დასოტეს! მათ მსაარული მუსიკით მოსიარულებს ვსასვეთ ჩვენს ქალაქში, ჩვენს სადგომებში და იმათ დაცარიელებულს ადგილს დაიკერენ, რომლებსაც ჩვენ დღესა ვგლოვობთ. იმათი ტკბილი ენის მაგივრად გაეიგონებთ რაღაც უცხო ენას. ჩვენ დაეინასვეთ უცნობ სასეს და ქვრიენი შეურცეოფილ იქნებიან იმაოი ურცხვი შესედულობით. მაგრამ მე იმ დროს ვერ მოეუტდი. სიკვდილი დაგვიბრუნებს იმას, რაც სიცოცხლემ წაგვართვა და მაშინ ველარავინ ვერ შეგვესება. მე რომ არ ვიცოდე, რომ ამირ სიკეთეულის ქალებ შუა ვდგეარ და ამას იმათ ველაპარაკები, გამოგემშვიდობოდით და მარტო წავიდოდი, მარტო შეეებრძოდი და მარტო მოგვდებოდი. მაგრამ მე თქვენ ეველას კარგა გიცნობთ, თქვენ წასვალთ იქ, სადა მე და თქვენი სიკვდილი ერთი იქნება მათი, რომელნიც ჩვენზე წინ დაიხოტნენ და ჭირისუფლად დაგვტოვეს. ესლა ეველანი შედით სასლებში, კარგად გაამაგრეთ ფანჯრები და სხვა შესავალი და მარტო კარები დასტოვეთ ღია, დიდი ტეტსლი ასნიეთ, რომელზედაც ბავშვები დიდრონი ქვაბებით ზეთსა და წყალს ადგულებენ და პირველ ზარების რეკვის გაგონებაზე შემომიერთდით. მაშინ ჩვენი პატიეცემული წინაპრის კუბო ქალაქის კარებთან გავასვენოთ, იქ ორმო მოვთხროთ და ამ კუბოთი მტრებს ქალაქში შემოსასვლელი გზა შეეუღობოთ. ამ ღობეზე გადმობიჯებას ვერავინ გაბედავს. ესლა წადით სასლში და ზარების დარეკვაზე მოგროვდით.

ქალები ერთმანეთს მო შორდნენ, არც ერთი არა ტირიოდა. უიმედობისაგან და უბედურებისაგან თავზარდაცემულნი სასლში დაბრუნდნენ, ეველაფერი, რაც ნათქვამი ჭქონდათ, ასრულეს, დიდი ტეტსლი დასეთეს, დიდრონი ქვაბებით ზეთი და წყალი შემოსდგეს და დანები და ტულები გალესეს. ბავშვები აღელვებული შედიოდნენ და გადიოდნენ ეზოში, სტიროდნენ და ჭეეიროდნენ, მაგრამ კი არ იტოდნენ რისთვის.

*
* *

შორიდან მტვრის კორიანტელი გამოჩნდა. გამარჯვებული მტერი პირდაპირ სეპსის ქალაქში მოდიოდა.

ზარების რეკვა დაიწყო. ის იყო გლოვის ზარი. მთელს ქალაქში მარტო ეს ერთად-ერთი ზარიღა იყო დარჩენილი, სხვები სულ ზარბაზნებად ჩამოესხათ.

ერთ და იმავე დროს ქალაქის კარებს ორი ჯარი უასლოვდებოდა; ერთი იყო ქალაქ გარედან და მეორე კი შიგ ქალაქში. პირველი თავიდან ფესებამდინ შეიარაღებული და ველური სახის მეომრებისგან შესდგებოდა და მეორე კი მანდილოსნებისაგან, სუსტ და უიარაღო ქმნილებათაგან.

იმათ ძმიმე ზარბაზნები მოუძღოდა, რომელთაც ექვს-ექვსი ცხენი ძღივს მოათრევდნენ და გამარჯვების და სასიგვდილო ეტლებს ემსგავსებოდნენ. ამათაც ექვს ცხენიანი ეტლი მოუდიოდა, მაგრამ ეს იყო სამგლოვიარო შავებით შემოსილი ეტლი, რომელითაც უსასოლო მოხუცის გვამს მოასვენებდნენ.

პირველი ჯარი გამარჯვების და მხიარულის სიმღერით უასლოვდებოდა ქალაქის კარებს და მეორე კი სამგლოვიარო გალობით; ერთის გამარჯვების დროშა ეკიარა და მეორეს კი ასთებული მაშასლები.

ორივე ჯარი ერთ და იმავე დროს მოუასლოვდნენ ქალაქის კარებს. იმათ მარტო კუბო აშორებდა ერთმანეთს. ჩარქეზები სულ ცხენით იყვნენ. იმათი ტანისამოსი, სახის გამომეტყველება და მისრა-მოსვრა აგონებდა კაცს დიდი ხნის წარსულ დროს.

როდესაც გუნებამ, ბედისაგან დეკნულებმა, თავიანთი სამშობლო მიატოვეს, ისინი მთელი დედა-მიწის ზურგზე გაიფანტნენ ასალი სამშობლოს საძებნელად. ზოგნი შუაგულ აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ, ზოგნი კავკასიონის მიუწვდენელ მთებს მიეკედლნენ. ერთი გვაროვნობის სალხი დაშორდნენ ერთმანერთს, თავის მეზობლებს ებრძოდნენ, გაძლიერდნენ და როდესაც ათასი წლის შემდეგ ბედი მათ შეჭურდა მტრულად უყურებდნენ და კედარ სცნობდნენ ერთმანეთს. მაგრამ მაინც რაღაც წინასწარ-გრძნობა აღელვებდა და აწუსებდა მათ და სიბრალულით გულს უკსებდათ, მკლავები უსუსტდებოდათ და მიზეზი კი კერ აესსნათ.

ამ ბატარა ჯარის უფროსი კავკასიის ერთი თავადთაგანი იყო. იმისი მშვენიერი სახე მზისაგან იყო დამწვარი; იმის ტუჩებს შავი კოკობი ულვაშები ამკობდა. თუ არ იმისი ტანისამოსი და სიბადი, თორემ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ეს სამდვილი უნგარელი არ იყო.

მაგრამ მათი ტანთ-სამოსელი, რაც უნდა უცნობი ყოფილიყო, მაინც არ ეუცხოებოდათ, თითქო ამგვარი ტანისამოსი სშირად ენახათ და ენათესავებოდათ ჭიდეტ.

ამ კაცების დანახვაზე სეპსის ქალები სწუხდნენ, რომ კერ შეეძლოთ ეკითხნათ: რა დაემართა ჩვენი წინაპრების შთამომავლობას? ბედნიერები არიან? ისევ იმ ძველებურ ღმერთებსა სცემენ თაყვანსა? თავის-უფალნი არიან იმ ადგილებელ მინდვრებში და უზარ-მაზარ მთებში? ჩვენ, ჩვენ კი ამ ახალ მიწაზე სრულიად ბედნიერნი არა ვართ. იმ ღმერთმა, რომელიც ჩვენ ამოვარჩიეთ და თაყვანსა ვცემთ, მიგვატოვა. ბევრი ვიტირეთ, ბევრი ვიბრძოლეთ. თქვენ რომ ჩვენი სატყვები გესმოდესთ, როდესაც თქვენს სამშობლოში წასვალთ, თქვენ თანამემამულეთ უამბოთ, რომ იმათი მომძეების ცხოვრება სრულიად სანატრელი არ არის. იმათ გულში სიბრალული ადეძრებათ და თავიანთ შთამომავლობას ჩვენს სახელებს აცნობებენ და სალამოს ყამზე თავიანთ ქოხების წინ შეკრებილნი მოიგონებენ, რომ ჩვენც ისე მამაცურად ვიბრძოლეთ თავის-უფლებისათვის, როგორც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა, მაგრამ ამაოდ, უბედურება მაინც თავიდან არ აგვცილდა.

ცხენოსანი ბრბო სამეფოს წინ იდგა. ქალები სამეფოიარო ლოტვებს გალობდნენ, რომელშიაც ადიდებდნენ სიკეთილს, სან მოკლე და ფუჭს ქვეყნიურ ბედნიერებას და ზეციურ საუკუნო განსვენებას.

ქალების გალობა მწუსარებით აეო სავსე. ამ მწუხარებას სამგლოვიარო ზარიც ბასს აძლევდა.

ამ ბრბოს უფროსი ცხენიდან ჩამოხტა, სხვებმაც ამას მიჰბაძეს, მოიხადეს ქუდები, სელი-სელს ჩაჭიდეს ერთმანეთს და ისე სამეფოის ერთ მხარეს გამწკრივდნენ, თავლები ზეცას შემართეს და დაიწყეს ლოტვა. ვერავინ ვერ წარმოადგენდა, რომ ესენი მტრები იყვნენ. როდესაც ლოტვა გათავდა, უფროსს ქალებთან მისვლა უნდოდა, მაგრამ ერთი იმათგანი, იუდიფი, დამშვიდებული, სიმამაცით სავსე წინ წამოდგა და ბრძანებლობის ხმით უთხრა:

— არ მოგვიახლოვდეთ! ეს სამეფოი ჩვენ და თქვენ შორის საზღვარია. თქვენ აქ ვერაფერს ნახავთ სასარგებლოს. ამ ქალაქში მარტო ტოლები და ქალები დარჩნენ იმ მამაცი მეომრებისა, რომელნიც თქვენ დახოცეთ. ესდა ამ სამეფოში უკანასკნელი მამაცი

სეპსისა ასკვნია; ოთხმოც და ათი წლის განმავლობაში ღმერთმა ის ჩვენ შორის დასტოვა, რომ წინამძღოლობა გაეწია და ნუგეში ეცა ჩვენთვის. ესლა ღმერთმა მოიგითხა, რადგან ამ ქალაქს მამა-კაცი აღარ სწირავ. ამისი სიკვდილი სწორედ სასწაული იყო, ისე კი არ უტანჯნია, როგორც სხვა სიკვდილის შეიღებს: თავის სამშობლოს დაღუპვის ამბავი კერ აიტანა და სული განუტევა. ათი წელიწადი უსინათლო იყო. თუ არ ეს გარემოება უთუოდ ესეც თქვენთან ბრძოლაში, თავის სამშობლოს და თავისუფლების დაცვაში მოკვდებოდა. სეპსის მანდილოსნებმა სამარე გავუთხარეთ ამ ქალაქის კარებთან, რომ კერავინ კერ გაბედოს ფესის შემოდგმა და ამ საფლავის შეურაცხყოფა. ნელ-ნელა ეს საფლავი მწვანით შეიმოსება და მოგზაურები ამ ოდესმე ბრწყინვალე ქალაქის კვალს ვეღარ იპოვიან, რადგან გარშემო სულ დიდრონი ხეები გაიზრდება. ჩვენ, ჩვენ კი დავიხოცებით და არ გვიანდა, რომ ვინმემ დაგვიტირონს. ჩვენ ძაძებში კართ შემოსიდნი და ისე მოვკვდებით, რომ ჩვენ სიხსოვრად კვალი არ დარჩეს, ისე, როგორც შეჭფერის იმ მამაცი გმირების ტოლებს და ქალებს, რომელთაც ბრძოლის ველზე თავისუფლებას და სამშობლოს თავი შესწირეს. კურთხეულ იყოს ეს სამარე, რომელიც გვაშორებს ქვეყნიერებას და წუეულიმც იყოს, ვინც გაბედავს და ბირკლი გადმოაბიჯებს ამას!.. ამინ!...

ამ ქალის სიტყვებზე, თუმცა არ ესმოდა იგინი, მორჩილების ნიშნად ჩერქეზების წინამძღოლმა ამოიღო ჯიბიდან თავისი მანდილი და ხმლის წვერზე მოაბა, ამით უნდოდა ეტნობებინა, რომ იმას აქ მშვიდობა და მეგობრობა მოაქვს.

მანდილოსანმა კარგა გაიგო ეს ნიშნები, მაგრამ უარ-ჰყო და უთხრა:

— ტუეილად გვბირდებით ჩვენ მეგობრობას. მანამ სული გვიდგია, ჩვენ შორის შეუწყვეტელი ბრძოლა იქნება. მარტო სიკვდილი მოგვანიჭებს მშვიდობას. საერთო მწუსარება სეფეკს ჩვენ შორის და ეს მწუსარება გვიღრღნის და გვიდაგავს გულს. ჩვენ არ შეგვიძლიან მეგობრულად გიეუროთ თქვენ, გვეზიზღებით! წადით, ქვეყანა დიდია! იქ შეგიძლიანთ გაიფანტოთ. აქ აღარავერი არ არის, კერც მშვიდობას და კერც დიდებას აქ თქვენ კარ ჭეფეგებთ. მშვი-

დობიანობამ ულალტა ჩვენს ქალაქს, ბედნიერებაც და სიხარულიც ჩვენთვის გათავებულია. აქ არიან ტრემლისაგან თვალებ-დაწითლებული მანდილოსნები, რომელნიც თავიანთ უდროოდ მოკლულ საყვარლებს სტირიან. ესენი ის უბედურნი არიან, რომელთაც მარტო სიკვდილი დასმშვიდებს... წადით! გაუდექით თქვენ გზას!

ამ ქალის გრძნობიერმა ლაპარაკმა, თუმცა კი არ ესმოდათ ჩერქეზებს, რაღაც შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, ისინი გაუნძრეველად იდგნენ ერთ ადგილას და ამ ძაძებში შემოსილ მანდილოსნებს საბრალულით შეჰყურებდნენ. მართალია, ესენი სავსებულ მორჩილებაში იყვნენ აღზრდილნი და ძალიან კარგად იცოდნენ, რომ, თუ ბრძანება არ შესრულეს, დაიჯებიან, მაგრამ მაინც ამ საეჭვოების გადაბიჯება კერ გაბედეს.

— ეშიშვლეთ ეგ თქვენი სანჯლები, აიღეთ თქვენი მანდილები,—დაუყვირა ჩერქეზებს იუდიეთმა:—გაგიბეთ გული და ჩვენს სიასხლეში ამოაკლეთ ეგ თქვენი თეთრი ცხვირსახოცები, აიფრიალეთ თქვენი დროშა და შემოდით რაღა ქალაქში!

— ფეხით გაგვირბისეთ, გული გაგიბეთ! ერთხმად შეჰყვირეს მანდილოსნებმა და ჩერქეზებისკენ წაიწიეს. ცხენები შეჰკრთნენ და უკან დაიხიეს.

ჩერქეზებს თავიანთი ცოლები და ქალები მოაგონდათ, რომელნიც სასლში დასტოკვეს და რომელთა სიტყვები ამათ სიტყვებსა ჰგვანდა. ამათ დასტოკვეს ახალგაზდა, მშვენიერი დები, სატოლოები; ისინი სიმშვენიერით არა ჰგვანდნენ ამ ქალებს, რომლებიც ასე უშიშრად ცხენებს მოუახლოვდნენ.

უფროსს გულმა ფანცქალი დაუწყო და სასე მიაბრუნა, რომ არავის დაენახა იმის ცრემლით სავსე თვალები. იმან ცხენი მინდვრისკენ გაბრუნა და იმის მაყალითს მისმა ხელქვეითებმაც მისდიეს. მალე მიამალნენ ეს ცხენოსნები და მას აქედ არც უნგრელს ქალებს და არც მათ ცოლშვილს ისინი აღარ უნახავთ. როდესაც ეს ბრბო თავიანთ ბანაკში დაბრუნდა, მათმა უფროსმა რიკეა შეჰკრიბა და სამსჯელოო წესით გაასამართლეს ისინი, რადგანაც ქალებთან ბრძოლა არ ინდომეს, და ერთ დღეს უკელანი დახვრიტეს.

სეპსისკენ გამოგზავნეს მეორე ბრბო მსჯელობთ, რომელნიც უფრო გულქვავანი იყვნენ. ისინი უშიშრად შეეიდნენ ქალაქში, სადაც ყველა

სასლის კარები დაკეტილი დასვდათ და ამ კარების ძალით შემტვრევა მოინდომეს.

შეიქნა საშინელი და შეუბრალებელი ბრძოლა, ბრძოლა მასდიდოსებთან და ბავშვებთან. ყოველი სასლი იერიშით უნდა აეღოთ, ყოველ ქუჩაში ასალ-ასალი ბრძოლა უნდა გაემართათ; ქალები მტრებს ბანდან ქვებს ესროდნენ და მდუღარე ზეთსა და წყალს ასხამდნენ.

ზარის რეკვა არ შეწყვეტილა. დაკითი სასოწარკვეთილებით რეკავდა, თითქო უნდოდა მებრძოლენი გაემხნევებინა. ბოლოს, ამ საშინელ სმაურობაში გალობა მოისმა: «ღმერთო ძლიერო! გვამნი მოსათა შენთა ყვავ-ყორნებისგან იყვნენ შოთხთქმულნი!».

* * *

ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა. მტრებმა ქალაქი აიღეს და იმათი მსაირული სიმღერა მოისმოდა, როდესაც უცებ ცა შავად შეიმოსა და ყოველი სასლის ბანიდან ტეტსლეს სვეტები ამოდიოდა. ქალაქი სეფსი ტეტსლის მორეკვად გადაიქცა. საშინელი ქარი ამ ტეტსლს უფრო აძლიერებდა.

კაცებმა უიმედო ყვირილი ტეტსლის სმაურობას ეურჩებდა, კოშკი კი უჭრავად იდგა და ზარები სამგლოვიარო სმას რეკავდა. ერთბაშად ქარმა პირი იბრუნა და უფრო შესაზარი ხმაურობა მოისმა, ზარი შეხერდა, რადგანაც ტეტსლმა დაადნა.

ტეტსლი და ქარი გაბატონდნენ ამ ბრძოლის კელზე. მეომარნი, რომელნიც ტოტსლები გადარჩნენ, გაიქცნენ და მარტო ორი სმა-ღა მოისმოდა: ქარის შესაზარი ზუზუნი და ტეტსლის ტკაცა-ტკაცი.

ეკ. მ—სა

შიოლა ღუდუშაური

დაუმთავრებელი მოთხრობა

ა. ყაზბეგისა

«შიოლავ ღუდუშაურო,
სკამს ზიხარ ერისთვისასა;
აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს,
არცა ბალღს ერთის თვისასა;
პირიდან ცეცხლსა მეხად ჭყრი,
კლდეს ადნობ ბასრის ქვისასა...»

I

ასეთ სურათად გვიხატავს სახალხო გადმოცემა შიოლა ღუდუშაურს, იმ შიოლა ღუდუშაურს, რომელიც ხევში გაბატონებულის არაგვის ერისთავთა მარჯვენას შეადგენდა და შეუბრალებლად სწვავდა, სდაგავდა და ცეცხლში ატარებდა თავის მოძმეთ.

შიოლა ღუდუშაური იყო შუა ტანისა, ჩასხმულ-ჩაკირული, ჩაკუმშ-ჩარგვალებული, ძარღვიანი კაცი, მოძრავი, დაუზარებელი, თავის-ნება და ამპარტავანი. ყველაზედ მომეტებულად ის გაეზვიადებინა ერისთვიანთაგან სიგელების მიცემას, რომელიც მათ აზნაურობის სახელს და ხალხთან ულმრთოდ მოპყრობის ნებას აძლევდა.

არაგვის ერისთავებმა მთიულებთან ერთად მოხევენიც ხელში ჩაიგდეს და იმათ დასამაგრებლად ადგილობრივი მცხოვრებნი ეჭირვებოდათ; რადგანაც თვითონ პირდაპირ ისე ადვილად ხელს ვერ აწვდენდნენ, ამისთვის გაეთარხნებინათ ღუდუშაურები, გაეხადნათ თავიანთ აზნაურებად და ქართლში გავლენის-

P. 6301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის რომ მეტი ძალა ჰქონოდათ, მოხევეთა შერჩენა ღუდუშაურებისთვის მიენდოთ.

ხევში ღუდუშაურები ისეც გაძლიერებული გვარი იყო, მრავალი მეომარნი ჰყვანდათ და ჯერ მაშინაც კი ძალას ხმარობდნენ, სანამ ერისთვიანი მხარს მისცემდნენ, და ეხლა ხომ სრულიად მოუსვენარნი შეიქნენ.

ხმალმა და ცეცხლმა შეარყია მოხევეთა ეროვნობა და თემობა, ბრძოლამ დაღალა და დაასუსტა ხალხი და მტერმა შესძლო მათის მოთავეების, ასრედ წოდებულის, „ხევის-ბერების“ [1]) განდევნა. რასაკვირველია, ამგვარად დასუსტებულს, არეულს და მოთავეთა დაკარგულს ხალხს წყობილება აერიათ და მათ შორის ღუდუშაურებს გამძლავრება ადვილად შეეძლოთ.

ამ შემთხვევამ მრავალი მოხევე მოაშორა თავის მიწა-წყალს, ღუდუშაურებთან შეერთებულ არაგვის ერისთავთა უსამართლობას გაახიზნა.

ღუჯუშაური შიოლა, შავ-შიოლა, როგორც მას ხალხი ეშმაკდა, დაღიოდა გახელებული გატიალებულს ხევში და თვით ჯოჯოხეთიდან მოვლენილს ცეცხლის მათრად სწვავდა და სდაგავდა ხალხსა. ამგვარს მდგომარეობაში იყო ხალხი და განსაკავისუფლებლად თავი ვერ მოეყარა, როდესაც ერთმა შემთხვევამ სრულიად გამოსცვალა ხევის მომავალი.

II

ჭექა-ქუხილის შემდეგ, ბუნებას თითქო შეჰბრალებოდა ისეც საკმაოდ ტანჯული ხალხი! ჰაერი დაწმენდილიყო, ნისლს გადეყარა, ცა მოღალულიყო კოკებრივ ცრემლის ღვრით და თავისი ძველი ტკბილის სიყუჩისათვის დაეთმო. თვით მთის ნიაღვრ ხს ცელქი, მოუსვენარი არშიყი ქვეყნის გამლაზათებელის ფეალუცებისა დადუმებულიყო, მის მაგიერ გაკაშკაშებულიყო

[1]) „ხევის-ბერების“ და მოხევეთა ერისთავებთან ბრძოლა იხილე გაზ. „დროებაში“ — „ხევის-ბერი გოჩა“. ავტ.

მთვარე და ურიცხვ მნათობთა კრებასთან ერთად სხივ-თ დაჰკრთოდა ველურ პატარძლებს; მათ აშუქებდა და ცდილობდა ოდნავ ბაგე გახსნილის, ოდნავ გაფურჩქვნილის კოკრებისთვის პირში შეეხედა. მსურნელნი თითქო რცხვებოდნენ, ერიდებოდნენ გამბედაობას და მორცხვად თავ-დახრილნი, შეფერადებულნი მომხიბლავად იღიმებოდნენ, მოკრძალებით შეეუუნებდნენ. აგერ ერთი ვარსკვლავი გაბრწყინდა, გაბრწყინდა სხვებზედ მეტად და თრთოლა დაიწყო!... თრთის, ცახცახებს, კამკამებს და სწამდება. მნათობს ელვა თუ შეჰკრა მსურნელმა!.. დასჭრა, დაჰკოდა და მოხიბლული მოსწყდა, მოსწყდა მოუაზრებლად, მოუფიქრებლად, მოჰქრის მისთვის უფსკრულისკენ, ანგარიშ-მიუცემლად... შესდექ, დაიღუბები!.. მაგრამ მას დრო არა აქვს ფიქრისთვის... მოჰქრის, მოჰფრინავს საშიშ უფსკრულში... ბნელი ჯურღმული ნათლად ეჩვენება, რადგანაც მომხიბლველი იქ არის, იქ ეგულება... ჩუ! იფეთქა!... გამუქდა, გაშუქდა, გაიშალა და ჩაქრა!.. ველარ გაუძლო წადილს, მის სიშორეს, ვინც ეახლოვებოდა სულსა და გულს...

სწორედ იმ წუთს, როდესაც ვარსკვლავი უკანასკნელს სიცოცხლეს შუქადა ლევდა, როდესაც გრძნობით აღსავსე გულს ველარ გაეძლო, განგრეულიყო და ქვეყანას უკანასკნელს სალამს უკანასკნელის ამოქშენით ეუბნებოდა, ლამაზის და ცქრიალა მალიას ყორნის ფრთასავით შავი თვალები სევდიანად შესცქეროდნენ სულთ-მობრძავს მნათობს. განქრა ვარსკვლავი, ქალი შეკრთა და თვალებზედ ხელი მიიფარა.

— ღმერთო, დაიხსენ!—წყნარად წარმოსთქვა ქალმა და მხურვალეს გრძნობით ამოიოხრა.

იმან ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ნიავსავით ჩუმი, მთრთოლვარე ხმა გაიგონა.

— მალიავ, ჩემო ყველავ!

მოკლე იყო სიტყვები, მაგრამ ძლიერი. ქალი შეკრთა, წატორტმანდა უკან, ორივე ხელით გულს მისწვდა, თითქო ბუდიდან ამოვარდნისა ეშინიანო და გაოცებულის თვალებით შეხედა მოლაპარაკეს.

— ირემავ! — ისეთისვე ხმით წარმოსთქვა ქალმა, თითქო გულის საძირკვლიდან გრძნობით მოწყვეტილი სუნთქვა არი სულ.

ამაზედ შესწყდა სიტყვები, გაჩქარდა ყველაფერი და თვით სულთქმა, გულის-ცემა ორის მესაუბრისაგ გაყუჩდა. ქალს სახემ გაუთამაშა, თვალებს ელვად გაჭყრა, ბაგენი ფერმილად მოიქცენენ და თავი დაბარა.

სიყუჩე არ ეფლეგოდა, ყველა გაჩუმებულიყო, ყველას გაეწყვიტა ხმა. ამ საერთო მყუდროებაში მოისმოდა მხოლოდ ორი გულის დაგადუგი, რომლებიც თითქო მკერდიდან ამოფრენას აპირებდნენ, რომ ერთმანეთს შეჰყრობდნენ, ერთად გადაბუცეულიყვნენ და თავიანი მეძრაობა, გრძნობა, სიმწარე და სიტკბოება ერთმანეთში გადაეცვალა, საერთო შეექნათ.

ირემა, ყმაწვილი ქალი, ახლად მოწიფული, მოსული, გმირულ სახისა, ლომებრივ შეხედულებისა და სავაჟკაცო გულ-მკერდის მქონე, შესაქროდა მალიას აღგზნებულის, ცეცხლის მფრქვევის თვალებიან ისე, თითქო თვით სულის საძირკვლამდე ჩაწდომა უნდოდა, ჰსურდა გულამდე მიეწვია და თავი ჩეერჩო საიცნებო სიტკბოებაში.

— მალიავ, ჩემო ყველავ! — გაიმეორა ირემამ და მისი ხმა იმდენად ტკბილი და ლბილი შეიქნა, რამდენადაც კი კაცისთვი შესაძლებელია. აქ ლაპარაკობდა აღგზნებული გრძნობა გულისა, ადამიანისა, ისინი ახდენდნენ ხმას, მათგან მოისმოდა ეს ხავერდიანობა სიყვარულისა, ენა ბგერ-ენ ჩუმდებოდა, ძალას ჰკარგავდა და ამაოდ ხდებოდა

— მალიავ! — კიდევ ერთხელ წარმოსთქვა კაცმა და უხეირ ღელვამ ძალამ გაუშალა ხელები, მოახვევინა ქალის ნარნარს წელს და ჩაკვრევინა მკერდში, იმ გულის ახლოს, რომელიც ამ წუთებში დაუწყნარებლად ღელავდა.

ქალი არ ეწინააღმდეგებოდა და არც შეეძლო. თვით მისი ბარსება დაჰმონებოდა გრძნობას და ამ კაცთან სიახლოვის წადილად გადაქცეულიყო. ისა თრთოდა, თრთოდა როგორც დურაკი ქორის კლანჭებში, როგორც ჯეირანი ლომის ტო-

ტებ ქვეშ მოქცეული, ჰგრძნობდა სიცხეს და სიცივეს, შიშსა და სიხარულს, ისე ერთმანეთში არეულს, ისე შეანჯველს, შემაწუხებელს და ძნელად დასათმობს.

— ბეჩაო! მითხარი რაიმე! — ისეთის მუნჯარით ითხოვა ცოლმა, თითქო სულის ჩაბრუნებასა სთხოულობდა.

— რაი გითხრა? — ამბრუნებისწყენით უპასუხა ქალმა და თავი უკეთო დაიხარა.

— აუ, ბეჩავ! ამდენს ხანს არ მინახიხარ, ჩამოვეწინ, დავილიე და ეხლაც რაი გითხრაო?..

— რაისთვი შენთანად არას მეუბნები?

— მინდა, მინდა, ღთის მადლმა, გითხრა ჯობია... ბევრი მინდა გითხრა, ბევრი რაიმე მაქვს სანქმელი, მაგრამ ეს საბაითალმანო ენა არ მიჯერებს, ვერა მითქვამს-რა...

— მეც აგრე ვერ და რაი ვქნა.

— ჩემო ყველავ! — აღტაცებით წამოიძახა ბერა და ამ სიტყვების გათავება ვერ მოასწრო, რადგანაც ტუჩებზე ქალის გახურებული სახე იგრძნო და მთრთოლვარე, აღგზნებულმა კოცნამ ხმა გაუწყვიტა. ცალი განუვდა, დაიბნა და გონება დაკარგა. ქალმა იგრძნო, რომ სხეულს ფრიამულს მოხვდა და ცოლორად იმ დროს, რომ ბესაც შეუყენებულ-აუბუსუსდა, ძარღვებში შეხურებულის სისხლის მოძრაობის ნეტარის სიტკბოებად ჰგრძნობდა. მალია აღმოთქვა, გამოუფვეველი, ნგარიშ-მიწოდომელი კვნესა დაიწყო, კისერზე მოეხვია და ბაბი ტუჩები შეწებდნენ.

— ღთის მადლმა, ფინტლეულნ

ყოფ, წებასა ზეგდებაო და მიკვდეს! — მოისმა ერთბაშად ვიღაცის ხმა!

ორშიენი შეკრთნენ, გაიყარნენ და ირეკა ცილდასაბრ მოიმარჯვა.

— მოკვდეს და ეგ ბაბუ ასეთს ცხოვრებაზე! უპასუხა იმან ლაბ საბრძოლველად მოემზადა.

რადგანაც შეყვარებულები კალოზედ იდგნენ, უცნობი ბერლის პირიდანვ ისე მოეპარა, რომ ტრაფიზებრივ გატაცებულებს უცნობის მოახლოვება ვერ შეემჩნიათ.

— გინდა სიკვდილი და მოკვდები კიდეც.—წარმოსთქვა უცნობმა და ღობეზედ შვილდ-ისარი გადმოუმიზნა.

— ღთის მადლსა!—დაიყვირა მალიამ, რომელიც ძლივს მოსულიყო გონსა, მოიგლიჯა თავიდან მერდინი და ერთმანეთის სისხლის მსურველთ შუაში ჩაუგდო.

ორთავ მებრძოლთ თითქო უზენაესის ბრძანებით მკლავები ჩამოუცვივდათ და სიკვდილად გამომხედი ისრის წვერები მშვიდობიანად დაეშვა.

— დიაცო, რაი გითხრა!.. შენს მანდილს დიაღ პატივს ვცემ!.. მაგრამ ქურდმა სახელი მითხრას, ძმად ნაფიცი დის გაწბილებას არ დაუთმობს.

— ჯახიაუ!—გაექანა მალია.

— ნუ მოხვალ!—შეაყენა ხელის მიგებებით ახლად მოსულმა:—ქუდოსანს ქუდი მომხადე, წვეროსანს ულვაშ გამკრიჭე, რაღა ნამუსით ძმისკენ მოდიხარ?..

— ჯახანავ!... ღთის მადლმა, ტყუილად ჯავრობ.—უპასუხა მოხევემ:—მალიას მანდილი არ მოუხდია, სახელი არ გაუწბილებია... და მე კი რაისთვი მექადნები, ეგეთ რძეს არ გაუზდივარ, რო სახელი დაგიმალო... ირემაი ვარ, აფთიაურთ ირემაი.

— აჰუ, ირემაუ!.. შარცხვი, შარცხვი! სამს წელს ერთად ვინამგალავეთ, ვიპურ-მარილეთ და დღეს კი ქუდი მომხადე! .. დღეს ემ ქალის პატივისცემა, და ხვალ სად წამიხვალ... მიწაში რო ჩაძვრე, იქაც კი ჩამოგყვები.

— იყუჩე, ჯახანავ!.. წინადვე კვეხნა დიაცთ წესია!.. ხვალ განათდების და ერთურთს შევხვდებით... ეგ ქალი მე მიყვარს, მიყვარს როგორც ცისკარი, ცოლად მინდა და თავად იცი, რაი დრო შეიქნა?... შიოლაი თავის დას არ მაძლევს, მოსისხლედ გადამემტერა.

— შიოლაისი რაი საქმეა?... რად მე არ მითხარ?... დად ჩემთან არის გაფიცული და ვის შეუძლიან მაგის გათხოვება უჩემოდ?

— ჯახანავ, დიდი ხანია ხევით გაიხიზნე და შენ არ იცი შიოლაის საქმეები.

— აუ!... შიოლაი!... რაი გახდა შიოლაი?... თემის ადათს ის ხო ვერ დაარღვევს, ხალხის პირს ხო ვერ გასტეხს? ჩემი დობილის გათხოვება, იმისთვის ქმრის ამოჩენა ჩემს მეტს ვის შეუძლიან?...

— აი ჩამოხვალ სოფელში და ნახავ.

— ბიჭავ, რას უბნობ?—გაიკვირვა ჯახანამ.—მართალს უბნობ? მალია მართლა გიყვარს?

— აუ!—სხვა ველარა მოახერხა-რა ირემამ.

— შენც გიყვარს, ქალაუ?—მიუბრუნდა მალიას, რომელსაც მანამ არ მოეშვა, სანამ თანხმობის ნიშნად თავი არ დაუქნევინა.

— კარგი, კარგი!—მოუწონა ჯახანამ:—ირემას მიგცემ, ირემა სამს წელს იყო ჩემთან ნამგალად, ირემა ფაციკა, ლოთის მადლმა!—წარმოსთქვა იმჯერ და მიუბრუნდა ირემას:—მოიტანინიანი.

ამ სიტყვებით დაყარა იარაღი და ძმურად მიუახლოვდა იმ კაცს, ვინც წუთის წინად კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა.

მოხევემ შემოიხსნა ქამარზედ ჩამოკიდებული „დანა და საკვეთად“ მისცა.

— კეთილი იყოს, კეთილი,—წარმოსთქვა ჯახანამ და დაუმატა:—ურვადად ათი ძროხა, ოცი ცხვარი, ლუდი და არაყი საკმაისი და სადღეგრძელო-ძმო ცხენი.

— ღირსი არა ვარ, შენაი ჭირაიმენ, მეტი მეკუთვნის.—უპასუხა ირემამ, რომელიც მალიას დასაკუთრებლითვის სულსაც კი მისცემდა.

— მამაი შინაა?—ეკითხა ქალს ჯახანამ.

— ხევს წავიდა.

— მაშ გასწი და ვოხშამი რაიმე ნახე... ჩვენ ეხლავ მოვალთ.

ქალი არ გაინძრა და ამისთვის ჯახანამ გაოცებით შეხედა.

— ქალაუ, ვერ გაიგე?... წადი საქმელი მოგვიმზადე.

— არა, ჯახანაისი... მე არ წამოვალ!—უპასუხა ირემამ.

— რაისთვი არა?

— იმად, რომ შიოლამ არ მოგვასწროს...

— შიოლამ არ მოგვასწროს?

— ჰოდე.

— მოგვასწროს-და, რა იქნება?

— ოჰ, ჯახანაისი, შენ არ იცი, რაი ამბავია ჩვენშია, რაი ღთის წყრომაა და აგრე იმად უბნობ.

კარგა ლაპარაკის შემდეგ იმათ გადასწყვიტეს, რომ ირემა არ წასულიყო შიოლას სახლში. ჯახანა წავიდოდა თავის დობილის მამის სახლში ⁂ როდესაც ღუდუშაური ჩამოვიდოდა, მას შეატყობინებდა, რომ, ᲮᲛ თემის ჩვეულებისამებრ, ძმად ნაფიცმა დობილი გაათხოვა და შემდეგ ᲬᲡᲐᲡᲘᲫᲝᲡ შემოღებულის სამზადისით მიიყვანდა.

ამ სიტყვებით ისინი განშორდნენ ერთმანეთს; მალია გახარებული, რომ ძმად ნაფიცი მსარჩელელად მოეშველა; ჯახანა დარწმუნებული, რომ შიოლა თემის დებულების გადაცილებას ვერ გაბედავს და ირემა კი მაინც ურწმუნოდ ჩაფიქრებული, რადგანაც შიოლას უჯაათობა იცოდა.

III

ჯახანა იყო მოხევე, მაგრამ ამ შემთხვევამდინ, რომელიც ზემო თავში აღვწერეთ, ხუთი წლის წინად მრავალთა შორის ერისთვიანთ უსამართლობას გაჰქცეოდა და ზემო მთიელებს შეჰხიზნებოდა.

ეს ბიჭი ხევიდგან წასვლის წინად, როგორც კარგი გვარის შვილი, შეძლების მქონე და ვაჟკაცი ყმაწვილი, ხშირად დადიოდა შიოლას სახლში, ხშირად ხედავდა ჯერედ ნორჩს მალიას, რომელიც ყმაწვილობიდანვე წყნარ-წყნარად ვარდად იფურჩქნებოდა . . . . . .

ნინო

მოთხრობა

ვუძღვნი ჩემს უცნობს ნინოს

I

თავისუფლების მოყვარული და მორჩილი ყმა თავის მეუფროსე ძმის ქართლისა — ხევი არაგვის ერისთავთ ცეცხლით და იარაღით დაიპყრეს. ბევრი სისხლი დაიღვარა მაშინ მთაში, ბევრი დედის გული დარჩა საუკუნოდ მგლოვიარე ძაძებით შემოსული, „თოლ-ჟუჟუნა“ ჩათუთქვილის გულით და მდუღარე ცრემლის მფრქვეველი. ბევრმა ვაჟკაცმა შეასხა მაშინ არაგვის ერისთავებს თავიანთი სისხლი და საუკუნოდ დაადო ძმა-კალიობის ნიშნად ამოუშლელი დალი. ყველა მოხევის და მათთან ერთად დანარჩენი მთიელების გული შეუწყვეტლივ ღრინავდა გამწარებული იმ შეურყეველი ომის და უსამართლობის გამო, რომელიც მაშინ ხდებოდა. სისხლის-მოწყურებულთ, გამძლავრებულთ არაგვის ერისთავთ აღარ ესმოდათ შებრალება და მათი მძვინვარება უფრო ძლიერდებოდა იმ ძლიერების გამო, რომელიც ისევ ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოეპოვათ. მრავალი თავ-გადადებული მეომარნი ახლდათ მათ და მათი გულის მოპოებას მძლავრი მებატონეები ახერხებდნენ ძალიან ადვილად, რადგანაც ისინი გარყვნილებაში აღეზარდათ, შეეჩვივათ თავ-შეურკავებელს ცხოვრებას და თავიანთ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არამც თუ დანარჩენების ძარცვა-გლეჯის ნებას აძლევდნენ და ხელს უმართავდნენ, არამედ აქეზებდნენ კიდეც.

მთელი დუნია სხვა-და სხვა გვარის მშიერის აზნაურებისა განუწყვეტლივ ახლდა ერის მოთავეებსა და ამ ხალხს აძლევდნენ ნებას ყოველისფერი ჩაედინათ გაღუხდევინებლად. ამ ერთგულ კარის-კაცთ თავიანთის პატრონებისას შიგა და შიგ ჰყვანდათ თავთავისთვის გამოჩენილი გლეხ-კაცობა, რომელთაც თავის მხრივ ხელს აფარებდნენ და მათგან ძალას მოიპოვებდნენ. ეს იყო შემდგარი, მოაზრებული გუნდი ავაზაკებისა, რომელთა შემწეობითაც არაგვის ერისთავთ მთელი მთა ხელში ჩაეგდოთ და მათის მოწყალებით კი მეფეებზედ დიდი გავლენა ჰქონდათ.

როდესაც ერისთვიანთ ხევი დაიპირეს, რასაკვირველია, იქაც არ დაივიწყეს მიემხროთ რამდენიმე გვარეულობა, რომ მათის შემწეობით ხალხზედ გავლენა ჰქონოდათ.

მათს მისვლამდინ მოხევეებმა თავად-აზნაურობა და ბატონყმობა არ იცოდნენ; ჰქონდათ თავიანთი თემობა, თავიანთგან ამორჩეული „ხევის-ბერები“ [2]) ჰყვანდათ, მათ ემორჩილებოდნენ და სახალხო ყრილობით ისამართლებოდნენ. ერისთვიანთ დასჭირდათ „ხევის-ბერების“ გარეკვა და ამოწყვეტა, რომ ამით ხალხის ურთიერთი დამოკიდებულება მოესპოთ, ერთმანეთ შორის კავშირი გაეწყვიტათ და პირველივე ნაბიჯზ ხევში შესვლის შემდეგ ამ მიმართულებისა იყო.

მისულ დესპოტთ პირველში ყურადღება მიაქციეს ხევის ერთს გვარეულობას, რომელიც იმ დროში სხვებზედ მრავალ რიცხოვანი იყო და საკმაო ძალასაც შეადგენდა, მისცეს მათ აზნაურობა და უფლება მთელს ხევზედ ბატონობისა. მათის დასახელებით შიგა და შიგ სოფლებში გაუთარხნეს კიდევ რამდენიმე მეკომური და ამგვარად გააძლიერეს თავიანთი გავლენა ხევზედ. გააზნაურებულს გვარეულობას ეხლაც „ღუდუშაურნი“ ჰქვიან და ისევ თავიანთ ძველს ადგილს, სასნოში სცხოვრებენ. გაიარა ხანმა და ღუდუშაურები გამძლავრდნენ.

გაიარა ხანმა და ღუდუშაურებს სისხლსა და ხორცში გაჯდა სიამპარტავნე, აზნაურობის გემოვნებამ გაიდგა ფესვი და,

[2]) იხილე „დროებაში“ მოსხრობა „ხევის-ბერი“ გ. ჩ.

ავტ.

ერთბაშად გაბატონებულებმა თავის მოძმეებზედ, ხალხს უწყალოდ წვალება დაუწყეს. ხევი ჰგმინავდა და ჰკვნესავდა, ჰგრძნობდა უსამართლობას, მაგრამ წინად მომხდარის შემთხვევებით დასუსტებულს დასვენება ეჭირვებოდა, რომ შესძლებოდა ბრძოლა, თავისი ცხოვრება დაებრუნებინა, თავისს ჩვეულებრივს ცხოვრებას დასდგომოდა.

ხალხი ამ მდგომარეობაში ყოფ, როდესაც ერთი უღმერთოდ გამძლავრებული შიოლა ღუდუშაური იქაურობას მუსრს ავლებდა.

გამოჩენილი შიოლა, მებრძოლე და ძლიერი, გულადი და შეუპოვარი, ამასთანავე იყო ამპარტავანი, კაც-მიუკარებელი და დაუნდობელი. იქამდის გაძლიერდა ეს კაცი, რომ მისი მდგომარეობა შემდეგს ლექსში გამოათქმევინა ხალხსა:

«შიოლა ღუდუშაურო,
სკამს ზისარ ერისთვისსა»...

და მისმა უსამართლობამ კი

...«ადარც ქალს ინდობ, ადარც კაცს,
ადარც ბალღს ერთის თვისსა.
გულგიც სულ გაგქვავებია,
გიგავს ნაგლეჯსა კლდისსა...
ძმაც კი ადარ გაგიშვია,
ძმა მიმავალი დისსა;[4])
ტხენი სთხოვე და მოგართვა,
შეილდს რაღას სთხოვდი ჩქისსა...
შეილდი არ გაეღებოდა
მთრასელსა ნაპირისსა[5])...

---

[4]) ძმა და და ვინ იყვნენ, ამას თვით მოთხრობიდან გაიგებთ.
ავტ.

[5]) მთრახი—სოფელია, მომიჯნავე ქისტებზან; ამისათვის არის ნათქვამი „ნაპირისსა“. სხვა თემის მეზობელს იარაღი არ გამოერთმევაო.
ავტ.

II

შემოდგომის საღამო იყო. ბუნებას თანაეგრძნო ᲗᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ მწუხარებისთვის და დასეედიანებულიყო. მთა და მინდვრები წახვეულიყო თხელს ბურუსში. არა სწვიმდა, მაგრამ წრტილი იგრძნობოდა; კაცს სახე და ტანისამოსი უსველდებოდა. წყნარი, მაგრამ ცივი ნიავი ჩრდილოეთიდან სცემდა და აყინულებდა ᲛᲝᲜᲐᲛᲑᲔᲡ ურობას. ათასში ერთგან არეულ გუნებასავით ნისლი სწყდებოდა, მაგ შორის ᲣᲠᲣᲣᲜᲗ ქალის თვალსავით იბრწყინებდა ნათელი და შერცხვენილს პატარძლისავით ისევ ბურუსში შეეხვეოდა. ღამეს კარგა ბლომად განეცლო, შავად გამომხედავს სოფელს სნოს ეძინა. ყველგან სიჩუმე, ხმა-გაკმენდილობა, ყველგან დაწყნარებული სიმშვიდე სუფევდა, თითქო დაღალული ბუნებაც კი ძილს მისცემოდა. ერთად-ერთი ქვენა მთის მოუსვენარი მდინარე შფოთავდა და მედგრად მოღრიალებდა უფსკრულად ჩახეთქილს ხეობაში. აქ, ხევის ფრიალოს ნაპირზედ მოდიოდა უცნაურად დაკლაკნილი ბილიკი, რომელიც გველსავით დაკლაკნილიყო. ზოგან თეთრ ზოლად მიკრიალებდა და ზოგანაც იკარგებოდა მთების ურიცხვს ხლართულებში. ნიავი შესწყდა, ნისლი თითქო მოძრაობაში მოვიდა, შეთხელდა და გაშუქდა, ერთს ადგილს შეკრთა, გაიპო და სწრაფად გამომკრთალმა მთვარის შუქმა უფსკრული გაანათა.

— ჰე-ჰეი!—მოისმა ამავე დროს და ერთის ქვის სათაურიდან დაძაგრული შვილდ-ისარი გამოჩნდა.

ამავე დროს მეორე მხრიდან ფრიალოს ნაპირზედ შეჩერდა ცხენი და მხედარი, რომელიც ცის ტატნობაზედ აშკარად გამოიხატა. ის იყო შეაბჯარებული, შეჭურვილი იარაღით და შვილდ-ისრით. უცნობი მხედარი სწრაფად გადმოფრინდა ცხენიდან, დაჩვეული პირუტყვი მოისაფრა და ცხენის ზურგიდან იმნაც შვილდ-ისარი გამოუმიზნა.

— ბიჭავ, სტუმრობა ხადელთაც იცით და თქვენ ხიმ მოხევენი ხართ.—დაუძახა უცნობმა.

— დრო ქვეყანა აღარაა, თორემ, ღმერთმადლმა, ჩვენც ვიცოდით მაწყინძლობა. ვინა ხართ?—იკითხა ქვეითა კაცმა.

— სტუმარი ღმერთისაა... ვინც გინდა იქნა, გზა მშვიდობისა!..—უთხრა დაქვეითებულმა კაცმა, დაყარა შვილდ-ისარი და საფარს განშორდა; გამოვიდა გზაზედ და გულ-ხელ დაკრეფილმ დადგა. მეორე კაცმაც აღვირის ტოტები უნაგირის ტახტაზედ შეყარა დააწყო იარაღი და უცნობისკენ წამოვიდა. მაგრამ ვერ მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადმოდგმა, როდესაც ერთბაშად წამოიძახა:

— ფადიაურო!—შენი კვნესა მე!—და გამოექანა.

— ბიჭიაუ!—ასეთისავე სიხარულით დაუხვდა ფადიაური და ორნივ ერთმანეთს ჩაეხვევნენ.

ძალიან ახლად შეყრილები თვალ-ტანად წარმოსადეგები იყვნენ, წვერ-ულვაში ახლად აშლოდათ და ვაჟკაცურს პირისახეზედ ყმაწვილობის მიმზიდველობა უთამაშებდათ.

იმათ ეტყობოდათ, რომ ძალიან დაახლოვებული მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ, კარგად სცნობოდათ ერთმანეთი, რადგანაც ერთმანეთს სახლობის ამბავს დაწვრილებით ჰკითხავდნენ, ჯალაბობის სახელებს სიამოვნებით ახსენებდნენ.

პირველი მისალმების შემდეგ, იმათ გამოსწიეს ხევისკენ. რადგანაც სოფლამდინ ჯერ კიდევ შორი გზა ჰქონდათ, და ბიჭიას ცხენი კი რამოდენადმე დაღალულიყო, ცოტა ხანს შეჯდომა მოიწადინეს, გადეიღნენ მინდორზედ, ცხენს ჩაუკრეს თავი და საბალახოდ მიუშვეს; თვითონ ამოირჩიეს მყუდრო ადგილი, მოიტანეს თავ-თავიანთ საგზალი, რომელიც ყველა იქაურს მგზავრობის დროს თან დააქვს და გამართეს ვახშამი.

ბიჭია მთრახელი ყოფილ, ხევსური და მოდიოდა ხევს სადაც ტნდოდა ცელები გაეყიდა და თავის დობილი პირთამზეც ენახა.

— საით გამგზავრებულხარ, ბიჭიაე?—ჰკითხა ფადიაურმა.

— შიოლაისას მივდივარ... დაი უნდა ვნახო და ლუდიც ჩავუტანო... მაი[5]), ბატარ-ბატრაი შევსვათ... ეგეთი ლუდია, როგორც ერბო: შავი და სქელი.

[5]) მაი—მოდი.

ამ სიტყვების გაგონებაზედ ფადიაური თითქო შეკრთა, გაფითრდა, შეხედა სწრაფად, მაგრამ მაშინვე თვალები ისევ ძირს დაუშვა და ისე გაჩუმებული დარჩა. მთრახელმა მოხსნა ლუდის ჭურჭელს პირი, ჩამოასხა მათარაში და მოაწოდა ფადიაურს.

— ნახე-ღა რაი ლუდია. ნახე-ღა, ღთის მადლსა, რაი ლუდია.

შეახო ხელი ბიჭიამ ფადიაურს, რომელიც რაღაცას ჩაფიქრებულიყო.

— ჰა!...—შეკრთა უკანასკნელი და შუბლზედ ხელი გადაისვა.

— რაია, რაი მოგსვლია?—გაიღიმა მთრახელმა და მხიარულად დაუმატა:—ბიჭაუ, თუ არვის დაუჭრიხარ?

— რაი? დაუჭრიხარო?—სცადა ფადიურმაც შეხუმრება და გაიღიმა:—ფადიაურთ დაჭრა ეგრე ადვილი არაა...

— აი, ზოგი ქალა შავას თოლნი კლდეს გახეთქს, ღთის მადლმა, არამც თუ ადამიანის გულს... თემობაში რაიღა ანბავია?...

— რაი ანბავი?.... სისხლი წვიმს და ცეცხლი სთოვს!.... სადღა თემობა! ეხლა თემი ღუდუშაურიანთ დარჩათ... შიოლასაგან ხო მოსვენება აღარაა, აბა ძუძუ-მწოვარი ბალღი რაია?... ისიც კი აღარა რჩება შეუწუხებელი...

— რაი ღმერთ გასწყრომია მაგ შიოლას?—გაიკვირვა მთრახელმა;—რაი სამგლე გოჭსავით ატეხილა?...

— ერისთვიანთაგან მხარი აქვსთ, შენი ჭირაიმე, და რაღას დაერიდებიან?

— ღთის მადლმა, რომ გონჯა ატეხილა!—წარმოსთქვა ბიჭიამ თავის ქნევით და დაუმატა:—წყლის ჭურჭელი ერთხელა წყალზედ გატყდების.

— ოჰ!... გაჭირდა სიცოცხლე!... ერისთვიანთ ცხონი არიან, იმათ რაიც გინდა ჰქნან, უცხონია და გული ისე არ სკდების, მაგრამ შიოლაი ჩვენია და გულს ჩვენიანისაგან სწყინს...

კარგა ხანს ილაპარაკეს ხევის მდგომარეობაზედ, შიოლას უღმერთობაზედ და იმ მოძრაობაზედ, რომელიც ხევში ერისთვიანთ წინააღმდეგ უკვე დაწყებულიყო.

— მაი, ბიჭიაგ, უთხარ რამე შიოლასა... შენ მოკეთე ხარ იმათი, იმის ქალისთვის ძმობა გაქვს ნათქვამი... გაგიგონებს; მოიშალოს, ჩამოეხსნას თავის მეზობლებს, თორემ, ღთის მადლმა, სისხლი გაშრა და გონჯა დაუბნელებს ვინმე მზესა.

— ვეტყვი, ვეტყვი, ღთის მადლმა.... რას დავეფერები?...
— მებრალების, რომ გონჯა გაფუჭდეს.
— გებრალების? — შეხედა ბიჭიამ.
— ჰაი, ჰაი, რომ მებრალების.
— რაისთვი?... გონჯი უნდა მოკვდეს! — გადაწყვეტით უთხრა ისევ მთრახელმა და კიდევ უფრო ჩააცქერდა.
— ჰაი, ჰაი, რო უნდა მოკვდეს, მაგრამ შიოლაი ვაქკაცია, სახელ-განთქმული, გულადი... ჯალაბობა ჰყავს და თუ თემი აუმტერდათ, რაი მოუვათ?
— გონჯი უნდა მოკვდეს. — დამშვიდებით გაიმეორა ბიჭიამ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — ხევს კაცი აღარ დარჩენილა, თორემ, ღთის მადლმა, რო შიოლას აქამდინ შავ ქვიშას შეაჭმევდნენ.
— აუ, რას უბნობ?.. ნაპურ-მარილევი ხარ იმათი...
— ჰაი, ჰაი, რო ვარ!
— პურ-მარილი დიდია...
— დიდია, მაგრამ თემის მოღალატე არ დაინდობის... თემის მოღალატე ხალხსაც არცხვენს და ჯალაბობასაც... ეგეთი კაცი ყველასთვის ჭირია... მაგრამ ბატარაი დავიცადოთ... ერთი მოველაპარაკო, დავარცხვინო.

ამაზედ ლაპარაკი შესწყდა და ორივ კარგა ხანს გაჩუმებულნი იყვნენ.

— ფადიაურო! — ბოლოს დაიწყო ბიჭიამ.
— რაი გინდა?
— შიოლას ქალთან და-ძმობა მაქვს ნათქვამი.
— ჰო, ვიცი. — წარმოსთქვა ყმაწვილმა ბიჭმა და ყურები აცქვიტა.
— ღმერთის წინაც და კაცის წინაც მოვალე ვარ საქმრო მოვუნახო...
— ჰაი, ჰაი, რო შენი საქმეა!.. შენი დობილის ცოდოცა და მადლიც შენც გაძევს კისერზე. — მიუგო ფადიაურმა ტ თავი დახარა.
— სამი წელი მე და შენ ერთგა გვედგა ცხორი... ერთგა ვნამგალაობდით... ღთის მადლმა, რო კარგი ამხანაგი, სწორობის გამტანი ხარ... შენ შემოგვარდა ჩემი გული და მაი შეგრთავ.
— კარგია-ღა, ჩე! — სიცილ-ჩარევით უპასუხა ფადიაურმა, გაწითლდა და აღშფოთებული თვალები ძირს დახარა.
— რას მორცხობ, ბიჭო! გონჯს რო არას გეუბნები?
— არა მაგრამ...

— მაგრამ, რაი-ღა?.. არ მოგწონს?

— აუ! ეგ საიდღა იქნების, ღთის ნათლულსა ჰგავს?

— მაშ რაი-ღა?.. გავმართოთ საქმე?

— ბეჩაუ, შიოლაი რას მომცემს თავის ქალს?... ერისთა ვიანთ „შკამში ზის“ [6]).

— რას რატრატებ, ღთის მადლსა?... რაი შიოლაის საქმეა ჩემის „წაწალის“ გათხოება? ნუნუ ჩემი ღობილია და იმის გაბედნიერება ჩემი საქმეა,.. შენ ის მითხარ—მოგწონს?

— აუ!

— რაიღა აუ?

— ისა, რომ...

— ბეჩავ, სთქვი რაიღა?

— აუ, ბიჭიაისი, რაიღა კიოხვა გინდა.

— თუ არსად შელაპარაკებიხარ?

— ჰაი, ჰაი.

— სადა?

— ხატობას,—უპასუხა ფადიაურმა და ცოტა ხანს შემდეგ უფრო თამამად დაუმატა:—ფიციც მივეცით ერთმანეთს, მაგრამ შიოლაისი გვეშინიან.

— მაშ ეხლა ჩემს კისერს იყოს... შიოლაისი ნულარ გეშინიან, მომეც ნიშანი.

გიორგიმ პატარა ქარქაშიდან, რომელიც ქამარზე ეკიდა, ამოიძრო დანა და მისცა.

— აჰა, ამენ გაუაროს გულში, ვინც დაატყუოს.

— ამინ!—წარმოსთქვა მთრახელმა ტ ბ ხიარულად დაუმატა: —კეთილი იყოს, გივარგი, კეთილი!... კარგი ბიჭი ხარ, ღთის მადლმა, და კარგი ქალიც შეირთე.

ამ სიტყვებით იმათ მოუხშირეს საღღეგრძელოებს, ლაპარაკი შეიქნა მოცოცხლებული, გიორგი გაბედული, და, წელან დამუნჯებაში ჩავარდნილი, ეხლა შეუყენებლივ წისქვილის საროეკელასავით გაუწყვეტლად აღარ ისვენებდა.

ნისლმა გადიყარა, მთვარე გამოკაშკაშდა და გაანათა იქაურობა. მეგობრები შეზარხოშდნენ, ცხენს დაესვენა და გამაძღარიყო. მგზავრებს . . . . . .

---

[6]) ხალხის ენაზეთ, შიოლა ღუდუშაურისათვის წყალობის ნიშნად ერისთვიანთ სკამი ებოძებინათ.

ავტ.

გალაშკა

დაუმთავრებელი მოთხრობა

ს. უაზბეგისა

გალაშკა მდებარეობს ვლადიკავკასიდან ორმოცის, თუ ორმოც და ათი ვერსის სიშორეზედ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, სწორედ იმ ადგილს, სადაც კავკასიის მთების ჩრდილოეთის ფერდობები თავდება და დიდი ჩეჩნის უდაბნო ტყეები გადაშლილა.

გალაშკა შამილის დროს იყო ერთი იმ სიმაგრეთაგანი, რომელმაც იმ ადგილების მთიელთა შორის საპატიო სახელი დაიმსახურა და მისი შვილები ისე გააამაყა ბუნებრივი სიმაგრეებით; სიცოცხლით სავსე მდებარეობით და განსაცვიფრებელი მდიდარი მოსავლით გალაშკა ყველას ასურვებდა მისი მცხოვრები შექნილიყო, მას დაჰპატრონებოდა; შეჩვეული თავისუფლებას, გალაშკელები სახელ-გავარდნილს შამილსაც კი ისე არ ემსახურებოდნენ, როგორც სხვა მთიელნი, რადგანაც სხვებზედ მეტს ჭირძნობდნენ, სხვებზედ მეტად გაენებივრებინა ამ ბუნების მშვენიერება.

გალაშკელები მუდამ განსაცდელში იყვნენ და ამას შეეერთებინა ისინი საერთო მტრის მოსაგერებლად.

იმ ხანებში ყოველი გაჭირვებული და დევნული, ყოველი უბედური, რომელსაც მოსასვენებელი კუნჭული ველარ ეპოვა, სიხარულით მიიღებოდა სტუმართ-მოყვარე გალაშკელებისაგან.

რასაკვირველია, ამის გამო ეს ბუნებრივი სიმაგრე და ხალხის გულ-უხვი მასპინძლობა მთელი კავკასიიდან იზიდავდა ყველას, ვისაც კი მცირედი რამ შემთხვევოდა და ან ხალხისგან, ან მართებლობისაგან ეფიქრებოდა რამე.

გალაშკისთვის თითქო განგებ ვისმე შემოეკრა ჯერ უდაბნო, გაუსვლელი ტყეები, მერე უზარმაზარი კლდეები და შუაში კი წმინდა, სწორი, მწვანედ გადაშლილი ედემი, რომელიც აჭრელებულიყო ათასის ფერის ბილილებით. იქ კლდეებიდან რამდენსამე ადგილს ტკბილად გადმოჩხრიალებდნენ ყინულივით ცივი და ბროლივით დაწმენდილი წყაროები, რომლებიც მინდორზედ გამოდიოდნენ და სოფელში მცხოვრებს იდუმალებით სავსე ნანას ეუბნებოდნენ. კლდეებს აქედან ღრიალით ჩამორბოდა გამედგრებული და გამხეცებული, აქაფებული არის წყალი, რომელიც თითქო ხალხს უჩვენებდა რა მოუსვენრობაც უნდოდა, თუ მას წინ ვინმე დაუდგებოდა და ამ შემთხვევაში რა თავ-განწირულება უნდა გამოეჩინა.

რამდენადაც გალაშკელებს სივაჟკაცით და სტუმართ-მოყვარულობით თავი ჰქონდათ გამოჩენილი, იმდენად იმათ უყვარდათ შინ მოსვენებული მუშაობა და თავისუფალ დროს დროების გატარება.

იქ არ იყო ბატონ-ყმობა, იქ ყველანი ძმები იყვნენ, ერთს ოჯახობას შეადგენდნენ და უმცროს-უფროსობა მხოლოდ ხნიერებაზედ იყო დამოკიდებული. ამისთვისაც ყველანი ერთმანეთის ძმები უფრო იყვნენ, ვიდრე უბრალო მეზობლები. და თუ სადმე ჯიბრი გამოუჩნდებოდათ, ეს იყო სურვილი ერთმანეთზედ მეტის ვაჟკაცობის გამოჩენისა, ერთმანეთზედ მეტად თავის განწირვისა სანატრელის თავისუფლების დასაცველად.

—

ერთი კლდის წვერზედ გაცალკევებით იდგა კოშკი, რომელიც მცველსავით თავს დაჰყურებდა მთელს სოფელს და იქიდან თითქმის ამაყად ამხნევებდა მთის უებრო შვილებს. ეს გახლდათ სადგური სახელოვანის და ყველასგან პატივცემულის თასულთის, რომელსაც თავისს ყმაწვილ-კაცობაში არა

ერთხელ ეჩვენებინა თავისი ვაჟკაცობა და სიგულადე, არა ერთ-ხელ გაეკვირვებინა მოძმენი თავ-განწირულის სიმამაცით.

ეხლა მოხუცებული თასულთ, ხალხისაგან მმართველად ამორჩეული, შინა ცხოვრობდა თავისის მოხუცებულის ცოლით და მარტო ერთად-ერთის ოცის წლის შვილით, რომელსაც ამხანაგობაში სახელი უკვე გაეთქვა და ვაჟკაცის სახელი მეზობელ სოფლებშიაც დაემსახურა.

თათარყან, ასე ეძახდნენ თასულთის შვილს, იყო ოცის წლისა, ლამაზი, მოსული, ქორებრივ მოყვანილის თვალებით და წარმოუთქმელი ძალის მქონებელი. იმის სიგულადე, მოაზრება და ყოველ საქმეში სიფრთხილე და გამჭრიახობა, ამხანაგისთვის და გაჭირვებულისთვის თავ-გადადება არც ერთს დავლას არ ააცდენდა. სავაჟკაცოდ და სახელის გამოსაჩენად წასული გალაშკის ყმაწვილ-კაცობა ყოველთვის უეჭველად ბელადად თათარყანს აირჩევდნენ, იმას მიანდობდნენ ყაზახების სოფლებზე დაცემას და უეჭველადაც გამარჯვებულები დაბრუნდებოდნენ, რადგანაც თათარყანს ხუმრობა არ უყვარდა და, სადაც დაეცემოდა, აუცილებელს ნიშანს დაადებდა.

თათარყანის სახელი გავარდა ყაზახების სოფლებშიაც. ამ ყმაწვილს გმირს შეშინებულებს წარმოდგენა უხატავდა რაღაცა სისხლის მღვრელ, შეუბრალებელ და შეუწყალებელ ველურ კაცად.

დედები მტირალა შვილებს აშინებდნენ თათარყანის სახელით, ქალები ერთმანეთს სწყევლიდნენ თათარყანთან შეყრით.

თუ ეს რუსის სოფლები ასე იყო, მთელს ჩეჩნში თათარყანი შეიქნა თითით საჩვენებელ გმირად, ყმაწვილი ქალები მის სახელს ოხვრით წარმოსთქვამდნენ და მის ვაჟკაცობას ათას სიმღერით შეამკობდნენ.

მამას ახარებდა შვილის სახელი და ყოველთვის სიამაყით შესცქეროდა თავისს მემკვიდრეს, რამელსაც ღირსეულ შვილად სთვლიდა.

თასულთ სიამოვნებით მოისმენდა მის ვაჟკაცობის და თავ-განწირულების ამბებს, რომელნიც თავის სიყმაწვილეს აგონებდნენ და ხედავდა, რომ მისგან აღმოცენებული შტო უმთავ-

რეს ხეს არა ჰღალატობდა, მისთვის სანეტაროდ მის ადგილს დაიჭერდა.

ხედავდა, რომ მისი ერთად-ერთი შვილი იყო მამაცი, გულადი, მოაზრებული; ჰგრძნობდა, რომ მას უყვარდა თავისი მამული და თავისუფლება და მასთან ყველასთან, ყველგან ვაჟკაცის შესაშვენს პატივსნებას იჩენდა, ხედავდა ამას და ხარობდა გულით—სხვა რაღა უნდოდა?

—

გალაშკასთან მოშორებით გაშენებული რუსის სოფელი „სლეპცოვკა“ პეტრეპავლობას დღესასწაულობდა და მთელი ხალხი მათის ჩვეულებისამებრ გალექებული დადიოდა. ორიოდ არყის დუქანი, რომელიც ამ სოფელს ამშვენებდა გაჭედილი იყო რუსებით, სადაც კუზმა შეაქებდა ივანას, ივანა ფადეის, ფადეი კიდევ მაქსიმას, რომ ერთი სტაქანი არაყი როგორმე გამოეცინცლა.

ზოგთაც გამოეტანათ ტანისამოსი, სახლის უკანასკნელი ავეჯეულობა, ან სახლობის უკანასკნელი თავშალი, რომ არაყზედ გაეცვალათ და ისე გაეტარებინათ დრო. შიგა ლ შიგ ხედავდით მათ ცოლებს, რომელთაც დილიდანვე ცემა ტყეპისაგან თვალის ძირები ჩალურჯეპოდათ და ისინიც გამოსულიყვნენ, რომ თავიანთი მწუხარება არაყში ჩაერჩოთ, მითი გაებრუებინათ თავიანთი ჯავრი, გულის ვარამი.

უფრო ყმაწვილი ქალები, რომელნიც—ჩვენში იყოს ნათქვამი—წარმოუთქმელი ტანადნი და ლაზათიანნი არიან, დაყოფილიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად, გადაეხვივნათ ერთმანეთისთვის ხელები და „ოი ლული მალინას“ სიმღერით ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ.

იმათ დასდევდნენ ყმაწვილი ბიჭები, თხილისა და სემიჩკის თავაზით, ორის აზროვანის ღიმილით და მუდამ უხიაკო ლაჟღანდარობით, რომელზედაც გულწრფელად მარტო თვითონ მთქმელი ხარხარებდა.

იქავ ერივნენ ყმაწვილი ჩეჩნელები, რომელნიც სეირის სანახავად და ქალების სათვალთვალებლად ჩამოსულიყვნენ და, თუ დროს მოიგდებდნენ, არც არშიყობას მოაკლებდნენ.

უმეტესი წილი ამ ჩეჩნელებისა იყვნენ შერიგებულის სოფლებიდან, თუმცა მათ შორის შეურიგებლებიც ერივნენ, მაგრამ იმათ ვინ იცნობდა და ამისთვის თავისუფლად დასეირნობდნენ; ათვალიერებდნენ ქუჩებს, სოფლის მდებარეობას, რომ შემდეგში დაცემის დროს გზები კარგად დასწავლილი ჰქონოდათ.

სხვათა შორის აქვე დადიოდა თათარყან, რომლის სილამაზე და შეხედულება არა ერთს რუსის გოგოს ანატრებდა მის თავს, აუფანცქალებდა მასთან შეალერსების სურვილს და ქვეშ-ქვეშად გამოცქერის დროს აქნევინებდა თვალს. მაგრამ თათარყან მთიელი იყო, კაჟსავით გამაგრებული და მის გულზედ მოქმედება არა ჰქონდა გიაურების ქალების ცეცხლ-მფრქვევ თვალებს. თასულთი იდგა ერთს ადგილს დოინჯ-შემოყრილი, სიმინდის ფუჩეჩში გახვეულს თამბაქოს სწევდა და ჩუმად უყურებდა მოსეირნე ქალებს, რომელთაც ჯგუფ-ჯგუფად გაიარეს მის-წინ.

იმის თვალ-წინ მოჩანდა პატარა ჩარხი, რომლითაც სოფლელებს ჭიდგან წყალი ამოჰქონდათ.

ჭასთან მოვიდა ვიღაცა გოგო, რომელსაც ორი ვედრო ეჭირა და ჩარხზედ მობმულს თოკს მოაბა ვედრო, მაგრამ ჩაშვების მაგივრად იმან მიწაზედ დადგა ჭურჭელი, გახედა ჭალას და დაფიქრდა.

გოგოს მოწყენილი სახე და უბრალო ტანისამოსი ბედნიერს დღეს ამტკიცებდა, რომ ის მდიდარს ოჯახობას არ ეკუთვნებოდა. ამის მაგივრად ბუნებას უშურველად დაესაჩუქრა და მიეცა მშვენიერი ტანი, ჟუჟუნა ლურჯი თვალები და რუსებში ისე იშვიათი შავი ხავერდის მსგავსი წამწამ-წარბები. ყმაწვილურის, ნაზის ლოყებისთვის ჰაერს, მზის მოკიდებას ბევრი ჯერ ვერა დაეკლო-რა და ამისათვისაც სიცოცხლით სავსე სიწითლე დასთამაშებდა. ნაზი, სწორედ მოყვანილი ცხვირი თითქო ყალიბში იყო ჩამოსხმული და იმ ხალხის ჩვეულებრივი ნაკლულევანება—სიპაჭუეც კი არ ეტყობოდა. თხელი, პატარა, მარჯნის ფერი ტუჩები ცოტათი გახსნოდა და გამოეჩინა მარგალიტივით წყობილი თეთრი და სწორე კბილები. ყმაწვილ გოგოს

თავზედ არა ეხვია-რა და ამისთვის კარგადა სჩანდა კუპრივით შავი ხუჭუჭი გძელი თმები, რომელიც უკან ორს სქელს ნაწნავებად შეეყარა და დარგვალებულს ბეჭებზედ გველსავით ეკლაკნებოდა.

თათარყანმა შეხედა და თვალი ზედ დარჩა. მარუსია მეტად ლამაზი იყო, რომ რაკი ერთხელ თვალს შეჰკრავდით, მისის ცქერით ადვილად გამაძღარიყავით, ადვილად შეგძლებოდათ მოგეშორებინათ თვალი.

გოგო იდგა და თითქოს ვერავის ამჩნევდა; ის მისჩერებოდა ერთს ადგილს და იდუმალებით სავსე თავ-დავიწყებით გასცქეროდა ასის მდინარეს, რომელიც მინდვრად გამოსვლის შემდეგ დაწყნარებულიყო და მძლავრად მაგრამ წყნარის მედიდურებით მოქანობდა და ჭალაზედ იკლაკნებოდა.

ერთბაშად ქალმა ისე საჩქაროდ მოიხედა, თითქო რაღაცა უხილავმა ძალამ კისერი მოაღრეკინაო და პირდაპირ თათარყანის თვალებს შეხედა, რომელნიც რაღაცა ძლიერის ცეცხლით აღზნებულიყვნენ და ქალს გამგმირავს ისრებს ესროდნენ.

ქალმა ვერ გაუძლო ამგვარს ცქერას, გაწითლდა და დარცხვენილმა თავი დახარა. ასე იდგნენ რაოდენსამე ხანს, რომლის განმავლობაშიაც მარუსიამ რამდენჯელმე სცადა ქვეშ-ქვეშ გამოხედვა, მაგრამ მაშინვე ისევ თათარყანის თვალთა ელვარებას შეხვდებოდა და ისევ თავს ახრევინებდა.

თათარყან პირველი მოვიდა გონს, პირველმა ამოიწმინდა ხმა რამდენჯელმე, რადგანაც რაღაცამ აქამდინ უცნობელმა მღელვარებამ თითქო ყელში დაუწყო ჩოთირობა. რამდენჯელმე ასწივ-ჩამოსწივა ქუდს, რომელიც სრულიად სწორედ ეხურა და წყნარად წარმოსთქვა:

— იალაჰ! რა ლამაზია!

ქალმა წყნარად ამოიოხარა, ჩაუშვა ჭაში ვედრო და თავის საქმეს შეუდგა.

თათარყან იცნობდა რუსის ქალებს, ის შეჩვეული იყო მათ თავ-აწყვეტილს ლაჟღანდარაობას, იცოდა მათი თავისუფალი

ცხოვრება და მარუსიას მორცხვობა უფრო მეტად აღელვებდა იმას ტ აქეზებდა მასთან დალაპარაკებისათვის. იმან ველარ გასძლო, მივიდა ქალთან და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— წალკოტის ყვავილო, მწყურვალს წყურვილს არ მოუკლავ.

ქალი აღშფოთდა მის მიახლოებაზედ, გულმა ფართხალი დაუწყო და მორცხვობით უპასუხა:

— წყალი ღვთისაა, ყველასთვის გაუჩენია.

ამ სიტყვებით მიაწოდა ვედრო და თათარყანი გაუმაძღრად დაეწაფა.

— უჰ, რა გემრიელია,—წარმოსთქვა იმან ამოქშენით, როდესაც პირიდან ჭურჭელი მოიშორა.

— სად არის გემრიელი, უპასუხა ცოტათი გამხნევებულმა ქალმა და დაუმატა:—აქ წყაროები არა გვაქვს და ჭებში წყალი კი სულ მარილიანი არის.

— მაშ შენს მიკარებას დაუტკბია!—აღტაცებით წამოიძახა ყმაწვილმა ბიჭმა და თვალები უფრო აღეგზნო.

ქალმა სწრაფად შეხედა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენი სიხარული, ძალა, რაღაცა გამოურკვეველი წადილი გამოითქმოდა ამ ერთს შეხედვაში! მაგრამ მაშინვე ისევ გაწითლდა, ისევ თავი დაღუნა და ქშენა-აჩქარებულს ენა ჩაუვარდა.

— მშვენიერო, რა გქვიან?

— მარუსია,—მორცხვობით უპასუხა თავ-დახრილმა ქალმა.

— ვისი ქალი ხარ?

— დედ-მამა არა მყავს, ობოლი ვარ.

— ვისთანა დგეხარ?

— ტრაფიმოვებისას მოჯამაგირედა ვდგევარ.

ლაპარაკი შესწყდა და თათარყანს გულში რაღაცა აზრმა გაურბინა. აქამდინ ის ანგარიშ-მიუცემლად ელაპარაკებოდა ლამაზ ქალს, რომელთანაც საუბარი იმას ასიამოვნებდა. ეხლა გაიგო, რომ ის უპატრონო იყო, სხვათა კარზედ ატარებდა თავის სიცოცხლეს და შეჰბრალდა; შეჰბრალდა მით უფრო,

რომ მარუსია მეტად ლამაზი და ნაზი იყო და ეს მდგომარეობა კი მეტად საშიშია უპატრონოსთვის.

იმან გაიფიქრა, თუ რა ბედნიერი, იქნებოდა, მარუსია რომ შეერთო, მაგრამ მაშინვე მოაგონდა, რომ ქალი გიაური იყო და თვითონ მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი, რომ მისი ნათესაობა ამას არ მოუთმენდა.

— მაგრამ ჩემს ნათესაობას ჩემს ცოლთან რა ხელი აქვს? ცოტა მოაზრების შემდეგ იფიქრა იმან და დაუმატა:—ჩემი ცოლი მარტო მე მეკუთვნის!

— ბედნიერი დღეა, რატო შენ კი არა ლხინობ?—ჰკითხა თათარყანმა და ხელი გაიშვირა მომღერალ ქალებისკენ:—აგერ ისინი როგორ კივიან.

თათარყან რუსის გოგოების სიმღერას კივილს ეძახდა.

— მე სადა მცალიან?—ოხვრით წარმოსთქვა მარუსიამ:—მოჯამაგირეს სამღერლად ვინ გაუშვებს.

— ჩვენში კი ბედნიერი დღე ყველასათვის ბედნიერი დღეა.

— ჩვენში კი ბედნიერი დღე იმათთვის არის, ვისაც სახლი აქვს, პატრონები ჰყავს და თავისი მეურნეობა მოწყობილი აქვს.

— გინდა წამოხვიდე ჩვენს მთებში?—ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა თათარყანმა.

ქალმა გაშტერებით შეხედა და არა უპასუხა-რა.

— ღვთის მადლმა, მართალს გეუბნები.

— მთებში რა მინდა? ვისთან უნდა წავიდე?

— ჩემთან!—ერთბაშად უპასუხა თათარყანმა და ხელი გაიშვირა გადასახვევად. ამ დროს გამოჩნდა რამდენიმე გალექებული კაცი, რომელთაც ახლად გაცნობილები გაჰყარეს.

გოგომ აიღო ვედროები და შინისკენ გასწია, თათარყან კი დაფიქრებული ხალხს შეერია.

—

ამ დღიდან ყმაწვილი ჩეჩნელისთვის დადგა მოუსვენებელი დღეები. ის ყველას შორდებოდა, მუდამ მოწყენილი იყო და მარტო იმაზედ-ლა ფიქრობდა, რომ სლეპცოვკაში როგორმე გასულიყო.

ერთს ღღეს თათარყან ტყიდან მოდიოდა, როდესაც სოფლიდან რაღაცა ხმაურობა შემოესმა და ჩქარა დაინახა ხალხი, რომელიც ერობაში გამოგროვებულიყო და რაღაზედაც ლაპარაკობდა.

იმან ფეხი აუჩქარა და მოსვლის უმალ გაიგო, რომ ჯარი იკრიბება და ერთს სტანიცას დაცემას უპირობს. ეხლა ირჩევდნენ მოთავეებს და ბელადებს.

ოციოდ ყმაწვილი ბიჭები, რომელნიც მთელს გალაშკაში ირჩეოდნენ, გასულიყვნენ განზედ და ცალკე ლაპარაკობდნენ, თითქო სხვების ლაპარაკი იმათ არ შეეხებოდათ. თათარყანის მოსვლაზედ იმ ჯგუფიდან ერთმა დაიძახა:

— აგერ თათარყანიც მოვიდა.

— გამოიარე, გამოიარე ჩქარა!—დასძახეს სხვებმა და ყმაწვილს ჩეჩენს გარს შემოეხვივნენ.

— რა ამბავია?—იკითხა თათარყანმა.

— ყაზახები ჩვენს ცხვარს დასცემიან და გაურეკიათ, ორი კაცი მოუკლავთ,—უპასუხეს იმას.

— სადა, რა ადგილში?

— ტყეს იქით ცხვირ წამოწვდილი კლდე რომ არის... აი სადაც წყარო გამოდის.

— მწყემსებიც დაუხოციათ?

— და!.. შეიმოკლა პასუხი მოსაუბრემ.

— უხეიროებს ისე როგორ მიეპარნენ, რომ ტყეშიაც ვერ შეასწრეს.

— მწყემსებს დასძინებოდათ... წუხელი როგორი ღამე იყო... კაცი იტყოდა წარღვნა მოვიდაო, ქვეყანას წალეკსო; ღამე ნათევები იყვნენ.

— მაშ იქით რაღას მოდიოდნენ?.. ახია იმათი სიკვდილი!—გაჯავრებით წარმოსთქვა თათარყანმა და გადააფურთხა.

— მაშ ჩვენს მიწაზედ ნულარ გავალთ, გიაურებს დავანებოთ?—წამოიძახა ვიღაცამ, რომელსაც თათარყანმა გაჯავრებით შეხედა:

— თუ არ გაგიჟდი?—წარმოსთქვა იმან:—ვერ გაიგე, რომ ომია და ერთურთს ვხოცავთ?.. მაგრამ რადროს მაგისია, ცხო-

რი გაურეკიათ—უნდა დავიბრუნოთ, ჩვენები დაუხოციათ—სისხლით უნდა ავიღოთ.

— სოფელიც იმად შეიყარა... მდევარში მიდიან.

— მაშ რაღას გვიანობენ?

— ჩვენ მზადა ვართ, მარტო შენ-ღა გელოდით.

— აბა მაშ ჩქარა, ბიჭებო!—დაიძახა თათარყანმა და თეალები აენთო.

იმას მოაგონდა სანატრელი წამები, რომელნიც რამოდენიმე ხანს შემდეგ უნდა გამოეცადათ.

არ გაიარა დიდმა ხანმა, როდესაც ყველანი ამხედრებულნი იყვნენ და მდევრად მიაჭენებდნენ.

თათარყანიც ოცოდე თავ-გადადებული ამხანაგით ჩქარა შეეფარა ტყეს.

—

ოცამდინ ყაზახი, რამდენიმე აფიცრის წინამძღოლობით მიერეკებოდნენ ნადავლს ცხეარს და არხეინად მიდიოდნენ მდიდარის საშოვრით გახარებულნი.

ისინი ლაპარაკობდნენ თავიანთ სოფლის გოგოებზედ და მოუთმენლად მოელოდნენ იმ წუთს, როდესაც შინ მისვლა ელირსებოდათ და არყითა და მთის ბატკნები მწვადებით შეექცეოდნენ. იქავ ეხატებოდათ ყმაწვილი გოგოები, რომელთაც „ვოტ კალინას“ და „ვოტ მალინას“ მღეროდნენ, თითო-ოროლას გადაახუხებდნენ მერე შეუდგებოდნენ ჩვეულებრივ გარყვნილს დროს გატარებას.

ისინი ამ ოცნების სიტკბოებაში იყვნენ, როდესაც პატარა ხევის ბეგობიდან გავარდა რამდენიმე თოფი და მოისმა ჭყივილი. ამასთან ერთად ამოჩნდნენ ცხენოსანნი ჩეჩნელნი და ხმალამოღებულები შურდულსავით გაქანდნენ ყაზახებისკენ, რომელნიც მოულოდნელმა შემთხვევამ არა მცირედი შეაფრთხო და დაეთარი აურია.

კარგა დევნის შემდეგ თათარყანმა დაინახა, რომ იმათ ველარ ჩაიგდებდა ხელში და შეამჩნივა, რომ ყაზახის სოფლიდან მათ თვალი შეჰკრეს და ასამდინ ცხენოსანი კაცი მოსაშველებლად გამოვიდნენ. მათთვის შეუმჩნევლად უკანა მხარე მოეარნათ და გზა ისე გადაეჭრათ, რომ გამობრუნება შეუძლებელი ხდებოდა. იმან დაინახა თავისი შეცდომა, დასჭყივლა ამხანაგებს, გაამხნევა ტ სწრაფად შეეფარა ტყიან ჭალას, რომელიც იქავ სოფლის ახლოს იყო.

ყაზახები მოცვივდნენ, მაგრამ ტყეში შესვლა ველარ გაბედეს, რადგანაც მზე გადაწვერებულიყო და ხშირს ტყეში ძებნა თუ ამაო არა, მეტის-მეტად საშიში იყო.

—

რაკი ამხანაგები ტყეში შევიდნენ, მაშინვე დაქვეითდნენ და ცხენებს უნაგირები მოხადეს, წამოჰყარეს აღვირები და ხშირს ტყეში შეყარეს.

თვითონ კი იპოვეს ამოფუღრული დახავსებული მუხის ხე და, მეტს ბარგად რაც მიაჩნდათ, შიგ ჩაყარეს, წამოიკეცეს კალთები, რომ ეკლიანს და გადახლართულს მცენარეთ სიარულში არ დაეშალათ და გასწიეს წყლისკენ, სადაც ცურვით აყოლას აპირებდნენ.

მართლადაც, ეს აზრი ჩინებული იყო, რადგანაც ჭალის ცოტა ქვეიდან, გალმა გალაშკის მხარეს ისევ ტყე იწყებოდა და თუ იმ ადგილს მშვიდობიანად მიაღწევდნენ, მაშინ შიში აღარა ჰქონდათ.

მხოლოდ ერთი ის აფიქრებდათ, რომ გათენებას არ მოესწრო, ვიდრე წყლის ნაპირს ვავიდოდნენ, რადგანაც გადახლართული წნორები და ბიბილოები ფეხებში ეხლართებოდათ, ეკლიანი ძეძვები წამდაუწუმ ტანისამოსში ედებოდათ და მეტად აგვიანებდა და ღალავდა მათ.

კარგა შრომის შემდეგ, თათარყანმა აიხედა და დაინახა, რომ ალიონს აეწია და შეწუხებით წარმოსთქვა:

— საცაა გათენდება და ის ძაღლები კი ბეჯითად ჭალის პირს შეგვიკვრენ.

— შეგვიკვრენ-და ჩვენც ნუ გავალთ,—უპასუხა ამხანაგმა.

— მაშ როდემდინ ვისხდეთ აქ მომწყვდეულები?

— ორიოდე, სამი დღე მოვიცადოთ და მოგვშორდებიან.

— მაშ ჭალის პირამდინ ღამე ვეღარ ჩაგვყვება?—იკითხა ვიღამაც.

— აბა საით? — უპასუხა თათარყანმა:—აგერ გათენებამ მოატანა და ჩვენ კი ნახევარი ჭალაც ვერ გაგვივლია.

— მაშ აქვე დავდგეთ, დავისვენოთ და ხვალ საღამოთი ჭალის პირს მივუახლოვდეთ.

— მართლაც ეგრე ემჯობინება,—წარმოსთქვა თათარყანმა და გაბრუნდა პატარა მინდვრისკენ, რომელიც იქავ შუა გულს ჭალაში ხეებ შუა მოჩანდა.

—

იმათ ჩქარა გაანათეს ცეცხლი მოგროვებულის ჩინჩხვრებით და ყისინებში გახვეულნი წამოუწვნენ გარშემო, ისე რომ ფეხები ცეცხლისკენ ჰქონდათ, რადგანაც მთიელთ რწმუნებით კაცი თავიდან ძნელად გაცივდება და სიცხე კი მეტად სწყინს.

ყველამ ჩქარა ხვრინვა ამოსტეხეს, რადგანაც დღევანდელის ბრძოლის შემდეგ მეტად დაღალულიყვნენ და ღონის მოკრება ეჭირვებოდათ. და თუნდა ეგეც არ ყოფილიყო, ყოველ დღიურმა შემთხვევებმა ამ მხრივ უზრუნველობას შეაჩვიეს და თბილი და რბილი საგებელი სრულიად გადაავიწყეს.

მხოლოდ ერთი საზრუნველი ჰქონდათ, რომ სადაც იქნებოდა და რითიც იქნებოდა რუსი, თავისი ბუნებრივი მტერი—როგორც ისინი იმათ უყურებდნენ—მოეკლათ და ამისთვის კი ყოველთვის გამოძინებული გამაძღარი და მოსვენებული უნდა შეხვედროდნენ და ჩეჩნელნიც სხვა მოწყობილს ცხოერებაზედ აღარ ფიქრობდნენ. სადაც შემთხვევა ნებას მისცემდათ, იქ წაეყ-

რებოდნენ და ტკბილს ძილს მიეცემოდნენ, და რადროსაც საღილს შეხვდებოდნენ მაშინვე გაძღებოდნენ. საკვირველი ეს იყო, რომ სხვა-და-სხვა სისტემატიურის ცხოვრების მრჩეველთ წინააღმდეგ ჩეჩნელნი იყვნენ ღონიერნი, კარგად მყოფნი და ყოველთვის მხიარულნი. ვინც ბრძოლას გადურჩებოდა და ვისაც იარაღი სიყმაწვილეშივე არ მოუსპობდა სიცოცხლეს, ისინი ას წლამდინ აღწევდნენ და ამასთან განსაცვიფრებელის ჯანმრთელობით და მხიარულად. ყველას მიეძინა, ყველას მოეხუჭა თვალები, გარდა თათარყანისა, რომელსაც ძილი გაფრთხობოდა და ვერ ისვენებდა.

იმან რამდენჯელმე ამოიოხრა, რამდენჯელმე გადატრიალდა, მაგრამ მაინც რაღაცა უხერხულებას ჰგრძნობდა.

ბოლოს ამობრუნდა გულაღმა, ორივ ხელი თავქვეშ ამოიდო და თვალები დახუჭა, რომ ცეცხლის სხივი, რომელიც უშლიდა, აღარ დაენახა. ის იმისთანა განსაცდელში იყო, რომ უცაბედი ხდებოდა შინ მშვიდობიანად მისვლა და ამ მდგომარეობაში კი კაცს უნებურად იზიდავს თავის გადარჩენის ფიქრი. საკვრველი ეს იყო, რომ თათარყანს ამ მხრივ ფიქრი არ ეკარებოდა და თვითონ შემთხვევისთვის მიეგდო ამ მხრივ საქმის გარიგება.

მაშ რა იყო იმის გუნებაში, რა ფიქრები მოსდიოდა თავში, რა უმღელვარებდა გულს?

სწორედ ვთქვათ, თვითონ თათარყანისთვისაც რომ გეკითხათ, ამაზედ ვერას გიპასუხებდათ, რადგანაც თავადაც გამორკვეული არა ჰქონდა. ის ჰგრძნობდა, რომ მოუსვენრად იყო, რაღაცა აკლდა, თუ სჭარბობდა, მაგრამ, რომელი იყო ამ გრძნობათაგანი, ძნელად გამოიცნობოდა.

აი თათარყან კიდევ გაინძრა, შეიჩეჩა, გასწორდა და თვალახელილი ცის ერთს ადგილს მიაჩერდა. მოკაშკაშე ღამეს იდუმალებით სავსე ფერი შეკრთობოდა, როგორც პირველად ღამე ნათევს ქალწულს, რომლისთვისაც პირველი კოცნა საყვარელს ღაეტყუა და მასთან ერთად მოეპარა სიქალწულის ელ-

ფერი. მისი ადგილი დაეჭირა მკრთალს ნათელს, რომელსაც თავის მხრივ არც სინაზე და არც იდუმალებით სავსე მშვენიერება აკლდა.

აგერ იქავ გაბრწყინვებული ვარსკვლავიც კრთის, სხივს ათამაშებს, ბიბინებს ნაზად, წყნარად, მაგრამ იმასაც ფერი ჰკრთობია, გაცრეცილა... ის ხომ არ არის ბედნიერი ქურდი, რომელსაც ღამის წყვდიადისთვის ფერი უცვლევინებია?..

ჰგრძნობდა ამას თუ არა, თავში მოსდიოდა ეს ფიქრები თათარყანს თუ არა—ამის გადაწყვეტა იმათთვის მიმინდვია, რომელნიც გრძნობისთვის და გულის მოძრაობისთვის რაღაცა განსაკუთრებულს, კაცთაგან გამოგონებულს შკოლას ითხოვენ და მე კი მხოლოდ დარწმუნებით ვიტყვი, რომ თათარყანზედ დიდი გავლენა ჰქონდა ამ სურათს, დიდად აღელვებდა მისი ხილვა და ყოველი შემდეგი მოძრაობა იყო მისგან აღძრული, მისი შედეგი...

ჯერ ერთბაშად მბრწყინავი ვარსკვლავი თითქო შეინძრა, ნაზი ქალის სახე კეკლუცად იღიმება, ჟუჟუნა თვალებს მიმზიდავად ლულავს... მაგრამ ვინ არის, თათარყანს ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევია... წუთიც და ვარსკვლავი მარუსიად გამოეხატა!.. მხოლოდ მისი შავი ხუჭუჭი თმები ოქროს ფერად გარდაქცეულა; თრთის და კამკამებს, თითქო სუბუქს ნიავს შეუნძრევია... აგერ ქალმა გამოიშვირა ხელები და ნაზად თავისკენ იწვევს.—თათარყან ჰგრძნობს უხილავ ძალას, რომელსაც შეუპყრია, ათას ქამანდად მოსდებია ყოველს მისს სხეულს, ყოველ ძარღვს და უწყალოდ მიეზიდება თავისკენ. ჩეჩენიც დაჰმორჩილებია ტკბილს სანეტარო ძალას, მაგრამ ვერ მიჰყოლია, ვერ მიახლოვებია მნათობს და წადილი მეტის-მეტ მტანჯავ გმინვად შეჰქმნია...

აგერ ქალმა დასძრა ბაგე და მომხიბლავმა ღიმილმა დაუმშვენა ტუჩების ნაპირები და თათარყანს შემოესმა:

— მოდი, მოდი... მარტო მე შემიძლიან დაგატკბო, მარტო ჩემთვისა ხარ გაჩენილი... თავი დაანებე უბრალო ბრძო-

ლას, ისარგებლე დროთი, სიცოცხლე ისე მოკლეა!.. სიყმაწვილე ბედნიერებისთვის არის გაჩენილი.—თათარყანმა დაიკვნესა, გადაისვა შუბლზედ ხელი და ფეხზედ აიჭრა.

იმან დაინახა, რომ ოცნებას შორს წაეღო მისი ფიქრები... ქეშმარიტება სულ სხვას ჩასჩიჩინებდა: „სიყმაწვილე საბრძოლველად არის გაჩენილი, იბრძოლე, რომ შენი შეირჩინო“-ო!..

—

მზემ წვერი ამოყო და ოქროს ფერად მოჰფინა პირდაპირ შავი კლდეები და თათარყანმაც გააღვიძა თავისი ამხანაგები.

— იარეთ, იარეთ, თორემ დაგვიგვიანდა.—ამ სიტყვებით ისინი გაუდგნენ ტყიანს გზას სადაც ხანჯლების ხმარებაც კი სჭირდებოდათ, რომ გადახლართული წნორები ეკაფათ და ისე გაეკვლიათ ბილიკები.

ყველანი შიმშილსა ჰგრძნობდნენ, მაგრამ ვერა მოეხერხებინათ-რა, რადგანაც თოფის სროლას ვერა ბედავდნენ და უმრავლესი ხოხბები და კაკბები კი თავისუფლად და მოურიდებლად დაგოგავდნენ, თითქო იმათ ეგრძნოთ, რომ ამ შემთხვევაში ეს კაცები ვერას გაუბედავდნენ.

ისინი გამოვიდოდნენ ველად დარჩენილს ადგილებზედ, მშვენივრად იღერებდნენ ათასფეროვან ყელს, ნაზად, მედიდურად შემოაქცევდნენ კუპრსავით შავს სიცოცხლით სავსე თვალებს და ისევ ან ბუჩქებში შეგოგდებოდნენ, ან აფრენილნი რომელიმე ხეზედ შემოჯდებოდნენ და იქიდან ყელ-მოღერებულნი ჩამოიცქირებოდნენ.

ერთბაშად თათარყან შესდგა და ტუჩებზედ ხელის დადებით ამხანაგებიც შეაჩერა.

— რა ამბავია?—წყნარადა ჰკითხა უახლოესმა.

— სუუ!—გააჩუმა თათარყანმა და სიფრთხილით ხელი მიიშვირა ცისკენ.

ამხანაგებმა აიხედეს და დაინახეს ქორი, რომელიც მათ წყნარად თავს დასტრიალებდა და იქაურობას ათვალიერებდა.

— რა ამბავია?—გულმა ვერ გაუძლო ერთს.

— ქორი.—მოკლედ უპასუხა თათარყანმა.

— მერე?

— მშიერია, ამ ადგილს არა შორდება.

— ჩვენ რა?

— მაგასა ნახავ.

ამ სიტყვებით ყველანი ისევ გაჩუმდნენ და განსაკუთრებითი ყურადღებით ქორს დაუწყეს ყურება. თათარყანი იმათი ბელადი იყო, თათარყანი ამბობდა, რომ ქორს იმათთან რაღაცა დამოკიდებულება ჰქონდა, მაშასადამე, მართალი იყო.

ქორი ისე წყნარად და ზარმაცად ბრუნავდა ჰაერში, თითქო ფრენაც კი ეზარებაო. . . . . .

საოცარი სიზმარი

ზომანი

ე. ბელლამისა

I

ერთხელ, ნიუვილის *) ახალგაზდობამ ქალაქს გარეგ გასეირნება დააპირა. დანიშნულ დღეს, თითქმის რვა საათის ნახევარზედ, გენრი ქვრივი ბრანდის სახლის კარებთან იდგა და ზარას ურაწკუნებდა. ისაქ ბრანდის ქალიშვილის ოჩხარზე წასაყვანად მოსულიყო, რომელიც მთელს ქალაქში ულამაზეს ყმაწვილ ქალად ირიცხებოდა. გამოუთქმელად სძგერდა გენრის გული, როდესაც მადლენამ იმას კარი გაუღო: მადლენა დღეს ისეთი მშვენიერი იყო, როგორც არასოდეს. თეთრი ტანისამოსი, რომელიც მეტად უხდებოდა მის ფერ მკრთალ სახეს, სულ სხვა ელვარებასა ჰფენდა მისსავე შავ თვალ-წარბს. ტყეში რომ უფრო თავისუფლად ევლო, კაბა იმას ცოტა ზევით ამოტარებული ჰქონდა; კაბას ქვეშ მოჩანდა ნაზი პაწაწა ლამაზი ფეხი.

მადლენამ განცვიფრებით შეხედა ახალ მოსულს.

— თქვენ, რასაკვირველია, იმისთვის კი არ მოსულხართ, რომ ჩვენი გასეირნების დაშლის შესახებ მაუწყოთ რამე, — სთქვა ბოლოს ქალმა: — არც იმისათვის, რომ თქვენი დის წამოუსვლელობა მახაროთ?

*) პატარა ქალაქია ამერიკაში.

— რასაკვირველია, არა! მე გიახელით მისთვის, რომ თქვენ სურსათიანი კალათი წამოგიღოთ.

— ოჰ! მეტის-მეტი გულკეთილი ბრძანებულხართ,—გულგრილად ჩაილაპარაკა ქალმა: მას ეგონა, რომ ყმაწვილი კაცი ბევრად თუ ცოტად თავის-მომბეზრებელი უნდა იყოსო.

— ნუ თუ არ გახსოვთ, რომ ნება დამრთეთ, ეს სამსახური მე გამეწია თქვენთვისა?—განცვიფრებით ჰკითხა ქალს გენრიმ, რომელსაც აღელვება დაეტყო და ამგვარის ცივი მიღებით ყურებამდინ სისხლის ფერი გადაედვა.

— როდის?

— აი, წასულ კვირას, როდესაც მე და თქვენ ეკლესიიდან ერთად მოვდიოდით!

— ოჰ! მართლა, მართლა!—გაახსენდა ქალს და თან ჩაეცინა:—მაგრამ მას აქედ რამდენი ხანია! ყველაფერი სად უნდა მახსოვდეს! თქვენ კი, უნდა მოგახსენოთ, მშვენიერი მეხსიერება გქონიათ!.. დიაღ, მართალია, მართალი! გთხოვთ შემობრძანდეთ.—უცბად შეიპატიჟა მან ყმაწვილი კაცი:—მე ეხლავე მოვემზადები!

მადლენამ გენრი შუაგულს ოთახში შეიყვანა, სადაც მას მადლენას დედა, ქვრივი ბრანდი დახვდა, და თავაზიანად სკამზედ დაბრძანება სთქოვა.

ქალბატონი ბრანდი პატარა, პირ-ხმელი ქალი იყო, მშვიდის თვალებისა და კეთილი ხასიათის პატრონი. მთელი თავისი შეხედულობით ის ისეთ კონტრასტს წარმოადგენდა თავის ქალიშვილთან შედარებით, რომ სრულებით არ გეუცხოებოდათ, როდესაც მადლენა დედას „ჩემო პატარავ“-ს უწოდებდა.

— რა კარგი სასეირნო დღე არის!—დაიწყო ქ-ნმა ბრანდმა.

— დიაღ! უნდა მოგახსენოთ, იშვიათი ბედნიერება შეგვიხვდა, — გაფანტულად უპასუხა გენრიმ და თვითონ თვალს არ აშორებდა მადლენას, რომელიც ამ დროს სამგზავროდ ემზადებოდა და თავზედ შაპოს ისწორებდა.

— ლაურა როგორ არის? ისიც ხომ მოდის თქვენთან?—ტკბილად ეკითხებოდა ყმაწვილ კაცს ქ-ნი ბრანდი.

— უეჭველად, დიაღ!—ისევ გაფანტულად უპასუხა გენრიმ.

— აბა, ჰე! მეც მზადა ვარ. აი, კალათი ბ-ნო ბურრო,— გააწყვეტინა მათ ბაასი მადლენამ:—ნახვამდინ, დედილო!

მშვენიერი ტოლები იყვნენ მადლენა და გენრი: ჭაბუკი იყო სავსე სისხლითა და ქალთან ერთის სიმაღლის, ყმაწვილი ქალი კი ალვის ხესავით ტანადი, რომლის ერთი მიმოსვლა დაგარწმუნებდათ, რომ თავის უზადო სიმშვენიერეს თვითონვე მადლენაც კარგადა ჰგრძნობდა.

ტყუილად კი არ გააყოლა ორთავეს დედამ თვალი ტკბილის და იდუმალის ღიმილით.

უნდა წასულიყვნენ ტყეში, რომელიც ქალაქიდან ნახევარის საათის სავალ მანძილზე იყო დაშორებული. გზა წყალზე ედვათ. ნავები უკვე მზად იყო და როდესაც მადლენა და გენრი ნიუვილის ერთს პატარა სადგურთან მივიდნენ, აქ მხიარულ მგზავრებს სუყველას თავი მოეყარა. გენრის და ლაურა სახლიდან მარტო წამოსულიყო, მაგრამ გზაზე ვილლი ტეილორი დასწევოდა, მას აქედ სადგურამდინ ერთად მოსულიყვნენ. ვილლი ერთი პატარა, შავ თვალ-წარბა კაცი იყო, ყოველთვის მხიარული და მეტის-მეტი ხუმარა, ამიტომ იგი ყველას უყვარდა. ის ბუჰგალტერად ერთს სავაჭრო ფირმაში მსახურებდა. აქ იყო აგრედვე ფანნი მილლერი, რომელიც მთელს ნიუვილში განთქმული იყო თავისის მშვენიერის ხელებით. ეს ცხადად დამტკიცდა ერთს მასკარადში, სადაც ფანნი წინააღმდეგ ნიუვალის მცხოვრებთა ჩვეულებისა, მოკლე სახელოებიან კაბით გამოცხადდა. მის გვერდით იდგა ემილია გუნტი, ის ემილია, რომელმაც წარსულ ზამთარს ნიუვილის ყმაწვილებში ერთი ამბავი ასტეხა, როდესაც საზოგადოებაში მკერდ ღია მობრძანება ინება. დიდი ხანი არ გასულა, რაც ემილია თვისის მშობლებითურთ დიდი ქალაქიდან ნიუვილში მისულიყო, ამისათვის ადგილობრივი რიგ-წყობილება და ესრედ წოდებული ზრდილობა მას ჯერ კიდევ ვერ შეეთვისებია. მის შორიახლოს იდგა აქაური მღვდლის ქალიშვილი იდა ლევისი. შესახედავად იდა მახინჯი იყო, მაგრამ თვალები კი საოცარი

მიმზიდველი ჰქონდა. გენრი იდას გაგიჟებით უყვარდა. ყმაწვილებთაგანი აქ იყო გარრი ტუტლი, ბაზაზი ერთ-ერთ ნიუვალის მაღაზიისა. უწინ, ოდესღაც სწავლის გასაგრძელებლად მამას შვილი მახლობელ სასწავლებელში მიეცა და მას აქედ გარრი ყოველთვის ნასწავლი კაცის სახეს იღებდა. ეს, რასაკვირველია, სასაცილო იყო, მაგრამ ქალიშვილები კი, რომელთაც უკეთესი არავინ ენახათ, გარრის დიდს პატივსა სცემდნენ, ხოლო ყმაწვილი კაცები კი იმის ამგვარ ბედნიერებას შურით შესცქეროდნენ.

აქავე იყო ტომი ლონგმანი. ეს იყო მაღალი, მხარ-გრძელი კეთილი ყმაწვილი, მაგრამ ცხოვრებას ის იმდენად იცნობდა, რამდენადაც პატარა ბავშვი. ტომს ძლიერ უყვარდა ქალები, მაგრამ თვით ქალების საზოგადოებაში ძლიერ მორცხვი იყო. მორცხვობისაგან რომ თავი დაეხსნა, ის, სადაც კი შემთხვევა ნებას აძლევდა, როგორც ცხენი, ისე მუშაობდა: ხელსაქნარის დროს მას ადვილად შეეძლო ქალებთან მუსაიფისაგან განთავისუფლებულიყო. ეს იყო მიზეზი, რომ ტომს ოჩხრები ძლიერ უყვარდა, რადგანაც აქ ერთსა და იმავე დროს ქალების საზოგადოებასაც დაესწრებოდა და ლაპარაკით, თუ უნდოდა, ერთხელაც არავის დაელაპარაკებოდა—აქ იმას შეეძლო ემუშავნა იმდენი, რამდენსაც კი ინებებდა. მაგრამ გარდა ამისა სხვა გვარი საზოგადოებანი ტომს ძლიერ ეჯავრებოდა, რადგანაც აქ ხელით გასაკეთებელი მას არაფერი ჰქონდა. ოჩხრებზე მართლა რომ დაუფასებელი იყო ტომი: ის აკეთებდა ყოველისფერს, რაც ხელში მოჰყვებოდა,—თუ საჭირო იყო, ცხენებსაც კი მიხედავდა, ტვირთებს გადაიტან-გადმოიტანდა, აწყობდა სხვა და სხვა თამაშობას,—ერთის სიტყვით, ყოველისფერი მისი ხელიდან გამოდიოდა. მაგრამ ეს კი ვერასფრად მოსწონდა, თუ ვინმე ქალი მის მზრუნველობას ქვეშ ჩავარდებოდა. ამისათვის ტომზე ბევრი სასაცილო ამბები იყო შედგენილი, ასე რომ არც ერთი ყმაწვილი ქალი არ ისურვებდა თავისი სახელი ტომის სახელთან ერთად

წარმოთქმული გაეგონა, თუმცა სიყვარულით ტომი ყველას ძალიან უყვარდა.

დღესაც ამ მშვენიერის სქესის მსხვერპლსა წილადა ხვდა კრების სამგზავროდ მომზადება.

— ოჰ! რა მშვენიერად მოგიწყვია ყოველისფერი,—მეგობრულად უთხრა მას მადლენამ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ნაპირზედ იდგნენ და ელოდნენ, სანამ გენრი კიდეზე ნავს მოაცურებდა.

— როგორ?—ჰკითხა ტომმა და გაიცინა. ის ყოველთვის ასე იცინოდა და ასეთს კითხვას იძლეოდა, როდესაც მას ყმაწვილი ქალი დაელაპარაკებოდა ხოლმე. ის იმდენად მოუხერხებელი იყო, რომ ერთიანად ვერაფერს ვერ გაიგებდა, რას ეკითხებოდნენ.

— მეტად, მეტად სასიამოვნოა, რომ ჩვენთვის ნავები თქვენ დაგიმზადებიათ.—განაგრძო მადლენამ.

— ოჰ! რაღა თქმა უნდა! დიაღ, ამაზე სრულიად არ ღირს ლაპარაკი,—ჩაიბუტბუტა მან და ყურის ძირებამდინ გაწითლდა.

—ტომო, თქვენ, რასაკვირველია, ჩვენს ნავში ჩაჯდებით?—ჰკითხა მას გარრიმ.

— არა, არა, ჩვენსაში, ტომო, ჩვენსაში!—უძახდა მეორე.

— ტომი ნამდვილად ჩვენთან უნდა წამოვიდეს!—ეწინააღმდეგებოდა იმათ ვილლი, რომელიც ლაურასთან იდგა. იმავე ნავში, სადაც მადლენა და გენრი მოთავსებულიყვნენ.

— ეს ბატონები დიდი ზარმაცები ბრძანდებიან და უნდათ, რომ ნიჩბები თქვენ მოუსვათ,—წამოიძახა მადლენამ:—აქ მოდით, ჩვენს ნავში, ნიჩბებს გენრი მოუსვამს.

— ჰა! შენ რაღას იტყვი, გენრი?—ჰკითხა გენრის ტომმა, რომელმაც თვითონ აღარ იცოდა, რა ექნა.

— თუმც ქ-ნი მადლენა გიბრძანებთ, მე რაღა უნდა გითხრათ!

— ეს საბრალო მთლად არ მოხიბლულა!—მკვახედ უთხრა იდამ ერთ-ერთს თვის მეგობარ ქალს გენრის შესახებ.

— ძალიან კარგი! მაშ, მე თქვენთან მოვდივარ, ქ-ნო მადელენავ, და გზაზე ტრფობითა და მიჯნურობით არ მოგაწყენთ,— წაითამამა ტომმა და ერთიანად გაწითლდა, როდესაც წარმოიდგინა, თუ რა უზრდელობა მოუვიდა მას ამის თქმით.

ნავები დაიძრა. მაგრამ არც ტომი და არც გენრი ნიჩბებს ხელს არა ჰკიდებდნენ.

— მე ვგონებ, ნიჩბებს თქვენ მოუსვამთ,—უთხრა მადელენამ გენრის, რომელიც მის გვერდით სკამზე იჯდა.

— დიაღ, მე!—მიუგო გენრიმ და იქით-აქეთ ფათური დაიწყო, ვითამ წამოდგომას აპირობსო.

— ტომო, თქვენ აგერ დაბრძანდით ქ-ნ მადელენას გვერდით და ნიჩბებს მე მოვუსვამ!

— ოჰ! არა, არა, გთხოვთ, ნუ ირჯებით, მე თვითონ მოვუსვამ,—მიუგო ტომმა და ნიჩბებისაკენ გაექანა იმავე სისწრაფით, როგორიც ცივებით ავადმყოფსა სჩვევია.

— მე, მე მოვუსვამ!—გაიძახოდა გენრი და ზეზედაც წამოდგა.

— მოძრაობა მე ძლიერ მიხდება. უკეთესი იქნება, თავს რომ დამანებებდეთ,—ეხვეწებოდა ტომი და თვითონ ისე მუყაითად უქნევდა ნიჩბებს, რომ ნავი აქეთ-იქით გადადიოდგადმოდიოდა, ასე რომ გენრი იძულებული იყო თავისი საჯდომი მოენახა.

— მაშ, თქვენ არ ისურვეთ, ტომო, ჩემთან დაბრძანება, ჰა? უნდა მოგახსენოთ, რომ არც დიდ საქებურად მიმაჩნია,—წარმოსთქვა ვითომ-და გაჯავრებულმა მადლენამ.

— არა, ბატონო, თქვენ სცდებით!—არწმუნებდა მას ტომი:—ეს მხოლოდ მისთვის მოხდა, რომ ნიჩბის მოსმა მე ძლიერ მიყვარს: მასში რაღაც ნეტარებასა ვპოვებ!

— როგორცა გნებავდეთ, ჩემთვის სულ ერთია! —უთხრა მადლენამ: — მაგრამ გახსოვდეს კი, რომ კვლავ ნუღა ელით თქვენ ჩემგან დაფარვას. აი, შეხედეთ, ყველას თავ-თავიანთ ნავები ჩვენი ნავისათვის მოუბამთ!

და მართლაც—ერთიმეორეზე გადაბმული ყველა ნავები ტომის ნავზე იყო მიბმული.

— არა უშავს-რა, მე ყველას მოვერევი,—წამოიძახა ტომმა, რომელიც ძლივსლა სუნთქავდა და შუბლიდან ოფლს კრიალი გაჰქონდა. ის მალე დაიქანცა და ამისათვის გენრიმ, თუმცა ნავებში მსხდომნი დიდს უარზე იდგნენ, მაინც მოხსნა და განთავისუფლა ტომის ნავი სხვისი ნავებისაგან. სხვები კი ტომის შეძლებას ისე უყურებდნენ, როგორც საზოგადო კუთვნილებას, რომელიც, მათის ფიქრით, არ შეიძლებოდა, ერთს რომელსამე ნავს მოხმარებოდა.

ბოლოს ჩვენმა მგზავრებმა დანიშნულს ადგილს მიაღწიეს; მადლენამ გამოართვა ტომს შაპო, მოურთო ყვავილებით და უკანვე დაუბრუნა. ამ შემთხვევამ ისეთ აღტაცებაში და მასთან ისეთ აღშფოთებაში მოიყვანა ტომი, რომ საწყალი მთელი დილა ვეღარ დამშვიდდა, ამისათვის ის მუყაითად ეძებდა ხელსაქნარს; რათა თავისი აღელვება რამეფერად დაემალა: ხან საქანაო ბადეს ჩამოაბამდა ხეებზე, ხან კროკეტის თამაშს გააწყობდა, ხან ლიმონადისათვის ლიმონებსა სწურავდა, ხან წყალსა ზიდავდა, ხან რასა და ხან კიდევ რას.

გაიმართა კროკეტის თამაში.

— ოჰ! რა მომწყურდა!—წაილაპარაკა მადლენამ და კვერი ძირს გააგდო.

— აი, აქვე ახლოს ცივი წყარო გადმოჩუხჩუხებს,—უპასუხა მას გენრიმ.

— აბა, წამომყევით ჩქარა, სად არის!—წამოიძახა გახარებულმა მადლენამ. და ორნივე წყაროზე წავიდნენ. იდამ მწუხარებით გააყოლა მათ თვალი.

წყარო შორს არ იყო, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა კი საძაგელი სავალი იყო; ასე რომ გენრის არა ერთხელ დასჭირვებია მადლენას მიჰშველებოდა, როდესაც დაკლაკნილ ღრიანკლებზე და ბუჩქებსა და კუნძებს შორის მადლენა მარტო გასვლას ვერა ბედავდა. ერთს მეტის-მეტ საშიშს ადგილზე მას კიდეც დაუსხლტა ფეხი, მაგრამ უცბად გენრი მიეშველა და რა-

მდენიმე ბედნიერი წუთის განმავლობაში იგი თავის ხელებში გამოხვეული ჰყავდა. აქამდინ ორნივე თავისუფლად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქ კი რაღაც მოულოდნელი ცვლილება მოხდა მათში. გენრიმ დიდ ხანს ვეღარ გაბედა მადელენას შეხედვა და ბოლოს, როდესაც ძალა მოიკრიბა და შეხედა, მან ცხადად შენიშნა, რომ მადლენასაც უამისოდ ფერმკრთალი სახე არა ჩვეულებრივად ასწითლებოდა.

გენრის გული მაგრად უფეთქდა, მაგრამ რა დარწმუნდა, რომ მადლენა ამ წუთში მაინც თანაუგრძნობს მის გულისთქმას, ის უფრო და უფრო აღელდა. გენრი კარგადა ჰგრძნობდა, რომ მადლენა ეხლა მის ხელში იყო და ეს გრძნობა მისთვის იმდენად უცხო, იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მან თავის თავის უფლებაც კი დაკარგა.

ხმა ამოუღებლივ მივიდნენ ორნივე წყაროზე და წყალიც ისე დალიეს, არც ერთს მათგანს პირიდან სიტყვა არ დასცდენია. როდესაც მადლენა უკან გამობრუნდა, გენრიმ მას ხელი შეახო და ათრთოლებულის ხმით უთხრა:

— რას მიუჩქარით აგრე! აქ ასეთი ჩრდილებია, მშვენიერადა გრილა.

— ტყეში ყველგანა გრილა, წავიდეთ ისევ უკან!—მიუგო მადლენამ და ისე ჩქარა გასწია, გეგონებოდათ, მირბისო.

მადლენა ხედავდა გენრის არა ჩვეულებრივ მდგომარეობას და თავის თავსაც უკიდურეს მდგომარეობაში ჰგრძნობდა, ამისათვის ყმაწვილ კაცთან ბაასის გაბმა მან შეუძლებელად ჩასთვალა. მადლენა ისე მიისწრაფოდა, რომ გენრი მას მხოლოდ ერთს ციცაბო ალმართთან დაეწია, სადაც მადლენამ მარტო გასვლა ვერ გაბედა. გენრიმ მას ხელი გაუწოდა და ქალმაც არ იუარა. მაგრამ უცბად, მხეცური გრძნობით წარტაცებულმა, გენრიმ ქალი თავისკენ მიიზიდა. იგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მადლენა ამისათვის მას არ გაუჯავრდებოდა. გიჟსავით მიიკრა იგი გულზე და გრძნობიერი კოცნა აღბეჭდა მის ლალს ტუჩებზე. ქალი გონს მოვიდა და ხელი ჰკრა ყმაწვილსა.

— როგორ ბედავთ!—მრისხანებით შეჰყვირა მადლენამ.

გენრი გაფითრებული იდგა მის წინ იმედ-დაკარგულივით.

— სხვაფერ არ შემეძლო მოვქცეულიყავ!—ჩაილულლულა მთრთოლვარე ხმით იმან. ასეთი თავის გამართლება ერთის მხრივ სასაცილო, წრფელი და გულიდან ამოღვენთილი იყო.

— ადვილი შესაძლებელია თქვენ მეტი ნებაც მისცეთ თავს!—აი, ყოველისფერი, რაც გაჯავრებულ გულზე მადლენამ გენრის უთხრა. ამას შემდეგ გენრი იმან მარტო დასტოვა და თვითონ სხვებში გაერია.

გენრი იდგა და ფიქრობდა: „როგორ მოხდა ეს ყოველივე? რაღა ვქნა! ნეტავ რით დაგვირგვინდება ასეთი ჩემი სითამამე? ნეტავ თუ კიდევ უნდა ვიქონიო იმედი მადლენას სულგრძელობაზე?.“ მადლენას კი სრულებითაც არ ახსოვდა ის კოცნა, რომელმაც გენრის გულის სიმშვიდე დაურღვია.

მანდლენა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გაანჩხლებულიყო, თუ გენრის მისთვის უცბად არ ეკოცნა; მაგრამ აქ ქალს რაღა უნდა ექნა: იგი თითქმის უიარაღოდ დახვდა მოსულს მტერს და გარდა ამისა, იმასაც კარგად ჰგრძნობდა, რომ გენრი თავისს გრძნობას უზომო ნებას აძლევდა. ეხლა კი, როდესაც გენრი ყველაზე მოშორებით შარტო დაღვრემილი დაინახა, მადლენას კიდეც შეებრალა საწყალი ყმაწვილი კაცი. სთხოვა გენრის საქანელაზე გაქანავება. გენრი თავისს ყურებს არ უჯერებდა, როდესაც სატრფოსაგან ასეთი სურვილი მოესმა.

მხოლოდ ეხლა იგრძნო მან იმ ერთი კოცნის გამოუთქმელი ნეტარება. მას ეგონა, რომ მის სურვილს მადლენაც თანაუგრძნობდა.

როდესაც გენრი საქანელასთან მიეიდა, ყველანი გარს შემოერტყნენ იმათ. გენრიმ ერთი სიტყვის თქმაც ვეღარ შესძლო და გაჩუმებული ერთს ადგილზე იდგა. რაგვარს ახალ სინაზეს აძლევდა გენრის თვალში ის პირველი კოცნა მადლენას!.... იმ ტკბილმა აზრმა, რომ მადლენა მას ეკუთვნის, გერნის მთელი არსება დაიმორჩილა. გენრი ისე ნაზად შეეხო საქანელას ბოძსა, თითქოს ბოძი ელექტრონუ-

ლი ძალის გადამცემი ყოფილიყოს, რომ ყმაწვილის ალერსი ქალისათვის გარდაეცა.

ტომს კი ამ დროისთვის, რაც საჭირო იყო, ყოველისფერი გაეთავებია და უსაქმოდ ერთს გაჭირვებაში იყო. იმას ისიც კი ვერ გაებედნა მხიარულ ახალგაზდების დასს მიჰკედლებოდა და ქალებთან ლაპარაკი ხომ ვერა და ვერა. აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ის მარტოდ-მარტო ხეტიალობდა და საქანელას მიუახლოვდა, მადლენამ უთხრა გენრის:

— აწ კმარა! ეხლა ნავით მინდა გავისეირნო!

გენრიმ სიხარულისაგან თავი ძლივს შეიკავა, როდესაც წარმოიდგინა, რომ ისა და მადლენა ნავში მარტო იქნებოდნენ.

— ოჰ! არა, მე მსურს ბ-ნ ტომსა ვთხოვო.—მან მოიხმო ტომი და თავისი სურვილი განუცხადა. ტომი, რომელიც არ იყო აგრედვე უყურადღებო მადლენაზე, მთლად დაიბანა: წარმოუდგა ის მოულოდნელი ბედნიერება, რომ იმას წილ-ხვდა ნავში ჯდომა ისეთ ლამაზ ყმაწვილ ქალთან, რომელიც მთელი ნიუვილის ქალებსა სჯობდა. მადლენამ მდინარისაკენ გამოსწია და თან მბიარულად ხარხარებდა, ტომი კი თავისი გაუთლელი ხმით მას ბანს აძლევდა.

როდესაც ნავში ჩასხდნენ, ტომი მაშინვე საქმეს შეუდგა: ისე ჩქარა დაუწყო ნიჩბებს ქნევა, რომ მადლენა შიშისაგან აღარ იყო. გენრი იდგა კიდეზე და დადარდიანებული ფიქრობდა, თუ როგორი დაუდეგარი ქმნილებაა ქალი.

გენრისა სტანჯავდა ის აზრი, რომ საქანელაზე მადლენამ მას მისთვის დაუძახა, რათა გაეგდო და თავიდან მოეშორებია.

ამ მწარე ფიქრების დროს გენრისთან იდა მივიდა და ჩუმად ჰკითხა.

— კროკეტის თამაში ხომ გსურთ ჩემთან?

— დიდის კმაყოფილებით!—ტკბილად უპასუხა გენრიმ. გენრიმ იცოდა, რომ იდას იგი ძალიან უყვარდა, ამისთვის თვითონაც ცდილობდა მოყვარულად ეჩვენებია თავი. საბრალო იდას სახე გაუბრწყინდა. მაგრამ ამაოდ! დიდ ხანს არ გაგრძელებულა

მისი სიხარული. მადლენას წყალზე სეირნობა გაეთავებინა და უკან დაბრუნებულიყო; გენრი ცდილობდა იდასთან თამაში ჩქარა გაეთავებია და გაათავა თუ არა, მადლენასთან მივიდა. მადლენა დიდს ბებერ მუხას ქვეშ იჯდა და წყლის შროშანებიდან თაიგულსა ჰკონავდა. იქვე შორი-ახლოს ფრიალოს ქვეშ წყლის ტალღებს შუილ-ხუილი გაჰქონდა.

— მართალია, განა! ტომმა მადლობა უნდა მითხრას, რომ შემთხვევა მივეცი თქვენთან ნავით გასეირნებისა.—დაიწყო გენრიმ.

მადლენა არ განძრეულა, თითქო არც კი გაუგონიაო.

— მაგით რა გინდოდათ გეთქვათ?—ვულ-გრილად ჰკითხა გენრის მადლენამ, რომელსაც ჯერ კიდევ არ გამოეხედა მისკენ.

— თქვენ გსურდათ ჩემთვის სამაგიერო გადაგეხადნათ, თორემ ტომი ამ ბედნიერებას ვერ ეღირსებოდა.

— ძალიან თავის მოიმედე ყოფილხართ!.. ლაურა!—დაუძახა მადლენამ გენრის დას:—აქ მოდი, თუ ჩემი ხათრი გაქვს: შენი ძმა მაჯავრებს!

— და შენ გინდა მეც გამაჯავროს?—სიცილით უთხრა ლაურამ და გვერდით ჩაუარა. მადლენაც დიდის კმაყოფილებით გაჰყვებოდა ლაურას, რომ წინ სიამაყე არ დასდგომოდა: მას არ უნდოდა, რომ გენრის ეფიქრა, მადლენას ჩემი ეშინიაო, და მართლაც ასე იყო: მადელენას გენრის არ ეშინოდა, მხოლოდ ნამეტანის აღელვებისაგან მან თავი ველარ შეიკავა. იმ ერთმა კოცნამ იმდენად შესცვალა გენრისა და მადლენას ურთიერთ შორის დამოკიდულება, რომ რამდენსამე ხანს მადლენა თავის მიჯნურს გმირადაც კი ჰსახავდა. ქალს აღარ შეეძლო არც სულ მოშორებოდა გენრის და არც იმასთან ეთამაშნა. ის მალულად ვამოხედავდა გენრის, რომელიც მის წინ თანდათან იცვლებოდა: მის მშვენიერს სახეში, რომელიც მშვენიერსავე დაღურღნულს თმაში ჩამჯდარიყო, მადლენა რაღაც წარმოუთქმელ სიმამაცეს ხედავდა და ასეთს მის შთაბეჭდილებას ახლად აყვავებული გენრის სიჭაბუკე უფრო აორკეცებდა.

— მათხოვეთ თქვენი შაპო, ზედ ვარდს მივაკრამ!

— თქვენ მეტად გულ-კეთილი ბრძანდებით!—მიუგო გენრიმ და შაპო გაუწოდა.

— მაშ საჭირო არ არის, — უპასუხა მადლენამ და პირი განზე წაიღო:—მე სრულებითაც არ მიფიქრია თქვენთან მეტი გულ-კეთილობა გამომეჩინა!

— არა, არა,—არა ბრძანდებით გულ-კეთილი!—ვედრების ხმით უთხრა გენრიმ.

მადლენამ შაპო გამოართვა. გენრი აღტაცებით უყურებდა, როდესაც მადლენა თავისი პაწაწა ნაზის თითებით შაპოზედ ვარდს ამაგრებდა. მაგრამ უცბად მადლენას საოცარი სურვილი მოუვიდა.

— ეს შაპო რომ ყვავილებიანა წყალში გადავაგდო, რაღას იქთ, გადაჰყვებით თანა?—ჰკითხა მადლენამ და თან წყლის მშფოთარ ტალღებს დააცქერდა.

— თქვენი რომ რამე იყოს, რასაკვირველია, გადავყვებოდი!

მადლენამ იმნაირად გადახედა გენრის თავისი მომხიბლავი თვალებით, თითქო ეუბნებოდა:—აქედ შემომხედეო.

— მაშ, ვნახოთ!—და ჯიბიდან ხელთათმანი ამოიღო მადლენამ. ის გადასაგდებად მოემზადა.

ამ დროს ორთავეს თვალები ერთმანეთს შეხვდა. ხელთათმანი რომ გადაგდებული დაენახა, უეჭველად გენრიც თან გადაჰყვებოდა.

— რა გაჩუქო სამახსოვროდ? — წამოიძახა უცბად მადლენამ:—ისურვებთ, ეს ხელთათმანივე რომ გაჩუქოთ?—ჰკითხა მან და დამშვიდებულმა გენრის შეხედა. გენრი ზეზედ წამოვარდა.

— მადლენავ! ხომ არა ხუმრობთ? — ძლივს გასაგონად ჰკითხა ქალს ყმაწვილმა, რომელსაც მკვდრის ფერი გადაედვა. მადლენამ ხელთათმანი უკანვე შეინახა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო! ნუ თუ ამდენად ძვირფასია ეს თქვენთვის?

— თვით სიცოცხლეზე უძვირფასესია!—მიუგო აღშფოთებულმა გენრიმ.

მაგრამ ამ დროს მათ ბაასი გააწყვეტინეს. მათთან ვილლი მოეარდა და იმას უკან ლაურა მოსდევდა. ვილლს ეთქვა ლაურასთვის, ერთი კარგი ახალი ამბავი ვიცი,—რა ახალი ამბავი—ეს კა აღარ გაეგზილა;—რასაკვირველია, ლაურა ცნობის-მოყვარეობად გადაქცეულიყო და ეხლა ვილლი მადლენასთან მორბოდა, რომ მადლენას დაეფარა იგი ლაურასაგან.

— ვერა, ვერა, მე ვერ დაგიფარავთ და შეუძლებელიც არის ისეთი მიჯნურის დაფარვა, რომელიც თავის ახალგაზდა სატრფოს თხოვნას არ უსრულებს. — ბრძანების ხმით შენიშნა მადლენამ და მოხუცის სახე მიიღო:—იცით, რა გითხრათ: საზოგადოდ მიღებული არ არის, კაცმა რაიმე საიდუმლო თვისთან ატაროს, ისეთი საიდუმლოც კი, რომელიც სხვამ სულ არ იცის და მის გამხელას მას არავინა სთხოვს,—თქვენ კი, თუ გთხოვენ და მაინც უარს ამბობთ, დასჯის ღირსი ბრძანებულხართ! ერთად-ერთი საშუალება, თქვენი ამ განსაცდელისაგან დამხსნელი, იმ ახალი ამბის თქმა არის. აბა, დაიწყეთ!

— დაიწყეთ, დაიწყეთ...—იძახდა ლაურა და ჰაერში წკეპლას აქნევდა, რომლითაც ვილლს უკან მოსდევდა.

— მე მინდოდა ახალ პროვიზორზე მეთქვა, დაიწყო ვილლმა სიცილით.

— განაგრძეთ, განაგრძეთ,—ჩასცივებოდა მას ცნობის-მოყვარე ლაურა.

— მე კი სწორედ არასფრად მეკითხება არც ძველი და არც მისი მოადგილე ახალი პროვიზორი!—მხრების აწევით წარმოსთქვა მადლენამ.

— სახელად რა ჰქვიან? ეკითხებოდა ლაურა.

— გარრისონ კორდისი!

— როგორა?

— გარრისონ კორდისი!

— რა სასაცილო სახელია!—გადიხარხარა მადლენამ.

— საიდან არის?—ჰკითხა კიდევ ლაურამ.

— ბასტონიდან!

— ლამაზია.

— ამისი კი რაღა მოგახსენოთ,—უპასუხა ვილლმა:—წარმოიდგინეთ, რომ პარკერს დავიწყნია პროვიზორისთვის კარგი შეხედულება მიეცა. ოჰ! რა უსამართლობაა მოვლენილი ნიუვალის ყმაწვილ ქალებზე!

— მაინც, მართალს ამბობთ! —წამოიძახეს სიცილით ლაურამ და მადლენამ.

ამ დროს ყველანი მოვიდნენ. კვლავ თამაში გაიმართა და თუმცა შინისკენ შებინდებულს დაბრუნდნენ, მაგრამ გენრიმ მაინც ვეღარ მოახერხა მადლენასთან ის ბაასი გაეგრძელებინა, რომელიც მათ ვილლის და ლაურას მოსვლით შესწყვიტეს.

II

უცხო პირის მოსვლა საყურადღებო ამბავი იყო ნიუვილის მცხოვრებთათვის და გარრისონ კორდისიც პირველ კვირასავე ეკლესიაში ცხადად ჰგრძნობდა, რომ საზოგადოების ყურადღება მისკენ იყო მიქცეული. მით ცნობის-მოყვარეობდნენ ყველანი, მაგრამ უფრო კი მშვენიერი სქესის წარმომადგენელნი. ახლადმოსულიც ისეთნაირად გადახედავდა ხოლმე იქ მყოფს მლოცველებს, რომ არა ერთს ყმაწვილ ქალს შესვლია გულში, ვითომც კორდისი მარტო მას უცქეროდა, იმაზე ფიქრობდა და მარტო მით ახარებდა გულსა. როდესაც კორდისი ყოველის მხრივ დასწკვრელეს, დაწვრილებით აათვალიერ-ჩაათვალიერეს, ყველა ერთს დასკვნას დაადგა: ყველამ ერთ-ხმად აღიარა, რომ უცხო პირი შესანიშნავი ლამაზი ყმაწვილი კაციაო,—„კაცისათვის ასეთი სილამაზე ნამეტანიც არისო,“ შენიშნა ლაურამ.

გარრისონ კორდისი მართლა რომ ძლიერ ლამაზი იყო: მაღალი და მასთან მშვენიერი მოყვანილი, სანდომიანი შეხედულებისა, გაბარდულ მტრედის-ფერ თვალებიანი და წაბლისფერ თმიანი. ახლად წამოშლილი ულვაშები ძლიეს აჩრდი-

ლებდა მის პატარა და ნაზ ტუჩებსა. ჰქონდა საუცხოვო ფეხები და მშვენიერი ფუნთუშა ხელები. მაგრამ ქალები კი მეტს ღირსებასაც ნახულობდნენ გარრისონში, ვინემ ნამდვილად ჰქონდა მას,—მეტად მოსწონდათ გარრისონის მიხრა-მოხვრა და ზრდილობა. ყმაწვილი კაცები—ყმაწვილი კაცები კი, თუმცა სიტყვით გარრისონს დასცინოდნენ და დედოფალას ეძახდნენ, მაგრამ გულში კი ისე არასფერსა ნატრულობდნენ, როგორც მის ადგილზე ყოფნას.

უფრო დახელოვნებული კრიტიკოსი, ვინემ ჩვენი ნიუვილელნი იყვნენ, ცხადია კორდისის ყოფაქცევაში კარგს მხარესთან ცუდსაც ადვილად აღმოაჩენდა; გარრისონი ადამიანის მოყვარულობისა და წინ-დახედულობის მიფარვით ისეთს რამეებს სჩადიოდა, რასაც სატახტო ქალაქში, რასაკვირველია, ფიქრადაც კი ვერ გაივლებდა თავში,—მაგრამ ნიუვილში კი თავის შესაქცევად ადგილობრივ მცხოვრებთა გულის სიწრფელით სარგებლობდა, რადგანაც სხვაგვარი გასართობი აქ არაფერი იყო.

გარრისონ კორდისმა ფანნის ოჯახში ორი ოთახი დაიჭირა და იქ დაბინავდა. პირველს კვირასავე მან სთხოვა ფანნის, რომ წირვის შემდეგ მადლენა გაეცნო მისთვის. გაცნობის შემდეგ კორდისმა მადლენა სახლამდინ გააცილა და გზაზე, რაღა თქმა უნდა, შეძლებისა დაგვარად თავიც მოაწონა. კორდისი იმდენად გათამამდა, რომ მადლენას ბინაზე სიარულსაც ნებაც კი სთხოვა. ეს ფანნიმ ყველას უამბო, რომელიც მათთან მიდიოდა და ყველასფერი ესმოდა. ამ ამბავმა ნიუვილში ერთი ალიაქოთი ასტეხა, რადგანაც აქ საზოგადოდ მიღებული იყო საყვარელ საგანს გვიან დაახლოვებოდნენ. ლაურას მადლენაზე ბრაზი მოსდიოდა, მაგრამ თვით მადლენა კი თავისს მოქმედებაში გასაკიცხს ვერასფერს ხედავდა. ეს ლაურას უფრო აშფოთებდა, ამისთვის იმან პირდაპირ შენიშნა მადლენას, რომ ურიგო არ იქნებოდა ის თავის ყოფა-ქცევას კარგად ჩაჰკვირვებოდა. მადლენა მთლად აენთო, შეექნათ გაცხარებული ლაპარაკი, საიდანაც, როგორც ყველა, ვინც მადელენას-

ფან ჩხუბს ისურვებდა, ლაურა გამტყუნებული გამოვიდა. პატარა ხანს შემდეგ ხმა გავარდა, კორდისმა მადელენასთან სიარულის ნებაც აიღოო. მას აქედ ბევრჯერ ნახულობდნენ ხოლმე მადლენას და კორდისს ფოშტაში ერთად მოლაპარაკეს. აფთიაქი ფოშტის ახლოს იყო, ასე რომ კორდისი თვალს ადევნებდა, როდესაც მადლენა ფოშტაში მოდიოდა და იმ დროისათვის რაიმე მიზეზით თვითონაც იქ მოვიდოდა. ამავე კვირეში, შაბათს საღამოს, ფანნიმ პატარა წვეულება გამართა იმ აზრით, რომ კორდისი ნიუვილის საზოგადოებისათვის გაეცნო. აქ კი ისე ცხადად გამოაშკარავდა მადლენას და კორდისის სიყვარული, რომ დანარჩენმა ყმაწვილმა ქალებმა ნება-უნებლიედ იგრძნეს თავის თავი კორდისისაგან უყურადღებოდ დატოვებულად. მაგრამ ყველაზე უფრო მოწყენილი აქ ლაურა იყო, რომელიც თავის თავს კი არა სჩიოდა, ძმაზე ზრუნავდა. ამ საღამოს მადლენა ისე გამოიცვალა, რომ მას ვეღარავინა სცნობდა: ის იჯდა დარცხვენილივით პირ-დამუწვნილი, უწინდელი უზრუნველობის და სიხარულისა იმას აღარაფერი ეტყობოდა.

როდესაც სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, კორდისი ლაურასა და მადლენას გაჰყვა, რადგანაც ორნივე ერთს გზაზე უნდა წასულიყვნენ.

— ოჰ! რა ბედნიერი ვარ!—დაიწყო კორდისმა, როდესაც მადლენა უკვე მიაცილა და თვითონ მარტო ლაურასთან დარჩა:—ოჰ! რა მოხარული ვარ, რომ დღეს მთელი ნიუვილის ორი ულამაზესი ქალიშვილის გაცილება ბედმა მე მარგუნა!

— ბ-ნო კორდის, მე ისე სულელი არ გახლავარ, როგორც, თქვენა გგონიათ,—იწყინა ლაურამ:—ტყუილად ნუ გიფიქრიათ, სატახტო ქალაქის ზრდილობით და ფარისეველობით ყველა აქაურს ქალიშვილებს მადელენასავით თავ-ბრუ დაასხათ!

— რა ამბავია? მე არ მესმის!

— აი, ისა, რომ კომპლიმენტები მე ძლიერ მეზიზღება.

— და თქვენ ამაში დარწმუნებული ბრძანდებით?

— რა კითხვა არის?

— ღმერთო ჩემო! ასე იმისთვის გეკითხებით, რომ მე ერთიც არავინ მეგულება, კომპლიმენტები რომა სძულდეს.

— მე კი, ბ-ნო კორდის, ისეთი არავინ მეგულება, რომელსაც მაგისთანა ლაპარაკის დროს გულს ბრაზი არ მოსდიოდეს: ეს ხომ ნამდვილად ვიცი, რომ თქვენ წრფელი გულის არა ბრძანდებით, ეს ისე ცხადად ვიცი, თუ გინდ ყველა თქვენი აზრები აგერ ხელის გულზე მეწყოს. განა აგრე მისთვის არ მელაპარაკებოდით, რომ დარწმუნებული იყავით ჩემს უტვინობაზე, რომ ყველაფერს დაგიჯერებდით!

ისინი ლაურას სახლის კარებთან იდგნენ. ამ დროს გენრი სტუმრობიდან მოდიოდა, რომელმაც იგი ფანნის წვეულებას დააშორა. კორდისმა გერნი დაინახა.

— ეს თქვენი ძმა არ არის?—ჰკითხა მან ლაურას.

— დიაღ!

— რა ვაჟკაცური შეხედულება აქვს! შემიძლია გკითხოთ: ცოლიანია, თუ უცოლო?

— უცოლო!

— იცით, ბატონო, როდესაც ისეთს საზოგადოებაში ცხოვრობთ, რომელსაც კარგად ვერ იცნობთ, იქ არც ხალხის ჩვეულება და თვისება იცით და არც მათი ოჯახური მდგომარეობა...—ეძებდა კორდისი სიტყვებს, რომ თავისი უადგილო კითხვა რამეფერად ბოლომდინ გაეყვანა.

ლაურამ შემთხვევით ისარგებლა.

— ჩემი ძმა მადლენაზეა დანიშნული. ღამე-მშვიდობისა, ბ-ნო კორდისო!

რამდენიმე დღის შემდეგ მადლენა საიდანაც შინ მოდიოდა. ერთ-ერთ ჯვარედინა გზაზედ იმან შენიშნა, უკან გარრისონი მოჰყვებოდა. სანამ იმას დაინახავდა, მადლენა ისე ჩქარა მოდიოდა, იმედი არ იყო, გარრისონი დასწეოდა, მაგრამ დაინახა თუ არა, სიარულს მოუკლო და თან გაწითლდა; გარრისონი მალე გაუსწორდა. იმან შენიშნა, რომ მადლენა უკან-უკან იხედებოდა და მხიარულად გაიღიმა, ამან კი უფრო წაადამამა ყმაწვილი კაცი დასალაპარაკებლად.

— გამარჯვება, ქ-ნო მადლენავ! განა შეიძლება აგრე სირბილი?!

— მე არ მივრბოდი,—მე...

— სწორედ ძალიან გაგიბედნიათ. ვთქვათ ჩემს ადგილზე გენრი წამოგწეოდათ, რაღას იქმოდით?

მადლენა მაშინადვე მიხვდა, სიქმე რაშიაც იყო: გარრისონს უთხრეს, რომ გენრის მადლენა უყვარსო. მადელენამ აღარ იცოდა რა ექნა. ის იმდენად იყო აღელვებული, რომ ორი-სამი წამის წინად ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ასე მწარედ მას რამე ააღელვებდა. რამდენსამე ხანს იგი მუნჯივით იყო.

— მე სწორედ არ მესმის,—წარმოსთქვა ბოლოს:—გენრი აქ რა შუაშია?

— ოჰ! მომიტევეთ, უნებურად წამოვროშე!

— არა, გთხოვთ არ დამიფაროთ, რა გინდოდათ თქვენ ამით გეთქვათ,—არ ეშვებოდა მადლენა.

— მომიტევეთ, თუ ღმერთი გრწამთ! ეს ისეთი წინდაუხედაობა იყო ჩემის მხრით, რომ მოტევების ღირსიც არა ვარ!—ითხოვდა ბოდიშს, ვითომ-და ქალის გულის ტკენით თვითონაც შეწუხებული კორდისი:—მე მითხრეს, ვითომ გენრი თქვენზე დანიშნული იყოს...

— მოუტყუებიხართ! — უცბად წამოიძახა მადლენამ და თითქმის გაიქცა.

ის ერთს ბალთან მივიდა, გააღო კარები, შევიდა შიგ და ვიწრო, მოროჭკვილ გზას დაადგა, თუმცა პატარა ხანს წინად აქ შემოსვლა მას ფიქრადაც არ ჰქონია. მაგრამ თუ რომ ის ამ დროს კორდისთან ერთად ნავში მჯდარიყო, უწინ წყალში გადავარდებოდა, ვინემ მასთან ბაასის გაბმას არჩევდა. იმან ჩქარა დარეკა ზარი; კარი თვით დიასახლისმა ქალმა გაუღო.

— ჰა, მადლენავ! რა გამეხარა თქვენი მოსვლა, რამდენი ხანია თქვენ ჩვენსას აღარა ყოფილხართ!

— ძლიერა ვწუხვარ, რომ დღესაც ვერ დავრჩები მე თქვენთან. მე მხოლოდ მინდოდა მეკითხა: — თქვენ ის ხომ

არ გექნებათ.... ისა.... წინ-საფარის თარგი? თუ შეიძლებოდეს, მათხოვეთ!..

III

იმ სამახსოვრო კვირას გენრი წირვაზე არა ყოფილა, არც დასწრებია აგრედვე ფანნის წვეულებას, სადაც კორდისისა და მადელენას ურთიერთ-შორის დამოკიდულება ცხადად გამოაშკარავდა. გენრის ბევრი საქმე ჰქონდა და ამ ხანებში ის სულ მამაკაცების საზოგადოებაში ტრიალებდა,—ადვილი გასაგებია, ქალიქის ხმებს მის ყურებამდინ ერთსაც არ მიუღწევია. ლაურამ, მართალია, ყველაფერი იცოდა, მაგრამ იმან უმჯობესად ჩასთვალა ძმისთვის არაფერი გაემხილა. ლაურამ იცოდა, რომ უყვარდა მხოლოდ გენრის და ამისათვის თუმცა გენრი მადლენასა და კორდისის ხელის შეშლას მოინდომებდა, მადლენას თავის მოყვარეობასთან ეს მხოლოდ საქმეს დაღუპავდა. გარდა ამისა, ლაურას იმედი ჰქონდა, რომ კორდისი გენრის და მადლენას დანიშნვას რა გაიგებდა, მადლენას თავს დაანებებდა და სხვა ვისმეს შეიყვარებდა.

ქალაქში კი კორდისისა და მადელენას მეტი სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ. ლაურა ძმის ჯავრით ღამეებს ნათლად ათენებდა, მაგრამ თვით გენრი კი, ვისაც ყველაზე უფრო ეხებოდა საქმე, სანატრელ უცოდინარობის ფრთათა ქვეშ ტკბილად განისვენებდა. მას შემდეგ, რაც გენრი მადლენას დაუახლოვდა, ის დარწმუნებული იყო, რომ მადლენა მხოლოდ მას ეკუთვნოდა,—არა თუ! იმან ხომ კიდეც აკოცა მადლენას!.. და თუ მაინცა და მაინც მადელენას მისთვის თავის საქმრო არ უწოდებია, სიყვარულზე ხომ უარი არ უთქვამს,—ეს კი საკმარისი იყო, რომ ასეთი სულ-მოკლე მიჯნური, როგორც გენრი იყო, მეშვიდე ცას მოჰპოტინებოდა.

და მართლაც—განა შეიძლებოდა გენრის სხვა რაიმე ეფიქრნა, როდესაც წარმოიდგენდა მას, თუ როგორის ტკბილის ღიმილით გადმოხედავდა ხოლმე მას მადლენა იმ დღეს.

ის, რასაც მხოლოდ დაგვიანებულის და დაფარულის მომავალისაგან ეშვით მოელოდა, აგერ კარზედ ადგა!...

კარგა ხანს ცურავდა გენრი საამო ოცნებებში. საქმეებისაგან მოსვენება აღარა ჰქონდა. კანტორიდან ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა. მხოლოდ ერთხელ, როგორც იქნა, ამოირჩია მან დრო მადლენასთან წასასვლელად, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა: მადლენა სახლში არ დახვდა. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გენრიმ მადლენას მიუსწრო შინ. ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც კორდისმა მადლენას უთხრა, ვითომ გენრი მასზე დანიშნული ყოფილიყოს.

გენრიმ დიდ ხანს უცადა მადლენას გამოსვლას. მისალმების დროს ქალმა ძლივს გაპირვებით გაუწოდა მას ხელი. მადლენა თავის ტკივილს უჩივოდა, ამიტომ ლაპარაკით სულ გენრის უნდა ელაპარაკნა. გენრიმ სხვათა შორის წარსული ოჩხარიც გაიხსენა, მაგრამ მადელენამ მკვახედ შენიშნა, რომ ეს იმდენი ხნის საქმეა, რომ მე კიდევაც გადამავიწყდაო. ამგვარმა გულ-გრილობამ იმ საგნისადმი, რომელიც გენრისათვის დიდს ბედნიერებას შეადგენდა, გენრი გამოაფხიზლა. გარეტიანებულმა სალაპარაკო საგნის შეცვლა მოინდომა.

— ბ-ნ ტეილორს, მგონი, სახლის გადაკეთება უფიქრია!— დაიწყო მან.

— თქვენ უკედ უნდა იცოდეთ,—გულ-გრილადავე უპასუხა მადლენამ:—ყოველ დღეს იქით დაიარებით.

— რასაკვირველია, ვიცი!—და გაკვირვებით შეხედა ქალს გენრიმ. მადლენა იჯდა, ამთქნარებდა და მოუთმენლად ხალიჩაზე ფეხს აბაკუნებდა.

— რა ამბავია, მადლენავ! ღვთის გულისათვის მითხარით, ასე უცბად რისთვის გარისხდით ჩემზედ?—წამოიძახა გულ-მტკივნეულად გენრიმ.

— მე თავი მტკივა!

— სხვა არასფერი?

— მგონია, ესეც საკმაო იყოს! როგორ—თქვენ გსურთ კბილებიც მტკიოდეს?—წაილაპარა გულ-მოსულმა მადლენამ.

— რასა ბრძანებთ, რასა, მადლენავ? თქვენ კარგად იცით მე ეგ არ მიფიქრია!

— მაშ, თქვენ გსურთ, რომ ყურებიც მტკიოდეს?—და მადელენამ სკამზე თავი ჩამოჰკიდა, გეგონებოდათ მას სწორა ჯდომა მეტი აღარ შეუძლიანო.

— მომიტევეთ, მეტს ვეღარ შეგაწუხებთ, მე მივდივარ!

— ოჰ! გთხოვთ...—ძალდატანებულად სთხოვა მადლენამ.

— ვისურვებ ავადმყოფისაგან მალე განთავისუფლებულიყოთ!—გაუწოდა ხელი მადლენას და მადლენამაც ჩამოართვა, მაგრამ მის მეგობრულს ხელის მოჭერაზე კი პასუხი არ გასცა, გენრი დაღვრემილი და თავ-რეტ დასხმული წავიდა.

ეს კი აღარ იცოდა საბრალომ, რომ სანამ ის მადლენასთან იყო, მადლენას ოჩხარს გარდა არასფერზე უფიქრია. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ქალი ოჩხარზე იმას კი არა ფიქრობდა, რაც გენრის ესურვებოდა, არა—მადლენას სწვავდა სირცხვილი, როდესაც იმ ოჩხრის ამბავს წარმოიდგენდა და ეს იყო მიზეზი, რომ გენრის დღეს ის ისე სასტიკად მოეპყრო. როდესაც გენრი წავიდა, მადლენამ მას თვალი გააყოლა, თავისუფლად ამოიოხრა და წაიბუტბუტა:—მადლობა ღმერთს! კიდევ კარგი, რომ მაშინ სიტყვა არ მივეცი... ან კი რამ მაფიქრებიო?!

გენრი მიდიოდა გულ-მოკლული და სულ-შეხუთული, გადასწყვიტა მადლენასთან ერთხელ კიდევ მისულიყო და გაეგო, რას ნიშნავს ესე ყოველივე: უბრალო ჟინია, თუ სხვა რამე უფრო საყურადღებო.

მეორე დღესავე გენრი ბრანდის სახლის კარებთან იდგა და ზარას რეკდა: კარი მას თვითონ მადლენამ გაუღო. როგორც ეტყობოდა, მადლენა სხვაგან წასასვლელად იყო მომზადებული: პალტო ეცვა და შაპო ეხურა.

— სხვაგან წასასვლელად ხომ არ მომზადებულხართ?—ჰკითხა შესვლისათანავე გენრიმ.

— დიაღ, აუცილებლად უნდა წავიდე... მაგრამ არა უშავს-რა, დრო დიდია, გთხოვთ შემობრძანდეთ!

— არა, ხელს აღარ შეგიშლით,—მიუგო გენრიმ, მაგრამ თვითონ მაინც რამდენსამე ხანს კარებში იდგა. მადლენას პალტოს ღილისათვის ხელი მოეკიდა და იმას ატრიალებდა. გენრიმ იმგვარად შეხედა მას, რომ ქალი გაწითლდა და შეკრთა.

— ოჰ! რაღა ვქნა!—წამოიძახა მადლენამ, როდესაც გენრი მის გამოხედვას მოელოდა:—ერთი ღილი კიდევ ამაწყდა.

ქალი წენში გაიმართა და სრულიად დამშვიდებულმა გენრის შეხედა, თითქოს თანაგრძნობასა სთხოვსო ან და ეუბნება, რომ მას ღილი ნამდვილად უნდა ენახა და რაც შეიძლება ჩქარა მიეკერებიაო.

— აწი მე თქვენ ხელს აღარ შეგიშლით,—გამოემშვიდობა გენრი მადლენას და მოწყენილი გარედ გამოვიდა.

— დავიჯერო, განგებ არ მოიგლიჯა იმან ღილი?.. ნუთუ ამით ის იმას არ მეუნებოდა, გზა მიტიე, ნუღარ მაგვიანებო?.. ასეთი ფიქრები სტანჯავდა გზაზე გენრის.

მეორე კვირას გენრი და ლაურა ეკლესიაში წავიდნენ.

— ნეტავ, მადლენა რისთვის არ იყო დღეს წირვაზე?—ჰკითხა გენრიმ დას, როდესაც იგინი შინისკენ წამოვიდნენ:—შენ ხომ არ იცი?.

— არ ვიცი.

— მგონია, მის მეგობრობას შენ თავი დაანებე, უწინდებულად ველარ ეწყობი! რა მიზეზია?

ლაურას ძმისათვის პასუხი აღარ მიუცია, რადგანაც ამ დროს თვით ის გამოჩნდა, ვისზედაც და-ძმას ლაპარაკი ჰქონდათ. მადლენას ლოყები აჟარჟოლებოდა—იგი მთლად ბედნიერებით ბრწყინავდა,—გვერდით ახალი პროვიზორი მოჰყვებოდა. გენრი რომ დაინახა, მადლენა პირველად შეშინდა, უცბად მას პირდაპირ შეხედა, დაუკრა თავი და წავიდა.

მხოლოდ ეხლა შეიტყო გენრიმ, რომ მადლენას მაზედ გული შესცვლია. მას აღარასფერი ესმოდა და შეუბრკოლებლად წინ მიისწრაფოდა.

— დრო არის, მგონი, უკან დავბრუნდეთ!—ჰკითხა ჩუმად იმას ლაურამ.

გენრი გონს მოვიდა და დაინახა, რომ ისინი ქალაქს გასცილებოდნენ და ერთს მინდვრის ბილიკს დასდგომოდნენ. უკანვე გამობრუნდნენ. ლაურამ გულ-მტკივნეულად ძმას ლაპარაკი დაუწყო.

— ეს მე დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ იმდენი ველარ გავბედე, შენთვისაც მეთქვა. მოვიდა თუ არა კორდისი, მადლენამ მაშინადვე თავის ქსელში გახვია იგი. მაგრამ ნუ შეწუხდები: ის შენი ღირსი არ არის!

ტკბილო თანა-გრძნობავ! ამაო სიტყვანო!

მადლენა მისთვის ყოველისფერი იყო.

განა დიდი ხანია, რაც მადლენა თითქმის მისი იყო, მხოლოდ მას ეკუთვნოდა! გენრიმ თავისი ძლიერის სიყვარულით მოიგო მისი გული. ეხლა კი... ეხლა ის სხვისი ცოლი უნდა გახდეს... ეს გენრისათვის აუტანელი ღვთის რისხვა უნდა ყოფილიყოს, მაგრამ არა,—მასში სუფევდა ისეთი რამ მაცოცხლებელი და მტკიცე ძალა, რომ გენრი სრულს იმედს უკანასკნელ შემთხვევაში თუ დაჰკარგავდა.

მადლენას ხომ მაინც ისეთი არა უქნია.რა, რომ გენრის ეფიქროს, ვითომც ის მადლენასაც უყვარდა. რაც შეეხება მას, თუ რად იქცეოდა მადლენა მასთან ცუდად, ეს გენრის არც კი გახსენებია.

მეორე დღეს გენრი კიდევ მივიდა მადლენასთან. მადლენა ეხლა კი ელოდა, რომ გენრი მას ყოველისფრის ანგარიშს მოსთხოვდა. ამისათვის იგი თავის გასამართლებლად წინდაწინვე მომზადებულიყო. გენრი კი იმას ცდილობდა, რაც შეიძლება მხიარულად და კმაყოფილად ეჩვენებია მისთვის თავი—თითქო ქალის სიყვარულში ეჭვიც არ ჰქონებოდეს.

— მადლენავ, ჩემთან ნავით გასეირნებას ხომ არ ისურვებთ?—სრულიად მოულოდნელად ჰკითხა მას გენრიმ.

ქალი დაიბნა: ელოდა საყვედურს და ნაცვლად ასეთი ალერსიანი სიტყვები მოესმა. მაგრამ მან უცბად გონება მოიკრიბა.

— გმადლობთ,—ვიცი კეთილი გულისა ბრძანდებით, მა-

გრამ დღეს არ შემიძლია—დედა-ჩემი ავად არის და მარტო ვერ მივატოვებ.

— რა სამწუხაროა! მაგრამ იმედია დედა-თქვენი დიდი ავადმყოფი არ იქნება?

— ოჰ! არა! ხვალ, იმედი მაქვს, ფეხზე წამოდგება.

— მაშ, შეიძლება ხვალ გავისეირნოთ? თქვენ ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდით ხოლმე მდინარეს და ეხლა კი იგი მეტის-მეტი ლამაზი სანახავია!

— დიდად გმადლობთ, დიდად, მაგრამ ამ უკანასკნელს ხანებში თავის ტკივილმა ისევ გამიხსენა და წყალზე კი ის უფრო მიმატემს.

მადლენა ღღეს ძალიან ზრდილობიანად ელაპარაკებოდა გენრის, მაგრამ გენრიმ ვერ ამოიგდო გულიდან ის აზრი, რომ მადლენას მან თავისი საუბრით თავი მოაწყინა.

დადგა მომაკვდავი სიჩუმე. გენრიმ რაღაც დაიწყო, მაგრამ უცბად მადლენამ ჯგააწყვეტინა.

— მგონია, დედა მეძახის. ნურას უკაცრავად,—ამ წუთში გიახლებით!

მადლენა თუმცა დაბრუნდა უკან, მაგრამ ისე გამოშტერებული დაჯდა გენრის პირ-და-პირ, რომ უკანასკნელს გამოსალმებისა და შინ წამოსვლის მეტი აღარასფერი მოეხერხებოდა.

ხუთშაბათს გენრი ერთს რელიგიურს მიტინგზე წავიდა. მან გარდასწყვიტა, აქიდან მადლენა გაეცილებინა, თუ არა-და ეთხოვა მაინც საამისოდ მადლენასათვის ნება. მადლენაც, როგორც ყოველთვის, მოსულიყო და გარმონიუმს უჯდა. თითქმის ცხრა საათზე აქ კორდისიც მოვიდა მადლენას გასაცილებლად. ეხლა ელოდა გენრი საქმის დასასრულს: ეხლა უნდა გადასწყდეს, ფიქრობდა იგი, ვინ უფრო უყვარს მადლენას,—დღეს მთელის საზოგადოების წინ უნდა ამოირჩიოს მან ჩვენ შორის სატრფო თავისი გულისა.—უკანასკნელი ფსალმუნიც იგალობეს. ხალხი დაიშალა. ფეხის ხმა, თითქო შორიდამ, ძლივს მოდიოდა გენრის ყურებამდე.

გენრი ადგა თავის ადგილიდან და გამოსავალ კარებთან მივიდა. ის იდგა მკრთალი, პირდამუწვნილი და გამვლელთ ყურადღებას არ აქცევდა. სულ სხვა იყო კორდისის მდგომარეობა: ის მხიარულად ელაპარაკებოდა გამვლელებს, თავს უკრავდა და ესიყვარულებოდა ყველას. მადლენა კი დამშვიდებით უცქეროდა ორთავე მეტოქეებს. იმანაც გარდასწყვიტა დღეს არჩევნის გათავება. მან წყნარად დახურა გარმონიუმი და ჩვეულებრივზე უფრო ფერ-მკრთალი ბაქანიდან ნელნელა ძირს დაეშვა.

ზოგიერთი ყმაწვილი კაცები, რომლებსაც ყოველისფერი გაგებული ჰქონდათ, მოუთმენელად ელოდნენ, რით გათავდებოდა საქმე. კორდისი მხიარულად უყურებდა თავისი მოწინააღმდეგეს მოღუშულ სახეს, თითქო მზად იყო მასთან პირდაპირობა გაეწია.

მადლენა კარებთან მოვიდა. გენრი საშინლად იყო აღელვებული. ის დადგა მადლენას წინ და ხმით, რომელშიაც ცხადად იხატებოდა შიში და უიმედობა, სთხოვა მას შინამდე გაცილების ნება. მადლენას ცოტათი სიცილი მოერია, მადლობა შესწირა გენრის, გაიარა, მისცა ხელი კორდისს და მასთან ერთად გარეედ გამოვიდა.

რამდენიმე ხანი ისე გავიდა, არც ერთს მათგანს ხმა არ ამოუღია.

— რა საშინლება იყო! მე კი მეგონა, სწორედ გენრი რევოლვერს ამოიღებდა და ორივეს მიწაზე დაგვალაგებდა. მართალი მოგახსენოთ, მეცოდება ის უბედური!—ბოლოს დაიწყო კორდისმა.

— დიაღ, მისი ტანჯვა ბევრად აღემატება თქვენს სიხარულს,—სთქვა მადლენამ.

— ისიც იმდენად იყო შეწუხებული, რამდენადაც შეეძლო და მეც იმდენად ვიყავ გახარებული, რამდენადაც შემეძლო. სხვაფერ არც კი შეიძლება მოიქცეს კაცი, როდესაც ისეთი ყმაწვილი ქალი უყვარს, როგორც თქვენ, მადლენავ!

ისეთი უგულოდ იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, რომ მადლენამ მაშინადვე შენიშნა.

— ნეტავი, რით გაგაჯავრეთ? თქვენ ჩემზე გული მოგდით, რა დავაშავე საამისო?—ხმის კანკალით ეუბნებოდა მას მადლენა.

— თქვენ არასფერი არ დაგიშავებიათ. მე თვითონ ვარ დღეს რაღაც ცუდს ხასიათზე,—ანუგეშებდა კორდისი და წენზე ნაზად ხელსა ხვევდა:—მაგრამ მე მაინც ვერ მომიშორებია ის აზრი, რომ თქვენ გენრის საცოლო ყოფილხართ. ნამდვილად რამე მიზეზი უნდა იყოს, რომ ის თქვენ აღარ გეშვებათ.

— მისი საცოლო მე არასოდეს არა ვყოფილვარ. მე იგი მძაგს. მე არ შემიძლია ავიტანო, არ შემიძლია!... მაგრამ იმას კი... იმას!...

— მე სრულიადაც არ მინდა თქვენი საიდუმლოების გამოკვლევაში შევიდა, ამაზე მე ნებაც არა მაქვს,—დინჯად და ცოტა მკვახედ გააწყვეტინა კორდისმა.

— გთხოვთ მაგას ნუ ამბობთ, ნუ ლაპარაკობთ აგრე ჩემთან! — მსწრაფლად წამოიძახა მადლენამ, თითქო კორდისის სიტყვებმა უკბინაო.

— გენრის, მართალია, ვუყვარვარ მე. მაგრამ მე კი ის არ მიყვარს. არ ვიცი რით დაგაჯეროთ.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ კორდისმა მარტო მადლენაში დაჰბადა ასეთი ღრმა სიყვარული და თვითონ კი არ იყო შეყვარებული. მადლენამ პირველ ნახვისათანავე მოხიბლა მისი გული და მას შემდეგ კორდისისა და გენრის მადლენასთვის მეტოქობა სახუმარო აღარ იყო. კორდისი თუმცა მადლენას სიყვარულზე პირველად ეჭვიანობდა, მაგრამ მადლენამ ეს ეჭვიც მალე გაუქარვა მით, რომ კორდისის გულ-გრილს შენიშვნებზე ის აღელდებოდა ხოლმე და ჯავრისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. კორდისი მორბილდა, რამდენადაც შეეძლო, და მათ შორის სრული შერიგება ჩამოვარდა, —შერიგება სავსე სიყვარულითა და ამ შერიგების მსხვერპლი იყო გენრი.

მას შემდეგ, რაც გენრიმ მადლენას იმ კაცის ხელიდან გამოგლეჯა მოინდომა, რომელიც თვით მადლენას ძლიერ უყვარდა, მადლენას მისადმი (გენრისადმი) გულ-შემატკივრობა სიძულვილად შეიცვალა. მადლენა ფიქრობდა, რომ გენრის მხრით მეტის-მეტი უპატიოსნება და უღმერთობა არის, რომ სდევნის და არ უსვენებს.

მეორე დღეს დარდით გარემოცული გენრი ქუჩაზე დაიარებოდა. ღამე იყო. უცბად მადლენა დაინახა. მადლენას ხმა-გაუცემლად უნდოდა ჩაეარა მის გვერდით, მაგრამ უცბად შეჩერდა და გენრის წინ დადგა.

— დამანებებთ თავს, თუ არა? თქვენის ჩამოკიდებით მე თქვენა მტანჯავთ!...—ჩუმად წაილაპარაკა მან და გენრის პასუხიც აღარ აცალა, თავისთვის წავიდა. გენრი მკვდარივით იყო გაშეშებული. ბოლოს გულ-დათუთქულმა წარმოსთქვა:

— ეჰ! ეხლა კი ყოველივე გათავდა!..

IV

უსამართლოდ ეპყრობოდა გენრის მადლენა, თუმცა თვითონ ამას ვერა ჰგრძნობდა. მადლენას მხოლოდ მაშინ ებრალებოდა გენრი, როდესაც იგი მის დარდით ჩამომდნარ სახეს წარმოიდგენდა, მაგრამ ეს სიბრალული ისეთივე იყო, როგორიც შორს მიმავალს შინ დარჩენილებისავის დაებადება ხოლმე, რომელნიც მის მოშორებას სტირიან; გაივლის დრო და ახალი შთაბეჭდილებანი, უცხო სანახავები მალე დაავიწყებენ მგზავრს მათ სახესაც კი, ვინც იქ შორს სამშობლოში კვლავ მწუხარებით მოიგონებენ მას. გამოურკვეველი ბედნიერება, რომელსაც მადლენა კორდისის სიყვარულში ჰპოებდა, ყოველივეს ჰფარავდა. მადლენა პირველად ჰგრძნობდა ამგვარ სიყვარულს და სიხარული, რომელიც მას სხვების მისდამი სიყვარულში ოდესმე გამოეცადნა აწმყოსთან შედარებით მას აღარასფრად, სრულიად უმნიშვნელოდ მიაჩნდა.

გენრი უიმედოდ იტანჯოდა. იმას ის კი არა სტანჯავდა, რომ მადლენა კორდისს უყვარდა, არც ის, რომ მადლენა მას კორდისმა წაართვა, არა!—იმას ისა სტანჯავდა, რომ მადლენამ უარჰყო გენრი, ისა სტანჯავდა, რომ კორდისი მადლენას თვითონ უყვარდა. თვითონ კორდისზე კი გენრი გამწყრალი არ იყო: მხოლოდ სულ-მდაბალს არსებას შეუძლია თავის გაბედნიერებულს მოწინააღმდეგის შურსა და მძულვარებაში რაიმე სიამოვნება ეძიოს. მაგრამ გენრი მალე დარწმუნდა, რომ ასე მოწმესავით საქმის შეჩერებაც მისთვის შეუძლებელი იყო.

ამას წინად გენრი ბასტონში მიიპატიჟეს, სადაც მას თოფების ქარხანაში კარგს ადგილს აძლევდნენ, და ეხლა კი, როდესაც მან სამშობლოს დატოვება გარდასწყვიტა, მიიწერა, რომ თანახმა არის იმ ადგილზე იმსახუროს და წერილის გაგზანისათანავე თვითონაც წავიდა.

ლაურა, ერთად-ერთი ადამიანი, ვისაც გენრი წერილებს უგზავნიდა, შეჰპირდა ძმას, რომ ის თავის წერილში მადლენაზე არასოდეს არაფერს მოიხსენებდა.

— თუ ჯვარი დაიწერონ,—მაშინვე ნუ შემატყობინებ, მხოლოდ დიდი, დიდი ხნის შემდეგ მომწერე,—სთხოვა გენრიმ ლაურას, როდესაც გზას ადგა.

გენრი მუყიათად ეკიდებოდა ახალ საქმეს, მით უფრო მუყიათად, რამდენადაც თავისთავს ცუდადა ჰგრძნობდა,—ეს ხომ მართალია, რომ სრული კმაყოფილება შრომის პირველი მტერია. გენრის ხელში საიმედო საშუალება ეჭირა, რომელიც მას ღრმა დარდისა და წარსულზე მარად მქეჯნავის ფიქრებისაგან იხსნიდა: ეს იყო ყოველდღიური განუწყვეტელი საქმე, რომელსაც იგი მთელი თავისის არსებით მიენდო. სიხალისის სურვილიც კი დაჰკარგა და ის, რაც ადამიანის შრომასა და ჯაფას აჯილდოებს—მშვიდობა და მოსვენება გენრისათვის განსაცდელი იყო. მხოლოდ შრომა ახარებდა: საქმეები ჩინებულად მიჰყავდა. გენრიმ მალე კარგ-ჯამაგირიანი და შესაფერი

ადგილი დაიჭირა; აქ კი ისეთი რამ გამოიგონა, რომ ამ გამოგონების პატენტმა მას მრავალი ფული შესძინა.

იმავე აზრით, მწარე ფიქრების გასაქარვებლად, გენრიმ საზოგადოებაშიაც დაიწყო სიარული, სადაც ქალებში უფრო ხშირად ტრიალებდა, ვინემ კაცებში. შეხვდებოდა წამები, როდესაც გენრი თავისთავს სრულიად დამშვიდებულადა ჰგრძნობდა; მაგრამ საკმარისი იყო, გზაზე მადლენას მსგავსი ქალი დაენახა, ან მისი ხმის მსგავსი ხმა გაეგონა, ან კიდევ სიზმარში მადლენას სახე ენახა, რომ ყოველივე გულის ტკივილი და მწუხარება უწინდელისავე ძალით კვლავ აღძრულილიყო მის გულში.

მას შემდეგ, რაც გენრიმ სამშობლო დასტოვა, თითქმის ერთი წელიწადი გავიდა. გენრის ძლიერ ენატრებოდა თავისი პატარა ქალაქის ნახვა; ამისათვის გადასწყვიტა რამდენიმე დღით ნიუვილში ჩამოსულიყო.

— ვინ იცის, შეიძლება...

გენრის კიდევ უღვიოდა გულში სასოების პაწაწა ნაპერწკალი. ლაურა მადლენაზე აღარასფერს იწერებოდა. გენრი კი თავის-თავად ვერა ბედავდა მისთვის რამე ეკითხნა. განა არ შეიძლებოდა მადლენასა და კორდისის საქმე ჩაშლილიყო? გენრის კიდეც სწამდა ეს აზრი და თან ეშვი შეჰქონდა: ხან ამბობდა მადლენა ეხლა ჯვარ-დაწერილი უნდა იქნესო, მისთვის, რომ ასე რომ არ იყოს, ლაურა თავის აღთქმას დაარღვევდა და მაინც შემატყობინებდაო;—ხან კი თავს ბალანასავით აიმედებდა და იმედს ვერა-რა მოსაზრებანი ვერ უქარვებდა,— ასე ოთახში, შემოაჭვრეტავს ხოლმე ხან-და-ხან მზის სხვი, თუმცა ფანჯრის სახურავები მაგრად მიგდულია. ეს იმედი ერთადერთი წერტილი იყო გენრის ტანჯვათა წყვდიადში მანათობელი.

ორთქლით-მავალი ნიუვილში მოვიდა. გენრი სისწრაფით ჩამოვიდა ვაგონიდან, სისწრაფითავე გაიარა ხალხი და იმ სახლისაკენ გასწია, სადაც იმის წასვლის შემდეგ ლაურა თავის მოხუცებულს ძალუასთან ცხოვრობდა. გზაზე გარრი შე-

ხვდა და არ შეიძლებოდა გენრი პატარა ხნობით მასთან არ შეჩერებულიყო. მაგრამ როგორც გარრი რამეს სათქმელად პირს გახსნიდა, გენრის ცივ ოფლს დაასხამდა: ის მხოლოდ მას-ღა ელოდა, აგერ საცაა გარრი მადლენაზე ლაპარაკს დაიწყებსო; მაგრამ გარრის მადლენა სრულიადაც არ უხსენებია, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. გენრი ნაავადმყოფარსავით მოდიოდა. ეხლა ის სუსტი იმედიც კი, რომელსაც გენრი ეალერსებოდა, მან წმინდა სისულელედ ჩასთვალა. მაგრამ თუმცა სუსტი იყო ეს იმედი, თუმცა ნაკლებ სწამდა თვით გენრის მისი განხორციელება,—გენრი მაინცა ჰგრძნობდა, რომ მთელი მისი არსება ამ იმედს დაჰმონებოდა, ჰგრძნობდა, რომ ის სიმართლის ატანას ვერ შესძლებდა. ნუ თუ უკან დაბრუნება არ აჯობებს? იქიდან ლაურას მოსწერს... მოვა დრო, როდესაც გენრი უფრო ადვილად შესძლებს თავისი მწუხარების ატანას,—მხოლოდ არა ეხლა, არა ეხლა, როდესაც წარსულთა კრულ-დღეთა მოგონებანი ყველა წან წარმოუდგა მას...

მაგრამ დაგვიანდა. ლაურა ფანჯარასთან იჯდა და იყურებოდა. დაინახა თუ არა ძმა, სიხარულისაგან სახე-გაბრწყინებული და ცრემლ-მორეული გარედ გამოვარდა. ორივე ერთად შევიდნენ. პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ გენრი ლაურას გვერდით დაჯდა.

— მე კი მინდოდა, ერთხელ კიდევ შემომეხედნა შენთვის, ლაურა,—დაიწყო მან და ამოდ ცდილობდა გაეცინა.

— გმადლობ; მე კი ისეთი დაჯავრიანებული ვიყავი შენზე!

გენრიმ შუბლზე ცხვირ-სახოცი გადაისვა.

— მე კი მინდოდა ერთხელ კიდევ შემომეხედნა შენთვის.

— ძალიან, ძალიან გამეხარა შენი მოსვლა.

ლაურა ვერ ამჩნევდა, რომ გენრი ერთსა და იგივეს იმეორებდა.

— ავად ხომ არა ყოფილხარ?—ჰკითხა ლაურამ.

— არა!

— შენის პატენტით მე თავი მომაქვს, გენრი!

გენრი ჩქარის ნაბიჯით იქით-აქეთ დადიოდა.

— განა ეს შენთვის გასახარელია?—ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა გენრიმ.

— მეტი არ შეიძლება, ისე!

ორნივე ისევ გაჩუმდნენ. ლაურამ თავის ხელ-საქნარის კალათაში რაღაცას ძებნა დაუწყო. მან დიდ ხანს ეძია, რაღაცა იყო, მაგრამ მაინც ვერა ნახა.

უცბად გენრი შეჩერდა.

— მადლენა გათხოვდა?—სისწრაფით ჰკითხა ლაურას.

ღმერთო ჩემო! რასთვის არ იძლევა პასუხს?

— არა!—ბოლოს ნელა და ძლივს-გასაგონად ჩაილაპარაკა ლაურამ.

თვალის დახამხამების წინად გენრის გულმა მოქმედება შესწყვიტა, მაგრამ ეხლა კი ისე ღონიერად დაიწყო ცემა, გეგონებოდათ, ბუდიდან ამოხტომას აპირებსო. ეს „არა“ ლაურამ იმგვარის კილოთი წარმოსთქვა, თითქო ძმისათვის რაიმე უბედურება უნდა განეცხადებია. რა მოხდა? გენრიმ ბევრი იფიქრა, ბევრი მოსაზრებანი მოიყვანა, მაგრამ ერთი დაავიწყდა.

— მოკვდა?—ჰკითხა გენრიმ ჩუმად და ხმის კანკალით. იმას მეტად გაუჭირდა ამ სიტყვის წარმოთქმა.

— არა!—მიუგო მოწყენით ლაურამ.

— მაშ, რა დაემართა? ღვთის გულისათვის გამაგებინე!—წამოიყვირა გენრიმ.

ლაურა ფანჯარაში იხედებოდა, რომ იმის თვალები ძმის თვალებს არ შეჰყროდა და ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— აქ საშინელი ამბავი მოხდა.... კორდისმა ის გაგდო. მერე, რვა დღის შემდეგ მადლენა გაიპარა, არავინ იცის სად! ფიქრობენ ბასტონში უნდა იყოსო ..

ეს ამბავი გენრიმ ლაურასაგან ნაშუადღევის ორ საათზე გაიგო და ოთხზე კი ის ბასტონის რკინის გზას ადგა. მის დაღვრემილ სახეს, როდესაც იგი ვაგონში იჯდა, სასოწარკვეთილება სრულიად არ ეტყობოდა. თუმცა გულ-მოკლული და სახე-მოღრუბლული იჯდა, მაგრამ ცხადადა სჩანდა, რომ გულ-

ში რაღაც გარდაწყვეტილება იმალებოდა და ეს გარდაწყვეტილება იმედს არ უკარგავდა.

სანამ ნიუვილიდან გავიდოდა, გენრიმ ქ-ნ ბრანდთან შეუხვია. მეტად სამძიმო იყო ორთავესათვის ეს შეხვედრა. დაინახა თუ არა გენრი, საწყალ მოხუცს ცრემლი მოერია და კარგა ხანს პირიდან სიტყვა აღარ დაუძრავს. როდესაც დამშვიდდა, მან ძლიერ უსაყვედურა გენრის—მწუხარება იყო მიზეზი, რომ ქ-ნი ბრანდი ისე უსამართლოდ ელაპარაკებოდა ახლადმოსულსა. რისთვის არ შეირთო გენრიმ მადლენა? რისთვის დასტოვა კორდისის ანაბარად? მოხუცი ბრანდის ტირილში გენრის საკუთარი ტანჯვანი სულ დაავიწყდა. დიაღ, გენრიმ უდროოდ მიანება მადლენას თავი და ბასტონში წავიდა. გენრი ხმას აღარ იღებდა; მხოლოდ პირ-დამუწვნილი იდგა და ბრანდის საყვედურებს ყურს უგდებდა. ის ამ დროს იმ ოთახში იყო, სადაც იმ დაუვიწყარს დილას სასეირნოდ წასასვლელად მადლენას მომზადებას ელოდა. აი, სტოლთან სარკე ჰკიდია, ის სარკე, რომელიც ოდესმე ყმაწვილი ქალის მშვენიერ სახეს ეთამაშებოდა.—„შეიძლება ის ეხლაც რომელიმე სარკის წინა დგას!..“ ფიქრობდა გენრი: „ნეტავ როგორი ლალი დაჰქრის ეხლა მისს ღაწვებზე? რას ამბობს ეხლა მისი თვალები? როგორი შეხედულობა აქვს იმის სახესა?...“

როდესაც გენრი ქ-ნ ბრანდის გამოეთხოვა, ბრანდი დარწმუნებული იყო, რომ გენრი მას თანაუგრძნობს, რომ მისი დანაკლისი გენრისათვისაც იმდენად მძიმე იყო, რამდენადაც თვით მისთვის, დედისათვის. გენრი ერთად-ერთი კაცი იყო, რომელსაც ეხლა ქ-ნი ბრანდი, ყველასაგან უკვე თავ-დანებებული, თავის დარდსა და ფიქრს განუზიარებდა. ატირებულმა მოხუცმა მიმავალს ხელი გაუწოდა. გენრიმ ჩამოართვა, გულზე მიიხუტა მისი თავი და ჭაღარა თმაზე ხელს ნაზად უსვამდა. გენრი, მარტო გენრი-ღა იყო მისი ნუგეში. არა სიხარულში, მწუხარებაში გაუჩნდა დედად გენრის მისივე სატრფოს დედა—„იმედს ნუ დაჰკარგავთ. თუ ცოცხალია კიდევ, მე იმას ვნახავ!“

V

მთელი კვირე გენრი მოუსვენრად ეძებდა მადლენას სხვადა-სხვა სასტუმროებში. ბოლოს ხანგრძლივმა ძებნამ ნაყოფიც მოიტანა: გენრიმ მადლენა იპოვა.

როდესაც მადლენამ იმას თავისი ღარიბულად მორთული ოთახის კარი გაუღო და გაიგო, ვინც იყო, სირცხვილისაგან გაწითლდა. კარი უკანავე უნდოდა მიეხურა, მაგრამ გენრი ოთახში ძალით შევიდა. მადლენამ თვალები დახუჭა; მერე უცბად გენრის შეხედა, კარები ღია დასტოვა და მრისხანებით ჰკითხა:

— რა გინდათ ჩემგან, გენრი ბურრო?

გენრიმ, რადგანაც ორნივე აღელვებული იყვნენ, სრულიად ვერ შენიშნა მადლენას ტანზე ტანისამოსის უვარგისობა. გაბურდული, შავი თმა ქალს მხრებზე გადაჰფენოდა, სახე მრისხანებით გამოიცქირებოდა, ერთის სიტყვით, მადლენას მხოლოდ თავისი თვალები შერჩენოდა, რომელნიც კვლავ გამოუთქმელ სიმშვენიერეს ჰფენდნენ მისს მოხუცებულსავით გამხდარს სახეს.

— რა გინდათ? რისთვის მოსულხართ?—განმეორებით ჰკითხა მან გენრის.

გენრიმ კარები მიხურა. მას არ შეეძლო ასე უცბად პასუხის მიცემა. ბოლოს გაბედა.

— მე რა მინდა, მადლენავ—თქვენ მინდებხართ! მინდა, რომ თქვენ ჩემი ცოლი გახდეთ!

გენრიმ იმგვარად წარმოსთქვა, იმფერი სინაზით შემოსა ეს ორიოდე სიტყვა, რომ სრულიად მშვიდი და წყნარ პასუხი გამოუვიდა.

მადლენას სახეზე სინანულმა გადაურბინა, მაგრამ უცბად ისეთივე შეხედულება მიიღო, რაც წინად ჰქონდა,—კვლავ გულგრილობა და უსიცოცხლობა დაეტყო.

— მაშ, თქვენ ჩემ დასაცინად მოსულხართ? რასაკვირველია, ნება გაქვთ,—მე ეს დავიმსახურე თქვენგან! წარმოსთქვა მადლენამ.

გენრი მიუახლოვდა.

— მე სრულიადაც არ დაგცინით, მადლენავ! სიმარ თლეს მოგახსენებთ: მე ისეთი კაცი ვარ, რომელიც, ერთხელ თუ ვინმე შეიყვარა, თავის სიცოცხლეში ის ეყვარება. თუ გინდ მთლად დამახინჯებული და დასაჯაყებული ყოფილიყავით ეხლა თქვენ, მაინც ყველაზე უფრო მეყვარებოდით!

მადლენას სახე გამოეცვალა. მას წარმოუდგა, თითქო იმის წინ ეხლა იმ ბედნიერების ლანდი დაჰქროდა, რომელიც თვითონ უარ ჰყო. გულ-აღგზნებული გენრის წინ მუხლებზე დაეცა, მის სერთუკის კალთებს ხელი წაავლო და გაგიჟებით კოცნა დაუწყო. გენრის უნდოდა მოხვევოდა, მაგრამ ქალი მას უცბად ხელიდან გაუსხლტა. ამ დროს მადლენას სახე საოცარის სინაზით იყურებოდა. თვალებზე ცრემლმა მოუსწრო.

— გმადლობთ, გმადლობთ, გენრი! თქვენ იმდენად გულ-კეთილი ხართ ჩემზე, რომ მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ კაცს ასეთი გულ-კეთილობა შეეძლო. მე ეხლაც კი მახსოვს, როგორის გულ-კეთილობით მექცეოდით თქვენ უწინაც... მაგრამ მე ეხლა, გენრი, ერთი-ღა დამრჩენია,—საწამლავი, რომელიც ისე მწარე აღარ იქნება ჩემთვის!.... არა!—წამოიძახა ცრემლებით ღაწვ-დასველებულმა ქალმა: — ნუ, თუ ხათრი გაქვთ, ნუ! შეიცოდეთ ჩემი კდემულება!... შემიბრალეთ! ოჰ, არა, არა!....

მაგრამ გენრიმ მაინც დასძლია და აკოცა. მადლენას თვალები მრისხანებით აენთო, მაგრამ უცბად გულ-ამოსკვნილი ტირილი დაიწყო და სკამზე დაეშვა. ის იმდენად იმედ-დაკარგული იყო, იმდენად დაჯავრიანებული, რომ ტანჯვებით დამახინჯებულ სახეს დაფარვასაც კი აღარ ცდილობდა.

— ღვთის გულისათვის, თავი დამანებეთ! განა ეს ასე ადვილი ასატანია?

გენრი მწუხარებით შესცქეროდა მადლენას. იმას ეგონა თავისი ალერსით ქალს ანუგეშებდა, მაგრამ შესცდა,—ნუგეშის ნაცვლად უფრო გაამწარა მისი თავ-მოყვარეობა, რომელში-

აც დაცემულნი ერთად-ერთს თავისი კაცობრივის ღირსების საფარს ჰპოებენ. ქალი სასო-მიხდილი იჯდა მის წინ. გენრის გული სიბრალულისაგან ღელავდა. ასე ძველს დროში მებატონე ჰგრძნობდა თავის თავს, როდესაც იგი თავისს მფარველ დედოფალს, სამშობლოდან განდევნილს, სადმე გაჭირვებაში ჯ შევიწროებაში ჩავარდნილს ჰპოებდა. ღვთისაგან განრისხული, ხალხთაგან უარყოფილი, დედოფალი მისთვის მაინც ყოველისფერი იყო და მებატონესაც მისი ფეხის კოცნა დიდ ბედნიერებად მიაჩნდა.

მაგრამ ღრმა სივრცე გაწოლილიყო სურვილსა და მის განხორციელებას შუა, გენრიმ არ იცოდა, როგორ დაეჯერებია მადლენა. როდესაც მადლენამ ტირილს თავი დაანება, გენრი ლმობიერად მიუბრუნდა მას:

— მომიტევეთ, მე სრულიადაც არა ვფიქრობდი თქვენ გამეჯავრებინეთ!

— მართალი გითხართ, ეგ ჩემთვის სულ ერთია,—გულგრილად უპასუხა მადლენამ:—მხოლოდ ამას გთხოვ, დამეხსენით! რა გინდათ ჩემგან?

— კიდევ ის, რაც უკვე მითქვამს: მინდა, ჩემი ცოლი გახდეთ!

ქალმა გენრის შეხედა. თითქო იმან მხოლოდ ეხლა გაიგო გენრის სურვილიო; გეგონებოდათ, დარდით თავ-დავიწყებულს აღარაფერი ახსოვდა, რაც გენრის მისთვის ეთქვა.

— როგორ?.. მაგრამ თქვენ... თქვენ, შეიძლება არ გაგიგიათ?..—ჰკითხა ცახცახით ქალმა.

— ყველაფერი გავიგე,—წამოიძახა გენრიმ და მისკენ მიიწია:—მომიტევე, ჩემო კარგო,—ეჩურჩულებოდა ის:—მე კიდეც გამეხარა, როდესაც შენი ამბავი შევიტყე, როდესაც შევიტყე, რომ შენ თავისუფალი ხარ და ჩემთვის სულ მთლად არ დაღუპულხარ. მე ეხლა ისე ბედნიერი ვარ შენის ნახვით, რომ აღარაფრის ფიქრი არ შემიძლია!ნუ თუ თქვენ მართლა მადლენა ხართ? —დიაღ!.. თქვენ ჩემთვის იგივე მადლენა ხართ, რაც უწინ იყავით. ჩემთვის სულ ერთია, რაც ჩვენ შორის მომხდარა,—მე

თქვენა გნახეთ, და ეხლა თქვენ ჩემს მზრუნველობას ქვეშე ხართ...

მადელენა რაღაც ცნობის-მოყვარეობით უგდებდა ყურს.

— და თქვენ კი ნამდვილად აგრე ფიქრობთ? ეკითხებოდა განცვიფრებული ქალი.

— დიაღ, ნამდვილად!—წამოიძახა გენრიმ და ხმა აღელვებისაგან აუცახცახდა... მის გულში კვლავ იმედმა იფეთქა:—რასაც მე ვამბობ, ეს ჩემი უწმინდესი მოვალეობაა.

მოკლე ხნის ღიმილმა შუქი მოჰფინა მადელენას სახეს, მაგრამ მალე უწინდელზე უფრო მოიწყინა. ასე მიცვალებულის ფარნები სამწუხარო სანახავს, განათების ნაცვლად, ზედ უფრო გულ-მოსაკლავს სიმკრთალესა ჰფენენ.

— საბრალო!—წარმოსთქვა მადლენამ:—რა უღმერთოდ მოგექეცი მე შენ. დღეს არა,—ხვალ მაინც უნდა გამოვსთხოვებოდი ამ წუთის-სოფელს. ეხლა კი სულ სხვაა, ეხლა მოვიცდი, სანამ შენ ეგ მოგონებული სიყვარული არ მოგწყინდება. ჩემთვის სულ ერთია, ამას როდესაც ვიქ,—ადრე, თუ გვიან... არა, არა, გთხოვთ ნუ მკოცნით!...

დ. გიორგობიანი

(შემდეგი იქნება)

სამი ამგავი

ბიერ ლოტტისა

1. მოხუცი პატიმრის წუხილი

ეს ამბავი იკმა მიამბო.

ამას წინად ზღვის პირად მიერეკნათ პატიმრები და პატარა ნაკვეთით გადაჭყავდათ გეშზედ, რომელიც ახალ-კალედონიასკენ მიდიოდა და ამ უბედურებს-და ელოდა, რომ დაძრულიყო.

პატიმართა რიცხვში ერთი თოკლიკით კათეთეთრებული მოხუცი ერია; სამოცდ ათის წლისა მაინც იქნებოდა, თუ მეტისა არა; სულში პატარა გალია ეკავა და შიგ ერთი უბრალო ბეღურა ჩიტი ეჯდა.

ნეტავ გენახათ, რა სიფაკრულით, რა ალერსით, რა სიფრთხილით ექცეოდა პატიმარი ამ გალიას!

მოხუცი პატიმარი და ერთი ახალ-გაზდა საზიზღარი სახის უმაწვილი კაცი ერთად იყვნენ შეჯაჭვულნი; ამგვარი მეზობლობით საბრალო მოხუცის მშვიდი, წყნარი სახე უფრო დამშვიდებულიყო და როგორღაც უცბად მოეგო იკის გული. ეს ლაპარაკი დაეწყო....

— ჩემნი დღენი სულ აქა-იქ შარა-გზაზე წოწიალში გამიტარებია, —ეთქვა მოხუცს:—ჩემი დანაშაული მხოლოდ ეს არის—მაწანწალა კარ და აი ეს მეექვსედ მსაჯავენ ამ საქციელისთვის: მოგეხსენებათ, მაწანწალა და ქურდი ერთი და იგივეა. ახ არა-და რა ქნას, რომ არ იქურდოს, ბავშობითვე ცუდაობას მიჩვეულა, სელობა არა უსწავლია-რა, ნათესავი არსად გაჩნია, ტოლი და სწორი არსად ჭყავს,

მაშ რა ქნას, რომ არ მოიშოროს? შიმშილით სომ არ მოკვდება ყველასაგან დევნილი და შეგინებული მაწანწალა. ესლაც მარტო ის იყო ჩემი დასაშალული, რომ მინდორში ურმიდან ერთი ტომარა კარტოფილი მოიპარე. ვთქვათ, დავაშავე... ცალი თვესი სამარეში მიდგას მე ბეჩავს, არა, იმ სიშორეზედ რომ არ გაგეგზავნეთ?!... ვის რას დავაკლებდი, რომ აქ ჩემს სამშობლოში დამელია სული?!...

სასე გაუბრწყინდა მოსუტს, რალაც არა-ჩვეულებრივი ნეტარება იგრძნო უბედურმა, რომ ნასა რა თანაგრძნობით ისმენდა მის ამბავს ბევნი იკი. ძლიეს შეხვდა ღვთისნიერ კაცს, რომელმაც პატიმარი, სამშობლოსაგან უარ-ყოფილი, განდევნილი დიმნაშვე ადამიანად აიაგდო და თანაგრძნობით მოისმინა მის გულის-ტკივილი. და ამ იშვიათ ნეტარებით გატაცებულმა თავისი უმვირფასესი საუნჯე უჩვენა ივს—პატარა გალია და შიგ მეჯდომი ბელურა.

— წელიწადი მეტია ჩემთან არის ციხეში ჩემი ჩიტუნია და ალარ მომშორებია,—ამბობდა თურმე მოსუტი:—ამოდენა ხანი სულ ჩემ მხარზედ გაატარა, მე კიკავ ამის ქანდარა... ოჰ, რამდენი ტანჯვა-წვალება გამოკიარე, რომ იცოდეთ... კისაღამ ერთმანეთს დაგვაშორეს—ნებას როდი მაძლევდნენ თან წამეყვანა ასალ კალედონიაში... ასლა გალიის გაკეთება ბრძანეთ თქვენა—სამგზავრო გალიის გაკეთება, ფიტრის შოვნა, მაკეთულისა, მწვანე ფერისა, რომ გალიის ტოტა-რამ სილამაზე ჭქონდა...

საწყალი ბელურა! ტუსაღებს რომ შაკ ბურს აძლევენ საჭმელად, იმის მეტი არა ჭქონდა-რა, მაგრამ მაინც ისევე მხიარულად სტოდა თავის გალიაში თითქო სულ ქადა-ნაზუქს შეექცევა და სრული თავისუფალი არისო.

—

რამდენიმე საათის შემდეგ ნავი გემს მიადგა; პატიმრები გიბისკენ იწევდნენ... მე კიდეც დამავიწყდა ჩემი წელანდელი მოსაუბრე. უცბად რალაც უცნაური, თუმცა ნაცნობი, ტრემლით სავსე ხმა შემომესმა,—განაგრძო ივმა.

— აი, მიირთვით, თქვენი იყოს,—ეუბნებოდა ივს ხმის კანკალით თვალ-ცრემლიანი მოსუტი და გალიას აწვდიდა.—მიირთვით,

ბატონო, იქნება გამოიყენოთ რაშიმე, იქნება თქვენც გასიამოვნოთ რითიმე...

— აბა რას ამბობთ!—შეჭყვირა იგმა:—ის არა სჯობს, თან წაიყვანოთ. გაერთობით, გზაში მარტოობა აღარ შეგაწუხებთ.

— ოჰ,—ამოიკვნესა მოხუცმა,—რომ აღარ არის! მაშ არ იცოდით? თქვენი ჭირი წაიღო...

დაპა-ღუშით წამოსცვივდა ცრემლები და ღრმა ღარი ჩამოაყარეს ჩაყვითლებულ, ჩამტკერიანებულ სახეზედ.

ეემს რომ მიადგნენ, ხალხი აირია თურმე, გალიის კარი როგორღაც გაიღო... შეშინებოდა ბელურას, ერთი შეეფეთხრიალა... ფრთებ მოკეკეტილი ზღვაში ჩავარდნილიეო...

— საშინელება იყო! ჩემი თვალით ვხედავდი ჩემს ჩიტუნიას, ვხედავდი, რომ წყალი მიაქანებდა, ვხედავდი იღუპებოდა და შველა კი არ შემეძლო. წყალში რომ ჩავარდა, ვიფიქრე—დავიკარებ, მიშველიას, ქრისტიანები არიან-მეთქი! მაგრამ სულ სხვა ფიქრებმა გამიარეს მაშინვე თავში, ჩემი დამტირებული მდგომარეობა მომაგონდა, ჩემი სირცხვილი ვიგრძენ და ხმა ჩამოწყდა: ვინ შეებრალებდა ვიღაცა ქურდს, პატიმარს, სამშობლოდან განდევნილ ებებრს? ვინ იქნებოდა მისი მეგობარი შეეგონა და მისი ბელურა შეჭბრალებოდა. ან არა და განა ერთი ჩიტის გულისთვის, ვიღაცა მაწანწალა ებრაის ჩიტის გულისთვის წყალში ჩავარდებოდა ვინმე?! რა საფიქრებელია! გაჩუმებული, ხმა-გაკმენდილი ვიდექ ერთ ადგილას და გაშტერებული შევცქეროდი ჩემს ჩიტუნიას; შევცქეროდი ზღვის აქაფებულ ტალღას, რომელიც ჩემს გაზრდილს მიაქანებდა; პატარა, სატრაისეერს სულიერს, რომელსაც სიცოცხლე ენატრებოდა და ფრთების ქნევით იგერებდა სიკვდილს. რაღას ვუშველიდი?

გული ამომიჯდა, საშინელი მარტოობა და ობლობა ვიგრძენ მაშინ, თითქო სიცოცხლესთან ეს ბელურა-ღა მაერთებდა და ახლა ეს უკანასკნელი კავშირიც გამოწყდაო. საუკუნოდ მარტოდ-მარტო, უთვის-ტომოდ, ობერ-ტიალად ვიგრძენ ჩემი თავი და ტირილი დავიწყე.

ხელ-ახლად ცრემლი წასკდა მოხუცს. და მისი ამბანაგი კი, რომელთანაც ერთად იყო მიჯაჭვული, მისი ამბანაგი იცინოდა, გულ-

ამომეკდარი სარსარებდა—დასცეთ ამ გადაყრუებულს, ერთი ბელურას გულისათვის როგორ მწარედ ტირისო!

—

რის მაქნისი-და იყო უბედურისთვის ცარიელი გალია? რამდენს ეწვალა იმის გაკეთებაზედ? რამდენი ტანჯვა-წვალება ჰიტანა, რომ კარგი, ლამაზი გალია გაეკეთებინა ამ საწყლისთვის! საწყალი, საწყალი ბელურა! მის მეტს არავის ჭეკარებია თავის დღეში ბებერი მაწანწალა, მის მეტს არავის ულერსნია!....

სულ გაწვდილი იდგა ივის წინ და ეკედრებოდა:—გამომართვით... თქვენს მეტი მე აგრე გულკეთილად არავის მომეპყრობია... ეს უკანასკნელი მგზავრობაა ჩემი... სამშობლოდან ამ გალიის მეტი არა მიმდევდა-რა და ახლა.... არა, ისევ აქ დარჩეს... თქვენი გასალდეთ.

დაღონებულ ივს უარი ვერ გაებედნა, შესტოდებოდა—კაი, თუ უარი იწყინოს, უკადრისობაში ჩამომარიგასო და ჩამოერთმია ცარიელი გალია.

ივმა რომ მიამბო ეს ამბავი, ეს დამაღონებელი, სიბრალულის აღმძვრელი გრძნობა არ დაუსტავს და მე კი მაინც შიგ გულში მეცა მოსუტი პატიმარის წუხილი, ასე მოულოდნელად დაობლებულის კვნესა-გოდება.

ღამე იყო, ის იყო ჩემს ოთახში დასაძინებლად მიკდიოდი. ჩემს სიცოცხლეში ბევრის ტანჯვა წვალება მინახავს, ბევრი გულგამგმირი დრამა, ბევრის სიკეკდილისთვის მიეუურებია წარბ-შეუხრელად და აქ კი ჩემდა განსაცვიფრებლად გულს მომსვდა მოსუტის წუხილი, ამათრთოლა, ძილი დამიფეთხო.

— ნეტავი სხვა ბელურა მიგეყვანა იმ უბედურისთვის.

— გასა არა, მეც კიფიქრე, მიშასუსა ივმა. შეიძლება სვალ დილა ადრიანად ერთი ბელურა დავიჭირეთ როგორმე და თუ გემი ჯერ ისევ აქ არის, თავისიკე გალიით მივიყვანოთ... ძნელი კი იქნება, ღვთის წინაშე! გეშზედ სვალ თქვენ მეტს ადარავის აუშვებენ და თქვენ კიდეკ კის იტის, როგორ იშოვნით კიღატა მაწანწალას, რომლისა არც სახელი კიცით, არც გვარი... მაგრამ რამდენს დაგვცინებენ...

— ეგ კი ავრე იქნება. დაგვცინებენ და ავრე! და იმავ წამს, თვით მე ვიგრძენ ჩემს გულის სიღრმეში რაღაც სიცილი, რაღაც მწარე სიცილი, რომლითაც მარტო გული იცინის და რომლის სიმწარისა სასეზედ კვალიც არა ჩანს სოლმე.

მეორე დღეს მართლა სასაცილოდ მეჩვენა ჩემი წუსანდელი წადილი, რომ მოსუცისთვის სხვა ბედურა მიგვეუვანა. განა მის წუსილს, მის გულის კვნესას ასე ადვილად — ერთი ბედურა ჩიტით — მალამო დაედებოდა? განა მის დაობლებულს, შეწუსებულს სულს ამგვარი ნუგეში ეწირვებოდა? საწყალი მოსუცი ბატიმარი! ის თავის მარტოობას სტირდა და ბედურა კი არა, თვით უმშვენიერესი სამოთხის ფრინველიც რომ მიგვეუვანა, დარდს მაინც ვერ შეკუმსუბუქებდით: იმას თავისი ფრთა-შეკრული, თავის მხარზედ გაზრდილი, თავის სელით გამოკვებილი, თავის ბატიმრობის მეგობარი ბედურა-ჩიტი ერჩივნა. უბედურს უბრალო ბედურამ მოულბო უკვე გაქვავებული, თითქმის მიმკვდარებული, ტკბილ გრძნობას მოკლებული გული; დიდი ხნის გულ-გაქვავებულს სიყვარულით გაუთბო გული და ცხარე ცრემლით ატირა...

---

2. საკლავი

სინგაბურიდან 12 სარი წამოვიყვანეთ საკლავად და ორი-და გვაკვს ცოცხალი. გზაში ქარმა შეგვაწუხა, გზა გაგვიგძელა, ვინ იცის კიდევ როგორ გავწვალოს და ამ ორს ძალიან ვუფთხილდებით.

ორი გამხდარი, სატოდავი სარი-და გვაკვს; გემის მოაკარზედ ასხუნით ტაკი გაჭესიათ; რამდენი ხანია ასე უბედურად ერიან გემზედ, რქებ-გახლართულნი, მოაკარზედ მოკლედ მიბმულნი; სადაა მწვანე ბალვერდით მოსილი მინდორი, ვიცა ალირსებთ ძველებურ ბალახს და ძველებურ ლიღობას? ქედი მოუხრიათ, მშვიდად ელიან მომავალს. თავლში რაღაც ფიქრი ეტყობათ და უიმედოდ, ზარმაცად იტოხნებიან; ერიან ამ მაგარ ფიცრებზედ, ზღვის მღვაძე წყალით დამბალ თიკას ძღიეს ეკარებიან ეს ტოტალთაგან უკვე გამო-

რიცსულნი, სასიკვდილოდ განწირულნი, თუმცა სიკვდილამდე კინ იცის კიდევ რამდენი ტანჯვა მოელით ამ უბედურებს: სიცივეც შეაწუხებს, გემილ დაუდგრომელი ბუქსაც, ზღვის წყალიც, შიშიც...

სიშინელი დამაღონებელი სიღამო იყო. ზღვაში სმირად იცის ამგვარი გულის-შემსუთავი სიღამო, როდესაც გლოვის ღრუბლებით შემოსილ ცის სხეი ადგრსადა სცემს, თან ქარი ზუზუნებს, თითქო ასლად ბასულ მზეს დასტირის და მომავალი ღამისა ეშინიანო.

ცუდია ასეთი სიღამო, მეტადრე როდესაც იცი, რომ ოკეანეში სარ, ქვეყანას და ადამიანთაგან მოშორებული. რაღაც უცნაური და თან უტნობი გრძნობა გაწუხებს, სულსა და გულს გისუსტებს. მშრალად რომ იყო, თვით ჯოჯოხეთის სიბნელეც ვერ მოგვრიდა ამგვარ შემაწუხებელ სისუსტეს... მწვანით მოსილ მინდვრის გარდა არა ერსათ-რა ჩვენს სარებს და ასე მოულოდნელად ამ მოძრავ უდაბნოში გადმოყარა ბედმა; ჩვენ იმედი მაინც გვიღვივოდა რამე და ისინი კი ამასაც მოკლებულნი იყვნეს; თავის განუკითარებელ გონებით ისინიც იგრძნობდნეს ამ სიღამოს გულის შემაწუხებელ სიშინელებას და მის წყვდიადში თავის უკვე მოახლოებულს სიკვდილის სასეს დაინახავდნენ.

ზანტად იცოცხებოდნენ, თითქო სულთ-მობრძავნი არიანო, გაშტერებული თვალით ზღვის უგუნოს შესჩერებოდნენ.

აქვე, ამათ გვერდით წავაქცეთ თითო-თითოდ, რიგ-რიგით ამათთან ერთად წამოყვანილი სარები. ეს ერთი კვიცავ, რაც ეს ორნი-და არიან და თითქო ერთმანეთს სიცოცხლეს უტებობდნენო, ერთმანეთის ეკვრიან, რქებით ფსანენ და ეალერსებიან.

აგერ კიბეზედ ერთი მოსიმსაუერეოაგანი ამოვიდა და ჩვეულებრივი სიტყვებით მომმართა: «ბ-ნო კაპიტანო, სარი უნდა დავკლათ».

დასწყევლოს ღმერთმა!... ძალიან ცუდად დავუსვდი საწყალ კაცს, თუმცა, ვიცი, მაგას ტყუილად ვუჯავრდები, რა ბრალი აქვს... მაგრამ, უბედურება მეტი ვნებავთ! სწორედ ამაში მოუნდებათ სარის დაკვლა, როდესაც მორიგი მე ვარ. მიდი-მოდის თავის ბატარა, ვიწრო სიდზედ მორიგი და იქვე, ქვეით საქონელსა სოცავენ. რაც უნდა ცდილობდეთ—თვალი მოარიდოთ, რაც უნდა ცდილობ-

დეთ—სსკვა იფიქროთ რამე, სულ რომ შორს, შორს ზღვაში გაიუურებოდეთ, მაინც გაიგებთ, თქვენდა უნებურად გაიგებთ, სიწყალს მაგრად-გათოკილს, მოკლედ-დაბმულს, შუბლში, რქებ შუა რომ ჩაქუსს ჩაჭვრამენ და ფიცრებზედ ზღართოსს გაიღებს... გეგონებათ ძვლების ლაწა-ლუწი მესმისო. უცბად გაატუაგებენ, გამოსწლაკენ... გულის ამრეკი, დამშვიდი სუნი ამოგარდება მის გაფაშულ მუცლიდან და ერთობ სუფთა, გაგრიალებული ფიცრები ასლა სიისლით და ბინძურობით ისვრება... ყარს აქსურობა...

მაშ ერთი სარი კიდეკ უნდა დაეკლათ. გემზედ მოსამსახურენი სეირის საყურებლად შეგროვდნენ. ორთაგან უფრო სუსტი ამოარჩიეს, უფრო გამხდარი, რომელიც ძლიესლა იმგრიდა. დასაკლავად მიჭყვადათ და ისიც სრული მორჩილებით მისდეკდა თავის მკვლელებს.

მეორე კი თვალს ადეგნებდა.

დიდონებულმა თვალი ეკლარ მოაშორა განწირულს ამსანაგს, ნელ-ნელა მოიდრინცა კისერი და რომ ნასა, ისიც იქით წაიყვანეს, სადაც წინად იმდენი ხარები დასოცეს, მიხედა. მცოხნაკ ბირუტყვის დაბალ შუბლ-ქეეშ თითქო რაღაცა ინათო, ერთი გულ-სკვლავად შეჭბღავლა... ღმერთო! ჩემს დღეში არავისი უვირილი არ მოჭხვედრია ჩემს გულს ასეი მწარე ჭვნესად, როგორც ამ ხარის ბღავილი მოსმენდა, თუმცა ვგრძნობდი ამისთანა შეუგნებელი, უცნაური ხსკა არა მსმენია-რა. რაღაც მძიმე საუკედური ისატებოდა ამ ბირუტყვის ბღავილში! მწარე საუკედური ჩვენ, ადამიანთადმი და თანაც ერთგვარი სუკდით სავსე მორჩილება და უიმედობა. თითქო თავისუფალი დაბღავლებაც კი მეტად მიაჩნია, თითქო ნანობს—რადა ვბღავი, თავს რად ვირტყვენ, ჩემს ჭვნესას ხომ არავინ გაიგებს, ხომ არავინ შემიბრალებსო? ქვეყანაზედ ეტყობოდა თავისი აღარავინ ეგულებოდა, ჭვრძნობდა, რომ უკელასგან მიეწყებული, მიტოვებული იყო და ბირუტყვი—თვალით ამბობდა თავის გულის-ტკივილს: დაიღ! ვეკერ დაჭკრა ყამმა აღსასრულისამ! ჩემი უკანასკნელი ძმა ეგ იყო... ერთად წამოგვიყვანეს იქიდან, მწკანე მინდვრიდან... ჩემი რიგიც მალე მოკა და სულიერს კვრავის იტყვით, რომ ან ის შეჭბრალებოდეს, ან მე შემიბრალოს!!.

არა! გასა მე არ მებრალებოდა?

მებრალებოდა და აგრე! რადაც გიჟურმა სიბრალულმა ამიტანა, მინდოდა ძირს ჩავსულიყავ, ჭუჭეიან ავადმყოფ ყელზედ მოგხვევოდი და იმოდენა, რქიანი თავი გულში ჩამეკრა... ამის მეტი საშუალება სხვა სომ არა გვაქვს-რა—რომ თვალი აგუბათ ტანჯულთ და მომაკვდავთ—თქვენი ნუგეშინის-მცემელნი კარი და კარს გასხვეივართო.

მაგრამ მართლაც მიტოვებული და მივიწყებული ყოფილა ქვეყანისაგან, რომ მეც კი—მე სომ შიგ გულში მეძგერა მისი კვნესა და სასოწარკვეთილება—მეც კი ფეს-უტვლელად კიდევ ჩემს ალაგას და კეტდილობდი—თვალი ამერიდებინა როგორმე. ან არა-და—გემისთვის გზა შემეტვლეინებინა და ისიც ერთი სარის გამო? სამოცი კაცისთვის გემრიელი სორცი მომეკლო, აქაო და ერთი სარის საცოდაობამ გამოიტანაო?!.. გაგიუებულაო, იტეოდნენ, თოკით დასაბმელი გამხდარაო!...

გემზედ ერთი ბატარა ბიჭი გეყავდა; იქნება ისიც ამ სარივით ყველასაგან ძივიწყებული, დაობლებული და იმაზედ უარესად ალერს მოკლებული იყო, კინ იცის? ალბად ამ ბატარამაც იგრძნო საწყალი ბირუტყვის სევდიანი ძახილი, გული აუჩქროლდა, მიუახლოვდა და ყელის ფსანა დაუწყო.

რომ ჩაჭეიქრებოდა, აი რას ეტყოდა ბატარა ბიჭი:

— «ნუ გეშინიან, სუყველანი დაიხოტებიან! ისინიც დაიხოტებიან, კინც სვალ შენი სორცით გაძღება. უძლიერესნი, უმშვენიერესნი... სულ, სუყველანი სიკვდილი მოელის. და მაშინ სიკვდილის ყამს იქნება იმათ უფრო მეტი ტანჯვა ელოდეთ, იქნება იმათ უფრო საშინელი განსაცდელი შესვდეთ, იქნება ისე ეწვალებოდნენ, რომ ცხარე ცრემლით ნატრობდნენ—ნეტავ იყოს კინმე, რომ შუბლში, სარსავით, ჩაქუჩი ჩაგვკრას და სული ამოგვსადოსო».

თითქო იგრძნოო ეს ალერსი, სარმა მადლობით გადასედა... მადლიერის თვალით შეჰყურებდა ბატარა ბიჭს, და ხელს ულოკავდა. მაგრამ მორჩა! ელვასავით გაანათა წელან მისი ტკინი ძლიერმა გრძნობამ და ელვასავით მსწრაფლვე ჩაქრა.

გარს ჯოჯოხეთური სიბნელე ერტყა, ქარი და სიცივე აწუხებდა და რადაც საშინელი ღამე; ვეერდით—თავის დაკლულ-ძმის ასო-ასოდ

დაკრიალ სორცს სედავდა და სასწყალმა სარმა თავისთვის მშვიდად წყნარად ტოსნა დაიწყო; მისი მოკლე ბეგუა ამაზედ შორს კელარა სჭრიდა; აღარაფერი ახსოვდა, აღარას ფიქრობდა.

ი. მ—ნი

---

3. კატა

ერთი ბებერი, გაქცეანებული კატა დაბინავდა ბემი სასლის მასლობლად ტროტუარზე, სადაც გიორგობისთვის სსიე-მერთალი მზე ტოტათი მაინც ათბობდა მას. ეტყობოდა პატრონებს გამოეგდოთ სახლიდან. ბერი გრძნობიერი და თავ-მოყვარე ადამიანი კერ იტანს დაუძლურებული ან ავადმყოფი ცხოველების დანახვას და შორს აგდებს მათ: «დეე, რაც უნდა მოუვიდეს, ოღონდ თვალით კი ნუ დავინახავ ამის ტანჯვა-წვალებასო».

შესეუშდებოდა ერთს რომელსამე ფანჯარაზე, მთელი დღე დაღვრემილი იჯდა და მეტად საწყლად და მშვიდად გამოიყურებოდა. გამკლელ-გამომკლელი ზიზღით პირს არიდებდა, ბავშვები და ძაღლები სდევნიდნენ,—განსაცდელი ელოდა ყოველ ფეხის გადადგმაზე. საჭმელს—ისიც დამპალს—ძლივ-ძლიობით პოულობდა ნაგავში და თანდათან უფრო და უფრო უძლურდებოდა. ასე უპატრონოდ, ტანჯვა-წვალებით ატარებდა წუთი-სოფელს და ყოველის ღონის-ძიებითა ცდილობდა განეშორებია მოახლოებული სიკვდილის წამი. იმის საცოდავს დამეწუკიანებულს და დაჩირქიანებულს თავზე ბეწვის ნასახსაც კი ველარა ნახავდით; მხოლოდ ლამაზი და თითქო აზროვნებით სავსე თვალები შერჩენოდა. ასეთს მის უიმედობას ზედ დაერთო სხვა უაღრესი უბედურებაც: კატა თავისებურად პირს ველარ იბანდა, ჩვეულებრივ ტანს ველარ ილოკავდა და ველარ ილამაზებდა,—და ეს სომ კატებისათვის სიკვდილზე უარესია.

მორთვა-გალამაზება დიდი რამ არის ცხოვრებაში! მე მგონია, როგორც ადამიანებისათვის, ისე ცხოველებისათვისაც მორთვა-გალამაზება შეადგენს უუსაჭიროესს გართობა-სიამოვნებას. რაც უნდა ღარიბი, რაც უნდა უძლური და ავადმყოფი იყოს არსება, მტირეო-

დეს დროს მაინც ასდომებს ასეთ მორთვა-გალამაზებას, თავის მოგლას, და ამ დროს კვლავ სწამს მას სიცოცხლის მნიშვნელობა და მისი ძალა. მაგრამ როდესაც ყოველივე ცდა ასეთის მოგლა-გალამაზებისათვის შეუძლებელი ხდება და სიცოცხლე ადგილს უთმობს არ-ყოფნას და სრწნილებას,—მე მგონია, ამაზე უაღრესი უბედურება შეუძლებელია-

გვიუურებია დოსტაქრებისათვის ოპერაციის დროს—და ის კი შემოგეტქროდა ნდობით და ბედნიერად სთვლიდა თავის თავს.—ახლა კი, ძლივს, შეეხვდი კეთილ სალხს, ასალ პატრონებს, რომელნიც თავშესაფარს მოიტანენ და მიპატრონებენო,—ფიქრობდა ალბად ის.

მე დავისარე მისკენ, ვიდიე ზიზღს და სელი გადავუსვი. სილიბისტრომ უკვე გადმოიტა ქალალდის ძაბრი, რომელიც გაეკეთილი იყო მომაკვდინებელი საწამლავით. თან სელს ვუსვამდი და თან ვცდილობდი, რომ მშვიდად წოლილიყო და ცხვირი ჩამეყოფინებინა საწამლავიან ძაბრში. ჯერ, ცოტა არ იყოს, ეს იმას უკვირდა. გამოურკვეველის შიშით დაუწყო ყნოსვა უცნობ სუნს,—მაგრამ ისეთის სიმშვიდით დაემორჩილა ჩემ მიერ მოსდენილ ოპერაციას, რომ ერთ წამს ეოეიმობა დავიწყე—მომეფანა სისრულეში ჩემი განზრახვა, თუ არა. ძალა-უნებურად შიშს ეძლევით, როდესაც სედავთ, რომ ცხოველი, როგორც ადამიანი, თან შეგნებასა ჭკვრეკვს, სულსა ლეკს, და თანაც ბჭობს: აქ ჩვენ ოვალ-წინ გვიდგება იგივე აუსსნელი და შემზარავი სიკვდილის ამოცანა. და სიკვდილი ხომ თავის-თავადაც ისეთი სიდიადით მოცული რამ არის, რომ მის მოახლოების დროს თვით უმნიშვნელო და უბრალო მოელენანიც კი ერთი-ორად მატულობენ და ზვიადდებიან. ამ წამს მე ჩემი თავი მიმაჩნდა ჯადოქარად, რომელიც თავის-თავად ალიფურეება უფლებით, რომ ტანჯულთ მოუვლანოს ის, რასაც თვითონა სთვლის უზენაესი განსვენებად და მათ ჩება-დაურთველად აღებს მათ-წინ ბჭეს გაუთენებელი ღამისას.

მხოლოდ ერთხელ აიღო მაღლა თავისი გაშეშებული თავი და შემომაშტერდა; ჩვენი თვალები შესვდნენ ერთმანეთს... გამომეტყველებით სავსე თვალებით, რომელთაც გამაკვირვეს თავისი შინაგანის ძალით, თითქო მეკითხებოდა: «რას მიშვრები? მე კი სრულიად მოგენდე შენ, თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც გიცნობ». მე ისევ შეეფოფმდი, მაგრამ კისერი მოსწყდა და ახლა კი იმისი სატოდავი და საზიზღარი თავი ჩემს სელზე იდო; მე სელი ადარ გამომიტლია. კატა სიკვდილის პირზე იყო და გულში იმედი მოშეტა, რომ უკანასკნელად ენებადი მის საყვედურითა სავსე თვალთა მეტყველებას.

მაგრამ რომ კიდევ შემომსდგომოდა? სალსის თქმულებით, კატებს სული ტანში აქვთ ჩაკეტილი. და აი, სულთ-მობრძავმა და მომაკვ-

დაკმა სელ-მეორედ აიღო თავი და სიკვდილის ბურანით ამღვრეულის თვალებით შემომაშტერდა; ეტყობოდა, ასლა კი მიმსვდარიყო ყველაფერს: «ჭო, ვგრძნობ, რაშიაც არის საქმე—გინდათ მომკლათ, განა?.. მაგრამ სომ სედავ, არ გიძალიანდები... გვიან-ღაა... ძილი მძლევს»...

შიშმა ამიტანა. იქნება მართლა კცდებოდი? ამ ქვეყნად, სადაც ჩვენ ის კიცით მსოლოდ, რომ არა კიცით-რა, უფლებაც კი არა გვაქვს, რომ ჩვენის ნებით ჩვენის არჩევით შეკიძულოთ ან შეკიყვაროთ კინმე. კატის მეტად ნაღვლიანი და მომაკვდავი გამომეტყველება სულ თავალ-წინ მედგა და სულ ერთ ადგილზე გულს მიღრღნიდა: «რა სელი გქონდა ჩემ საცოცხლესთან?—მეუბნებოდა ის,—შენ რომ არა, მე ცოტა სანს მაინც კიღოღიალებდი; ერთი კვირა მაინც კიცოცხლებდი კიდევ და ცოტა რამ თვიქრიც შემეძლო. კიდევ შემწეველა ძალა, ავსულიყავ შენს ფანჯარაზე; იქ კერც ძაღლები მწვდებოდნენ და არც ისე ძალიან მტიოდა. დიდ-დალობით, ნამეტნავად როცა მზე ანათებდა, ბეკრჯელ გამიტარებია გვარიანად რამდენიმე საათი; ერთობოდი ქუჩაში ცხოვრების მოძრაობით და თვალ-ყურს კადევნებდი გამვლელ-გამომვლელ კატებს. მაშინ კვრძნობდი რასმე მაინც და ესლა კი უნდა გარდავიქმნე ასეთ რამედ, რასაც არც გრძნობა შეუძლიან რისამე და არც ფიქრი; ამას შემდეგ მე აღარ კიქნები»!

მართლადაც, მე არ უნდა დამეიწყნოდა, რომ რაც უნდა დაუძლურებულნი იყვნენ არსებანი, ისინი მაინც ყოველი ღონის-ძიებით, ყოველი თავისი ძალ-ღონიით ცდილობენ განიმორონ როგორმე წუთი არ-ყოფნისა. ყველაფერს, მთლად ყველაფერს ამყობინებენ ამ შემზარავ არ-ყოფნას...

როდესაც საღამოზე მიკვდი და დავსედე კატას, ის იწვა გაცეკვებული, უძრავად, იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დაკტოკე საწამლავის მიტემის დროს. სილიბისტროს კუბრძანე, რომ გადაეფარებინა რამე კალთასათვის და გადაეგდო ქალაქ გარეთ, შორს სადმე მანდორში.

ს. —ძე

ᲐᲘᲕᲔᲜᲰᲝ

(გაგრძელება)

თავი მეშვიდე *)

> რაინდები, რომელთაც გარშემო საჭურველის მტვირთველნი ედგნენ, მდიდრულ ტანისამოსით დართულნი დასეირნობდნენ; ერთი ჩაჩქანს უსწორებდა, მეორეს შუბი ეჭირა, მესამე ფარს აძლევდა. ცხენი მოუთმენლად სცემდა ფეხებს დედამიწაზედ, ჰიხვინებდა და ღრღნიდა ოქროს ლაგამს. ნალბანდები და საქურველთ ხელოსანნი ცხენებით მისულიყვნენ და ზოგს ხერხი ეჭირა ხელში, ზოგს ჩაქური; ლურსმები და თასმებიც ბევრი მოეტანათ. ხალხი ქუჩებში მწკრივად იდგა; სოფლელებიც მოსულიყვნენ და ხელში ჯოხები ეჭირათ.
>
> დრაიდენი.— პალამონი და არსიტა.

ამ დროს ინგლისი სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეფე რიჩარდი დატყვევებული ჰყავდა ავსტრიის მზაკვარს და შეუბრალებელს გერცოგს. თვით იმ ადგილსაც კი უმალავდნენ ხალხს, სადაც იგი იყო დაპატიმრებული. მისი ქვეშევრდომნი საშინლად სწუხდნენ და არ იცოდნენ, რა მდგომარეობაში იყო მათი დაპატიმრებული მეფე.

პრინცმა იოანემ კავშირი შეკრა ფილიპე საფრანგეთელთან, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო რიჩარდ ლომ-გულისა და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ ავსტრიელს გერცოგს მისი ძმა რიჩარდი ტყვეობიდან არ გაენთავისუფლებინა,

*) «მოამბე» № 7

მაშინ როდესაც იგი დიდად იყო დავალებული თავისი ძმისაგან. იოანე სულ იმის ცდაში იყო, რომ სამეფოში ბევრი მომხრეები ეშოვნა და, როდესაც მეფე მოკვდებოდა, მისი კანონიერი მემკვიდრე გადაეყენებინა და სამეფო ტახტი თვითონ დაეჭირა. პრინცმა თავისი განზრახვა შეასრულა: მან მიიმხრო არამც თუ ისინი, რომელთაც მიზეზი ჰქონდათ შინებოდათ რიჩარდისა უკანონო საქციელისთვის იმის ტყვეობის დროს, არაშედ ისინიც, რომელნიც ჯვაროსნობის ომებიდან დაბრუნდნენ და თან აღმოსავლეთური ბიწიერებანი მოიტანეს; ამ უკანასკნელთ მთლად თავისი ქონება გაეფლანგათ და იმის იმედით-ღა იყვნენ, რომ შინაურობაში ამბოხება ატყდებოდა და ამით ისარგებლებდნენ.

ამ ხალხის უბედურებას ზედ დაერთო კიდევ სხვა უბედურებაც: ყაჩაღობა მეტის-მეტად გაძლიერდა. ბევრმა ვერ გაუძლო თავად-აზნაურობის მტარვალობას და ყაჩაღად გავარდა. რამდენიმე ერთად იკრიბებოდნენ, გზებს და ტყეებს ხელში იჭერდნენ და მთავრობას აღარაფრად აგდებდნენ. თვით ბარონები ამაგრებდნენ თავიანთ ციხე-დარბაზებს და ყაჩაღების მოთავეად ხდებოდნენ. თავად-აზნაურობა მდიდრულ ცხოვრებას იყო დაჩვეული და წელი კი აღარ მოსდეოდა, ამის გამო ებრაელებისგან დიდის სარგებლით იღებდა ვალს, ატარებდა უდარდელ ცხოვრებას და ამ ვალად აღებული ფულითვე ინახავდა ყაჩაღებსაც. მათი მიწა-წყალი მოვალეების ხელში გადადიოდა, თუ რომ რამე უკანონო მოქმედებით არ დაიხსნიდნენ თავს ვალისაგან. ამ უბედურმა მდგომარეობამ ხალხი გააღატაკა და ამის გამო ათასნაირი ჭირი და სნეულება ვავრცელდა მთელს სამეფოში.

ამ უბედურების დროს მთლად ხალხი, მდიდარი და ღარიბი, გლეხი და აზნაური დიდს მონაწილეობას იღებდა ხოლმე ასპარეზობაში, ბევრს ლუკმა პური ენატრებოდა და ამეების საცქერლად კი ფულს სადაც იყო შოულობდა. ვერც რამე მოვალეობა ვერც უძლურება ველარ დაიჭერდა ხოლმე ვერც ახალგაზდას და ვერც მოხუცს, როცა ასპარეზობის საცქერად უნდა წა-

სულიყო. ამ დროს ასპარეზობა აშბში იყო დანიშნული, ლეისტერის საგრაფოში. იქ უნდა მოეყარათ თავი გამოჩენილ რაინდებს და გამგებელი ამ ასპარეზობისა თვით პრინცი იოანე უნდა ყოფილიყო.

საასპარეზოდ ამორჩეულს ადგილს მშვენიერი მდებარეობა ჰქონდა: უკან ტყე ედო და წინ ხასხასი მწვანით შემოსილი მინდორი, რომელსაც გარშემო გორები ერტყა. ამ მინდორზედ იყო დაცემული ხუთი სხვა-და-სხვა ფერის კარავი რაინდებისა. ყველა კარვის წინ იმ რაინდის ფარი ეკიდა, რომელსაც ის კარავი ეკუთვნოდა. ყველა ფარს გვერდით საჭურველის მტვირთველი ედგა. ის კარავი, რომელიც შუა ადგილას იყო დაცემული, ეკუთვნოდა ბრიან დე ბოა გილბერს, როგორც გამოჩენილს რაინდს. ამ მინდვრის ერთი კუთხე ხალიჩებითა და ბალიშებით იყო დაგებული იმ ქალთა და თავად-აზნაურობისათვის, რომელნიც მოსვლას მოისურვებდნენ. დაბალი ხალხისთვისაც იყო გამართული ადგილები, მაგრამ რადგანაც ყველას არა ჰყოფნიდა, ამისთვის ბევრი მათგანი ხეებზედ ადიოდა და იქიდან უყურებდა თამაშას. რაინდების საბრძოლველი ადგილი კი ცალკე იყო შემოფარგლული.

იმ ადგილის პირდაპირ, სადაც რაინდების ბრძოლა უნდა შომხდარიყო, ძვირფასად მორთული ტახტი იყო დადგმული და ზედ სამეფო გერბი ეკრა. ამ ტახტს გარშემო საჭურველის მტვირთველნი და ქეშიკნი ეხვივნენ, რადგანაც პრინცი იოანე აქ უნდა დამჯდარიყო თავისი ამალით. ამ ტახტის პირდაპირ გამართული იყო კიდევ სხვა ტახტი, რომელიც მართალია ისე მდიდრულად არ იყო მორთული, როგორც პრინცის ტახტი, მაგრამ ბევრით არაფრით კი ჩამოუვარდებოდა. და მის ბაირაღზედ გამოხატული იყო გული დაკოდილი, აღგზნებული და გასისხლიანებული, ზედ-წარწერა აუწყებდა მკითხველებს, რომ ამ ადგილას უნდა დამჯდარიყო „დეოფალი მშვენიერებისა და სიყვარულისა“. მაგრამ ვინ იქნებოდა ეს დედოფალი, ჯერ არავინ იცოდა.

რაინდებმა და ბარონებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიჭირეს; ქალები უფრო ბევრნი მოსულიყვნენ ასპარეზობის სანახავად, ვიდრე კაცები, თუმცა ამ ამბის ნახვა მათ სქესს არ შეეფერებოდა. საშუალო წოდების ხალხმაც დაიჭირა თავისი ადგილი, მათ შორის ისეთი თავად-აზნაურნიც ერივნენ, რომელთაც სიღარიბისა გამო კარგი ადგილის დაჭერა არ შეეძლოთ. ეი ამათ შორის ხშირად ხდებოდა ხოლმე ჩხუბი.

— ურწმუნო ძაღლო!—ეუბნებოდა ერთი ღარიბად ჩაცმული მოხუცი, რომელსაც ხმალ-ხანჯალზედ და ოქროს ძეწკვზედ ეტყობოდა, რომ აზნაური უნდა ყოფილიყო:—წყეულო მგელო! როგორ მიბედავ ხელის წაკვრას მე ქრისტიანსა და მონდიელს სისხლის აზნაურს?

ამას ეუბნებოდა ჩვენს ნაცნობს ებრაელს ისაკს, რომელიც მდიდრულად იყო ჩაცმული და ცდილობდა წინ ეშოვნა ადგილი თავისი მშვენიერი ასულის რებეკასათვის. ქალი ცოტა არ იყოს შეკრთა ამ ხალხის ყაყანის დროს. მაგრამ ისაკი, რომელიც სხვა დროს მხდალი გვინახავს, ეხლა გულ-მაგრად იყო და იცოდა, რომ აქ არაფრისა არ უნდა შინებოდა, რადგანაც პრინცი იოანე სწორედ ამ დროს ფულს უნდა დასესხებოდა ებრაელებს მამულის გირავნობით და ისაკიც ამ საქმეში დიდს მონაწილეობას იღებდა. ამ იმედით ისაკი უფრო წინ იწევდა და ყურადღებას არ აქცევდა ნორმანელ ქრისტიანის ჩამოძახილობას და ღირსებას. ებრაელის ასეთმა საქციელმა ხალხი მეტის-მეტად გააბრაზა. შვილდ-ისრით შეიარაღებული ერთი მაღალი და მოსული ტანის კაცი მიუბრუნდა ურიას და მრისხანებით უთხრა, რომ შენ უსამართლოდ შეძენილს სიმდიდრეს იმ ობობასავით გაუბერიხარ, რომელიც კუთხეში ზის და მოშორდება თუ არა ამ კუთხეს მაშინვე ფეხ-ქვეშ გაისრისებაო. ამას შემდეგ ურიამ უკან დაიწია და უსათუოდ სრულიადაც მოშორდებოდა ამ საშიშარ კაცს, თუ რომ ამ დროს ყველას ყურადღება არ მიექცია პრინცს იოანეს, რომელიც გამოვიდა ასპარეზზედ მთელის თავისი დიდებულის ამალით. მათ

რიცხვში სასულიერნო პირნიც ერიენენ, რომელთა შორის მამა აიმერიც იყო.

პრინცი იოანე თავისი ამალით დაათამაშებდა თავისს ქურანს ცხენს მოედანზედ და თან მშვენიერს ქალებს ათვალიერებდა. ამ დროს მან შენიშნა მშვენიერი ასული სიონისა რებეკა, რომელიც თავის მამა ისაკს ედგა გვერდით. რებეკა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სილამაზით იქ დამსწრე ქალთა. მას ისე მდიდრულად ეცვა, რომ მაღალი წოდების ქალნიც კი შურით უყურებდნენ.

— აბრამის მელოტ თავსა ვფიცავ!—სთქვა აღტაცებით პრინცმა იოანემ:—ეს ებრაელი ქალი იმ ქალზედ ტურფა იქნებოდა, რომელმაც ბრძენი მეფე უგუნურობამდინ მიიყვანა. რას იტყვი ამაზედ, მამაო აიმერ? გეფიცები ამ წმინდა მეფის ტაძარს, რომელიც ჩვენმა ბრძენმა ძმამ რიჩარდმა ვერ გაანთავისუფლა, რომ ეს ნამდვილად ის სასძლოა, რომელიც ქებათა-ქებათაშია მოხსენებული.

— დიაღ, იგი ნამდვილი ვარდია, იაა მდელოსი! მაგრამ ამასთანავე ნუ დაგავიწყდებათ, თქვენო უმაღლესობავ, რომ იგი მაინც ებრაელი ქალია,—უთხრა აიმერმა საზიზღარის კილოთი.

— დიაღ,—დასძინა პრინცმა იოანემ და მის სიტყვებს კი ყურადღება არ მიაქცია:—აგერ ჩემი უღვთო მამონიც, ბარონი ვიზანტიურის ოქროებისა; იგი ეჩხუბება ადგილის გამო ძაღლებს, რომელთაც გროში არა აქვსთ და გაცხავებულს ჯიბეში ჯვარიც არ უდევთ, რომ ეშმაკი მოიშორონ. გეფიცები წმინდა მაგრიკის სხეულს, რომ ჩემი თამასუქების თავადის ქალს კარგს ადგილს ვუშოვნი.—ვინ არის შენი, ისაკ, ცოლია თუ ქალი, ის აღმოსავლეთის ტურფა, რომელიც ხელით გიჭირავს, თითქო იგი შენი ფულის ყუთი იყოს?

— ეს ჩემი ქალია, რებეკა,—მიუგო ისაკმა უმდაბლესად თავის დაკვრით და სრულიადაც არ შეკრთა იოანეს სალამით, რომელიც იმდენადვე დაცინვა იყო, რამდენადაც თავაზიანობა.

— უფრო კარგი შენთვის,—უთხრა იოანემ ხარხარით, რომელსაც ბანი მისცეს დანარჩენმა მხიარულმა თანამოგზაურებმაც:—ქალია შენი თუ ცოლი, იგი პატივცემული იქნება თავისი სილამაზის და შენი ღვაწლის შესაფერად. ვინა ზის მანდა?—განაგრძო მან და გალერეიას დააცქერდა.—ეგენი ვინ გაშოტილან მანდა? ა! ბრიყვი საქსონელები არიან! დაე მიიწმოიწიონ და ჩემს მევახშეთა მეფეს და მის მშვენიერს ასულს ადგილი მისცენ. მე მინდა ვასწავლო მონებს სინაგოგის წარმომადგენელთა პატივის ცემა და ადგილის მიცემა.

ამ დროს ხალხმა ყიჟინა შექნა და საყვირებიც დაუკრეს, რაიცა ნიშანი იყო იმისა, რომ ერთი რიგობა რაინდების ბრძოლა გათავდა. გამარჯვებულნი თავ-თავიანთ კარავში დაბრუნდნენ, ხოლო დამარცხებულნი კი სირცხვილით გავიდნენ ასპარეზიდან, და დაიწყეს მოლაპარაკება ცხენებისა და იარაღის გამოხსნის შესახებ, რომელნიც ასპარეზობის კანონით გამარჯვებულთ ეკუთვნოდათ. მხოლოდ მეხუთე რაინდი რამდენსამე ხანს ისევ მეიდანზედ იდგა და ხალხი ტაშს უკრავდა, მაგრამ ესეც მალე გავიდა ასპარეზიდან.

ამას შემდეგ რამდენჯელმე კიდევ მოხდა ბრძოლა რაინდებისა, მაგრამ ყოველთვის ნორმანელი რაინდები იმარჯვებდნენ. ეს ყველაზედ ძალიან ცედრიკ საქსონელს სწყინდა და არა ერთხელა სთხოვა ატელსტენს საბრძოლველად გასვლა. ატელსტენი კი ეუბნებოდა, ხვალ ეიბრძოლებო. ბრძოლის ასპარეზი კარგა ხანს ცარიელი იყო, მხოლოდ გეროლდები დადიოდნენ და ყვიროდნენ: გამოდით მამაცნო, რაინდნო! მშვენიერი ქალები თქვენ შემოგცქერიან!

სარკინოსული მუსიკა დაჩუმდა და ჩრდილოეთის მხრიდან მოისმა ბრძოლის მაუწყებელი საყვირის ხმა. ყველამ იქითკენ მიიხედეს და უცნობ რაინდს დაუწყეს ცქერა. უცნობი რაინდი შუატანის კაცზედ ცოტა მაღალი იყო და როგორც ეტყობოდა მაგარი აგებულებისა არ უნდა ყოფილიყო. მას ფოლადის კარგი აბჯარი ეცვა და მის შუბლზედ ეშბლემად ძირანად ამოგლეჯილი მუხა იყო გა-

მოხატული შემდეგის ზედ-წარწერით: **სამკვიდრებელს მოკლებული.** რაინდი გამოვიდა ასპარეზზედ თავისი შავი ცხენით და მოხდენილად მიესალმა ქალებს. მისმა ასპარეზზედ გამოსვლამ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა და მის გამარჯვებას ნატრულობდნენ. იგი მივიდა შუა კარავთან და თავისი შუბი ბრიან დე ბოა გილბერის აბჯარს ღონივრად დაჰკრა. ამ გამბედაობამ ყველანი გააკვირვა, მაგრამ უფრო ძლიერ გაოცდა თვით ბოა გილბერი, რომელიც არხეინად იდგა კარვის კარებთან.

— მერე მოინანიე კი შენი ცოდვები, ჩემო ძმაო?—ჰკითხა ტაძრის რაინდმა:—და ან დღეს დილით მოგისმენია ცისკარი, რომ შენს თავს ასეთს განსაცდელში აგდებ?

— მე შენზედ კარგად შევეყრები სიკვდილსა,—მიუგო „სამკვიდრებელს მოკლებულმა“ რაინდმა.

— მაშ დაიჭირე ასპარეზზედ შენი ადგილი,—უთხრა ბოა გილბერმა:—და უკანასკნელად შეხედე მზესა:—ამაღამ შენ სამოთხეში მოგიხდება ძილი.

— გმადლობ ზრდილობისათვის, — მიუგო სამკვიდროს მოკლებულმა რაინდმა:—და გირჩევ ცხენი და იარაღი გამოიცვალო: პატიოსნებას გეფიცები, იგინი შენთვის საჭირონი იქნებიან.

ეს უთხრა და ისე მარჯვედ დასწია უკან ცხენი, რომ ხალხმა ტაში დაუკრა. როდესაც ეს ორი რაინდი ერთმანეთის პირდაპირ დადგნენ, ხალხის მოუთმენლობა უმაღლეს წერტილამდინ მივიდა. თუმცა არავის იმედი არა ჰქონდა, რომ „სამკვიდროს“ მოკლებული რაინდი გაიმარჯვებდა, მაგრამ მის გამბედაობას ყველანი თანაუგრძნობდნენ.

როგორც კი დაუკრეს საყვირი, ორივე მოწინააღმდეგენი გამოცვივდნენ ასპარეზზედ და შუა ადგილას შეიჯახნენ. ორივეს შუბები დაემტვრათ და ყველას ისე ეგონათ, ორივენი გადმოცვივდნენო; რადგანაც მათი ცხენები უკანა ფეხებზედ ჩაიკრიფნენ. მათ საჭურველის მტვირთველთ გამოართვეს ახალი შუბები და ხელ-ახლად შეეჯახნენ ერთმანეთს, ისევე ფიცხელად და ძლიერად, როგორც წინად.

ამ მეორედ შეჯახების დროს ტაძრის რაინდი თავისს შუბს მოწინააღმდეგის ფარს შიგ შუა გულში უმიზნებდა და ისე მარჯვედაც მოახვედრა, რომ შუბი გადაუტყდა: უცნობი რაინდი დაბარბაცდა ცხენზედ და შუბის წვერი იმის ფარში დარჩა. „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი პირველად ფარში უმიზნებდა, მაგრამ შემდეგ მიზანი შესცვალა და შუბი ისე ძლიერად დააძგერა ცხვირის ზუჩში, რომ შუბის წვერი ჩაჩქანში დარჩა. ტაძრის რაინდი უსათუოდ სამაგიეროს გადაუხდიდა, თუ რომ ამ დროს უზანგი არ გასწყვეტოდა და არ წაქცეულიყვნენ ცხენიცა და მხედარიცა.

ტაძრის რაინდი საშინელის სისწრაფით წამოხტა ზეზე, ხმალი ამოიღო და მოწინააღმდეგეს მიეტია, მაგრამ ასპარეზობის გამგებელთ გამოუცხადეს, რომ ეგ უკანონობაა.

— იმედი მაქვს როდისმე კიდევ შევხვდებით ერთმანეთს,— უთხრა გაბრაზებულმა ტაძრის რაინდმა:—მაშინ ჩვენს საქმეში არავინ გაერევა.

— თუ არ შევხვდებით,—მიუგო უცნობმა რაინდმა:— ჩემი ბრალი არ იქნება. როგორც გინდათ და რა იარაღითაც გნებავდეთ, მე ყოველთვის მზადა ვარ შეგებრძოლოთ.

გამარჯვებულმა რაინდმა უბრძანა თასით ღვინო მოეტანათ; როდესაც მოუტანეს, მან ადღეგრძელა ყველა ნამდვილი ინგლისელი და ინატრა უცხო ქვეყნელი მტარვალების განდევნა. ამას შემდეგ მან კიდევ დააკვრევინა საყვირი და უბრძანა ჰერელოდს გამოეცხადებინა—ვინ ისურვებდა მასთან ბრძოლას.

კიდევ გამოვიდნენ რაინდები ფრონ დე ბეფი, მალვოაზენი, მაგრამ უცნობმა რაინდმა ყველანი დაამარცხა. როდესაც პრინცმა გამოაცხადა, რომ დღევანდელი ჯილდო „სამკვიდროს მოკლებულს“ რაინდს ეკუთვნისო, მაყურებლებში დიდი სიხარულის ყიჟინა ასტყდა.

თავი მერვე

შუაში იჯდა მედიდურის სახის ქალბატონი, ნამდვილი დედოფალი ტანითა და მშვენიერებითა.

როგორც მშვენიერებით სჯობდა იგი ყველას, ისე ტანისამოსიც სხვებზედ კეთილ-შობილური ეცვა. შუბლს უმშვენებდა ოქროს გვირგვინი, ძვირფასი, მაგრამ უბრალო; მას ხელში ბზა ეჭირა, რომელიც იყო სიმბოლო იმის უფლებისა.

დრაიდენი.—ყვავილი და ფოთოლი.

ასპარეზობის გამგებელნი მივიდნენ განარჯვებულ რაინდთან და სთხოვეს პირიდან ჩაფხუტი აეხადა, ვიდრე მას პრინც იოანეს წარუდგენდნენ. „სამკვიდრებელს მოკლებულმა“ რაინდმა ამაზედ უარი უთხრა და გამოუცხადა, რომ ამის მიზეზი ჰეროლდებისთვის მითქვამს ბრძოლის წინადაო. ასპარეზობის გამგებელნი სრულიად დაკმაყოფილდნენ ამ პასუხით, რადგანაც იმ დროს რაინდები ხშირად სდებდნენ ხოლმე აღთქმას არ გამოეცხადებინათ თავიანთი ვინაობა, ვიდრე რამე დიდს ღვაწლს არ ჩაიდენდნენ; პრინცს მოახსენეს, რომ უცნობს რაინდს თავისი ვინაობის გამოცხადება არ უნდაო და სთხოვეს ისე წარედგინათ მისთვის გმირობის საჩუქრის მისაღებად.

რაინდის ვინაობის გაუგებრობამ პრინც იოანეს ცნობის მოყვარეობა გაუცხოვლა და რადგანაც უკმაყოფილოდ იყო თავისი საყვარელი რაინდების დამარცხებით, მკვახედ მიუგო ასპარეზობის გამგებელთ.

— ღვთის-მშობელს გეფიცებით! ეს რაინდი ზრდილობასაც ისევე მოკლებული იქნება, როგორც სამკვიდრებელს, თუ რომ მას უნდა ჩვენთან პირ-ჩამოფარებული მოვიდეს. ბატონებო,— უთხრა მან ამალას,—ვერ გაიგებთ ვინ არის ეს რაინდი, რომელიც ასე თავხედად იქცევა?

— მე ვერ შემიძლიან გაგება,—მიუგო დე ბრასიმ,—და არცა მგონია, რომ ოთხ ზღვას შუა, ბრიტანიას გარს რომ

არტყიან, ისეთი მხედარი მოიპოვებოდეს, რომელმაც ერთს დღეს ხუთი ასეთი რაინდი დაამარცხოს. მე თავისს დღეში არ დამავიწყდება, როგორ დაამარცხა დე ვიპონტი. საწყალი რაინდი იოანე იერუსალიმელისა ისე გადმოვარდა უნაგირიდან, როგორც შურდულიდან ქვა.

— მაგით ნუ ტრაბახობ!—უთხრა იოანე იერუსალიმელის ერთმა რაინდმა, რომელიც ამალაში იმყოფებოდა:—თქვენი მეგობარი, ტაძრის რაინდი, ნაკლებად არ დამარცხდა. მე ვნახე, როდესაც ცხენიდან გადმოვარდნილმა გილბერმა სამჯერ გადაიარა ყირამალა.

ტაძრის რაინდის მეგობარს დე ბრასის პასუხი უნდოდა მიეცა, მაგრამ პრინცმა დაასწრო:—დაჩუმდით ბატონებო! რასაჭიროა უსარგებლო კამათობა?

— გამარჯვებული,—უთხრა დე ვივილმა:—თქვენი უმაღლესობის ბრძანებას ელის.

— ვუბრძანებთ მოიცადოს,—მიუგო იოანემ:—ვიდრე მაგის ვინაობას ვინმე გაიგებდეს. დაღამებამდინაც რომ მოიცადოს, იმდენი იმუშავა, რომ არ გაიყინება.

— თქვენო უმაღლესობავ,—გაერია ლაპარაკში ვალდემარ ფიტცურზი,—არაფერი ჯილდო იქნება გამარჯვებულისათვის, თუ რომ იმას იმდენ ხანს მოაცდევინებთ, ვიდრე ჩვენ იმის ვინაობას გავიგებთ; ჩემის მხრით მე მაინც არ შემიძლიან იმის ვინაობის გაგება; იქნება იგი ეკუთვნოდეს იმ გმირ რაინდებს, რომელნიც რიჩარდს გაჰყვნენ პალესტინაში და ეხლა უკან ბრუნდებიან წმინდა ადგილიდან.

— გრაფი სალისბიური ხომ არ არის?—უთხრა დე ბრასიმ:—იგი თითქმის მაგის ტანისაა.

— უფრო ბატონი ტომას დე მულტონია იქნება,—შენიშნა ფიტცურზმა:—სალისბიური იმაზედ სქელია. ამალაში ჩურჩულებდნენ:—„იქნება მეფეა; იქნება თვით რიჩარდ ლომ-გულია“!—მაგრამ ვინ ჩაგონა მათ ეს აზრი, არავინ იცოდა.

— ღმერთმა ნუ ქნას!—წამოიძახა პრინცმა და გაყვითლებული უკან-უკან წავიდა:—ვალდემარ! დე ბრასი! მამაცნო რაინ-

დნო და დიდებულნო! ნუ დაივიწყებთ აღთქმას და ჩემი მომ-ხრე იყავით.

— მე აქ არავითარს განსაცდელს არა ვხედავ,—მიუგო ფიტცურზმა:—ნუ თუ აგრე მალე დაგავიწყდათ ახოვანი ტანი თქვენის ძმისა? დე ვივილო და მარტივალო! თქვენ პრინცს უფრო დიდს სამსახურს გაუწევთ, თუ გამარჯვებულს რა-ინდს ტახტის წინ მოიყვანთ და ბოლოს მოუღებთ იმ ეჭვს, რო-მელმაც ფერი დაუკარგა მის უმაღლესობას. ყურადღებით დააც-ქერდით მას, თქვენო უმაღლესობავ, და დაინახავთ, რომ იგი რამდენიმე გოჯით დაბალია რიჩარდზედ, რომელსაც ბეჭები ბევრით უფრო განიერი აქვს უცნობს რაინდზედ. თვით ამ რა-ინდის ცხენიც ერთს ბრძოლაშიაც ვერ შეუძლებდა მეფე რი-ჩარდის სიმძიმეს.

ამ დროს გამარჯვებული რაინდი მიიყვანეს პრინცი იოა-ნეს ტახტის კიბესთან. იგი მიესალმა მას და უცნობმა რა-ინდმაც მდუმარებით თავი დაუკრა. პრინცმა მეჯლისში დაჰპატიჟა, მაგრამ რაინდმა ზრდილობიანად უარი განაცხადა. ეხლა გამარჯვებულს რაინდს მოსთხოვეს თავის გემოვნება ეჩვე-ნებინა და ამოერჩია ქალი, ღირსი მშვენიერების ტახტზედ და-ჯდომისა.

— ბატონო „სამკვიდროს მოკლებულო“ რაინდო,—უთ-ხრა პრინცმა იოანემ:—თქვენ უნდა ამოარჩიოთ ქალი, რომე-ლიც, როგორც დედოფალი პატიოსნებისა და სიყვარულისა, თავ-მჯდომარედ უნდა იყოს ხვალინდელის თამაშობისა. მე თქვენ, როგორც უცხო ქვეყნელს, უნდა გაცნობოთ, რომ ჩვეულები-სამებრ დედოფლად ირჩეოდა ხოლმე ალისა, ასული ფიტცურ-ზისა. მაინცა და მაინც თქვენ ნება გაქვთ, ვინც გინდათ, ის ამო-არჩიოთ. ამართეთ შუბი.

რაინდმა შუბი ამართა და პრინცმა მასზედ დადო მწვანე ატლასის გვირგვინი, რომლის ზევითა პირზედ გამოხატული იყო ისარი და გული. პრინცმა ალისაზედ იმისთვის უჩვენა, რომ ფიტცურზის გული მოეგო, მაგრამ ის მხოლოდ გაჯავრდა და

წაიბუტბუტა, რომ ჩემს ქალს უმაგისოდაც საკმაო თაყვანის-მცემელნი ჰყავსო.

უცნობმა რაინდმა გაიარა ალისას წინ და შესდგა იმ ადგილას, სადაც ცედრიკ-საქსონელი იჯდა, რომელიც თვალს ადევნებდა გამარჯვებულს რაინდს ცნობის მოყვარეობითა და აღტაცებით. ქალბატონი როვენაც ცედრიკის გვერდით იჯდა და ისიც თვალ-ყურს ადევნებდა რაინდის მოძრაობას. ისაკიც უყურებდა რაინდს, მაგრამ იმისთვის, რომ ცხენისა და იარაღის დაკარგვისა ეშინოდა.

— თუ რომ იგი თავის თავს განსაცდელში აგდებს ასეთის საშინელის ბრძოლით,—უთხრა ისაკს თავისმა ლამაზმა ქალმა:—განა შეიძლება-ღა მოვთხოვოთ მას, რომ იგი ცხენსა და იარაღს გაუფრთხილდეს?

— ახ, ჩემო შვილო! შენ თვითონაც არ იცი, რას ამბობ. სიცოცხლე და სხეული—იმის საკუთრებაა, ცხენი და იარაღი კი—ეკუთვნის... ოხ, ღმერთო ჩემო! აი კიდევ ხელ-ახლად აპირობს ბრძოლას!

— წმინდაო იაკობ! რა უნდა მეთქვა... მაგრამ იგი კეთილი გულის ყმაწვილია. აბა შეხედე, რებეკა! შეხედე: იგი კიდევ მზად არის ფილისტიმლიანელს შეებრძოლოს... ილოცე, ჩემო შვილო, ილოცე კეთილი გულის ყმაწვილი კაცისათვის... მისი კარგი ცხენისა, მისი მდიდრული იარაღისათვის. ღმერთო მამათა ჩემთაო! აგერ ფილისტიმლიანელიც დაამარცხა. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოწინააღმდეგეთა ოქრო-ვერცხლი, მათი ცხენები და იარაღი სულ იმას ერგება.

რაინდი, რომლის გულისთვისაც ასე სწუხდა ებრაელი, ჩაფიქრებული იდგა ერთს ადგილას, მერე წყნარ-წყნარა წავიდა, თავისი შუბი მშვენიერ როენას წინ დასდო და გვირგვინი გადასცა. მაშინვე მუსიკა დაუკრეს და ჰეროლდებმა როენა ასპარეზობის მეფად გამოაცხადეს.

ნორმანელ ლამაზ ქალთა შორის უკმაყოფილება გაისმა. მათ ძალიან სწყინდათ, რომ უცნობმა რაინდმა გვირგვინი სა-

ქსონელს მშვენიერს ქალს მისცა. ამ უკმაყოფილებას ბოლო მოუღო ხალხის ყვირილმა: „გაუმარჯოს ქალბატონ როენას, ამორჩეულს და კანონიერ მეფეს სიყვარულისას და მშვენიერებისას!“

თუმცა პრინცს იოანეს არაფრად იამა როენას ამორჩევა, მაგრამ მაინც მივიდა მასთან და უთხრა.

— მიიღეთ, მშვენიერო ასულო, ნიშანი თქვენის უფლებისა და პატივისცემა იოანე ანჟუელისა. იმედი გვაქვს, თქვენ თქვენის აღმზრდელით და მეგობრებით გვეწვევით მეჯლისში, რომელიც აშბის ციხე-დარბაზში იქნება გამართული.

როენა ჩუმად იყო და მის მაგივრად ცედრიკი აძლევდა პასუხს საქსონურად.

— ქალბატონმა როენამ არ იცის ის ენა, რომელიც საჭიროა მადლობის გადასახდელად და მეჯლისში დასასწრობლად. მეცა და კეთილშობილი ატელსტენიც მხოლოდ საქსონურად ვლაპარაკობთ და ჩვენი მამა-პაპათა ჩვეულება მტკიცედ გვიჭირავს. ჩუენ ყველანი მადლობელნი გახლავართ დაპატიჟებისათვის, მაგრამ მეჯლისს კი ვერ დავესწრობით.

ეს რომ სთქვა, ცედრიკმა გვირგვინი აიღო და როენას დაადგა თავზედ ნიშნად იმისა, რომ იგი ღებულობს მინიჭებულს უფლებას.

— რას ამბობს იგი? იკითხა პრინცმა იოანემ, თითქო საქსონური ენა არ იცისო. ცედრიკის ნათქვამი ფრანგულად გადაუთარგმნეს.

— კარგი! სთქვა იოანემ, ამ მუნჯ დედოფალს ხვალ ჩვენ თვითონ დავსვამთ საპატრო ადგილზედ. თქვენ მაინც არ დაესწრობით, ბატონო რაინდო, ჩვენს მეჯლისს?—უთხრა ჯერ ისევ იქ მდგომს გამარჯვებულს რაინდს.

რაინდმა ბოდიში მოიხადა და უთხრა, რომ დაღლილობის გამო ვერ დავესწრობიო, მით უმეტეს, რომ ხვალ კიდევ უნდა ვიბრძოლო და დასვენება ჩემთვის საჭიროაო.

ამას შემდეგ პრინცმა ცხენი გააბრუნა და უნდოდა თავისი ამალით წასულიყო, მაგრამ ამ დროს უცბად შენიშნა მეშვილდ-ისრე, რომელმაც ასპარეზობის დროს გააჯავრა და თავისს მხლეგლებს უთხრა:

— ეს კაცი არსად წავიდეს, თორემ მაგის მაგივრად თქვენ თეითონ დაისჯებით.

მეშვილდ-ისრემ თამამად შეხედა პრინცს და უთხრა:

— მე აშბიდან არსად წავალ.

— ჩვენ ეს ვაჟბატონი უნდა გამოვცადოთ, აბა ვნახოთ როგორი მეშვილდ-ისრე არის,—უთხრა პრინცმა თავის ამალას.

პრინცი თავის ამალით წავიდა და ხალხმაც დაშლა დაიწყო. მომეტებული ნაწილი აშბისაკენ წავიდნენ, ამათ რიცხვში რაინდებიც იყვნენ, რომელთაც ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა და ან მეორე დღეს აპირობდნენ ბრძოლას. პრინც ოანეს და რაინდებს ხალხი დიდის ყიჟინით ეგებებოდა და სალამს აძლევდა.

ხალხი უფრო გულ-წრფელად ეგებებოდა გამარჯვებულს რაინდს, რომელიც იქვე ბრძოლის ველის გარედ დაცემულს კარავში შევიდა, რომ ხალხი არ ასდევნებოდა. მალე ყველაფერი მიწყნარდა, მხოლოდ სამჭედლოებში გაჩაღდა ცეცხლი და მჭედლები გაფუჭებულ აბჯრების გაკეთებას შეუდგნენ.

თავი მეცხრე

> როგორც უბედურების მომასწავებელი ყვავი თავის ჩხავილით სულთ-მბრძოლის ლოცვას უკითხავს ხოლმე ავადმყოფს და შუაღამისას თავისი შავი ფრთებიდან იბერტყავს სნეულებას, სწორედ ასე თავს დაეცა კრისტიანებს დატანჯული ბარაბა და წყევლა-კრულვას უთვლიდა.
>
> მალტიელი ურია.

როგორც კი შევიდა კარავში „სამკვიდროს მოკლებული“ რაინდი, მაშინვე საჭურველთ მტვირთველნი და მოსამსახურე-

ნი შემოეხვივნენ გარშემო. მას ჩამოართვეს იარაღი, ამჯარი გახადეს და საბანებელი წყალი მოუმზადეს.

გაათავა თუ არა პურის ჭამა, მოსამსახურემ მოახსენა, რომ ხუთმა კაცმა ცხენები მოიყვანეს და თქვენთან მოლაპარაკება უნდათო. „სამკვიდროს მოკლებულმა“ რაინდმა გრძელი ტანისამოსი ჩაიცვა და პირისახე დაიფარა, რომ არ ეცნოთ.

დამარცხებულ რაინდებს ამ ხუთი კაცისათვის ცხენები და იარაღი გამოეტანებინათ და მათ მაგივრად სასყიდლის მიღებას სთხოვდნენ; რაინდი მივიდა კარვის კარებთან და დაინახა, რომ ყველა საჭურველის მტვირთველს თავის ბატონი რაინდის ის ცხენი და იარაღი მიეტანათ, რომლითაც იგინი იმ დღეს უცნობ რაინდს შეებრძოლნენ.

— რაინდობის კანონისამებრ, მე, საჭურველის მტვირთველს ბრიან დე ბოა გილბერისას მომირთმევია თქვენთვის, „სამკვიდროს მოკლებულ“ რაინდად წოდებულისათვის, ცხენი და იარაღი, რომლითაც დღეს ბოა გილბერი შეგებრძოლათ და სრულიად თქვენს ნებაზეა დამოკიდებული ან ესენი მიიღოთ და ან მათ მაგივრად სასყიდელი.

დანარჩენ საჭურველის მტვირთველთაც თითქმის ამნაირადვე მოახსენეს გამარჯვებულ რაინდს და პასუხს ელოდნენ.

— თქვენთვის და თქვენი პატივცემული ბატონებისათვის,— უთხრა რაინდმა უკანასკნელ ოთხს საჭურველის მტვირთველს:— მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: ჩემს მაგივრად მადლობა მოახსენეთ რაინდებს და უთხარით, რომ ჩემის მხრით დიდი უსამართლობა იქნებოდა, თუ მე მათს ცხენებსა და იარაღს მივიღებდი. მე ამით მინდოდა გამეთავებინა ჩემი პასუხი, მაგრამ რადგანაც მე სწორედ ისეთი ვარ, რა სახელსაც ვატარებ, ესე იგი „სამკვიდროს მოკლებული“, ამისათვის იძულებული ვარ ვთხოვო თქვენს ბატონებს, რომ თავიანთი ცხენები და იარაღი ფულით გამოისყიდონ, რადგანაც ის ამჯარი, რომელსაც მე ვატარებ, ჩემი არ არის.

ოთხმა საჭურველის მტვირთველმა მაშინვე მიართვეს ფული გამარჯვებულ რაინდს, რომელმაც ამ ფულის ნახევარი

ასპარეზობის მეჯინიბეებსა და მოსამსახურეებს მისცა. ბოა გილბერის საჭურველის მტვირთველს კი შემდეგი პასუხი მისცა:

— თქვენი ბატონისაგან მე არც იარაღს მივიღებ და არც სასყიდელს, მას უთხარ ჩემს მაგიერად, რომ ჩვენ შორის მტრობა არ გათავებულა... არა-თქო! და არც გათავდება, ვიდრე ხმლითა ან შუბით ერთმანეთს სასიკვდილოდ არ შევებრძოლებით-თქო. თვითონ იმან გამომითხოვა ასეთს ბრძოლაში და მეც მზადა ვარ. უთხარი აგრეთვე ისიც, რომ მე იმას იმ რაინდებს არ ვადარებ, რომლებსაც მზადა ვარ ყოველთვის თავაზიანად მოვექცე, მე იმას ჩემს მტრადა ვთვლი და პასუხის გებასაც შევიძლებ.

— ჩემს ბატონს,—უთხრა ბოა გილბერის საჭურველის მტვირთველმა:—ყოველთვის შეუძლიან ავისათვის ავი მიაგოს და კარგისათვის კარგი. თუ თქვენ უარსა ჰყოფთ მიიღოთ მისი სასყიდელი, როდესაც სხვა რაინდებისაგან უკვე მიიღეთ, მაშინ იძულებული ვარ აქ დავტოვო ცხენიც და იარაღიც, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბატონი ამ ცხენზედ ჯდომას და ამ იარაღს ტარებას თავის დღეში არ იკადრებს.

— თქვენ როგორც ერთგული საჭურველის მტვირთველი ისე მელაპარაკებით, ამასთანავე ისე უშიშრად, როგორც შეშვენის მას, ვინც თავის ბატონის ღირსებას იცავს. თქვენი ასეთი საქციელი საქებურია. მაგრამ ცხენსა და იარაღს კი აქ ნუ დასტოვებთ. დაუბრუნეთ იგინი თქვენს ბატონს და თუ არ მიიღოს, მაშინ თქვენ თვითონ მიიღეთ. თუ იგინი მე მეკუთვნიან, დიდის სიამოვნებით მომიცია თქვენთვის.

ბოა გილბერის საჭურველის მტვირთველმა და სხვებმა მდაბლად თავი დაუკრეს და წავიდნენ, „სამკვიდროს მოკლებული“ რაინდი კი კარავში შევიდა.

— დღემდის, გურტო,—უთხრა მან თავის მოსამსახურეს: —ინგლისელ რაინდთა დიდებისათვის ვნება არ მიმიყენებია.

— მეც, უბრალო საქსონელმა მეღორემ, ურიგოდ არ შევასრულე საჭურველის მტვირთველის თანამდებობა.

— მართალია,—მიუგო „სამკვიდრებელს მოკლებულმა“ რაინდმა:—მე კი სულ იმისი მეშინოდა, რომ შენს სოფლურს მიხვრა-მოხვრას შენი ვინაობა არ გამოეაშკარავებინა.

— მაგას რას ბრძანებთ!—უთხრა გურტმა:—ვის შეეძლო ჩემი ცნობა, თუ არ ჩემი ყმაწვილობის მეგობარს, ხუმარა ვამბას, რომელიც დღემდინ ვერ გამიგია—სულელია თუ ხუმარა? მაგრამ კინაღამ არ გამეცინა, როდესაც ჩემმა დიდმა ბატონმა ჩემს გვერდით გაიარა და იქნება ფიქრობდა კიდეც, რომ გურტი აქედან სადმე შორს იმის ღორებს მწყსიდა. რომ ვეცანით ..

— კმარა, გურტო,—გააწყვეტინა სიტყვა რაინდმა:—ჩემი დაპირება ხომ გახსოვს?

— საქმე ეგ არ არის,—მიუგო გურტმა:—მე მეგობარი თავის დღეში არ გამიცია იმისთვის, რომ ჩემი თავი გადამერჩინა.

— მერწმუნე, გურტო, მე შენ დაგასაჩუქრებ იმ განსაცდელისათვის, რომელშიაც შენ თავს აგდებ ჩემის გულისათვის,—უთხრა რაინდმა:—ჯერ-ჯერობით კი ეს ათი ოქრო აიღე.

— მე ეხლა ყველა მეღორეზედ და მონაზედ მდიდარი ვარ,—შესძახა გურტმა და ფულები ჯიბეში ჩაიდო.

— აიღე ეს ოქროთი სავსე ტომარა და აშბში წადი,—განაგრძო მისმა ბატონმა:—იქ ებრაელი ისაკი იპოვე და ცხენისა და იარაღის ფასი მიეცი, რადგან ორივენი იმან მიშოვნა.

— მაგას კი, წმ. დუნსტანს გეფიცები, არასოდეს არ ვიზამ!—მიუგო გურტმა.

— როგორ, მონავ!—დაუყვირა ბატონმა:—შენ ჩემს ბრძანებას არ გინდა დაემორჩილო?

— დიაღ, უპატიოსნოს, უგუნურს და არა-ქრისტიანულს განკარგულებას ვერ დავემორჩილები, მიუგო გურტმა:—ყველა სხვა თქვენი ბრძანება კი მზადა ვარ შევასრულო. ურიის ვალის გადახდა უპატიოსნობაა, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მე ჩემს ბატონს ვატყუებ; იგი უგუნურებაა იმისთვის, რომ მარტო სულელს შეჰფერის, და არა-ქრისტიანულია იმისთვის, რომ ეს

იმას ნიშნავს,—მართლ-მორწმუნე გავძარცო და ურწმუნო კი გავამდიდრო.

— ვინძლო დაკმაყოფილო, ჯიუტო მონავ,—მიუგო რაინდმა.

— ყველაფერს შევასრულებ,—უთხრა გურტმა, ტომარა აიღო და კარვიდან გავიდა.—მაგრამ მე გურტი არ ვიქნები,—ლუღლუღებდა იგი,—თუ ურია იძულებული არ გავხადო იმის ნახევარი აიღოს, რასაც მოითხოვს.—ამას შემდეგ გურტი წავიდა აშბში და „სამკვიდროს მოკლებული“ რაინდი მძიმესა და მტანჯველს ფიქრებს მიეცა, რომლის მიზეზიც ჯერჯერობით არ შეიძლება მკითხველს გავაგებინოთ.

აღმოსავლეთის გემოვნებაზედ მდიდრულად მორთულ ერთს პატარა ოთახში იჯდა რებეკა და შემკრთალის სახით შესცქეროდა თავის მამას, რომელიც ოთახში ბოლთას სცემდა და ხან ხელებს იფშვნეტავდა, ხან ჭერში იცქირებოდა. ეტყობოდა რაღაზედაც იყო აღშფოთებული.

— ოხ, იაკობ!—წარმოსთქვა ისაკმა:—ჰოი, ათთორმეტნო პატრიარქნო ჩვენის ჩამომავლობისა! დახეთ რა ნაირი განსაცდელი მიადგა იმას, რომელიც მოსეს კანონებს წმინდად ასრულებდა! ორმოც და ათი ცეხინი*) ერთბაშად გამომტაცა ხელიდან, და მერე ვინა? მტარვალმა!

— მე კი ასე მეგონა, მამა, რომ შენ შენის ნებით მიეცი ოქროები პრინც იოანეს.

— ჩემის ნებით! ღმერთმა მოუვლინოს მას ყველა ეგვიპტური სასჯელნი! ჩემის ნებითა, ამბობ შენ?.. დიაღ, ისევე ჩემის ნებით, როგორც ჩემის ნებით გადავყარე მფრთონავ ზღვაში საქონელი, რომ გემი დამსუბუქებულიყო და არ დავმრჩვალიყავით. განა ის დრო უბედურების დრო არ იყო, თუმცა მსხვერპლს მე ჩემის ნებით ეწირავდი?

— მაშინ მსხვერპლს ზეცა თხოულობდა ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად:—უპასუხა რებეკამ,—და ჩვენი მამაპაპის ღმერთმა აკურთხა კიდეც ჩვენი სიმდიდრე და მონაგარი.

*) ცეხინი—ოქროს ფულია.

— მართალია!—მიუკო ისაკმა:—მაგრამ იმაზედ რაღას იტ-ყვი, როდესაც გვძარცვავენ, როგორც დღეს იოანემ გაგვძარცვა ბ გვეუბნებიან გაიცინეთო? ოხ, ჩემო ასულო! თუმცა ძალიან ძნელია დოვლათის დაკარგვა და წანწალი, ისე როგორც ჩვენ ვწანწალობთ ქვეყანაზედ, მაგრამ იმაზედ ძნელი უბედურება აღარაფერია, რომელიც ჩვენ ხალხს ადგია, ეს ის არის, რომ როდესაც ჩვენ შეურაცხყოფას გვაყენებენ და გვძარცვავენ, მთელი ქვეყანა იცინის ჩვენზედ და იძულებულნი ვართ დავმალოთ ჩვენი უკმაყოფილება და ძალა-უნებურად გავიცინოთ მაშინ, როდესაც საჭიროა სამაგიერო გადავუხადოთ.

— მაგაზედ ნუ ჯავრობ, მამა,—უთხრა რებეკამ:—სარგებლობაც ბევრი გვაქვს. ეს ურწმუნონი თუმცა მტარვალნი არიან და ჩვენი სისხლის მსმელნი, მაგრამ უჩვენოდ მაინც იოლად ვერ მიდიან. ჩვენს დაუხმარებლად იგინი ვერც ომში მტერს დაამარცხებდნენ და ვერც მშვიდობიანობის დროს იმხიარულებდნენ; ის ოქრო, რომელსაც ჩვენ მათ ვაძლევთ ერთი-ორად გვიბრუნდება უკან. ჩვენ იმ ბალახსა ვგევართ, რომელსაც რამდენსაც სთელავენ ფეხით, იმდენი უფრო მწვანდება. თვით დღევანდელი ასპარეზობა განა მოხერხდებოდა, თუ რომ მათგან ათვალწუნებული ებრაელებს შემწეობა არ მიეცათ?

— ასულო ჩემო! შენ ჩემი გულის ახალს იარას შეახე ხელი. ის ცხენი და იარაღი, რაინდს რომ მივეცი, იცი რამოდენა ფული ღირს, და განა ისინი დაკარგულად არ უნდა ჩავთვალო? მაგრამ ვინ იცის, შეიძლება არ დამეკარგოს: ის ძალიან კეთილი გულის კაცია.

— იმედი მაქვს არ ინანებთ,—უთხრა რებეკამ:—რომ უცხო ქვეყნელს ხელი გაუმართეთ.

— ეგ მე მრწამს, ჩემო ასულო, ისე, როგორც სიონის განახლება; მაგრამ რამდენადაც იმის იმედი მაქვს, რომ ახალი

ტაძრის კედლებს ჩემის თვალით ვნახავ, იმდენადვე იმის იმედიცა მაქვს, რომ არც ერთი ქრისტიანი, რაც უნდა კარგი იყოს, თავის ნებით ვალს არ გადაიხდის, თუ რომ სამართალმა ძალა არ დაატანა.

როგორც კი დაასრულა ეს ლაპარაკი, მოსამსახურე შემოვიდა და უთხრა, ვიღაც ქრისტიანი მოვიდაო. როდესაც გურტი ოთახში შემოვიდა, რებეკამ პირბადე ჩამოიფარა.

— შენა ხარ ისაკი, იორკელი ურია?—ჰკითხა მან საქსონურად.

— მე ვარ,—მიუგო ისაკმა იმავე ენით:—შენ ვიღა ხარ?

— შენ რა საქმე გაქვს, ვინცა ვარ,—მიუგო გურტმა.

— მეც ისევე მინდა შენი ვინაობა გავიგო, როგორც შენ ჩემი; თუ არ გავიგებ ვინა ხარ, შენთან ლაპარაკს არ დავიწყებ.

— ძლიერ კარგად დაიწყებ,—მიუგო გურტმა:—მე ფულები მოვიტანე და ამისათვის ჩემთვის საჭიროა გავიგო იმას ვაძლევ, ვისაც ეკუთვნის თუ არა; შენ კი, რაკი ფულს მიიღებ, რასაკვირველია, თავს არ შეიწყენ გაიგო ვისი ხელითაც მიიღე იგი.

— ვალის გადასახდელად მოსულხარ? წმინდაო მამაო აბრამ! მერე ვინ გამოგატანა ეგ ფული?

— „სამკვიდრებლეს მოკლებულმა“ რაინდმა,—მიუგო გურტმა:—დღეს რომ ასპარეზობაზედ გაიმარჯვა. ეს იმ იარაღის ფასია, რომელიც იმან შენის შემწეობით იშოვა. ცხენი შენს თავლაში შეიყვანეს. ახლა გთხოვ შემატყობინო: რამდენი უნდა მოგცე იარაღისათვის?

— აკი ვთქვი, ის კეთილი გულის ყმაწვილია-მეთქი!—შესძახა ისაკმა სიხარულით.—ერთი თასი ღვინო შენ არაფერს გაწყენს, განაგრძო მან და მშვენიერი ღვინით სავსე თასი მიაწოდა. გურტს ასეთი ღვინო თავის დღეში არ დაელია.—მერე რამდენი ფული მოგიტანია?—ჰკითხა ისაკმა.

— ღვთის-მშობელო დედაო!—სთქვა გურტმა და თასი ძირს დასდო:—დახე ერთი რა სასმელსა სვამენ ეს ურწმუნო ძაღლები, მაშინ როდესაც ქრისტიანები მღვრიე ლუდის დალევასაც ძლივს ახერხებენ. რამდენი ფული მოვიტანე?—განაგრძო გურტმა:—ცოტა, მაგრამ ცარიელის ხელით მაინც არ მოვსულვარ. გამიგონე ისაკ, შენ ურიული სვინიდისი მაინც არის გექნება?

— შენმა ბატონმა ხომ კარგი ცხენები და ძვირფასი იარაღი იშოვნა თავისი შუბითა და მარჯვენით,—უთხრა ისაკმა:—ის კეთილი გულის კაცია, დაე ვალში ისინი მამცეს; რაც მეტი იქნება, უკან დავუბრუნებ.

— ჩემმა ბატონმა ყველა იგინი უკვე გაყიდა,—უთხრა გურტმა.

—ეგ ცუდი უქნია, ძალიან ცუდია!—სთქვა ურიამ:—წინდაუხედავად მოქცეულა! აქ არც ერთს ქრისტიანს არ შეუძლიან იმდენი ცხენებისა და იარაღის ყიდვა, რამდენიც მე, და არც ერთი ებრაელი იმის ნახევარ ფასსაც არ მისცემდა, რამდენსაც მე. როგორც სჩანს, პარკში ასი ცეხინი უნდა გქონდეს,—უთხრა ისაკმა, როდესაც გურტის მანტიას ქვეშ პარკი დაინახა:—ეტყობა მძიმე უნდა იყვეს.

— ამ პარკში ისრის სათითურები ჰყრია,—უთხრა გურტმა აუჩქარებლად.

— კარგია, კმარა,—უთხრა ისაკმა:—მე რომ გითხრა ოთხმოც ოქროს ავიღებ-მეთქი, მერე გექნება კი იმდენი.

— სწორედ მაგდენი მაქვს,—მიუგო გურტმა, რომელიც ასე მცირე ფასს არ მოელოდა:—თუმცა ჩემი ბატონი კი სულ უფულოდ დარჩება, მაგრამ თუ მაგაზედ ნაკლების აღება არ შეგიძლიან, ყაბული მაქვს.

— კიდევ დაისხი ღვინო,—უთხრა ებრაელმა:—ოთხმოცი ცეხინი... ოხ, ძალიან ცოტაა!.. მოგება არაფერი დარჩება, ამასთანავე იმ საშინელს ბრძოლაში ვინ იცის ცხენი კიდეც დაშავდა.

— მე შენ გეუბნები, ის სრულიად კარგად არის: თუ გინდა დარწმუნდე, შენს თავლაში შედი და შენის თვალით ნახე. სამოც და ათი ცეხინი სრულიად საკმარია შენთვის იარაღის ფასად; ხომ იცი ქრისტიანის სიტყვაც ისევე მტკიცეა, როგორც ურიისა. თუ სამოც და ათს არ დასჯერდები, უკანვე წაეუღებ ამ პარკს (ამასთანავე ფული დააჩხარუნა) ჩემს ბატონს.

— კარგია, კარგი,—უთხრა ისაკმა:—ამოყარე ეგ ოქროები... შენ მე ოთხმოცი ცეხინი მომეცი და ნახე როგორ დაგასაჩუქრო.

გურტმა დაუთვალა ოთხმოცი ცეხინი და ბარათი ჩამოართვა, რომ ცხენი და იარაღი მიიღო. ვიდრე სამოც და ათს ოქროს დასთვლიდა, ებრაელს სულ ხელები უკანკალებდა სიხარულისაგან. ამას შემდეგ კი უფრო ნელ-ნელა დაიწყო თვლა და ყოველს ოქროზედ უსათუოდ რამეს იტყოდა ხოლმე. აი თითქმის ასე სთვლიდა:

— სამოც და თორმეტი... შენი ბატონი კეთილი გულისაა... სამოც და ცამეტი... მშვენიერი ახალგაზდაა... სამოც და თოთხმეტი... ამ ოქროს მოჭრილი აქვს... სამოც და ხუთმეტი... ესეც როგორღაც სუბუქია... სამოც და თექვსმეტი... თუ შენ ბატონს ფული დასჭირდება, ყოველთვის შეუძლიან მომმართოს მე ისაკს ოორკელს... სამოც და ჩვიდმეტი... თუ რომ კარგი თავდები ეყოლება... აქ იგი შესდგა და გურტს იმედი მიეცა დანარჩენ ოქროებს მე მაჩუქებსო, მაგრამ ებრაელმა განაგრძო დათვლა:—სამოც და თვრამეტი... შენ კარგი კაცი ხარ... სამოც და ცხრამეტი... საჩუქრის ღირსი ხარ.

აქ ებრაელი კიდევ შესდგა და უკანასკნელს ოქროს დაუწყო ცქერა, ალბად გურტისთვის თუ უნდოდა მიეცა. მან იგი თითის წვერებით აწონა, მერე სტოლზედ დაარტყა და ხმა გაუსინჯა.

თუ რომ ცეხინს ყრუ ხმა ამოეღო, ან ცოტა სუბუქი ყოფილიყო, მაშინ უსათუოდ გურტს აჩუქებდა; მაგრამ საუბედურო ცეხინს კარგი ხმა ჰქონდა და წონითაც ცოტა მძიმე იყო სხვებზედ. ისაკმა ვერ დასთმო იგი და ვითომ-და მოუფიქრებლობით ტოპრაკში ჩააგდო და სთქვა:—ოთხმოცი! ანგარიში სწორეა და მე დარწმუნებული ვარ შენი ბატონი კარგად დაგასაჩუქრებს. აბა სწორედ მიიხარ,—უთხრა მან და შურით დაუწყო პარკს ცქერა: —ვითომ შენ ფული აღარ დაგრჩა?

— თითქმის იმდენივე, რამდენიც შენ მოგეცი,—მიუგო გურტმა, მერე ბარათი დაკეცა, ქუდში ჩაიდო და უთხრა:—იცოდე, ურიავ, თუ ბარათი კარგად არ არის დაწერილი, მაშინ ვაი შენი წვერის ბრალიცა!

დაუპატიჟებლად გურტმა კიდევ დაისხა ღვინო, დაცალა და არხეინად გამოვიდა.

— რებეკა,—უთხრა ებრაელმა:— ეს იზმაილტიანელი ბრიყვია, მაგრამ მაგის ბატონი ძალიან კეთილი გულის კაცია. მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ მან ოქრო და ვერცხლი ბევრი იშოვა, თავის ცხენისა და შუბის წყალობით, რომლებითაც იგი თვით გოლიათს ფილისტიმლიანელსაც კი დაამარცხებდა.

პასუხი რომ არავინ გასცა, იგი მიბრუნდა და ნახა, რომ რებეკა ოთახში აღარ იყო: იგი გავიდა გარედ მაშინ, როდესაც მისი მამა გურტს ელაპარაკებოდა.

გურტი კიბეზედ ჩამოვიდა და როდესაც ბნელს ტალანში შევიდა, აღარ იცოდა—საით წასულიყო. ამ დროს ვიღაც თეთრმა ტანისამოსიანმა, რომელსაც ხელში ვერცხლის ლამპარი ეჭირა, ანიშნა გურტს—მას უკან გაჰყოლოდა და იქვე ოთახში შესულიყო. გურტი პირველად შეკრთა და არ უნდოდა გაჰყოლოდა, რადგან მავნე სული ეგონა. სხვა დროს უშიშარი და ჯიუტი ეხლა შიშმა შეიპყრო. ამან იცოდა, რომ იგი ისეთი კაცის სახლში იყო, რომელიც ეკუთვნოდა ებრაელს ხალხს, გათქმულს, ხალხის აზრით, ჯადოქრობითა და მი-

სნობითა. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ შიში დასძლია და მოჩვენებას ოთახში შეჰყვა, სადაც დაინახა, რომ ეს მოჩვენება ის მშვენიერი ებრაელი ქალი იყო, რომელიც ასპარეზობაშიაც ნახა და ამ რამდენიმე წამის წინად მამის ოთახშიაც.

ქალმა დაწვრილებით გამოჰკითხა მიზეზი ისაკთან მისვლისა და გურტმაც ყველაფერი სიმართლით უამბო.

— მამა-ჩემი გაგხუმრებია, ჩემო მეგობარო,—უთხრა რებეკამ:—მან უფრო ბევრი უნდა მისცეს შენს ბატონს, ვიდრე შენმა ბატონმა მას იარაღისა და ცხენისათვის. რამდენი მიეცი ეხლა მამა-ჩემს?

— ოთხმოცი ცეხინი,—მიუგო ამ კითხვით გაკვირვებულმა გურტმა.

— ამ ქისაში,—უთხრა რებეკამ:—ასი ცეხინია. რაც შენს ბატონს ეკუთვნის, ის იმას მიეცი, დანარჩენი შენ თვითონ აიღე. წადი ჩქარა და მადლობას ნუ გადამიხდი. ფრთხილად იარე, ტყეში არამც თუ ფულს—შეიძლება სიცოცხლესაც გამოესალმო.—რუბიმო,—დაუძახა მან მოსამსახურეს:—ლამპარი მოუნათე და კარები დაუკეტავი არ დაგრჩეს.

რუბიმმა შეასრულა ქალბატონის ბრძანება, გურტი სახლს გამოაცილა და მერე ისე მაგრა ჩაკეტა კარები, რომ ციხის კარებიც არ იკეტება ასე.

— ვფიცავ წმ. დუნსტანს!—ამბობდა გურტი გზაზედ:—ეს ურიის ქალი კი არ არის, ნამდვილი ზეციური ანგელოზია. ათი ცეხინი ჩემმა ბატონმა მაჩუქა და ოციც ამ სიონის მარგალიტმა! სწორედ ბედნიერი დღეა ჩემთვის. თუ რომ ჩემმა ახალგაზდა ბატონმა მონობისაგანაც გამანთავისუფლა, მაშინ მეღორობას თავს დავანებებ, ავიღებ ფარსა და ხმალს და ჩემს ბატონს სიკვდილამდინ არ მოვშორდები, აღარც ჩემს პირისახეს დავმალავ, აღარც ჩემს ვინაობას.

თავი მეათე

1-ლი ყაჩაღი. დადექ! მოგვეცი ყველაფერი, რაც კი გაქვს, თორემ ძალად წაგართმევთ.

სპიდი. დავიღუპენით! ესენი კეთილი სულნი არ არიან, ყველა მოგზაურს თავს ზარსა სცემენ.

ვალ. გამიგონეთ, მეგობარნო...

1-ლი ყაჩაღი. რის მეგობარნი! ჩვენ შენი მტრები ვართ.

2-რე ყაჩაღი. მოიცადეთ. ყური დავუგდოთ, რას იტყვის.

3-მე ყაჩაღი. დიაღ, ყური დავუგდოთ, იგი კარგი კაცია.

შექსპირი.—ვერონელი მეგობარნი.

გურტი საჩქაროდ წავიდა სოფლიდან და ბინდი იყო, როდესაც ტყეში შევიდა, რის გამოც სიარულს უფრო მოუმატა, რომ ტყიდან მალე გასულიყო. მაგრამ ამ აჩქარებულმა სიარულმა იგი განსაცდელს მაინც ვერ გადაარჩინა. როგორც კი დაბურულს ტყეში შევიდა, ოთხი კაცი დაესხა თავს და მაგრა შეკრეს, ასე რომ გაძალიანება უსარგებლო იქნებოდა. მოგვეცი ტოპრაკი!—უთხრა ერთმა მათგანმა:—ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და ყველას ტვირთისაგან ვანთავისუფლებთ.

— მე ჩემი ტვირთვისგან აგრე მალე ვერ გამანთავისუფლებდით, თუ რომ სამჯერაც არის მაინც შემეძლოს კეტის მოქნევა,—წაილუღლუღა გურტმა, რომლის ტლანქ პატიოსნებას სიკვდილის შიშიც ვერაფერს აკლებდა.

— მაგას ჩვენ ეხლავე ვნახავთ,—მიუგო ყაჩაღმა და უთხრა ამხანაგებს გურტი წამოიყვანეთო.—მე როგორც ვხედავ, ამას ის უნდა, რომ თავი გაუხეთქონ და ტოპრაკი დაუხიონ: შენი ნება იყოს, ერთსა და იმავე დროს სისხლს ორი ძარღვიდან გამოგიშვებთ.

ბრძანებისამებრ გურტი წაიყვანეს და ერთ პატარა ველზედ გაიყვანეს. აქ ამ ყაჩაღებს ორი სხვა ყაჩაღი კიდევ მიემატა.

— რამდენი გაქვს ფული, მეგობარო?—ჰკითხა ერთმა ყაჩაღმა.

— ჩემი საკუთარი ოც და ათი ცეხინი მაქვს,—მიუგო დაღვრემით გურტმა.

— გავძარცვოთ!—დაიყვირეს ყაჩაღებმა:—საქსს ოც და ათი ცეხინი აქვს და ფხიზელი კი მოდის სოფლიდან! ყოველისფერი უნდა წავართვათ, რაც კი აქვს.

— მე ამ ფულს იმისთვის ვაგროებდი, რომ ბატონისაგან თავი გამენთავისუფლებინა,—უთხრა გურტმა.

— ვირო!—მიუგო ერთმა ყაჩაღმა:—ერთი თუნგი ლუდი ისევე თავისუფალს გაგხდიდა, როგორიც შენი ბატონია; შენ უფრო თავისუფალიც იქნებოდი, თუ რომ ისიც ისეთივე საქსია, როგორიც შენა ხარ.

— მწარე ჭეშმარიტებაა!—მიუგო გურტმა:—მაგრამ თუ ეს ოც და ათი ცეხინი თქვენგანაც გამანთავისუფლებს, ხელი გამიხსენით და მე მათ სრულიად თქვენ მოგცემთ.

— მოიცადე,—უთხრა ერთმა ყაჩაღმა, რომელსაც ეტყობოდა ყაჩაღების უფროსი უნდა ყოფილიყო:—მე ხელით გავსინჯე შენი ტოპრაკი და მგონია იმაში იმაზედ უფრო ბევრია, რამდენსაც შენ ამბობ.

— ეს ფული გმირი რაინდისაა, ჩემი ბატონისა,—მიუგო გურტმა:—და მე ფულზედ სრულიად არაფერს გეტყოდით, თუ რომ თქვენ ჩემი საკუთარი ცეხინებით დაკმაყოფილებულიყავით.

— მართალი გითხრა,—უთხრა ყაჩაღმა:—შენ პატიოსანი კაცი ყოფილხარ. მე როგორც ვხედავ, შენი ცეხინები ხელიდან წაგვივა, თუ ყველაფერს ასე სიმართლით გვეტყვი. სინამ კი შენი ტოპრაკი მე მომეცი. ეს უთხრა და გურტს ტყავის ტოპრაკი იღლიიდან გამოაცალა, რომელშიაც რებეკას მიცემული ცეხინები ეყარა. შემდეგ გამოკითხვა დაუწყო.

— ვინ არის შენი ბატონი?

— „სამკვიდროს მოკლებული“ რაინდი,—მიუგო გურტმა.

— ის რაინდი, დღეანდელ ასპარეზობაზედ რომ გაიმარჯვა?—ჰკითხა ყაჩაღმა:—რა ჰქვიან სახელად და რა ხალხს ეკუთვნის?

— ჩემს ბატონს უნდა,—მიუგო გურტმა:—რომ მისი ვინაობა ჯერ-ჯეროობით საიდუმლოდ დარჩეს.

— შენ რაღა გქვიან და რა ხალხს ეკუთვნი.

— ეგ რომ გითხრათ,—მიუგო გურტმა:—ვითომ ჩემი ბატონის ვინაობაც მითქვამს.

— რა ჯიუტი მონა ხარ!—დაუყვირა ყაჩაღმა:—მაგრამ ამაზედ შემდეგ ვილაპარაკოთ. ეს ოქროები რა ნაირად ერგო შენს ბატონს. სამკვიდროში ხომ არ დარჩა? ერთი სიტყვით, როგორ იშოვნა?

— როგორ იშოვნა? შუბითა!—მიუგო გურტმა:—ამ ტოპრაკში ის ოქროებია, რომლითაც ოთხმა დამარცხებულმა რაინდმა თავისი ცხენები და იარაღი გამოისყიდეს.

— მერე რამდენია?—ჰკითხა ყაჩაღმა.

— ორასი ცეხინია.

— მარტო ორასი ცეხინია?—უთხრა ყაჩაღმა:—ძალიან სულგრძელად მოქცეულა შენი ბატონი, რომ დამარცხებული რაინდებისათვის ასე ცოტა გამოურთმევია. აბა იმ რაინდების სახელები გვითხარ, რომელთაც ეს ოქროები მისცეს.

გურტმა უთხრა.

— რა ფასად გამოისყიდა რაინდმა ბრიან დე ბოა გილბერმა თავისი ცხენი და იარაღი? ხომ ხედავ, ვერ მოგვატყუებ.

— ჩემი ბატონი ტაძრის რაინდისაგან სიცოცხლის მეტს სხვას არაფერს აიღებს. იგი დაუძინებელი მტერია იმისი, ამისათვის მათ შორის მშვიდობიანად მორიგება შეუძლებელია.

— მართლა?—უთხრა ყაჩაღმა და გაჩუმდა:—აშბში რა გინდოდა ამ ოქროებით.

— მე იქ ისაკთან ვიყავ, იორკელ ურიასთან, იმ იარაღის ფასის მისაცემად, რომელიც მან მისცა ჩემს ბატონს ასპარეზობისთვის.

— რამდენი მიეცი ისაკს? სიმძიმეზედ ეტყობა, რომ ამ ტოპრაკში ორასი ცეხინი კიდეე უნდა იყვეს.

— მე ისაკს ოთხმოცი ცეხინი მივეცი,—უთხრა საქსმა:—იმან ასი ცეხინი უკანვე დამიბრუნა.

— როგორ? რაო?—შეჰყვირეს ერთად ყაჩაღებმა:—განა შენ კიდეც დაგვცინი და რაღაც ზღაპრების თქმას გვიბედავ?

— ყოველივე ის, რასაც გეუბნებით,—მიუგო გურტმა:—ისევე მართალია, როგორც ის, რომ მთვარე ცაშია. მთლად ეგ ფული აბრეშუმის ქისაშია, რომელიც ტყავის ტოპრაკში ძევს დანარჩენ ოქროებისაგან სრულიად ცალკე.

— ნუ დაივიწყებ, ძმაო,—უთხრა ყაჩაღების უფროსმა:—რომ შენ ურიაზედ ლაპარაკობ, რომელიც ისევე ვერ დაგიბრუნებს ოქროებს, როგორც ვერ დაგიბრუნებს უდაბნო ადგილის ქვიშა იმ წყალს, რომელსაც მოგზაურები ღვრიან ხოლმე.

— ეგ როგორც უნდა იყვეს-და, მე ყველაფერს მართალს გეუბნებით,—მიუგო გურტმა.

— აბა ერთი ცეცხლი აანთეთ,—უბრძანა უფროსმა:—მე შევამოწმებ ქისას და თუ ამის სიტყვა მართალი გამოდგება, მაშინ ურიის გულუხვობაც არა ნაკლებ გასაკვირველი იქნება იმ მდინარეზედ, რომელმაც უწყლო უდაბნო ადგილებში მისი წინაპარნი გადაარჩინა.

ცეცხლი აანთეს და ყაჩაღმაც ქისას დაუწყო სინჯვა. დანარჩენმა მისმა ამხანაგებმაც კისრები წაიგრძელეს და ცქერა დაუწყეს. ამით ისარგებლა გურტმა და ყაჩაღებს ხელიდან გაეშვებინა, ასე რომ შეეძლო გაქცეულიყო კიდეც, თუ რომ მათ ხელში თავის ოქროების დატოვება არ დანანებოდა. მაგრამ მას გაქცევა ფიქრადაც არ მოსდიოდა; მან ერთს ყაჩაღს ხელიდან გამოსტაცა მუხის კეტი, უფროსი ყაჩაღი ერთის დაკვრით ძირს დასცა და თავის ტოპრაკი კინაღამ არ წაართვა.

— აი შე ბრიყვო!—უთხრა უფროსმა, როცა წამოდგა:—შენ მე თავი გამიტეხე, ჩვენს ადგილას რომ სხვები ყოფილიყვნენ, ვინ იცის რას გიზამდნენ; მაგრამ შენი ბედის წერას ეხლავე შეიტყობ. მანამ კი ჭკვიანად იყავ; თუ რომ განძრეულხარ, ვაი შენი ბრალი, საუკუნოდ სიცოცხლეს გამოგასალმებთ. მეგობრებო!—უთხრა მან თავის ამხანაგებს,—ამ ქისას ებრაული ასოები აზის და მე მგონია, რაც ამან გვითხრა, მართალია. მოგზაურმა რაინდმა ჩვენს ახლო გავლისთვის ხარჯი

არ უნდა გადაიხადოს. ის ისე გვგავს ჩვენა, რომ იმის საკუთრებას ხელი არ უნდა შევახოთ: ძაღლები იქ აღარ ჩხუბობენ, სადაც ბევრი მგელი და მელაა.

— ჩვენა გვგავს!—წამოიძახა ერთმა ყაჩაღმა:—ნეტა ვიცოდე, რითი დამიმტკიცებენ ამას?

— უგუნურო!—მიუგო უფროსმა:—ისიც ისევე მოკლებული არ ჰრის სამკვიდროს და ისევე ღარიბი არ არის, როგორც ჩვენა? განა ისიც ჩვენსავით ხმლით არა შოულობს საზრდოს? განა იმან ისევე არა სცემა ფრონ დე ბეფს, მალვოაზენს, როგორც ჩვენ თვითონაც ვცემდით, თუ რომ შეგვძლებოდა? განა ის დაუძინებელი მტერი არ არის ბრიან დე ბოა გილბერისა, რომლისაც ყოველთვის უნდა გვეშინოდეს? თუ გინდ რომ ყოველივე ეს ასე არ იყოს, ნუ თუ გინდა ურწმუნო ურიაზედ უსვინიდისო იყო?

— არა, ეგ უპატიოსნობა იქნებოდა, —წაიღრღნა იმან:— მაგრამ ნუ თუ ეს ბრიყვი სოფლელი დაუსჯელად უნდა წავიდეს ჩვენგან?

— არა, თუ რომ შეგიძლიან მისი დასჯა,—მიუგო უფროსმა:—აქ მოდი, მეგობარო,—დაუძახა გურტს, — ჯოხის ხმარება იცი?

— მე ვგონებ,—უთხრა გურტმა,—ყველაზედ კარგად შენ შეგიძლიან მაგ კითხვის პასუხის მიცემა.

— დიაღ, მართალს ამბობ, შენ მე კარგი კეტი დამარტყი,— მიუგო უფროსმა:—აბა ამასაც ისე დაარტყი, თუ გინდა, რომ ჩვენგან უვნებლად წახვიდე. მაგრამ, თუ არ დაარტყამ, არ ვიცი რას გიზამ.—მეწისქვილე! აიღე კეტი და შენს თავს გაუფრთხილდი, თქვენ კიდევ გაუშვით ეგ ყოჩაღი კაცი და ჯოხი მიეცით. აქ საკმაოდ ნათელია: მათ შეუძლიანთ იბრძოლონ.

კეტებით შეიარაღებული ორივე მოწინააღმდეგენი ველზედ გავიდნენ, რომ მთვარის სხივზედ უფრო კარგად გაერჩიათ ერთმანეთი; დანარჩენი ყაჩაღები იცინოდნენ და თავიანთ ამხა-

ნაგს უყვიროდნენ: „გაფრთხილდი, მეწისქვილე, რომ შენ თვითონ არ მოგიხდეს ხარჯის გადახდა!“ მეწისქვილეს კეტი ამართული ეჭირა და ყვიროდა:—გამოდი, მონავ, თუ შეგიძლიან! შენ ეხლავე შეიტყობ, რა შესძლებია მეწისქვილეს!

— აბა, გამოდი!—უთხრა უშიშრად გურტმა და იმანაც ამართა კეტი:—თუ შენი ხელობა მეწისქვილობაა, ამასთანავე ქურდობაც არის; დაინახავ, რომ, როგორც პატიოსანს კაცს, მე შენი არ მეშინიან.—ამას შემდეგ ორივე მოწინააღმდეგენი შეიბნენ და ორივენი დიდის ხელოვნებით ხმარობდნენ კეტებს, ისეთი ჩახა-ჩუხი ასტყდა კეტებისა, რომ კაცს ეგონებოდა, ორი კაცი კი არა, ექვსი კაცი ჩხუბობსო. ორივე მოჩხუბარნი დიდის ხელოვნებით იცდენდნენ მოქნეულს კეტს.

ორივენი დიდ ხანს იბრძოდნენ ერთნაირად; ბოლოს მეწისქვილე მოთმინებიდან გამოვიდა, როცა ნახა, რომ გურტი ასე უძალიანდებოდა და ამხანაგებიც დასცინოდნენ. გურტი კი დინჯად და აუჩქარებლად იბრძოდა და ეს იყო მიზეზი, რომ ბრძოლა მოიგო.

მეწისქვილე ზედ ვარდებოდა გურტსა და ზედი-ზედ უქნევდა კეტს ხან ერთი თავიდან, ხან მეორიდან. გურტი მეწისქვილისგან მოქნეულს კეტს ხან ერთი ხელით აშველებდა თავის ჯოხს, ხან მეორეთი. ბოლოს, როცა ნახა, რომ მეწისქვილე დაიღალა, მან მარცხენა ხელით მოუღერა კეტი შიგ პირისახეში და იმ დროს, როცა მეწისქვილეს უნდოდა აეცდინა იგი, გურტმა კეტი მარჯვენა ხელში დაიჭირა და ისე ღონივრად დაჰკრა თავში, რომ მეწისქვილე იქვე ბალახზედ გაიჭიმა.—რა მარჯვედ დაჰკრა-და!—შეჰყვირეს ყაჩაღებმა:—გაუმარჯოს ხელოვნებს და ძველს ინგლისს. საქსმა ოქროს პარკიც გადაარჩინა და თავის თავიც, ხოლო მეწისქვილემ კი ოსტატი იშოვა.

— შენ შეგიძლიან შენ გაზაზედ წახვიდე, ჩემო მეგობარო,—უთხრა გურტს ყაჩაღების უფროსმა:—მე შენ ორს ამხანაგს გაგატან, რომ შენი ბატონის კარავამდინ მიგაცილონ და დაგიფარონ იმ მაწანწალებისგან, რომელთაც შეიძლება ჩვენისთანა სვინი-

დისი არა ჰქონდეთ. მაინცა და მაინც გაფრთხილდი!..—დაუმატა მან:—და ნუ დაგავიწყდება, რომ შენ შენი ვინაობა არ გვითხარი; ნურც შენ იკითხავ ჩვენს ვინაობას და ნუ ეცდები იმის გაგებას, თუ ჩვენ ვინა ვართ და ან რანი ვართ, თორემ ცუდი საქმე დაგადგება.

გურტმა მადლობა გადაუხადა ყაჩაღებს და დაჰპირდა, რომ თქვენს დარიგებას ავასრულებო. გურტს ორი ყაჩაღი გაჰყვა თან და სრულიად სხვა გზით წაიყვანეს. ცოტა გზა რომ გაიარეს, მათთან ორი კაცი მივიდა და გურტის გამცილებლებს რაღაც უჩურჩულეს, იმათაც ჩურჩულით მისცეს პასუხი და ერთმანეთს გაშორდნენ. ამ გარემოებამ აფიქრებინა გურტს, რომ ყაჩაღები ცოტანი არ იყვნენ და ახლო-მახლო ყველგან ყარაულები ეყენათ.

გამცილებლებმა გურტი გზაზედ გაიყვანეს და იქიდან დაანახვეს მისი ბატონისა და სხვების კარვები. აქ იგინი შესდგნენ და უთხრეს:—ამას იქით ველარ გამოგყვებით, რადგანაც შეიძლება ჩვენ თვითონაც განსაცდელში ჩავვარდეთო. ნუ დაივიწყებ იმას, რაც გითხარით; რაც მოხდა, ყველაფერი საიდუმლოდ შეინახე, თუ გინდა, რომ არ ინანო, ხოლო თუ ჩვენს თხოვნას არ შეასრულებ, თვით ლონდონის კოშკიც კი ვერ დაგიფარავს ჩვენის შურის ძიებისაგან.

— ღამე მშვიდობისა, ბატონებო,—უთხრა გურტმა:—ვეცდები თქვენი დარიგება ავასრულო, მაგრამ ვგონებ არ გეწყინებათ, რომ თქვენთვის უფრო პატიოსანი ხელობა ვინატრო, ვიდრე ისა, რა ხელობაც ეხლა გიჭირავთ.

აქ იგინი განშორდნენ ერთმანეთს: ყაჩაღები უკანვე წავიდნენ და გურტი კი თავისი ბატონის კარავისაკენ, რომელსაც ყოველისფერი უამბო, თუმცა ამის თქმა ყაჩაღებისგან აკრძალული ჰქონდა.

„სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი ისე რებეკას გულ-უხვობით არ გაჰკვირდა (მან გადასწყვიტა, არ ესარგებლნა ამით), რამდენადაც ყაჩაღების გულ-კეთილობით, რომელიც იმათ ხელობას არ შეეფერებოდა. მაგრამ მან მალე დაანება თავი ამაზედ ფიქრს და მალე მიეცა ძილს, რომ ღონე მოეკრიბა სახვალიოდ ბრძოლისათვის. გურტმაც შიგ კარვის კარებში დაიძინა, რომ მის გაუგებრად არავინ შესულიყო.

(გაგრძელება იქნება)

ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში.

(ვუძღვნი ეკატერინე ყ—ნის ასულს პეტრიაშვილისას).

პოლ ბურჟე [1])

ჩვენს ლიტერატურაში ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ ევროპულ ლიტერატურას, რაც დიდ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს. ორიოდე თარგმანების მეტი ჩვენ არა გვაქვს-და ისტორიული ანუ კრიტიკული შესწავლა ევროპული ლიტერატურისა ხომ ს

მიეუკვეთ საფრანგეთის ეხლანდელს ლიტერატურას. საფრანგეთის ლიტერატურა, ჩვენ გვგონია, უფრო ყურადღების ღირსია, რადგან ამ უკანასკნელს სანს მასში უფრო სათლად იხატება ის ახალი მიმართულება, რომელიც მთელს ქვეყანაში ნელ-ნელა იზრდება. ეს ახალი მიმართულება კი გამოისატება მასში, რომ ლიტერატურა თავის უწინდელს გულ-გრილობას სტოკვებს და ცდილობს გაატარონ მალალ-ზნეობრივი აზრები, ფილოსოფია კი ადგება იდეალურს გზასა, რომელიც ორმოდ წელზე მეტია, რაც განდეგნილია, როგორც ფილოსოფიიდან ისე ცხოვრებიდანაც. გარდა ამისა საფრანგეთის ლიტერატურა ორის ყველაზედ უფრო ყურადღების ღირსი იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის ათის წლის საზოგადო ლიტერატურაში მას უკავია პირველი ადგილი და მისი საუკეთესო წარმომადგენელები (პოლ ბურჟე, გიუ-დე მოპასანი, პიერ ლოტი, მარსელ პრევო, პოლ მარგარიტი) მთელი ევროპის ყურადღებას იპყრობენ. საფრანგეთის ლიტერატურა და ფილოსოფია ყოველთვის შესანიშნავია მით, რომ აკტორების ყოველთვის მარტივად და მკაფიოდ აქვთ გამოთქმული თვით უმნელესი აზრები; ფრანგული მწერლობა მოკლებულია სლავიანურისა და გერმანულის ლიტერატურის სიბნელესა და ბუნდად გამოთქმულს აზრებსა. ამ თვისებას ფრანგულის ლიტერატურისას ჩვენისთანა ტოტალი ბუნებიანი ერისათვის სწორედ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეხლანდელს საფრანგეთის ლიტერატურაში ისატება ახალი მიმართულება, რომელიც წინ უდგება ძველს პოზიტივიურსა და მატერიალისტურს მიმართულებასს; წინააღმდეგობას უწევს გარდამეტებულ ნატურალიზმსა და ციინიკურს პესიმიზმს და მიზანტროპიზმს. ეს ახალი მიმართულება, რომელსაც იდეალისტური უნდა გუწოდოთ, ისატება როგორც ლიტერატურაში,—რომლის საუკეთესო წარმომადგენელის სახელით იწყება ეს წერილი,—ისე ფილოსოფიაში. თუ მიაქცევთ ყურადღებას ეხლანდელს მწერალთა ნაწარმოებს, თქვენ დაინახავთ ორ მკაფიოდ გამოსატულს მიმართულებასა: ერთია განსაკუთრებით ფილოსოფიური, რომელიც თანამედროე მეცნიერულის თეორიებით სულ-მძღვანელობს, ეთანხმება მათ, მაგრამ არ ხერდება აქვ და ცდილობს მიაქციოს ყურადღება იმ საუკუნო მეტაფიზიკურსა და მორალურს კითხვებსა, რომელთაც ამ თეორიებმა გვერდი

ადარეს და ან საკმაოდ კარ ასსნეს. ამ მიმართულებას თავში უდგია ფილოსოფოსი და პოეტი გიუო და ფილოსოფოსი ფუულიე. ჩვენ მათ გუწოდებთ მეტნიერ მეტაფიზიკებსა და მორალისტებს [2]); სოლო მეორე მიმართულება მორალურის და ფილოსოფიურის კითხვების გადაწყვეტას ელის სარწმუნოებისაგან და ამყარებს მათ სარწმუნოების დოკმებზე. ამათ ეკუთვნიან ფილოსოფოსი სეკრეტანი [3]) და რომანისტი ბურჟე.

დავიწყებთ ჯერ ლიტერატურიდან და მერე, თუ ძალი და სელოვანება შეგვეწევა, ვეცდებით ფილოსოფოსებიც გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებასა.

I

«არ ვიცი ილიუზია არის თუ არა, მაგრამ მე კი მგონია, რომ განათლებულსა და მოაზრე საზოგადოებას ემჩნევა, რომ სწეინდება ოკეელიე დამამსობელი, ნიჭიერი და უარმყოფელი აზრი, რომელმაც დაიმორჩილა ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მთელი ფილოსოფია. საზოგადოებამ შეამჩნია, რომ ესლანდელი სკეპტიკური, მატერიალისტური და თეისტური ფილოსოფია სტოგებს კაცის სულში სიცარიელესა. საზოგადოებას ეეარ აკმაყოფილებს ის ბრწყინვალე და თავაზიანი ფილოსოფია, რომელიც ოქვენ სიცილით გეუბნებათ, რომ არაფერი არ არის მართალი და არაფერი არ არის ტყუილი; რომ შემოქმედმა მხოლოდ დაგვცინის ჩვენ, მაგრამ მიუსედავად ყოველისა, ცხოვრება მაინც საკმაოდ საასიამოვნო კომედიაა, თუ კი შეგეძლებათ მისი მსიარულად გატარება. ამ ცრუ ოპტიმიზმთან ერთად საზოგადოებას მოჭბეზრდა ის ცრუ პესიმიზმიც, რომელიც არ გიშლით ოპერაში სიარულსა და არაფიერს მსიარულებასა,—წინასალმდეგ, კიდეკვლ გირჩევთ, რომ ყოველიე ამას მალე დაეწაფოთ, მისთვის რომ ამით ცხოვრებისთვის ბრძოლაში

[2]) L'avenir de la méthaphysique fondée sur l' expérience. Alf. Fouillée.

[3]) Ch. Secrétan. La civilisation et la croyance.

მოგუბაში სარი და ამტერსა სძღვეთ. მოჭბეზრდა ის პოზიტივიზმი, რომელიც თსოულობს ფაქტებსა და კიდევ ფაქტებსა და თავის დღეში არავითარს ყურადღებას არ აქცევს მას, რასაც წინად უწოდებდნენ «ბრინციპებსა». მოსწყინდა ეს ფანატიკური ათეიზმი, რომელიც შლის ლაფონტენის იგავ-არაკებში ღვთის სასელსა და გაიგო, რომ უფრო ადვილი ეოფილა ზნეობრივი აზრის თავიდან მოშორება, ვიდრე ფანატიზმისა და ტრუ-მორწმუნეობისა»,—ამბობს ცნობილი სოფრანგეთის ფილოსოფოსი პოლ �ეკ[4]). «ერთი უბრალო თვალის გადავლება კმარა იმის დასანასავად, რომ ეოველს სოფერაში არის საშინელი რეაქცია (ტვლილება). თუმცა სად წაგვიეანს ეს რეაქცია და რით გათავდება იგი, ეს მომავლის საიდუმლოა. ვიცი მხოლოდ, რომ რეაქციაა და ამ რეაქციამ განდევნა ნატურალიზმი ლიტერატურიდან, უფრო მისთვის, რომ იგი იეო გამომსატველი ამ საუკუნის პოზიტივური ჯ მატერიალისტური მიმართულებისა, რომელიც ველარ აკმაყოფილებს ესლანდელ მოთხოვნილებათა»,—ბეეუბნები ეენეკის ბროფესორი როდი[5]). ამასვე ამბობს სოფრანგეთის გამოჩენილი კრიტიკოსი ბრუნეტიერი. მართლაც, ვისაც კი თვალ-ეური უდევნებია ამ საამის წლის განმავლობაში ფრანგული და რუსული მწერლობისთვის, ის დაინასავდა, რომ ყველა შესანიშნავი პირნი ორივე ლიტერატურისა ხმა-მაღლა აცხადებენ, რომ იწყება რეაქცია, იცვლება მიმართულება ეოველს სოფერაში ჯ განსაკუთრებით ფილოსოფიასა ჯ ლიტერატურაში[6]). რასაკვირველია, ეს რეაქცია ხანი და ოთხი წლისა არ არის. მაგრამ ამაზედ ატეხილი ხმა და ბაასი კი სწორედ ოთხი წლისაა, მეტი არა. ეს ლაპარაკი გამოიწვია სწორედ იმ ოსზეულებამ და იმ ავტორმა, რომელზედაც ესლა ჩვენ გვინდა კიბაასითთ. ლიტერატურაში უწინ ძლივ-ძლიობით შემჩნეული ტვლილება ამ რომანის შემწეობით ნამდვილად, თვალსაჩინოდ გასდა ყველასათვის. თუ ეერ კ-დევ ძნელი გამოსაცნობია, რა ფერი ექნება ამ ასალ აზრ-

[4]) იხილე Revue Bleue 12 და 19 აპრილი, 1890 წ.

[5]) Русск. Вѣдом. 1891 წ. №102; Ed. Rod, Les idées morales du temps présent.

[6]) იხილე წერილი მიხაილოვსკისა „Литература и жизнь"-ში გვერდი 2 და სხვა, იხ. Рус. Мысль 91 წ. თებერვლის წიგნი. Современная французская молодежь.

თა მიმართულებას, იმას მაინც სტნობთ, რომ ის არ არის ძველი. ის უარჰყოფს პოზიტივიზმისა და მატერიალიზმის გარდამეტებულებას, უარჰყოფს რესნანის ნაზს ფესიმიზმსა და დილეტანტიზმსა, უარჰყოფს ათეიზმსა და quasi-რეალიზმს, ან-და, უკედ კოქკათ, ზოლაიზმს. იგივე �და იგივე ბრუნეტიერი[7]) ამ ტვლილების ერთ-ერთ ნიშნად ასახელებენ პოლ ბურჟეს რომანს «Disciple'»ს (მოწაფე), სომელიც დაბეჭდილია 1889-ში.

ბურჟე დიდად ცნობილი მწერალია და ესლანდელ მწერალთა შორის პირველი ადგილი უჭირავს, სოლო აზრის მხრით კი ბევრად მაღლა სდგას თვით ზოლაზეტ და დოდეზედან, როგორც თვით სოფრანგეთის კრიტიკოსები გვარწმუნებენ. გარდა ამისა ბურჟე ძველისა და ახლის მიმართლების შუაზედა სდგას. ერთის მხრით, მაზედ დიდი გავლენა ჰქონდა ძველი აზრების მოტიქულთა, ისეთი გავლენა, რომ ლესაც კი ვერ განთავისუფლებულა მთლად მისის გავლენისაგან; მეორეს მხრით, ის კარგად ჰგრძნობს, რომ ამ აზრებმა თავის დრო მოჭამეს, და ახალისკენ იწევს, თუმცა ეს ნაბიჯი პირველად კიდევ გაუბედავი და გაურკვეველია. ამისაგვის ბურჟე საინტერესოა არამცთუ როგორც მართლა შესანიშნავი მწერალი, განსულებული ლიტერატურის თორმის—ფსიხოლოგიური ანუ, როგორც თვით უწოდებს, ანალიზის რომანის[8]) ბატონი, საინტერესოა არამცთუ როგორც წინამორბედი ახალის აზრებისა და ძველის კრიტიკოსი, არამედ იგი შესანიშნავია რაგორც ფსიხოლოგიური სურათი. პირველს ნაწერებში ბურჟე წაგვავს, ქიმიურის ენით რომ კოქკათ, ნეიტრალურ მარილსა, ესე იგი მარილსა, რომელიც პირველად არც მტუტეა და არც მჟავე, მაგრამ კმარა მეგუმატოთ ერთი ბეწო სიმტუტე, ან სიმჟავე—და გარდაიქცევა ან მტუტე და ან მჟავე მარილად. ამით ჩვენ ის გვინდა კოქკათ, რომ თავდაპირველად ბურჟე არ არის ძველის წარმომადგენელი, რადგან მრავალს ახალს აზრებს ეპოტინება და ვერ არის ახალის გულწრფელი თაყვანის-მცემელი, რადგან მას ჯერ მხოლოდ ეპოტინება, იმდენად ძლიერია და საფუძვლიანი უწინდელი გავლენა მაზედ. მისი უკანასკნელი რომა-

---

[7]) იხ. Revue des deux mondes 1-ი ივლისის წიგნი.

[8]) იხილე წინასიტყვაობა La terre promise'ისა.

ნების შემდეგ კი ჩვენ თავმდაბალ შეგვიძლიან გთქვათ, რომ ბურჟემ დიდი და გაბედული ნაბიჯი წასდგა ასალი მიმართულებისაკენ. ის მიეკედლა იმ ჯგუფს, რომელთაც სარწმუნოებრივი მორალისტები უნდა ეუწოდოთ, რადგანაც ზნეობრივის კითხვების გადაწყვეტას მხოლოდ სარწმუნოებისაგან მოელიან. მისი ორ-ბუნებოვანება და განურჩევლობა უფრო სათლად მის ბერეულ ნაწარმოებში ისტება, და თუ აიღებთ მის «თანამედროვე ფსიხოლოგიის ტდასა» (Essais de psychologie contemporaine, დაწერილია 81—85 წ.), ამას თქვენ ნახავთ მის აზრში თანამედროვე სიზოგადოების დეკადენტიზმზე. აქ ის თან იცავს ამ დაცემასა და გაქსუებას სიზოგადოებისასა და ოან ამტუუნებს მასა. დაცვა კი უფრო ძლიერია გამტუუნებაზე[9]). ის ასე ბრძანებს: «ნაზ-გრძნობიერი ადამიანი არჩევს დაცემულ ათინელების დამარცხებასა მსცი მაკედონელის გამარჯვებასაო». ამასვე სედავთ მის აზრში დილეტანტიზმზე, რომელიც მას მიაჩნია «ტოტა არ იყოს მავნებლად», მაგრამ თითქო გასამართლებლად უმატებს, რომ ეს თანამედროვე ყოფა-ცხოვრების ქმნილებაა. აქვე ნახავთ მას რენანის წინ ქედმოხრილს და მის თაყვანის მცემელს და ეს ხომ მასთვის, რომ რენანი არ აძეკვის კაცის გულისაგან სარწმუნოებასა, ბირიქით, მისთვის მიუცილებელ საგნად სდის; ბურჟე თაყვანსა სცემს მასა, რადგან თვით მასში ყველაზე უფრო ძლიერია სარწმუნოებრივი გრძნობა. იმავე «ტდაში» ისტება მისი უკმაყოფილება «საერთო სმით არჩევნებისადმი» და აქვს იმედი, რომ იგიც გაქრება და ამ იმედს სპენსერის ორგანულს თეორიებზე ამყარებს. თქვენ აქ სედავთ ბურჟეს, კითარცა სასოწარკვეთილსა, პესიმიტსა და სკეპტიკესა. რენანთან ერთად იგი სიმპატიას იჩენს არისტოკრატიისადმი, ტდილობს განშორდეს სალხთა ბრბოს და ეძიოს გართობა თავის საყვარელ სალონებში[10]). მეორეს მხრით თქვენ სედავთ, რომ სარწმუნოებრივი სიმები მისის გულისა სრულიად არ დაწყვეტილან და არ გატეგეთილან, სედავთ, რომ იგი დიდის სიმპატიით არ ეკიდება დიდე-

[9]) იხილე ზემოდ აღნიშნული თხზულება როდისა, სადაც არის ბურჟეს შესახებ 102—123 გვერდი.

[10]) იხილეთ Nouveaux essais de psychologie contemporaine, ეტიუდი დიუმაზე გვ. 6 და 7. აქ მან ხალხის მედიდურად მოქცევაში პუშკინს გადააჭარბა.

ტანტიზმსა და ზეთეზმს. ეს მისი «ცდა» არის ფესვი, რომლიდანაც შემდეგში მთელი ბურჟუ გაიზარდა. მას შემდეგ ერთი აზრი არ გამოუთქვამს, რომელიც ტოტად თუ ბეგრად მკაფიოდ არა ჭქონდეს აღნიშნული და რამდენად ძლიერი წყარო ეს «ცდა» მისთვის, ეს მითაც მტკიცდება, რომ თავის შესანიშნავი რომანის («დისციპლი») ერთი გმირთაგანი — ფილოსოფოსი ანდრიენ სიქსტი — თითქმის იმავე სიტყვებითა ჭყვეს დასურათებული, როგორც ტენი და რენანი თავისი «ცდისა». ეს კი არ უნდა დაივიწყოთ, რომ ზოგიერთი მსარე ბურჟესი ისტებს უფრო სათლად აქ (მაგ. პესიმიზმი და სკეპტიციზმი) და ზოგიერთი კი არა (სარწმუნოებრივი მიმართულება). მისი პესიმიზმი უკანასკნელ რომანებსაც ძლიერ თვალსაჩინო კვალს ასვამს, თუმცა ტოტა არ იყოს იგიც სარწმუნოებრივის ფერადით იღებებს.

II

თუ ესლა ბურჟეს ლიტერატურულს მოღვაწეობას: მიგაქცევთ ყურადღებასა, მისი კალმის ნაწარმოები ორ ჯგუფად უნდა დაიყოთ. ერთი მსრით უნდა დავაყენოთ მისი «Cruelle enigme»-ი (84 ფ.), «un coeur de femme» (90 ფ.) და ზოგიერთი პატარა მოთხრობები (L'irreparable-ი მაგ.); მეორეს მსრით «André Cornèlis» (86—ფ), «un crime d'amour» (85 – 6 ფ.); «Mensonges» (87 ფ.), «Le Disciple» (89 ფ.), «La terre promise» (91 — 92 ფ.) «Cosmopolis» (92 ფ.) და ზოგიერთი პატარა მოთხრობები (მაგ. «Un saint» 90 ფ.) გადმოთარგმნილი Русское Обозрѣніе»-ში (1892 ფ.). პირველები დიდს არაფერს წარმოადგენენ მწერლის ორიგინალური თვისების დასასტავად. ჩვენ ძლიერ ტოტას შეგჩერდებით მათზე [11]).

«საშინელი გამოცანა» არის ამბავი ერთი 22 წლის ყმაწვილი კაცისა. იგი ეკუთვნის არისტოკრატულ ოჯახსა და ბავშობი-

[11]) საუბედურად, ჩვენი მკითხველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს ამ ჩინებულს მწერალს, და მისი მოთხრობების შინაარსი უთუოდ უნდა მოვიყვანოთ, რადგან მარტო სახელის აღნიშვნით შეუძლებელია ამ ჩინებული მწერლის დასურათება.

დანვე ფუფუნებაშია აღზრდილი მისის დედისა და დიდი-დედისაგან. მას ისე უკლიდნენ, როგორც ანანკეერის ყვავილსა: არავითარს ესლანდელს გაძრეულს აზრს არ აკარებდნენ და ზრდიდნენ სასლოში. დიდ ყურადღებას აქცევდნენ მისის აღზრდის საოწმუნოებრივ მხარესა. ეკელა ამის მიზეზით 22 წლამდის იგი იყო დაცული სიტყვითა და საქმით ისე, როგორც ქალი-შვილი. მაგრამ ამ სანას რომ მიაღწია, მას ნება მისცეს საზოგადოებაში სიარულისა. აქ მაშინვე შეუყვარდა კოლტ ქალბ. სოკი. დედა მისი შეამჩნევს, რომ იგი საშინლად იტანჯება და თავის კუზენის შემწეობით აგებინებს ჭიუბერტსა (ასე ეძახდნენ ამ უმაწვილ კაცსა), რომ მისი საყვარელი ქალი მასა ჭლეტობს. ჭიუბერტი კისლამ არ გაგიყდება ამ ამბის გაგონებაზედ. ბოლოს თვით ქალისაგანაც გაიგებს, რომ ეს მართალია. მაშინ დასტოკებს მას და აღარ სასულობს, მხოლოდ ერთს დღეს ის შეკა იმ სასლოში, ს

ბავი კაცის გაბიერუტეგებისა. აი, ჭიუბერტიც ამას იქით სულ უკან და უკან მიდის. «რადაც წარისოცა მის ზნეობრივ ცხოვრებიდანა, რომელსაც ის თავის დღეში ვერ იპოვიდა. მისი სული საუკუნოდ, მოურწყლად დაიმსო და დაიმსხვრა, მან დაჭკარგა თავის ბატონი, ისე როგორც თავისი საყვარელი ქალისა». სარწმუნოებასთან ერთად მან დაჭკარგა ეროელობა ზნეობრივ მოკალეობაზე და ბასიუსის გებაზე. როგორც ჩვენულებად აქვთ ხოლმე ამ კაუბატონებს, ფიტალიზმის მორწმენეტ გახდა; ბესიმაზმი ხომ მიუცილებელი შედეგი იყო ამგვარი ცხრებისა. «მისი ბედნიერების დასასრულს იგი ესლა იმით ხსნიდა, რომ კაცობრიობის უბედურება აუცილებელია». მარტო ღმერთის რწმენა კი არ დაჭკარგვია, მან ყოველივე რწმენა დაჭკარგა. უწინ კი «სწამდა ადა, სწამდა ყოველი სიტყვისა და ალერსის სიწრფელე». ადასა და დიდ-ადას ასეთი საშინელი სიტყვები ესმოდათ ესლა ჭიუბერტზე მათი კეშეხისაგან: «ჭიუბერტი ისეთი გახდა, როგორც ეკელა უმაწვილი კაცია». მათ კი მთელი თავის სიცოცხლე შესწირეს, რომ ამ «ეკელას», გარეგნილსა და გათასსირებულს არ დამსგავსებოდა, არ დამსგავსებოდა ჯორჯისთანა ცხოვრებაში გამოქნილ კაუბატონებს, რომელთაც სწამდათ, რომ «ემაწვილმა კაცმა რაც შეიძლება ადრე და მალე უნდა შეიგნოს ბრაქტიკული ფილოსოფია, ე. ი. დასავლეთული მიზანტროპიული ფორმულების მიხედვით ძალიან ტოტა სწამდეს მეგობრობა, უმეტესი ნაწილი ქალთა მიიხნიოს ცბიერ ქმნილებად, კაცის ყოველი მოქმედება უნდა ასსნას დაფარულისა და ან ცხადის ბირადის ინტერესთა და სხვ.“ ასუბედურდა, ამბობს ავტორი, ამათ ყოველთვის საფუძველი აქვთო. მერე კი ბურჟე დაგვანახვებს, რომ მათ ახრს დიდი საფუძველი არა ჭქონია. საბრალო ქალებს ტრემლის ფრქვევის მეტი არა დარჩენოდათ-რა. განა შეეძლოთ მათ გამოეცნოთ ეს ბუნებელი ამოცანა, როგორიც არის ქალისაგან ღალატი, კაცის ბასიათის სიბუსტე და მთლად მთელი ცხოვრებაცა, ცხოვრება, რომელიც ავტორისაგე სიტყვით «საშინელი გამოცანა»! [12]).

[12]) ამისთანა შემოხვევებს ბურჟე ხშირად აძლევს მნიშვნელობას, მაგ. „la terre promise“-ში.

«un coeur de femme»-ში (ქალის გული) მას აქვს აწერილი ამბავი ერთი ასულგაზდა ქვრივისა. ამ ქალს ათი წელიწადია ერთი საყვარელი ჰყავს. ერთ დღეს უეცრად ეტლის ცხენს ფეხი წაუცურდება, ქალი გადმოვარდება და ფეხს იტეხს. შეკა თავის მეგობარ ქალთან და იქ ნასაკს ერთ დარდიმანდ უმაწვილ-კაცსა, რომელიც შეუყვარდება. რამოდენიმე დღის არშიყობის შემდეგ ქალმ მას დაუსაკუთრდება. ამ დროს უწინდელი მისი საყვარელი სოფელშია. როცა დაბრუნდება, ქალს აღეძვრის თავში კითხვა: ულალატოს ერთსა და წაჰყვეს მეორესა? მეორე ხომ უყვარს და ბირკელთან კი მოკალა დარჩეს. რამოდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ სიყვარულსა და კალდებულებას შუა, შედის მონასტერში. აქ ერთის მხრით ეურადღება უნდა მიაქციოთ ბურჟეს ფანტალისტურ შესედულებას, ეკელა ეს ამბავი მოხდა ცხენის ფეხის წაცურების გამო. მართალია, რომ ფეხი არ ეტკინა ხომ არ შეკიდოდა თავის მეგობარისან და იმ კაცსაც კარა ნასაკდა. თვით ბურჟე ამბობს, რომ მთელ ამ ამბავს, რალაც განურკეველი დამოკიდებულება აქვს ცხენის ფეხის წაცურებასთანაა. მეორეს მხრით აქ მისი სარწმუნოებრივი შეხედულებაც გამოისატება. ყოველის მხსნელი სარწმუნოებაა, ყოველი კითხვის ბასუხის გამცემი მონასტერია. ეს მარტო ამ რომანიდან როდი გამოგვაკვს, ჩვენ აქ ამას მხოლოდ კნაშნაკთ და შემდეგ რომანებში კი უფრო ნათლად დაკინასაკთ, რომ ამ ქალის მონასტერში შესვლა უმნიშვნელოდ არა აქვს აკტორს მოყვანილი. ზემოსსენებული რომანები საკასენა არიან ბურჟეს კარგისა და ცუდის თვისებით. საზოგადო შთაბეჭდილება, რომელიც გამოაქვთ ამ რომანებიდან, არის საშინელი ბესიმისტური; საინდისან მიზანტროპიც გამოიჭარიტება ხოლმე. თუ არ მიზანტროპსა, თუ არ მომხრეს კატობრიობის ბირუტუგობის თეორიისა, მეტს არაკის შეუძლიან ისეთი სცენები დაგვისტოს, როგორიც ჰიუბერტის ზნეობრივი დაცემა («საშინელი გამოცანა»). ამ სცენას დიდის სიამოვნებით სელს მოაწერდა ეკელა, ასეკერ უფრო მკაცრი კატობრიობის ბრალდებელიც რომ ეოფილიყო, კინემ ზოლა. აქკე უნდა შეგნიშნოთ, რომ ბურჟეს უყვარს ისეთი სცენის აწერა, რომელიც სრულიად

მოკლებულია ყოველს სიზღვარს რიგიანობისას [13]). ჩვენის აზრით, ამგვარი სტენები ძლიერ მაგნებელნიც არიან. თუ რომელიმე მისი ჭიუბერტისათვის წაეკითხებინა დედას ეს რომანები, დარწმუნებული ვარ, 22 წლამდინ ის ძალიან გამოტდილი და დახელოვნებული იქნებოდა ვნებათა-ღელვის მეცნიერებაში». სიბელნიეროდ, ეს აგიღები ოან და თან უგულგებიან მის რომანებში და «დისციპლინაში» და «ტერორრომიზში» რიგიანად არიან დაყენებული.

III

ესლა ჩვენ შეგუდგებით ბურეტეს მორალურს ანალიტიკურს რომანებსა, იმ რომანებს, რომლებშიაც ბურეტე მოგვითხრობს თავის რწმენათა აღსარებას, თავის profession de foie-ს და რომელნიც წარმოადგენენ ძვირფასს მასალას საფრანგეთის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ზნეობრივი ისტორიისათვის.

«ანდრე კორნელი» [14]) განმეორებაა შექსპირის ჭამლეტისა, მსოლოდ ანდრე უფრო ნაკლები ფილოსოფოსია, მაგრამ ნაცვლად უფრო გამბედავი კი. ანდრეს მამას მოუკვლენ რაღაც უცნაურად. ორი წლის შემდეგ დედა მისი გაჰყვება ტოლად თავის ქმრის მეგობარსა. ანდრეს რაღაც წინა-გრძნობა შეეცვალ (ბურეტეს ძალიან უყვარს თავისის რომანებში ამ წინა-გრძნობის გამართლება. მის რომანებში ხშირად შესვდებით, რომ მოქმედნი პირნი წინად-გრძნობენ ბედნიერებასა, უბედურებასა და სხ.) ამ წინა-გრძნობით წაქეზებული კორნელი შეუდგება ძიებასა. ერთ დღეს ის გაიგებს დედისაგან, რომ ყოვ ტერმონდს (ანდრეს მამინაცვალი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდა აღებული და რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა, ისე ადვენებდა თვალ-უყრს ყოველ მის მოქმედებას) ერთი ავაზაკი, გადაკარნილი ძმა ჰყოლია. ზოგი მუქარითა და ზოგიც ფულით ამისაგან ანდრე კორნელი შოულობს უტეკარს საბუთს თავის მამინაცვლის დანაშაულობისასა (თურმე ამ ძმისთვის მოეკვლეკინებია ანდრეს მამა). იგი მამინაც-

[13]) იხილეთ განსაკუთრებით „Monsonges"-ი.

[14]) ეს სტატია უკვე დაწერილი იყო, რომ «მოამბეში» დაიბეჭდა ამ რომანის გ. ყიფშიძის ჩვეულებრივად ჩინებული თარგმანი.

კალს სანჯალს ჩასცემს გულში. აქ კიდეკ ერთი ბურჟეს თვისება სჩანს: ეს ის, რომ ბოროტმოქმედებას სჯის და ამ დასჯის იარაღად ბედი და გასგება ეოველთვის სმარობს ერთ-ერთ ბერს, რომელიც დასჯილთათვის უფრო საყვარელია[15]). თვით კორნელი ამბობს (მოთხრობა დღიურის ფორმით არის დაწერილი): «დედა ჩემი! ის ბედმა გასაცდა სიცოცხლის მომსპობ და ბრმა იარად, როგორც დანა ჭკლავს კაცს და ვერ გებულობს კი, რომ ჭკლავს». მართლაც, დედას რომ არა ეთქვა-რა ეკე ტერმონდის ძმაზედა, საქმეს შეიძლება სხვა მსვლელობა მიეცა.

«ცოდვა სიყვარულისა» (Un crime d'amour[16]) ფაბულა შემდეგია. ბარონი დე-კერნი 32 წლის ყმაწვილი კაცი დაუწყებს არშიყობას თავის ამხანაგის და მეგობრის, შაზელის ცოლსა და შეაყვარებს თავსა. რამოდენიმე ხნის შემდეგ გული გაუგრილდება ქალზედ (უკვდა ეოქვათ, ეოველთვის გულ-გრილი იყო) და სწყვეტს მასთან კავშირსა და კიდეკაც შეურაცყოფას მიაყენებს. აგონებს ერთს საძაგელ შემთხვევას მისი ცხოვრებიდანა, ვითომ ვიღაც ეიტერი კარადის საყვარელი ყოფილიყოს. ეს კი ასე არა ყოფილა. კარადი შეუყვარდა ერთსულ ქალსა (შაზელის ცოლის სახელია), რომელსაც ძალ-დატანებით ნამუსი ახადა (არ გაგიკვირდეთ, ბურჟეს თხზულებებში ხშირად შეხვდებით ასეთს ბარბაროსობასა[17]). ქალნე ისეთს სასოწარკვეთილებას მიეცემა, რომ მართლაც დაესაკუთრება კარადასა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი დე-კერნს ატყობინებს, რომ მისი წყალობით ასეთი საძაგელი საქმე ჩაიდინა: თავი მოიკლა ზნეობრივად. დე-კერნს სვინიდისი ქენჯნას დაუწყებს. ქალნე კი ამ ცოდვის შემდეგ განასვლდება სულითა და გულით და სწირავს თავს ოჯახსა, ქმარსა და შვილსა. არმანიც მოიქცევა: მათ დაებადებათ რწმენა კეთილშობილობის ტანჯვისა.

ამ რომანზე ჩვენ შეეჩერდებით და მივაქცევთ უმთავრეს ყურადღებას აქ გამოყვანილს ტიპსა, დე-კერნსა. ეს ბურჟეს უმთავრესი

---

[15]) იხილე La terre promise-ი.

[16]) ქართულადაც არის თარგმნილი: იხილე „ივერია“ 1886 წ. № 175—255. თარგ. გრ. ყ—ძისა.

[17]) იხ. L'irreparable-ი.

ტიპია; მისი ლარშე, (Mensonges) და გრელუ (le Disciple) არიან იმავე ჯგუფის უმაწვილ-კაცები. საუკეთესოდ დასურათებულნი არიან ეს უმაწვილ-კაცები ბურჟუასგან. ეს ასალ-გაზდები შექმნილნი არიან ერთის მხრით ნაპოლეონ III-ის მმართველობის და მეორეს მხრით თანამედროე სამეცნიერო თეორიების გავლენით, რომელთა უკიდურესმა მიმართულებამ იპოვა ფერთო ნიადაგი სწორედ იმავე მეფობის შექმნილს გარემოებებში. 50 წლის სიასაკის ღვრით მოპოებული რეკოლუციის ბრინციპები შებღალულ იქმნენ, სიტყვისა და მოქმედების თავისუფლება მოსპეს. ეკონომიკა, რაც კი რაიმე ძალას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ტირანიისათვის წინააღმდეგობა გაეწია, დამხობილი და შესუსტებული იყო. პარლამენტის საუკეთესო წევრნი, ენერგიულნი, თავგანწირულნი დამტვერილნი ლიბერალური იდეებისა განდევნილ-განძეულებულ იქმნენ სამშობლოდან. კინტ შინ დარჩა სტუსალოებში ამწყვდეულნ და სხვა თანასაირ სასჯელს იგონებდნენ მათთვის. განდევნილთ სიაში ისეთ დიდებულ სახელებს ეპოვით, როგორც კიქტორ ჰიუგო, ედგარ კინე, ტიერი და სხვ. უნივერსიტეტის კარები დახურული იყო და ლექტიები აღკრძალული ჭქონდათ: კოლეგენსა (შესანიშნავ კრიტიკოსს), კუზენსა (ფილოსოფოსს), ყიულ სიმონსა, მიტკევიჩსა, მაშელსა, ბარნისა, დეშანელსა და შალმელ ლაკურსა. ბრიუსელში უნდა წაბრძანებულიყვით, თუ გნებავდათ კინეს ფილოსოფიის შეგნება. დეშანელი და შალმელ ლაკურიც იქ გაიქცნენ და თავის ბრწყინვალე ლექტიებით ველარ ატკბობდნენ თავის თანა-მოძმეთა. ბარნი ყენეკის აკადემიამ მიიწოდა და იქ კითხულობდა თავის შესანიშნავ ლექტიებსა «XVIII საუკუნის მორალური და პოლიტიკური იდეების» შესახებ და დიდებული ეპოქის მოგონებით იმხნევებდა გულსა. 51 წლის დეკემბრიდან ოკტომბერ პოლიტიკური მოძრაობა და ცხოვრება ჩაქრა. პოლიტიკურ სჯა-ბაასს მმართველობა არ ითმენდა. საფრანგეთს არ ახსოვს, რომ ბრესა ასე შეეიწროებული ოფიციალურ რიდისაგან. ლიტერატურაში ისეთი მწერლები მეფობდნენ, რომელნიც ან ჩუმად იუკნენ, ან და ქებასა სცემდნენ და გულდრეკილ უმეკვდნენ მონებასა. უმაღლესს ფილოსოფიასა და ლიტერატურაში წყეულ კითხვებზე სჯა ბაასის გავრცელების ნაცვლად, ნაცვლად მორალური იდეების გავრცელებისა, ესე იგი ზნეო-

ბრიეი ცხოვრების მაგიერ, თქვენ იპოვიდით საფრანგეთში იმ წყეულს დეკემბრის შემდეგ მხოლოდ მატერიალურის ცხოვრების აყვავებასა: კაცრობისა და მრეწველობის კიეკატიცებით წინ-სვლასა, რკინის გზებისა და არხების გაყვან-გამოყვანასა და ათასს ამგვარ სხეულატიურ მოქმედებასა. მიგანდოთ თვით ბურჟუს ამ ეპოქის დასურათება: «რეკოლიუციის ტრაგედიის ზარ-დამტეში ბრძოლისა და იმხეარეის ძლევა-მოსილის ომების გავლენის ქვეშ გაიზარდა თავობა, რომელიც მთლად გამსჭვალული იყო გმირულის შესედულებითა ცხოვრებაზე, ესე იგი ის უმაწვილ-კაცები, რომელნიც ამ თავობას ეკუთვნოდნენ, იკვებებოდნენ დიდებულისა და თან უტანურის აზრებითა. რაღა საკვირველია, რომ მათ სწამდა ოდესღაც–შეძლებლობა კაცის ნებისა. მათ ნასეს განასლებული, დიდებული და ბრწყინვალე ქვეყნის დაბადება. მათ ნასეს ძველი ეგროპის დამსხვრევა და ასალის აღმოცენება. ნახეს, რომ ვიღაც არტილერიის ლეიტენანტი ასრულებს თავ-ბრუ დამსხმელს საიმერებსა და თანაშემწედ ჭეავს მხოლოდ ძალი თვისის გენიოსობისა და ენერგია თვისი მამაცი ჯარის-კაცებისა. ბოლოს, ეს ქვეყანა ისეკე ძველდება, როგორც ბირველი. ასალი ეგროპა ბეგრით ველარა სჯობნის ძველსა. დიაღ, მებრძოლი კვდება სადღაც და მას თან მიჰყვებიან მისი ამსანაგები ერთი მეორეზე. საშუალობის (la médiocrité) ბერი ედება ზნე-სეულებასა და პოლიტიკასა... მხოლოდ ნამსხვრევებში ერთი სე იზრდება, ეს სე მეცნიერებაა. მისი მეთოდი ცდაა. «მეცნიერება მხოლოდ მაშინ დაადგა წარმატების გზასა, როცა მეცნიერებმა დაუწყეს თაყვანისცემა ფაქტსა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეს მხოლოდ ფაქტსა და არაფერს გარდა ფაქტისა... უმრავლესობას საიფრანგეთისას შეეძლო დიეკეესის ერთი რომანის გმირის სიტყვები გაემეორებია: «ესლა, გაიძახის ისა, მე მწერია მხოლოდ ფაქტები; ნურაიკერს ნუ ასწავლი ამ ქალებს და კაცებს გარდა ფაქტისა. ცხოვრებისათვის მხოლოდ ფაქტია საჭირო. არაფერი არ დაუსერეთ მათ გონებაში გარდა ფაქტისა, სხვა ფილოსოფერი ძარიანად ამოოსარეთ. მხეტის გონების გასკვარეგება შეიძლება მხოლოდ ფაქტების შემწეობით!» სწორედ ამაგე დროს გამოდიან მოდიდან რომანისა და დრამის მელანხოლიური გმირები, სუსტი გულის მექონენი და აღშფოთებული გმირები, რომელნიც ფო-

ველთვის ებრძვიან გარემოებასა, გზას უთმობენ მსეცსა და მკაცრი სინამდვილის მოსწავრიშე ტიპებსა, რომელიც დიუმა-შვილმა დაგვისატა თავის წაწერებში. «ლონიერი კაცი» მოდაში არის: ის ნიშნავს ისეთს კაცსა, რომელიც სვინიდისს ჩაღის ფასადაც არ აგდებს, მაგრამ გონიერად კი სმარობს კარგად შეგნებულსა და გაგებულს ფაქტებსა. საზოგადოების ერთი კიდიდან მეორემდინ ეს ცხოვრებისა და ფაქტის მოსმარება ღრმად იდგამს ფესვებსა: სულ ზევით იმპერატორის რეჟიმი დაარსდა და ჭეკვის აღსრულებული ფაქტის სახელითა, სულ ქვევით, ცხოვრებაში გამარჯვება, წუთიერი სიამოვნება, სიმდიდრე და ფუფუნება ქვეზენის მუშაკებსა. პოლიტიკურ იდეალზედ კითხვაც აღარ არის. ლიბერალურ და სოციალურ ოცნებათა დამხობა და დამარცხება გათავებულ საქმედ მიაჩნიათ. იდეალიზმი ლიტერატურაშიაც კი დამარცხდა. გატაცებულის ლირიზმის ადგილს იჭერს ობსერვაცია და ვოლტერის სასტიკი ენა ისევ მოდაში შემოდის. სასაღსო განათლების იდეალად სდება მეცნიერულის სწავლის დამყარება და ლიტერატურულის სწავლის კი დამარცხება. ფილოსოფიის ძველი პროგრამისაგან, რომელიც ერთად-ერთი სკოლა იყო აზროვნების გარჯიშობისათვის, რა დასტოვეს? ლოდიკა, ე. ი. ის საწილი ფილოსოფიისა, რომელიც უფრო მშრალია და ტესსიკური, უფრო შემოფარგლული და უფრო პოზიტიკური.... მეორე იმპერიის ჭეკანდა პირველ პოლიტიკურ მოღვაწედ — ჭერცოგი მორნი, პირველ დრამატიულ მწერლად — დიუმა-შვილი, პირველ რომანისტად — ფლობერი და გონკურერი და დიდებულ ფილოსოფოსად — ტენი... ამათ შუბლზედ აკერიათ განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ყოველი ამათგანი თავის სელობაში წარმომადგენელია ერთისა და იმავე აზრისა [18]).

სწორედ მეორე იმპერიის მმართველობის გავლენათა ქვეშ აღზრდილი არიან ყველა ბურჟეს რომანების (განსაკუთრებით მეორე ჯგუფის) გმირები. თუ ცხოვრებაში ამ დროს პოლიტიკური სჯა-ბაასი, პოლიტიკური კითხვები მოსპობილი იყო, ისი გმირე-

---

[18]) იხილე Essais de psychologie პირველი წიგნი, იქ სადაც ტენს აორჩევს, გვერდი 206 და შემდ.

ბიც სრული პოლიტიკური ინდიფერენტისტები[19]) არიან. თუ სოციალური და პოლიტიკური ოცნება გაცრუვდა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა საზოგადოება, მისი გმირებიც ყველა საშინელი პესიმისტები არიან, ისინი სწორედ ის «ლონიერი კაცები» გასდაკვან, რომ მელნიც ყოველს ლონესა სმარობენ ოღონდ კი სიმდიდრე და ფუფუნება მოიპოვონ, ოღონდ კი წუთიერი სიამოვნება იშოვონ [20]). იდეალიზმი მათ სასაცილო საგნად მიაჩნიათ და საუკეთესო კაცის გრძნობებს მხოლოდ მასხარად იგდებენ. ისინი ტინიკურად ეძტევიან ტოლებს, შეიდებს, საყვარლებს და სხვებს სომ ყურადღებასაც არ აქცევენ: მიაწყენებენ ეტლს თავის ცხოვრებისასა და ვინც უნდა გაწყლიტონ, ფიქრადაც არ მოვუთ შებრალება. ისინი მეცნიერნი ბრძანდებიან და მეცნიერებამ კი მათ ჩასძახა, რომ ცხოვრებისათვის ბრძოლაში მხოლოდ ლონიერნი რჩებიან, უდონო და სუსტი ქმნილებანი წინადვე განწირულნი არიან სასიკვდილოდაო. ფაქტების გათაყვანება მეცნიერების საუკეთესო იარაღად შეიქმნა, იგივე შეიქმნა საუკეთესო საფუძვლად ნაპოლეონის გამარჯვებისა. ჩვენი გმირებიც ფაქტს სედავენ მხოლოდ: თუ ქალი გატაცებული თაყვანსა სცემს, თუ ყოველივეს სწირავს მათ და ეძებენ სულითა და ხორცით, იგინი მარტო ამ უკანასკნელ ფაქტს სედავენ, ე. ი. მას, რომ ქალი მათ საყვარლად სდება და აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ყოველი ქალი უთუოდ ყოველ კაცს დანებდება, რომ ყოველი ქალი გატაცებათ და რქებს გასვამთ შუბლზე. თუ ქალი მათ ატუტუებს და კაბის კუდზე გამობმულს დაათრევენ, ისინი ამ თავის დამცირებას მით იტანენ, რომ «ცხოვრება კომედიაა, ტრაგედიად რად უნდა გადაკაქციოთ», და ეს ცხოვრების ტრაგედიად გადაქცევა იქნებოდა, რომ კინმე ლარშე (mensonges) კანმე გარეგნილ აქტრისას მოჰშორებოდა. თავიანთი მეცნიერული წარმოდგენა კაცზედ ისე კარგად შეოვისებუ-

---

[19]) პოლიტიკურ ინდეფერენტისტს ეძახიან ისეთს კაცს, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს საზოგადო ცხოვრებას. მისთვის სულ ერთია, რაგვარი მართველობაც უნდა იყვეს, ან რაგვარადაც უნდა იქცეოდეს ესა თუ ის მართველობა. საუბედურობა, უკანასკნელ დროებში ძალიან გავრცელდნენ ასეთი ტიპების კაცები, განსაკუთრებით მწერალთა და მოაზრეთა შორის.

[20]) იხ. L'irreparable.

ლი ვაქვთ, რომ სრულიად ჭსირცსვიდოდ უკარდებიან ქალსა, კასა-თსოკარსა, თუ გათსოვილსა, სასლში და ძალ-დატანებით ნამუსსა სდიან. როგორც შეეფერებათ ცსოვრების მოანკარიშეთ, მათ არა აქვთ ერთი ნაბიჯი, ერთი გრძნობა, რომელიც წინდაწინ ცსრაკელ კა-არა ათასჯერ აწონილ-დაწონილი არა ჭქონდეთ, და ეს ყოველთვის პირადის ინტერესისათვის და მერე როგორის ინტერესისათვის? მაგ-ასა თუ იმ ქალს რომ დაუკავშირდეს, რა იქნება, ან რა შედეგი მო-ჭყვება, ან ქმართან შეტაკება სომ არ მოუსდება, ან როცა კავშირის გაწყვეტა დასჭირდება, ისე როგორ მოანერსოს, რომ არავითარ გამამტყუნებელი სიბეთი აღარ დარჩეს ქალსა და ასე თვრთსიდობს ყოველთვის თავისათვის, მხოლოდ თავისათვის, თორემ ქალი წყალსა და მეწყერსაც წაუღია (დე-კერნი). მეცნიერების ქურუმები მეცნიერების ტაძარზედ ჭკვლეს საწყალ უბიწო ქალიშვილებსა (გრეტ) და რისა-თვის? როგორც ღმერთს თავის დღეში არ უთსოვნია, არამცთუ კაცისა, არც ცსოვრის მსსვერპლი, ისე არც მეცნიერებას უთსოვნია ეს მსსვერ-პლი, მაგრამ ამით ტინიკურს გრძნობებს იკმაყოფილებენ და თუ კი-დეკ მათში დარჩენილი ადამიანობა რამე ზნეობრივს კითსვას უფე-ნებს მათ წინ, იგინი მეცნიერულად თავს ისუბუქებენ და იმართლე-ბენ. გარდა ამისა ბურჟეს ტიპები თავის თავის ხსრეკა-ძიებით იქნ-ტვენ თავსა და ამიტომაც გმირების ნაცვლად რაღაც უფერულსა და სუსტს ქმნილებას წარმოადგენენ.

Un crime d' amour-ის გმირი დე-კერნი გასლავთ 50-იან წლე-ბის ერთი უმაწვილ-კაცთაგანი. ის სწორედ 51-შია დაბადებული, იქნება თვით იმ დღესა და იმ ღამესა და იმ საათსაც, როცა სიფ-რანგეთის დამღუბველი ტირანის (ნაპოლეონ III) რეკვიემი გამეფდა. როდესაც ელენე მას შეეყარა დანიშნულ ადგილზე და დასებდა, შეშ-დეგ ელენემ ჭკვიანსა: „ბედნიერი სარ ესლა მიანტო“? თავის დღეში დე-კერნს თავის ბედ-იღბალზე არ ულაპარაკნია ამ ქალთანა, მაგრამ გულითა და სულით შეუკერებულმა, საბრალო არსებამ იგრძნო მი-სი თვალების სევდიანი გამომეტყველება და მისთვის მისცა ეს კი-თსვა. მართლაც, მას სრულიად არ ასარებდა, რომ ეს შეათასე ქა-ლი იშოვნა; ფიზიკური მსიარულებაც კი არ იტაცებდა. მან იცოდა სამდვიდი სასელი თავის ნაღვლიანობისა და მოწყენისა. ეს იყო ისა-

რომ იგი ოკეანეზე კაცის ამამაღლებელსა და შემამკობელს გრძნობ-ბას მოკლებული იყო, მას სიყვარული არ შეეძლო, განა მარტო ქალისა, არაფრისა და არავისა. მას დღიური აქვს, რომელსაც სანდასან გადაათვალიერებს სოლმე და რას ნახავს შიგა? იმ ძველ «მეს», რომელიც სრულიად გვანდა დღევანდელსა—«უდროოდ გამიზანტროპებულსა, წუთიერის გრძნობებით გატაცებულსა, მომაკვდინებელს ანალიტს თავის თავისას, უძღურის სუვდით მოტეულსა და ბედნიერების მიუნდობელსა. ოკეანეზე გარემოებამ ისე იმოქმედა, რომ მისგან გამოაცხო სავეგუნის შვილი მდიდარი, მოქეიფე-დარდიმანდი კაცი, ნიჭილისტი და პესიმისტი». ჩვენც გადავათვალიეროთ მასთან ერთად მისი დღიური და იქ ვნახავთ, რა კაციც ბრძანებულა იგი უკვე დიდი ხნიდან. 1871 წელში, როცა სავრანგეთს, ამ გუშინ გერმანიისაგან დამარცხებულს და გათელილს, რომელსაც ჯერ კიდევ სისხლი ვერ შეეშრო და მტრისგან გაწეტილ მკვდრების დასაფლავება ვერ გათავებია, შიშის ზარსა სტემს კომუნა და არამცთუ სავრანგეთს, მთელს ევროპას შეაშფოთებს. ამ დროს 20 წლის დე-კერნი აი რასა სწერს: «ალფრედი (შაზელს ერქვა) და მე მთელი დიღა ცაში ავარდნილს ტეტლის ალებს ვეტყერობდით. ის საშინელი მოწყენილი იყო და მე კი საშინელი მსიარული; რაღაც ნაირი ისტერიული მსიარულება ათას ნაირ გულის მომწყვლელ პარადოქსებს წამომარაშებინებდა სოლმე. ან კი შეიძლება პარადოქსები კუწოდოთ მაშინდელს ჩემს სიტყვებსა, რომელნიც შეეხებოდნენ ჩვენი ფილოსოფიის პროფესორის უკანასკნელ კვირეში წარმოთქმულს მშვენიერ თეორიებსა? ოხ, ბედის დაცინებავ! მისი უკანასკნელი გაკვეთილი პროგრესს შეეხებოდა!»—მეორე დღეს ამასა სწერს: «მე კეფურცლავ სპირიტუალისტური ფილოსოფიის წიგნსა ზიზღით სავსე სიამოვნებითა. წავიკითხე რა ოფიციალური ფურცლები ღმერთზე, სულის უკვდავებაზე, ზნე-ჩვეულების დამშვიდებაზე, მორალურს თავისუფლებაზე, დაეხუნჭე თვალები და დავინახე წუსანდელი ღამის პანთეონის მოედანი: მკვდრები დაურილნი არიან ფეხ-შიშველი, რადგან ფეხსაცმელები მოეპარაო მათთვის; თოფის კონდახებით თავი აქვთ დაჭეჭეული, რომ უკეთესად მოკვლათ; დაკინავს სისხლის ტალახი, რომელიც ჩვენს ფეხსაცმელებს ეწებებო-

და, და ათასი ტეტხლის ენა ცათამდინ აწვდენილი. ჯარის-კაცები ტრო-ტუარზე დაურიღნი და დაცეინულნი იყვნენ, როგორც დაქანცული მხეცები. Homo hominis lupior lupis» (კაცი კაცისათვის მგელ-ზედ უარესი მგელია). სედავთ ამ სურათს სპირიტუალისტური თეოლოგიის თეორიებზე დაცინების შემდეგ? მან უნდა ამით და-არღვიოს ყოველივე კეთილი აზრი ადამიანობაზე. მწუხარებითა და ტანჯვით გამსჭვალულნი კი არ არიან მისი სიტყვები, როგორც შეჭეფ-რის ასეთს თავზარ-დამტეგ სურათსა, არამედ მწარე ირონიითა. მის გულში ერთი გრძნობაც არ აღძრულა, რომელსაც ტრეკლები წარმოადგენა მისი თვალებიდანა. ოტის წლის ყმაწვილი, რომელიც საზოგადოდ ქალივით ნაზი არის სოლმე, იმ სანში, როცა გრძნო-ბას ყოველთვის ბერეული ადგილი უკავია კაცის გულში, ის ასი წლის ბავს-მოკიდებულს ბერი-კაცს წაგავს. დაგვიხატა ეს სურა-თი და ვითომ საკმარ საბუთი მოგვცა თავისი ინდიფერენტობისა და ცინიკობისა, თავისი მიზანტროპობისა და გარეგნილებისა. ენდა სიყვარულზე რაღა აზრი აქვს ამ ხნის კაცსა, სწორედ იმ ხანში, როცა ყოველ ადამიანს სიყვარულზე რაღაც იდეალური და მისტი-კური წარმოდგენა აქვს? ამას სწორედ ის შეხედულება აქვს, რომე-ლიც შეჭეფრის სელობით გარეგნილს, ხან-გადასულსა და დიდად გამოცდილს კაცთა-ღელვის მეცნიერებაში: «ბოცა ქალს გაკეარშიე-დები», ამბობს ის, «ყოველთვის ვცდილობ სხვა-და-სხვა ამბები გა-ვიგო იმის შესახებ, რომ არ შემიყვარდეს». ასეთი აზრის კაცი რასაკვირველია, არაფერს ჭზოგავს მისთვის, რომ წუთიერი, მხეცუ-რი გრძნობა დაიკმაყოფილოს და ეურადღებასაც არ აქცევს მასა, რომ თავის მოყვარულს მეგობარს ცოლს ართმევს და სავეკუნო ჯოჯოხეთს უნერგავს გულში. რას დაეძებს თუ ბავშვი უდედოდ რჩება და თავისი დღენი და წუთი-სოფელი ეობლობ-ობლობაში უნდა გაატარონ? ქალი ლამაზია, ბატონ ბარონს მოეწონა.. მაშ აქ რაღა უნდა წინააღმდეგეს მასა? სვინდისის ქენჯნა, შიში პასუხის გებაში ჩავარდნისა სვინდისი წინაშე მაინც? დარდი ნუ გაქვთ, ამას კარგი პასუხი აქვს მზად: «რისთვის უნდა განვსაჯოთ ვინმე, ან-და დავტუქსოთ ვინმე? ყოველი კაცი პატარა მანქანაა დიდის პრეტენ-ზიებით. როცა სედავს, რომ ჯმ მანქანის ისარი დადის, მასა ჭგო-

ნია, რომ ამ მოძრაობის მიზეზი ხ

! სისულელე და შედიდურება არის ერთი ბეწო შინაგანი ბორბალი, რომელიც ყოველივეს მართავს. ამ ბორბალს სებავს, რომ ქალბატონი X-ი იყოს გრძნობიერი როსიკიში, მისი ქალიშვილი მომავალი დემონი ⸗ მე კი გაუხარელი გარეგნილი, რომელსაც გული იმდენად გამშრალი მაქვს, რომ ყოველივე ზემოხსენებულის იქმა შემიძლია, მის მაგიერად, რომ კისიამოვნო მით, რაც სასიამოვნოდაა დასაშნული». იკითხავს კი ჭგრძნობს, რომ მისი ანის კაცისათვის ასეთი სიტყვები შეუსამებელია: «22 წლის კაცი ნუ თუ ამას უნდა ეწერდე ჩემს რეკულში»? რას აკეთებს ეს ვაუბატონი? რით იქცევა თავს? თუ ქალის სიყვარული არ შეუძლია, იქნება სხვა რამეს მაინც შეუძლიან მისი გატაცება? შეიძლება რაიმე სიყვარულის ნაირი გრძნობა დაჭბადოს მასში ან მეცნიერებამ, ან ფილანტროპულმა მოქმედებამ, ან პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებამ, ან ხელოვნებამ? შეიძლება მამულის უცხო ერისაგან გადალახვამ მაინც დაჭბადა მასში რაიმე შურის-ძიების ნაირი გრძნობა? იქნება მეომრობა მაინც მოისურვოს, რომ მტერს მაგიერი გადაუსადოს: დაკარგული პროვინციები დაიბრუნოს და თავის სამშობლოს ჩამქრალი სახელი ისევ სხვაის შარავანდედით შეამკოს? ან-და იქნებ მისდა საფრანგეთის შეცდომებსა, მისი დამცირება მიიღო აუცილებელ სასჯელად მისი ისტორიული დანაშაულობისა და ცდილობს ეს შეცდომა-შეცოდება ასლა მაინც ანაცილოს? იქნებ მაზედ ფიქრობდა, თუ რა პოლიტიკური ფორმა უფრო მოუსდებოდა მაშინდელს მდგომარეობაში მის ქვეყანას? არა და არა. არაფერი ეს არ აწუხებს მასა. იგი თითქო არც კი ცხოვრობდეს იმ საშინელს დროში საფრანგეთში, თითქო მისთვის რაღაც ბორბოტ განგებას მღელვარე სისხლი ⸗ აღგზნებული გული ფრანგისა ამოურთმეია და ეინკა ჩაუდვია მაგიერად! მისი საქმე მხოლოდ ეს არის: «საუზმე და სადილი, სადილი და საუზმე; რანდეკუ და საღამო, საღამო და რანდეკუ. «მე არას კაკეთებ ისეთს, რაც მიეკარს, არა, მაგრამ რამიეკარს? მე სომ არაფერი არ მიეკარს»? არც ცხოვრებაზე აქვს კარგი წარმოდგენა; კაცი მხოლოდ მიტომ ებრალება, რომ ტოტხლობს. ასეთი კაცის საუკეთესო მოქმედება ის იქნებოდა, რომ დამბაჩა ეკრა თავში; შეგვებრალებოდა მაინც, ძალა მაინც

შეეტეობოდა, სასიათი ჭქონიაო,—მაინც იფიქრებს კაცი. ლოლიგ მაინც იქნებოდა მის აზრსა და მოქმედებაში. ისეთი კაცი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ამ ქვეყნასთან, მეტია აქა. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ სიკვდილიც კი ეშინებს მასა და აშინებს, როგორც ორ-ფეხ მხეცსა და არა მისთვის, რომ სხვა რაიმე აზრი უტრიალებდეს თავში და აწუხებდეს, როგორც კაცის რიგია. მგონია, რომ ეს შიში ფიზიკურია. უფრო, ვიდრე სულიერი, იმიტომ რომ, თუ სულიერი მხარე კაცის ცხოვრებისა აწუხებდეს მასა, უფრო სხვა აზრები და სხვა კითხვები წარმოუდგებოდა, რაც სიკვდილზედ ფიქრობს, ეცდებოდა ეს კითხვები რამენაირად გადაეწყვიტა, თუ გინდ იმავე მეცნიერების შეშწეობითა; ხმლით აღჭურვილი იგი უარსაჭყოფს ყოველივესა, რაც კი ტოტა არ იყოს გვიმსუბუქებს სიშინელს ბოლოს ჩვენი ცხოვრებისასა. უარჭყოფს სარწმუნოებასა და სარწმუნოება გვისტავს მომავალს ცხოვრებას, სადაც დამყარებული იქნება მსოფლიო მშვიდობა და მუდრეობა. უარჭყოფს მორალსა და მორალი კი გვისტავს უკვდავებას ჩვენი შიროვნებისასა ჩვენს მოქმედებაში: „საქმენი თქვენი გამოგაჩინებენ თქვენაო“. მორალი აღიარებს განუწყვეტელს კავშირსა წარსულსა და აწმყოს შორის, აწმყოსა და მომავალს შორის. მორალი გვპირდება ჩვენ ჯილდოს ჩვენის კეთილ-მოქმედებისათვის, რომელიც გამოისტება შთამომავლობის თაყვანისცემაში და დაუსრულებელს მადლობაში. მორალი ბასუსის გებაში გვაძლევს არა მარტო ჩვენის პირადი მოქმედებისათვის, არამედ ჩვენი შთამომავლობის ავ-კარგიანობასაც ჩვენ გვაბრალებს. მეცნიერებაც ხომ გვეუბნება ისეთ რამეს, რაც უკვდავებას ამტკიცებს. ჩვენ ხომ შევადგენთ ატომს ქვეყნისას და თუ ეს ატომები ერთი მეორეში გარდიცვლებიან, ეს კიდევ არა ნიშნავს სიკვდილსა: მატერია ხომ მაინც უკვდავია. მაგრამ ამ ეებზე ფიქრი ხომ ბავშვების საქმეა და არა ბრძენი მეცნიერი დე-კერნისა. ესეა მხოლოდ თეორიულად, სამდვილად კი თვით მისი ფიქრები გვიმტკიცებენ, რომ ძნელია კაცისათვის შინაგანი, ზნეობრივი ცხოვრების უარყოფა. თუმც ყოველ ამგვარი კაცური ფიქრების შემდეგ დე-კერნი გვარწმუნებს, რომ ეს სრულიად უბრალო მიზეზების გამოწვეული ტირადაა, ასეთი მიზეზების მაგ., რომ ამა და ამ ქალმა

ჩემში «ემოტია არ გამოიწვიაო». ის მხოლოდ თავს ატეუბებს ამითა: მასში კეტობრიულ გრძნობას არა სძინავს სიუკუნო ძილით. ის სანდახან გამოაფხეტს თვალებსა, მაგრამ მსეტი უფრო ძლიერია და ერეკა, ჩაჩუმებს ხოლმე მასში კეტსა. როცა თვეის თავს ნაკლულეკანებას შეამჩნევს, მაშინვე თავს იმართლებს ამ წეული მემკვიდრეობით და არა ნაკლებ წეული გარემოებეებით. ღარიბი გაიძასის, გარემოება ხელს არ მიწეობსო რამე გაკეთოო. მდიდარს გარემოება ხელს უშლის საზოგადო სამსახურში შეგიდეს (დე-კერნი), რადგან ფული არა სეწირია და ამიტომაც საზოგადო ინტერესებს ვერ შეველის. ღარიბს შიმშილი აბარეინებს, მდიდარს—შთამომავლობითი მანკიერება, ატავიზმი. ნეტავ საფრანგეთის დეპუტატებსა და სენატორებს რაღამ მოაბარეინა? უნდა გამოგიტუდეთ, ძლიერ საინტერესოა ახლა იმის კვლევასა და ძიებას შეუდგნენ, ხომ არა ყოფილა ამა თუ იმ დეპუტატისა და სენატორის ნათესაობაში ქურდი. ლომბროზოს ხომ მაინც შეუძლია ნიშნი მოუგოს ყველას: არ დაუჯერეთ ჩემს თეორიას, თორემ იმათი თავის ქალა რომ აგეზომათ, მაშინვე გაიგებდით ქურდები ძეწნებოდნენ თუ არაო და მაშინ დეპუტატებადაც აღარ ამოირჩევდითო. ამ თეორიებით გამსჭვალულ დე-კერნს არაფერი არ უშლის. სრულიად თავი გაიმართლოს. დედ-მამა ბავშეობაშიკე დაკარგა და ამისათვის აღარავინ არა ჭეკანდა ისეთი, რომელსაც ეფიქროს მის აღზრდაზე, მისი ნაკლულეკანების გასწორებაზე. «კოდეკში ცხოვრებამ და ესლანდელმა ლიტერატურამ აზრი გამიფეკნა, სასამ ცხოვრებას დავიწეებდი. 15 წლისა რომ შეეიქანი, იმაკე ლიტერატურამ ჩამომაცალა სარწმუნოება, და ბიწიერება ისე მსიბლავდა, როგორც მშეენიერება. ოს, სიფრცხეიდო! კომუნის დროს ნალხის სეერამ გამაცნო კაცის შინაგანი არსება და შემდეგი წლის ინტრიგებმა კი გამაცნო რა ხილია პოლიტიკა». სულ უსაქმურად დაესეტებოდა: არტისტობა არ უნდოდა, არა ნებაკედ, რადგან დიდი ნიჭი არა ჭქონდა და პატარაობა ამ კაკ-ბატონის ძალიან სძაგდა, თუმცა ნამეტანი პატარა თვით ამ უსაქმურობით სდებოდა. ამმსახური არა სეწირდა—ფული ჭქონდა ბეკრი. ტოლის შერიკა და თავისუფალი ცხოვრების ეკაკეით შებოეკა არ ეპიტნაკებოდა. «ძაკ რა? რა და არაფერი... გულით დაბერებული კი არა, გამოუსადეგარი კაცი ვარო». ერთად-ერთი მისი

სელობა იყო ქალების დევნა-ტყეება. ესეც სელობით ქალების მომ-ხიბლელი გასლდათ,—ასე უწოდებს ბურკე ერთი თავის მოთხ-რობის გმირსა (L'irreparable). მის ოთახშიაც ყოველივე ეთანხ-მებოდა მას სულიერ ნიჭიერებასა. მისი ბიბლიოთეკა გულის გამხმო-ბელი ასალიზმის რომანებით იყო სავსე, მაგ. „Les liaisons dangeureux" ლეკლოსი, „Adolphe" ბენჟამენ კონსტანისა. მორალის-ტებთაგან მიზანტროპი შამფორი აშენებდა მის წიგნთ-საცავსა. კედელი მოფარული იყო მისი დონ-ჟუანობის გამასსენებელის სუ-რათებითა. ამ ოთახში იყო ის ერთს სადამოს და ფიქრობდა მეო-რე დღის რანდევუზე, რომელიც ელენემ დაუნიშნა. ეს რანდევუ პირველი იყო მათ შორის. პირველად ტოტა შეჩერდა ამ სელ-ახალი შეცდენის წინ, უნდოდა უარი მიეწერა ქალისათვისა, ქალადდიც კი ამოიღო სტოლის უჯრიდან. მაგრამ, «გულ-უბრყვილო ბავშვო,» უთხ-რა მან ხმა-მაღლა თავის თავსა, «მე რომ არ კიყო, სხვა იქნება», და დაიწყო საშინელი ნერვოზული სარსარა. წუთიერი გატაცებისაც კი არა იცის-რა. აბა ერთი ემოციაც ხომ არ მიუღია, რომელსაც პირდა-პირ გულის სიღრმემდინ მიეწიოს, ყოველი ემოცია უთუოდ თავის ტკინში გაუვლიდა. ყოველივე წინ და წინ ჭქონდა მის ჰესიმიზმსა აწონილ-დაწონილი და მიზანტროპიაში გაკვლებული. სიყვარული რანაირად უნდა შესძლებიყო, ქალის რომ არა სწამდა-რა. არასდროს არა რწმენია არც ერთი ქალის გულის სიმტკიცე და გრძნობათა საწრფე-ლე. ამიტომაც ყოველთვის პოულობდა თავის გასამართლებელ საშუ-ალებას, თუ ქალს ურიგოდ მოექცეოდა. როდესაც ის პირველი რანდე-ვუს დროს ელენეს ესვეკა და ალერსება, თასაც ეს საშინელი ურწმუ-ნოებაო სავსე აზრები უტრიალებს თავში: «ამან მე ამიყანა მხო-ლოდ თავისი ყინის დასაკმაყოფილებლადა, კისრგებლოთ ამაო!» რა მშვენიერი სიტყვაა ეს «კისარგებლოთ» და მერე კიდევ ისეთის ქა-ლის შესახებ, რომელსაც დაკიწყებია ყოველი ოჯახისადმი მოკალეო-ბა და ყველაფერი შეუწირავს მისთვისა. ასეთ ქალზე იფიქროთ ათა-სი რამ უცნაური, არა გრწამდეთ, რომ ის ყოველს დღესა და ყო-ველს საათში არ ესვეკა სხვა-და-სხვა საყვარელსა და ყველას ერთ-ნაირად არ ატყუებს, მერე, ეს ფიქრები გიტრიალებდეთ მაშინ, რო-ცა კაცი კი არა, მანქანა უნდა იყოთ, რომ გატაცებასა და თავ-დაკი-

წყებასა, არ მიეცეთ! ამიტომაც, როცა თავის სურვილები დაიკმაყოფილა და რამოდენიმე დღის შემდეგ ალფრედი შემოვიდა მასთან სახაასოდ, მან ცივურ მანასად მიიღო. ალფრედს უნდოდა მეგობრისათვის გული გადაეხსნა და შეეტყობინებია თავის ტანჯვა ცოლის გამოცვლითა და გულ-გაგრილებით გამოწვეული. ალფრედიც რომ არ შემოსულიყო, დე-კერნი ელენეს მაინც მიატოვებდა, მაგრამ ესლა სელზე დასასვეკი მიზეზი იშოვნა. რას მიბრძანებთ, რა არ გაასხენდება, პატიოსნება, მეგობარი, მეგობრის ოჯახის შებღალვა და სანამ ყინის მოიკლავდა კი სარსარი დაიწყო ამ აზრზე, რომ ალფრედი მისი მეგობარია. მას ლოგიკურად დაუმტკიცა თავის თავსა, რომ მეგობარი არ არის, არ მოსულა ჩემთან და თავის გული არ გადაუსხნია. ის კი დაავიწყდა ბ. დე-კერნს, რომ როცა ერთმანეთს დაშორდებოდნენ, ალფრედი მას სწერდა ისეთის მსურვალე და წრფელი გრძნობით სავსე წერილებს, თითქო შეყვარებული იყოსო. ესლა კი თავის თავის მტყუნების მაგიერ, ქალს დაუწყო მტყუნება: «რისთვის და კისთვის ულალატა ქმარსა, ასეთ გულ-კეთილ კაცსა, ასე მინდობილსა მაზედ? ჩემისთანა ცინიკისათვის... მაგრამ მე რომ არ ვეოფილიყავი, სხვა იქნებოდა ჩემზედ უარესი, თუმცა ეს ჩემი თავმოყვარეობისათვის დიდი საამაო არ არის, მაგრამ სვინიდისისა კი დამაწყნარებელია... დიაღ, ეს სხვა ვინმე იქნებოდა». ეი რამოდენად სტანჯავს ორნაირობა მას, რამოდენად არ ეთანხმება მისი გული მის ტვინს. აქამდისინ თუ ოკეელთვის გონება აჩერებდა მის გრძნობას, ახუმებდა მას, ესლა კი გრძნობამ უკანასკნელად წამოიწია, სიკვდილ-სიცოცხლისათვის შეება ოკეელის დამამსობელსა და ოკეელის ყარ-მოოფელს გონებასა. ესლა უკანასკნელი კრიზისია. ეს უნდა დარჩეს იგი გარეკვნილი, მოღალატე მეგობრისა და თავის გარეკვნილების ძით გამმართლებელი, რომ «მე არ ვეოფილიყავი, სხვა იქნებოდა», და ეს გრძნობამ უნდა ცაიმარჯვოს, აჩვენოს მას ეზა თავის ცოდვების შესანანებლად. ესლა ეს გრძნობა მას ეი რას ეუბნება. ზემო მოყვანილი სიტყვების შემდეგ გასაგრძო: «რა მშვენიერი სიბუთია ჩემდა გასამართლებლად. კაცის-მკვლელის შესასვლელ რომ ვისმარო ეს სიბუთი, მაშინ ასე უნდა ვოქვათ: თუ დღეს არ მოგკლეთ, სულ ერთია, ხვრე თუ გვიან მაინც მო-

კვდებით რამენაირად ჭეშმარიტება მხოლოდ ის აქვს, რომ მრუ-
შება საზიზღარი რამ არის». იბარებს ელენეს თავის სასლში და
უცხადებს თავის გადწყვეტილებას მასთან კავშირის გაწყვეტის შე-
სახებ. მიზეზად მოჰყავს ისა, რომ თავის მეგობრის ოტეუეუბა აღარ შეუ-
ძლია. «მარადად მატეუეუბდი, რაღად ჩამიდენიე ასეთი ბოროტ-მოქმედე-
ბა», ეუბნება ქალი. არმანი კი ციინიკურ ხასუხს აძლევს: «ბავშვები ხომ არ
გიყავით, ერთმანეთი მოგვეტეუეუბიაო». მერე კიდევ კარადის სასელ-
საც მიარტეუმს, იმ ადგილისას, რომელმაც ერთსელ ძალით დაისა-
კუთრა ელენე. გაისტეუმრებს თუ არა ქალს, სიამოვნებით ამბობს:
«არ მეგონა, ისე კარგად ჩაიარა საქმემ, მორჩა და გათავდა ძალიან
ლამაზი კი იყო. ეხლა კერიდოთ შურის-ძიებასაც. მაგრამ როგორ
წერილი ერთიც არ მიმიწერია «შენობით»... რაც რამე ნიეთები აქვს
ხალმირისას (მათი მრუშობის თავ-შესაფარი), მოკერებ და გადაგტემ
მაშინ, როცა მეტეუვის: «მე თქვენ ძალიან დამტანჯეთ», და ამ დროს
უბეში ექნება ჩემი მოადგილის ბარათი». რომ ბურეე ნამდვილი
გრძნობიერი და კეთილშობილი მწერალი არ იყოს, რომ ის იყოს ან
გარდამეტებული ესიმისტი და ან «კაცის მსეცობის» აღმსარებელი,
მაშინ ამ რომანს აქ დათავებდა. კაცმა რომ სთქვას, ცხოვ-
რების ნამდვილი სურათიც აქნებოდა. ზოლა და ზოლას მიმდეკარი
უთუოდ ასე მოიქცეოდა, თვით ბურეე „cruelle enigme“-ის ავ-
ტორიც სწორედ ასეთ ადგილზე სწყვეტს თავის რომანს. რეალიზ-
მის (ზოლას რეალიზმის) თაყვანისმცემელი იტეუის, რომ ეს უკანასკ-
ნელი ნაწილი სრულიად რომ არ დაეწერა ბურეეს, უკეთესი იქნებო-
დაო. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს უკანასკნელი ნაწილი არ იყოს,
მისი რომანი ყოველ მორალურ ღირსებას დაკარგავდა და დარჩე-
ბოდა უბრალო ანალიზის რომანად, რომელიც ვერც თავის სიუეე-
ტის ორიგინალობითა და ვერც მსატვრობითაც მხრით იმდენად ვე-
რას გვასიამოვნებდა და ისეთ გავლენას ვერ იქონიებდა, როგორც
ეს უკანასკნელი ნაწილი. არც სინამდვილეს წაუგია რაიმე, წინანდელ-
დეგ, ბევრი მოიგო. რაიცა შეესება ანალიზს, აქ მისი გმირის ფსი-
ოლოგიური მხარე საუკეთესოდ აწერილია. საბედნიეროდ, ბურეეს
კიდევ დარჩენია რწმენა კაცის ადამიანობისა, სწამს, რომ თუ მხე-
ცი კაცი, ეკელა მხეცზე მეინ კი უფრო მაღლა სდგას ეგი თავი-

სის სულიერის და გონების სიდიადით. ამიტომაც აქამდინ სოფლარ და საშინელს დე-კერნში კეტობრიულ გრძნობას გაიღვიძებს და მთლად გარდაქმნის მას. ერთსულ ელენე მოდის ორმას დე-კერნთან და ატეობინებს თავის სძაგელ მოქმედებას (გულ-მოსული რომ სულ-მეორედ კარადს დაესაკუთრა). მაშინ დე-კერნი იგრძნობს თავის დანაშაულსა, თავის კალდებულებასა ამ ქალისადმი და ტრემლების ფრქვევით ჰგოცნის სელზე. პირველი იყო ეს ტრემლი მისთვის და ეს იყო პირველი წინამორბედი მისი მორალური მოქცევისა და განახლებისა. ამას შემდეგ ის ლონდონში მიდის გასაართობად და სეედის გასაქრობად, მაგრამ ელენეს საშინელი ალსარება მოსვენებას არ აძლევდა მას. «რა სულელური მანქანა კაცი!» ფიქრობდა ის, «და რა საზიზღარი ულონობა კაცის მხრით ეს უცნაური გრძნობა მოწყენილობისა»[21]). «ჩემს სვინიდისის ქენჯნას მხოლოდ მაშინ ექნება საფუძველი, დანაშაული რომ ვიყო, ე. ი. ვიყო თავისუფალი და პასუხის მგებელი. სოლო მორალური თავისუფლება განა ფუჭი სიტყვა არ არის? ისე, როგორც ფუჭია სიტყვა სიკეთეცა და ბოროტებაცა, ბიწიცა და სათნოებაცა» (ამ სიტყვებს გრელუსგანაც გაიგონებთ). ის შედეგია შთამომავლობითის მანკიერებისა, ასეთ თუ ისეთ გარემოებაში ჩაყენებული. მას არ შეუძლიან სხვარიგად იმოქმედოს ან სხვანაირად იფიქროს, თუ არ ისე, როგორც მოქმედებს და ფიქრობს. «მე ასე მეგონა, რომ ელენე ქალია-მეთქი როგორც ყველა სხვანი. დიაღ, მე ასე მეგონა და აუცილებლად ასეც უნდა მგონებოდა». ის ძალიან აწვებოდა ამ აუცილებლობასა.

«მე უნდა აუცილებლად ასე მგონებოდა»—არწმუნებდა ის თავსა, იმას ეგონა, რომ ეს სიტყვა არის ის აზარმაცი, რომელიც ასწყვეტს და მოაშორებს თავიდან მძიმე ტვირთს სვინიდისის საყვედურის და ქენჯნისას, მაგრამ ტვირთსა და სიმძიმეს მაინც საძრაობა არ ეძლეოდა. ძალიან იბრძოდა, მაგრამ მასში «რაღაც» იყო უფრო ძლიერი როგორც თვითონ და ეს «რაღაც» ძალი» აგრძნობინებდა მას, რომ ის არის ერთად-ერთი მიზეზი ამ ქალის დაღუპვისა და ერთად-ერთი ამაში პასუხის მგებელი. შეეძლო, არ შეეტდინა

[21]) ზოგიერთი ადგილები ამოწერილი მაქვს ბ. გრ. ყ—ძის ჩინებულის თარგმანიდან, რომელიც, უკვე მოვიხსენიეთ, «ივერიაში» იბეჭდებოდა.

ქალი? «არა», ამლეკდა ის გაბრაზებული ბასუხს თავის თავსა. «ქალის მოხიბლვა და მოტეეება ჩემი თვისებაა, როგორც ნადირობა — ლომისა». დიალექტიკის შეეწეობით ცდილობდა დაეჯერებია გონება თავისი და კიდევაც დაჯერა იგი, მაგრამ იმისი გულის ტკივილი კი იქვე იყო და არც მსუბუქდებოდა. ჰვინიდისი ქენჯნიდა, «მაგრამ სვინიდისი სომ ილიუზიაა და სხვა არაფერი. ეს არის ის დაგორებული ქვა, რომელიც, გთქვათ, ჭგრძნობს, რომ მიეგორაკო, მაგრამ ის კი არ იცის, რომ სხვამ დაგორა და ასე ჭგონია, თვითმე კარ მიზეზი ჩემის მოძრაობისაო. ეს მხოლოდ მოჩვენებაა და ლანდი. შეიძლება მოჩვენებამ და ლანდმაც კი დაგეტანჯოს, მაგრამ მისი სინამდვილე კი ნუ გეეჯერა». კი ბატონო, ეგრე იეგეს, კეთილი, ბოროტი, სვინიდისი მორალური თავისუფლება ეს ყველა მოჩვენებაა, უსასეულო ჭრდილიაკ. ამას სადღა ეაუსვლთ, რომ დაღუშეთ, გაუბედურეთ, მოჭკალით ზნეობრივად ადამიანი, თქვენი მოყვარული ადამიანი და ამის მიზეზი თქვენა ბრძანდებით. ვერაფერი თეორია თქვენ ვერა გეშველით და თვით ჭგრძნობთ, თქვენი «რაღაც» ეურში ციჩურჩულებთ, რომ ამ დაღუშვის მიზეზი თქვენ გაგხადთ მრისხანე ბედის-ეერამ. «როგორ თუ ეაწეემედა და დათრგუნვა სულისა»? ეკითხება ის თავის თავსა: «მაშ ქვეეანად ეოფილა ისეთი რამ, რაც აღეეკვეს სულსა და ისეთი რამაც, რაც დაჯენობს, ეასწეემედს და მოჭკალეს». მაშინ ის თავის თავს მიეუბრუნდება: «ოს! მე კარ სულით მკვდარი ადამიანი, დიაღ, მე...» სწორედ მკვდარი იყო, მაგრამ ისეთი სენით მომკვდარი კი, რომ კისაც უნდა გაეკვლო იმის ლეშის ახლო, მოიწამლებოდა მაშინვე. იგი ფიზიკურად ტოტსალი იყო, ძალიან მახვილ-გონიერი და ნიჭიერი კაციც გასდგათ, მაგრამ რას მოასმარა თავისი ნიჭი? ქალების ტეეებასა და ბოლოს მათ გაუბედურებასაც. იგი ფიზიკურად ტოტსალი იყო, შეიძლება ცსოვრებისთვის ბრძოლაში ბეკრსაც ამარცხებდა, მაგრამ სულიერად კი მკვდარი იყო. ის სულ-ასლა უბრუნდება სულის სიკვდილ-სიტოტსლის კითხვას: «ის რიღასკან არის, რომ ეს სული ტოტსლობს ერთგვარის აზრებისა და ფიქრების წყალობითა და კვდება მეორეგვარ აზრების ზედ-გაკვლენითა. რადა, რისთვის? მე არა კიცი-რა. განა ტოტა რამ არის კიდეკ სხვა იმისთანა, რაც ჩვენ არ კიცით?

რა არის მატერია? ეს ჩვენ არ ვიცით და ამის არცარა გაგვეგებარა. ამიტომაც მხოლოდ ერთია საკითხისაკენ: რად არის ყოველივე? და ერთად-ერთი ვიცით ნამდვილად, რომ ამ კითხვას თავის დღეში პასუხს ვერ მივცემთ». ამ დროს მას წარმოუდგებოდა ქალაქის უბედურება, უსამართლობა და ეს კმაროდა, რომ ღმერთი უარეყო,—კეთილმა ღმერთმა ბოროტი რად შეჰქმნა? ან კეთილსა და მართლმსაჯულს ღმერთს შეჰფერის, რომ კეთილი დაჰსაჯოს ბოროტის მაგიერად? ალეურედსა, ელენესა და ჩემს შორის მე ყველაზედ უფრო დიდი დამნაშავე ვარ, მე კარგად ვარ და ისინი კი იტანჯებიანო. მაგრამ კარგად იყო კი იგი, თუ თავს ინუგეშებდა ამით? ეს ხომ იყო, რომ იგიც იტანჯებოდა, სვინიდისი ქენჯნიდა მას; ეს ხომ იყო, რომ სხვის ტანჯვის მიზეზად ის თავის თავსა ჰსადიდა და ვერაკითარმა დიალექტიკურმა სერსმა და ვერც ლოგიკურმა დასკვნებმა ვერ უშველეს, თავის თავი სრულიად უდანაშაულოდ ეცნო. «ერთვითარი არა მრწმენს», ასე ამთავრებს ის მთელ თავისს სჯა-ბაასს თავის თავთან, «მაგრამ სარწმუნოება არ ყოფილა საჭირო მის გასაგებლად, რომ არის კეთილრიობის ტანჯვა-წამება და რომ ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, ამ ტანჯვა-წამების მიზეზი არ გავსდეთ»! ასე ებრძოდა დიდ სანს ის თავის ოცვსა. ამ ბრძოლაში მისი დამამსობელი ნიჭილიზმისათვის უკანასკნელი წუთებია. ამ უკანასკნელ წუთებში მისმა უბრმოფოველმა ნიჭმა, მთელი თავის ძალ-ღონე გამოიჩინა. მართალიც ეითხრათ, ეს ძალ-ღონე ეგვიპტეელებს, რომ უბრალო ნიჭის პატრონთან არა ეგვქვს საქმე, მაგრამ მით უმეტესია ჩვენი მწუხარებაც, რომ ასეთი კაცი ასე გამოუდეგრად სმარობდა თავის ნიჭსა, სმარობდა მისთვის მხოლოდ, რომ კეთილრიობის ტანჯვისათვის მოემატებია, არა თუ იგი შეემსუბუქებია. ეერნის ნიჭილიზმის სიმწარით ბრძოლა მისიგე შესუსტებისა და დამარცხების მომასწავებელი იყო. მომაკვდავიც ხომ სიკვდილის წინ ოცვლთვის «მოისვდავს», როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში, არ ვიცი რაღაც სიადუმლოების მიზეზი, მაგრამ უფრო კი მისთვის, მგონი, რომ მთელს თავის ძალსა და ღონეს იკრებს და ებრძვის ყოველის დამამსობელ სიადუმლოებასა, მაგრამ ეს მას ვეღარ შველის, ის მაინც ძლეული ეცემა. დაეცა ეერნის ნიჭილი-

ზმიცა. მაშინ გაიღვიძა სიბრალულმა ტანჯულთადმი,—უმაღლესმა გრძნობამ, კაცობრიობის საუკეთესო და განსაკუთრებულმა თვისებამ, საფუძველმა ყოველის სარწმუნოებისა და მორალისამ. ლონდონიდან დაბრუნდება თუ არა, ელესესთან გაიჭცევა. სახავს, რომ სიბრალული ქმრისა და შვილისადმი შეელის მას თავის დაღუპული ცხოვრების განსაასლებლად და გასაუმჯობესებლად. ამ გრძნობის შემწეობით ქალი თავის წარსულს აკრწყლებდა. «ამნაირად სსნის პრინცესი, რომელიც მან კერ მოიპოვა უძლური გონების შემწეობით, რომელიც კერ მისცა მას სარწმუნოების დოგმებმა, რადგან არა სწამდა ღმერთი, ეს სსნის პრინცესი მან იპოვა-ამ ჭეშმარიტებაში, რომელიც, როგორც თვით ჭეშმარიტებაში, ბოლოს და ბოლოს ეპოვა მოქმედებისა და ცხოვრების საფუძველი. ეს იყო რელიგია, ანუ სარწმუნოება კაცობრიობის ტანჯვისა და წამებისა. «ცოდვა სიყვარულისა» ამ რიგად ბურეემ დაათვა თავისი გმირის მოქცევითა, მისი სულიერი განსვლების მიზეზი იყო კაცობრიობის ტანჯვის შეგნება. «ეს ხომ ნამდვილია», ამბობს დე-კერნი, «რომ კაცი იტანჯება. და ესეც ნამდვილია, რომ ჩვენ ყოველივე ღონე უნდა მოვიმართოთ ამ ტანჯვის მიზეზად არ გავხდეთო». მარამ აქაც ხომ ისევ ის ინდივიდუალიზმია, მხოლოდ მისტიკურად შემოსილი კი. ეს უარმყოფელი მოქმედებაა. იმას კი არა ცდილობს დე-კერნი კაცობრიობას ტანჯვა შეუმსუბუქოს, არა, ისა ცდილობს მხოლოდ თვითონ არ გახდეს ამ ტანჯვის მიზეზი და სხვას არას დასდვეს. ჩვენ ვნახავთ, რომ ბურეე უფრო მეტს მოსთხოვს თავის გმირებსა. აკტორის «ტანჯვა-წამების რელიგია» რადგან დოსტოევსკის ავადმყოფურ რელიგიურ ექსტაზად გვეჩვენება ჩვენ აქა. ეს რწმენება იმაში იხატება, რომ ყოველი კაცის ყოველი მოქმედება მხოლოდ ერთშა არის მომწყვდეული, ეს რომ იტანჯოს და ამით მოინანიოს არა თუ თავისი, ბევრნის ცოდვებიც. ეჭ, რასაკვირველია, ეს იმდენად არა სჩანს იტანჯებიან მართლაც დამნაშავენი, თუ არა. „La terre promise"-ში კი გაუგებარია უბრალო სულის დატანჯვა. მაგრამ ეს მხოლოდ ბურეეს გამოურკვევლობას უნდა მივაწეროთ კიდევ, თორემ მისი „Mensonges" და „Le

disciple"-ი სრულ დამთავრებულ სურათს გვისტავს ბურჟესს, რო-გორც რელიგიური მორალისტისს.

IV

„Mensonges"-ში («სიცრუეე») გამოყენილია ორი ლი-ტერატორი, ერთია კლოდ ლარშე 35 წლისა და მეორე რენე ვის-სი—25-ისა. ლარშე უკვე საზოგადოებაში ცნობილი მწერალია. მას გამოჰყავს ლიტერატურული ასპარეზზედ რენე, რომელსაც დაუწერია ერთ-მოქმედებიანი დრამატიული თხზულება და კიდევაც წარმოუ-დგენიათ comedie française-ში. ერთ საღამოს ორივე მწერა-ლი დაპატიჟებულნი არიან მაღალი საზოგადოების ერთ-ერთს სალონში. აქ რენეს შესვდება ერთი ქმრიანი ქალი სიუზანა მორე-ი და შეუყვარდება. ბევრი მანჭვის შემდეგ სიუზანა რენეს საყვა-რელი გახდება. კლოდ ლარშეს კი უყვარს ერთი ვიღაც გარეული აქტრისა—კოლეტი. ამ სიყვარულს აწყვეტს კლოდი ოდესაც კატობრიულს ღირსებასა და ნამდვილ მსეცად გარდაიქცევა. ერთხელ რენე კოლეტასაგან გაიგებს, რომ სიუზანა ვიღაც ზნეობით დაცე-მულ ბარონს ჭყავს დაქირავებული. ამაში რენე რწმუნდება ფაქტე-ბით. ამას შემდეგ იგი უცხადებს ქალს, მიატოვოს ბარონი და მა-სთან ერთად გაიქცეს. სიუზანა ამაზედ არა სთანხმდება: რენე მას მხოლოდ პირუტყვული ეგრძნობის დასაკმაყოფილებლად უნდა და ბარონი კი მდიდრულად აცხოვრებდა. რენე ისეთს სასოწარკვე-თილებას ეძლევა, რომ რევოლვერს დაიცემს გულში, მაგრამ რა-ღაც მანქანებით ტოტსაღი რჩება. ექიმები კიდევაც იმედობენ მის მორჩენასა. ამ რომანში მოქმედი პირები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი, საზოგადოებაც ორპირად არის გაყოფილი. ორსაირ შთაბეჭდილებას ასდენს ეს რომანი: ერთის მხრით მწარე პესი-მისტურსა, (თვით სახელი რომანისა — სიცრუეე — გვამხადებს ჯიდევაც ამგვარის გრძნობისათვის); მეორეს მხრით კი იმედს გაძ-ლევთ, რომ ყოველივე არ დაღუპულა, რომ არის ზესნის ხმელი. ერთის მხრით ახალგაზდა მწერალი რენე, იდეალისტი და ნაზი გრძნობის პატრონი კაცი, მისი თავ-განწირულებამდინ მოყვარულის, კეთილი-

სა და პატიოსანის დითა და მისი სიყვარული სატოლო როზლთა-თი (სიუზანას სიყვარული მიატოგებიებს მას) წარმოადგენს პარი-ელის პატარა საშუალო სელის საზოგადოებასა. მეორეს მხრით ლა-რშე—ეს გერნისებური ციინიკი და ხასიათ-დაჩლუნგებული ანალიტი (analyste), სიუზანა—ეს უსაშინელესი როსკიპი, რომელსაც ქმარი ფარდად ჰყავს, ბარონ დეფორეფსა ჰყიდის თავს სიმდიდრისათვის და რენე ენებათა-ღელვების დასაკმაყოფილებლად ჰყავს,—არიან წარ-მომადგენელნი გაქსუებული demi monde-ისა, რომლის ბრწყინვა-ლე ქერქ ქვეშ იმალება დამპალი და საზიზღარი გული და სული. მშვენიერად ასურათებს ამ demi monde-ისა თვით ლარშე, რომელ-საც ხანდისან კატობრიული ზზრი წამოსცდება, კატობრიულის გრძნო-ბით გატაცებულსა: «ნეტავი რა გგონიათ ის ქალები», ეუბნება ის-რენეს, «რომელნიც თქვენ მიგაჩნიათ ნაზისა და წრფელის გრძნო-ბის არისტოკრატებად. ღმერთო ჩემო! იგინი არიან ცარიელი გაბერილი მედიდურება კორტის და ლაფერიერის შეკერილი ტანსაცმე-ლით მორთული. ათასაც ვერ იპოვით მათშე, რომელთაც ნაზისა და წრფელის გრძნობის ნატამალი მოეძოოდეთ. ყველაზედ უფრო პატი-ოსანი მათში იგია, ვისაც ერთი საყვარელი ჰყავს მარტო. გათვატრეთ იგინი და შიგ გულის ნაცვლად იპოვით მხოლოდ მოდისტების სიებ-სა, ნასეკარ დუელის ტრუ-მორწმუნეობისასა, რომელთაც ბრინციპების მნიშვნელობა აქვთ მათთვის, და კიდევ უსაზღვრო სურვილს ეკუბნისასა». თვით ლარშეც იმდენად დაცემულია და გათახსირებუ-ლი, რომ თავი ეზიზღება. ვინც წაიკითხავს ამ რომანის ბოლოს ლარშეს სიტყვებსა, არ შეიძლება არ შესძაგდეს იგი. მასში კაცური ადარა არის-რა. ვიღაც უწმინდურს ქალს და, უკედა კითქვათ, ქალს კი არა, თვით უწმინდურს გრძნობას შესწირა ოთველისფერი: ნიჭი, სვინიდისი, თავის მოყვარეობა და მთლად მთელი კაცობა. რომანშიც სრულიად განცალკევებულ ბიჩს წარმოადგენს ანა ტაკონე. ეს გას-ლდათ რენეს გამზრდელი ბიძა. რომანში იგი სარწმუნოების წარ-მომადგენელია. მან დაუარსა სკოლა, რომელიც აკმაყოფილებს ორ-ნაირ მოთხოვნილებასა: ტრადიციონალური ქრისტიანობისასა და ეს-ლანდელი მეცნიერული განვითარებისასა. ტაკონემ ანაფორაც მიიტოვ ჩაიცვა, რომ უფრო ადვილად ესრულებინა თავის ბროექტი ამ ორი

მიმართულების შეთანხმებისა. ეს ეს ტკბილნი ეუბნება მშეენიერს სიტყვებს ლარშესა, როცა იგინი დაჭრილის რენეს ოთახიდან გამოვიდნენ: «ძალიან საოცარებელი და საამწუხაროა, რომ ორ და ხუთის წლის კაცსა ჰქონდეს შეუდარებელი განძი, რომელსაც ტალანტი ჰქვიან და რომლის შემწეობითაც ბევრი დიდებული საქმის გაკეთება შეიძლება, თუ კი რიგიანად მოიხმარება იგი, და ეს განძი კი მიეღოთ ამ ტრაგიკულს დროში; იცოდეს, რომ სავალ შეიძლება ეს ქვეყანა საუკუნოდ შთანთქას ცელ-ხალმა საშინელმა ღელვამ; იცოდეს, რომ ამ ქვეყნის ხსნა უკვლა ჩვენგანის საქმეა: თქვენი, ჩემი, იმისი, ამ გამეფულ-გამომეფულების; იცოდეს უკვლა ეს და კი არ შეეძლოს სძლიოს თავისი ტანჯვა, იმისაგან გამოწვეული, რომ ვიღაც გარეგანილმა დედაკაცმა მოატეხა». ეს ამაგებს მათ ფიქრებასა, მათ გარეგანილებასა, მათ გრძნობების თამაშსა. შეესება მწერლების მოგალობას, მათ გაკვლასა ახალგაზდობაზე. ლარშე კი გასამართლებლად თავის თავსა და მისი კათეგორიის მწერლებს კლოდ ბერნარს ადარებს. ჩვენ კაცის გულს ისე ვეძებეთ, როგორც კლოდ ბერნარი ძაღლებსა და კურდღლებსაო (ამ თქვენ ზოლა მოგაგონდებათ, ამ წარხინებულ მწერალსაც ხომ საშინლად უყვარს თავის თავის კლოდ ბერნართან შედარება). ამ დროს იგინი სუფდართან გაიგლიან. ანე მიუთითებს ჯვარზე და ეუბნება: «მეოწმენეთ, ამაზედ მეტს ვეღარავინ იტყვის რასმე ტანჯვისა და ჯესების შესახებ. ტეუილად ნეოსიდან ელოდებით საშველს თვინიერ ამისა». ლარშე დრმა ფიქრს მიეცემა ტკბილნესთან ლაპარაკის შემდეგ. «ეს დაბისსის რენესა ამბობს იგი და თვალებს გაყოლებს, მიმავალს ანესა. საშინელის ხასტიკობით დაუწყებს თავის სულსა და ბულს ჩხრეკა-ძიებასა, თავის თავი სიზიზღრად ეჩვენება. მაგრამ ეს ერთის წუთის კაცობა თითქოს შეიჯნასო ამ საამოვნებისთვის მოწყობილმა ფანქარმ, ამიტომაც გაასესენებდა კოლეტასთან დანიშნული დრო, საათს დასედავს და მირბის, რომ არ დაგვიანდეს. რასაკვირველია, ბულის მომწყვლელია ბეგუათ მოოფელის კაცის ყსე დაცემა, სამწუხაროა და თავში სატემი. თუ ერთის მხრით რომანი ბესიმისტურს მოაბეჭდილებას ახდენს, როცა ბარიეის აზზოკვადობის ერთი ნაწილის გარეგანსა და დაცემას გვაჩვენებს, მეორეს მხრით კი ნუგეშს გვაძლევს,

როცა გსედავთ, რომ კიდეგ მოიძებნებიან ნამდვილი კაცები, წრფელის სიყვარულითა და ერთგულებით გატაცებულნი და მოიძებნებიან ბარიყის მიყრუებულს ქუჩებში ან ღარიბს და ან საშუალო ქონების ბატრონის სალსში, როგორიც არის რენე, მისი და ლ მისი სატოლო როსალია. მკითხველი უკვე შეამჩნევდა, რომ ბურეე არა სკერდება მარტო გმირების დასურათებასა და მათის ფსიხოლოგიის აწერასა, როგორც ჩვეულებადა აქვთ სოლმე ნატურალისტებსა. ის ეოველთვის აგრძნობინებს გმირებს თავიანთ დანაშაულსა: მიაყენებს საშინელს ზნეობრივს ტანჯვასა (ლარში) და შეანანებინებს კიდევაც ტოდვებსა (დე-კერნი); სანდასან ზნეობრივს ტანჯვასთან ერთად ფიზიკურს სასჯელსაც მიაყენებს, რომ უფრო მწვავად აგრძნობინოს თავის ბასუსის-გება ურიგო ქცევისთვისა. ასე ეძცეგა რენეს: კისადამ სიკვდილით არ დასჯა. რა დანაშაულობისათვის? რენემ თავისი ნიჭი კისადამ არ დალუპა. მის ნაცვლად, რომ გაჭირვებულს და საშინელს დროში თავის მომმეთათვის მოეხმარებინა ეს ნიჭი, ენებათ-ლელვის დეენას მიჰყვა. ეს თითქმის ქურდობაა: საზოგადოებას ჭეპარავს, უკარგავს, რაც მას ეკუთვნის, რაც მას სჭირია და ესლა უფრო, კიდრე როდისმე. რასაკვირველია, ეს დაუსჯელად არ ჩაიკლიდა. შესანიშნავია კიდეგ ისა, რომ რამდენადაც უფრო გარკვეულს გზაზედ დგება ბურეე, იმდენად ეს დასჯა ურიგო ქცევისა უფრო თვალ-საჩინოა, უფრო სასტიკია. დე-კერნს მხოლოდ ზნეობრივად სატანჯვას, რენეს ამ ტანჯვასთან ერთად სიკვდილზედ მიაყენებს, გრელუს (მოწამეე) კი მოჰკლავს და ამით მისს მოძღვარ-ფილოსოფოსსაც დასჯის.

(დასასრული იქნება)

ღვინის დაყენება

VII *)

ღ ვ ი ნ ო

მისი შემადგენარი ნივთიერებანი, მათი მეტ-ნაკლებობის შესწორება და ღვინის შესანახავი საზოგადო საშუალებანი.

წინა წერილებში ჩვენ კარგა დაწვრილებით გავსინჯეთ რა არის ტკბილი და რა ნაირად უნდა დადუღდეს სხვა-და-სხვა გვარი და სხვა-და-სხვა ფერი ღვინოების დასაყენებლად. ეხლა ვეცდებით გავარჩიოთ საზოგადოდ რა სხეულებისგან შესდგება დამთავრებული ღვინო, რა მნიშვნელობა აქვს ყოველს მათგანს ღვინის არსებაში, როგორ მოქმედებს მათი მეტ-ნაკლებობა მის ღირსებაზე და ამასთან შესაძლებელია თუ არა ამ მეტ-ნაკლებობის შესწორება, ესე იგი მიმატება იმისა, რაც ნორმალურ ღვინოს აკლია, ან გამოცლა იმისა, რაც გადამეტებულია. ამასთან არც ის იქნება მეტი აქვე მოვიხსენიოთ, თუ რა საშუალებანი უნდა ვიხმაროთ ამ მეტ-ნაკლებობის შესასწორებლად და ღვინის კარგად და ხალად შესანახავად.

ა) ღვინის შემადგენარი ნივთიერებანი

მართალია, დიდი ხანია რაც მეცნიერნი შეუდგნენ ღვინის ვითარების და მისი შედგენილების გამოკვლევას, მაგრამ, სამწუ-

*) «მოამბე» № 1—7.

ხაროდ, ეს გამოკვლევა ჯერ მთლად არ არის დაბოლოებული; ეხლა თუმცა ღვინოში მრავალი სხვა-და-სხვა გვარი სხეულებია ნაპოვნი, მაგრამ შესაძლებელია და მოსალოდნელიც, რომ ამით არ გათავდება რიცხვი იმ ნივთიერებათა, რომლებიც ღვინოს შეადგენენ. ღვინო ისეთი ნაზი და ისეთი რთული სხეულია, რომ იმის გამოკვლევას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება უნდა და ამასთან, თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რომ მრავალი ღვინის შემადგენარი ნივთიერებანი ისეთი მცირედი რაოდენობისა არიან, რომ მათი გამოჩენა და გამორჩევა რამდენიმე საპალნე ღვინის ერთად გასინჯვას და რამდენიმე წლობით შრომას მოითხოვს, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება მიზეზი ღვინის გამოკვლევის შეუსრულებლობისა.

სწავლულებმა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში მიაპყრეს ყურადღება ღვინის შედგენილობას და პირველად ბრუომ (Brouaut) 1646 წელს დუღილით (დისტილაციით) მოახდინა მისი ანატომია. იმან ღვინოს გამოაცალა დუღილიფ ორთქლად ნაქცევი სხეულები—**ალკოგოლი** და **წყალი** და სადუღებელ ქვაბში კი დარჩა **ექსტრაქტი** ანუ ლექი, შემდგარი იმისთანა სხეულებისგან, რომლებიც დაუშლელად ბ გაუნაწილებლად ორთქლად არ იქცევიან. ბრუოს სიტყვით, ეს ლექი შესდგება ღვინის მარილისაგან, საფერავისაგან, სიმჟავისაგან და ერთგვარი მწვანე ბ წებოვანი ზეთისაგან,რომელსაც სახელად დაარქვა „**თესლი სიკვდილისა**“ (semencę de mort) და ღვინიდან გამოხდილ ალკოგოლს კი „**თესლი სიცოცხლისა**“ (semence de vie). ბრუოს შემდეგ ბევრი სწავლულები შეუდგნენ ღვინის გამოკვლევას და იმასაც პირველ ხანებში მხოლოდ იმისი ალმონაჩენი დაამტკიცეს; თითქმის ერთ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამაზე მეტი არა მიმატებია-რა ღვინის გამოკვლევას, თუმცა კი ცდა და მუშაობა არ შეწყვეტილა. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის იყო, რომ ყველა სწავლული ბრუოს გზას ადგა, ხმარობდა იმავე გამოკვლევის საშუალებას—დისტილაციას. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (1805 წ.) სვიმონ მორელო (Simon Morelot) გადუდგა ამ გაკვლეულ გზას და

ღვინის გამოსაკვლევად მიმართა ქიმიურ საშუალებათა; იმის შემდეგ, მისგან შემოღებული საშუალების წყალობით, ღვინის გამოკვლევა უფრო ჩქარი და მტკიცე ნაბიჯით მიდის, თითქმის ყოველ დღე ღვინოში ნაპოვნი სხეულები მრავლდებიან რიცხვით; ამ გამოკვლევაში მრავალი გამოჩენილი სწავლული იღებს მონაწილეობას და ამის გამო თან-და-თან, ცოტ-ცოტაობით ცხადად იხატება ღვინის შედგენილების სურათი. თუმცა ამ გამოკვლევათა ისტორია ძალიან საინტერესოა, მაგრამ იმის აწერა ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანს და დაგვაშორებს ჩვენ პირდაპირ საგანს. ამისთვის მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ ერთი სწავლულის ორდონოს (Ch. Ordonneau) გამოკვლევას, რომელმაც ამ უკანასკნელ დროში ძალიან ბევრი იშრომა და თითქმის მთლად აღმოაჩინა ღვინის ვითარება. ამისათვის ჩვენ აქ ამოვწერთ ამ სწავლულისაგან ნაჩვენებ სხეულებს და მოკლედ გავსინჯავთ მათ თვისებას, რაოდენობას და მნიშვნელობას. ესეც საკმარისი იქნება:

ორდონოსაგან ფითელ ღვინოში ნაპოვნი სხეულები:

1) წყალი.

2) სხვა-და-სხვა ალკოგოლები:

ეტილ ალკოგოლი	C^2H^6O
ფროპილ ალკოგოლი . . .	C^3H^8O
ბუტილ ალკოგოლი . . .	$C^4H^{10}O$
ამილ ალკოგოლი	$C^5H^{12}O$
კაპროინ ალკოგოლი . . .	$C^6H^{14}O$
ენანტილ ალკოგოლი . . .	$C^7H^{16}O$
კაპრილ ალკოგოლი . . .	$C^8H^{18}O$
პელაგრონ ალკოგოლი . .	$C^9H^{20}O$
კაპრი ალკოგოლი. . . .	$C^{10}H^{22}O$
გლიცერინი	$C^3H^8O^3$
ბუტილ გლიკოლი . . .	$C^4H^{10}O^2$

მანიტი	$C^6H^{14}O^6$
გლიუკოზა და ლევულოზა .	$C^6H^{12}O^6$
ინოზინი	$C^6H^{12}O^6+4H^2O$
გომიზი.	
პექტინოვანი სხეულნი.	

3) სუნნელოვანი სხეულნი.

4) სხვა-და-სხვა ალდეგიდები:

ეტილ ალდეგიდი	C^2H^4O
აცეტალი —	$C^6H^{14}O^2$
ფურფუროლ ალდეგიდი . .	$C^5H^4O^2$

5) სხვა-და-სხვა სიმჟავენი:

a) სიმჟავენი, რომლებიც ტკბილიდან და ყურძნიდან არიან გადმოსულნი ღვინოში:

ღვინის სიმჟავე	$C^4H^6O^6$
ვაშლის სიმჟავე	$C^4H^6O^5$
ლიმონის სიმჟავე.	$C^6H^8O^7$
ტანინის სიმჟავე	$C^{14}H^{10}O^9$
პალმიტინის სიმჟავე	$C^{16}H^{32}O^2$
სტეარინის სიმჟავე	$C^{18}H^{36}O^2$

b) სიმჟავენი, რომელნიც ღვინოში არიან გაჩენილნი:

ნახშირის სიმჟავე.	CO^2
ძმრის სიმჟავე.	$C^2H^4O^2$
პროპიონის სიმჟავე	$C^3H^6O^2$
ბუტირინის სიმჟავე	$C^4H^8O^2$
ვალერიანის სიმჟავე	$C^5H^{10}O^2$
კაპროინის სიმჟავე	$C^6H^{12}O^2$
ენანტილის სიმჟავე	$C^7H^{14}O^2$
კაპრილის სიმჟავე	$C^8H^{16}O^2$

პელარგონის სიმჟავე	$C^9H^{18}O^2$
კაპრის სიმჟავე	$C^{10}H^{20}O^2$
ლაურინის სიმჟავე	$C^{12}H^{24}O^2$
ძირისტინის სიმჟავე . . .	$C^{14}H^{28}O^2$
ქარვის სიმჟავე	$C^4H^6O^4$
რძის სიმჟავე	$C^3H^6O^3$

6) სხვა-და-სხვა ეთერები:

ძმრის სიმჟავის ეტილ ეთერი	C^2H^3O	C^2H^5O
პროპიონის — — —	C^3H^5O	C^2H^5O
ბუტირინის — — —	C^4H^7O	C^2H^5O
ვალერიანის — — —	C^5H^9O	C^2H^5O
კაპროინის — — —	$C^6H^{11}O$	C^2H^5O
ენანტილის — — —	$C^7H^{13}O$	C^2H^5O
კაპრილის — — —	$C^8H^{15}O$	C^2H^5O
პელარგონის — — —	$C^9H^{17}O$	C^2H^5O
კაპრის — — —	$C^{10}H^{19}O$	C^2H^5O
ლაურინის — — —	$C^{12}H^{23}O$	C^2H^5O
ტრიდეცილის — —	$C^{13}H^{25}O$	C^2H^5O
მირისტინის — — —	$C^{14}H^{24}O$	C^2H^5O
პალმიტინის — — —	$C^{16}H^{31}O$	C^2H^5O
სტეარინის — — —	$C^{18}H^{35}O$	C^2H^5O
პროპილ ბუტირინის ეთერი	C^4H^7O	C^3H^7O
ძმრის სიმჟავის ამილ ეთერი .	C^2H^3O	$C^5H^{11}O$
ძმრის სიმჟავის კაპრილ ეთერი	C^2H^3O	$C^8H^{17}O$
ქარვის სიმჟავის ეტილ ეთერი	$C^4H^4O^2$	$(C^2H^5O)^2$
ვაშლის სიმჟავის — —	$C^4H^4O^2$	$(C^2H^5O)^2$
ღვინის სიმჟავის — —	$C^4H^4O^4$	$(C^2H^5O)^2$
ლიმონის სიმჟავის — —	$C^6H^5O^4$	$(C^2H^5O)^3$

7) სხვა-და-სხვა მარილოვანი სხეულები:

ღვინის სიმჟავის კალი-ქვიანი მარილი.
ღვინის სიმჟავის კირის მარილი.

ღვინის სიმჟავის ალუმინის მარილი.
ღვინის სიმჟავის რკინის მარილი.
ქლორ-წყალ-მბადიანი სიმჟავის კალი-ქვის მარილი.
— — კირის მარილი.
გოგირდის სიმჟავის კალი-ქვიანი და კირიანი მარილები.
ფოსფორის სიმჟავის კალი-ქვიანი და კირიანი მარილები.
და ცოტაოდენი კაჟის სიმჟავის მარილები.

8) აზოტური ნივთიერებანი.

9) საფერავი ნივთიერებანი [1]).

1) წყალი. წყალს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ღვინოში, როგორიც მას ჰქონდა ტკბილში; წყალია გამხსნელი და გამ-

---

[1]) როგორც ვხედავთ, მრავალი სხეულებია ნაპოვნი ღვინოში, თუმცა კი მათი შეგნება მკითხველებისთვის საძნელოა; სამწუხაროდ, მე იძულებული ვიყავი ყველა იმათი სახელები ამომეწერა, რადგანაც უამისოდ მკითხველს გაუძნელდება ღვინის შედგენილების მთელი სურათის წარმოდგენა. ამ სხეულების შესაგნებად უნდა მკითხველების ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მათ შორის დაახლოებული შინაგანი კავშირი არსებობს; ისინი ყველანი ერთი-ერთმანეთისგან არიან წარმომდგარნი. აქ მოხსენებულ სხეულებში ხუთი უმთავრესი რიგია: 1) ალკოგოლები, 2) ალდეგიდები, 3) სიმჟავენი, 4) ეთერები და 5) მარილოვანი სხეულნი. როგორც თითო რიგი ცალკე, ისე თითო წევრი ყოველი რიგისა დაკავშირებულია სხვებთან. ყოველ ალკოგოლს თავისი შესაფერი ალდეგიდი და სიმჟავე აქვს და ამასთან სიმჟავეთაც თავიანთი შესაფერი ეთერი და მარილი. ამის გასაგებად ავიღოთ მაგალითად ეგრედ წოდებული ღვინის ალკოგოლი ანუ ეტილ ალკოგოლი C^2H^6O. ამ ალკოგოლიდან ადვილად წარმოსდგება მისი შესაფერი ალდეგიდი—ეტილ ალდეგიდი C^2H^4O, რომელიც განირჩევა პირველისაგან ორი წყალმბადით: $C^2H^6O - H^2 = C^2H^4O$; აგრეთვე ძმრის სიმჟავე $C^4H^4O^2$, რომელიც ალდეგიდისაგან განირჩევა ერთი მეტი ჟანგმბადით: $C^2H^4O + O = C^2H^4O^2$; ეთერიც და მარილიც დაახლოებულია სიმჟავესთან და ალკოგოლთან; თუ ორ ალკოგოლს ერთ წყალს გამოვაცლით, მაშინ ალკოგოლის ეთერი იქნება: $\underset{\text{ალკოგ.}}{C^2H^6O} + \underset{\text{ალკოგ.}}{C^2H^6O} - \underset{\text{წყალი}}{H^2O} = \underset{\text{ეთერი}}{C^4H^{10}O}$— ალკოგოლის ეთერი; თუ ამათ მაგივრად ალკოგოლს და სიმჟავეს ავიღებთ: $\underset{\text{ალკოგ.}}{C^2H^6O} + \underset{\text{სიმჟავე.}}{C^2H^4O^2} - \underset{\text{წყალი.}}{H^2O} = \underset{\text{ძმრის სიმჟავის ეტილ ეთერი.}}{C^4H^8O^2}$— მარი-

ზავებელი ყველა იმ სხეულთა, რომელნიც ღვინოში არიან; ღვინოში რომ წყალი არ ყოფილიყო, მაშინ იმას ცუდი მწვავი გემო ექნებოდა და შეღებილ არაყს დაემსგავსებოდა. მთელი ის წყალი, რაც ტბილში იყო, რასაკვირველია ღვინოშივე დარჩება, თუმცა კი იმის რაოდენობა, ღვინის შემადგენარ სხვა სხეულებთან შედარებით, ცოტაოდენად იცვლება; ამ რაოდენობის შეცვლა დამოკიდებულია განსაკუთრებით იმაზე, რომ ტკბილში მყოფი შაქრიდან გაჩენილი სხეულები ყველანი ღვინოში არა რჩებიან,—თითქმის ერთი ნახევარი წონა ღვინიდან ამოდის და ეცლება; როგორც ვიცით, ჩვეულებრივ ღვინოში შაქრიდან გაჩენილი ნახშირის-სიმჟავე ეცლება ღვინოს, იმას აკლდება და ამ ნაკლის დაგვარად წყლის რაოდენობამ უნდა იმატოს.

ლიც ამ გვარადვე არის გაკეთებული; ავიღოთ:

KHO და $C^2H^4O^2 - H^2O = C^2KH^3O^2$—ძმრის კალიანი მარილი. აქედან ტუტე. ძმრის სიმჟავე. წყალი.

ცხადად სჩანს, რომ თუ რომელსამე ალკოგოლზე ჟანგ-მბადი მოქმედებს, ეს ალკოგოლი ჯერ ალდეგიდად გადაიქცევა და თუ ჟანგმბადი გადაჭარბებულია, მაშინ სიმჟავეც მოსალოდნელია:

$C^2H^6O + O^2 = H^2O + C^2H^4O$; $C^2H^6O^2 + O^3 = H^2O^2 + C^2H^4O^2$; მეორეს ალკოგ. ჟანგმბ. წყალი. ალდეგიდ. ალკოგ. ჟანგმბ. წყალი. ძმრის სიმჟავე.

მხრით, თუ ალკოგოლებს ავიღებთ, სიმჟავეს და ალკოგოლს გამოვაცლით, ან კიდევ ტუტეს, სიმჟავეს და წყალს, მაშინ ან ეთერები გაჩნდება და ან მარილი;—მაშასადამე, ეთერი და მარილოვანი სხეულები ერთგვარად ჩნდებიან—ორივე შემთხვევაში წყალი უნდა გამოეცალოს, მაშ ეთერი იგივე მარილია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეთერში ლითონის მაგივრად ალკოგოლის ნაშთს უჭირავს ადგილი.

$C^2H^4O^2 + KHO - H^2O = C^2H^3(K)O^2$ ანუ $C^2H^3(KO)O$
ძმრის სიმჟავე. ტუტე. წყალი. მარილი.

$C^2H^4O^2 + C^2H^6O - H^2O = C^2H^3(C^2H^5)O^2 - C^2H^3(C^2H^5O)O$.
ძმრის სიმჟავე. ალკოგ. წყალი. ეთერი.

ამაში მდგომარეობს აქ მოყვანილი სხვა-და-სხვა რიგი სხეულების ნათესაობითი კავშირი; რაც შეეხება თითო რიგის წევრების ერთი-ერთმანეთთან კავშირს, აქაც დიდ და დაახლოვებულ დამოკიდებულებას ვხედავთ. ავიღოთ ალკოგოლების რიგი და მათში იგივე ეტილ ალკოგოლი. რით განირჩევა ეს ალკოგოლი იმავე რიგის მეორე წევრისაგან, პროპილ ალკოგოლისაგან (C^2H^6O და C^3H^8O)? მეორე წევრში უფრო ბევრი ნახშირ-მბადი და

ამის გამო თუ რომელსამე ტკბილში 80% წყალი იყო, ამ ტკბილიდან დაყენებულ ღვინოში ამ 80% მეტი წყალი იქნება, ალკოგოლის რაოდენობის დაგვარად. რამდენადაც რომელსამე ღვინოში ბევრი ალკოგოლი და ექსტრაქტია, იმდენად წყალი ცოტა იქნება და ამის წინააღმდეგ ალკოგოლის და ექსტრაქტის სიმკირე წყლის რაოდენობას ამრავლებს; არიან იმისთანა ღვინოები, რომლებშიაც წყალი შეადგენს 90% და ხან მეტსაც და არიან იმისთანანიც, რომლებშიაც წყალი ძლივს 75% შეადგენს და ხან უფრო ცოტასაც, მაგალითად ლიქორიან ღვინოებში.

2) სხვა-და-სხვა ალკოგოლები. ზემოდ მოხსენებულ მრავალ ალკოგოლთა შორის ეტილ ალკოგოლს უფრო დიდი და შესამჩნევი ადგილი უჭირავს ღვინოში, როგორც თავის რაოდენობით, ისე თავის ფიზიოლოგიური მოქმედებით; რო-

---

წყალ-მბადია; ავიღოთ CH^2 და მივუმატოთ პირველ ალკოგოლს $C^2H^6O+CH^2=C^3H^8O$. ამ მიმატებით პროპილ ალკოგოლი გაჩნდება; ესევე რომ მივუმატოთ პროპილ ალკოგოლს $C^3H^8O+CH^2=C^4H^{10}O$, მაშინ ბუტილ ალკოგოლი იქნება და სხვანი. მაშასადამე, ერთი რიგის უკანა წევრი წინა წევრისგან მხოლოდ ამ CH^2-ით განირჩევა. ქიმიკოსები ამ ნათესაობას ცოტა სხვანაირად ხატავენ; ამ ქიმიური წარმოდგენის გასაგებად ავიღოთ ისევ მარილის მომზადება: რამე სიმჟავეზე რომ რამე ლითონით ვიმოქმედოთ, მაშინ ლითონი სიმჟავეს შეუერთდება და ერთი წყალ-მბადის ადგილს დაიჭერს და ამ წყალ-მბადს სიმჟავიდან გამოაძევებს:

$$\underset{\text{ძმრის სიმჟავე.}}{C^2H^4O^2}+\underset{\text{კალი.}}{K}=\underset{\text{მარილი.}}{C^2H^3KO^2}+\underset{\text{წყალმბ.}}{H},$$

ამ გვარივე არის ერთი ალკოგოლისგან მეორე ალკოგოლის გაკეთება (თუმცა კი ხასიათი მოქმედებისა სხვა არის):

$$\underset{\text{ალკოგ.}}{C^2H^5OH}+\underset{\text{მეტანი.}}{CH^{34}}=\underset{\text{პროპ. ალკოგ.}}{C^3H^8O} \text{ ანუ } C^2H^4(CH^3)OH+\underset{\text{წყალი.}}{H^2};$$

რა გვარადაც შეიძლება ერთი ალკოგოლისაგან მეორე ალკოგოლის გაკეთება, მე ამაზე აქ არას ვიტყვი, ეს პირდაპირ ჩვენ საგანს არ შეეხება, ამას კი ვიტყვი, რომ ამისთვის საჭიროა, რომელსამე ალკოგოლში ერთი წყალ-მბადის ადგილი CH^3-მა დაიჭიროს, რომ მეორე წევრი იმავე რიგისა გაკეთდეს. ესევე უნდა ვთქვათ სიმჟავეთა და ალდეგიდთა ერთი-ერთმანეთისგან წარმოდგენაზე:

$$\underset{\text{ძმრის სიმჟავე}}{C^2H^4O^2}+\underset{\text{მეტანი.}}{CH^4}=\underset{\text{პროპიონის სიმჟ.}}{C^2H^3(CH^3)O^2}+\underset{\text{წყალმბ.}}{H^2}$$

$$\underset{\text{ეტილ ალდეგ.}}{C^2H^4O}+\underset{\text{მეტანი.}}{CH^4}=\underset{\text{პროპილ ალდეგ.}}{C^2H^3(CH^3)O}+\underset{\text{წყალმბ.}}{H^2}.$$

გორც წინად გავიცანით, ეს სხეული ერთი უმთავრესი სხეულია შაქრის დუღილის დროს; თუ 105,25 გრ. შეცვლილ შაქარს ავიღებთ და დავადუღებთ, მაშინ იქიდან გაჩნდება 100 გრ. ალკოგოლი და ნახშირის სიმჟავე, 4,45 გრ. ქარვის სიმჟავე, გლიცერინი და ნახშირის სიმჟავე, 1,05 გრ. ცელულოზა და სხვანი. ეტილ ალკოგოლი ჩხინტი და წყალზე მსუბუქი სხეულია, ძალიან მოძრავი და გემო მწვავი აქვს; წყალში ყოველ რაოდენობით იხსნება; წყალზე ადრე დულს, ის ორთქლად იქცევა 78°,4-ზე. ერთი განსაკუთრებითი თვისება ალკოგოლისა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იმას ადვილად შეუძლიან თავის ტანში გახსნას სხვა-და-სხვა სხეულები: სხვა-და-სხვა ალკოგოლები, სხვა-და-სხვა სიმჟავენი, ეთერები, მარილოვანი სხეულები და ღაზები; ამასთან, როგორც წინადაც ვთქვით, ალკოგოლზე მოქმედებს ჟანგ-მბადი, ძალიან ადვილად უერთდება და აჟანგებს; თუ ტემპერატურა ამ მოქმედების დროს მაღალია, მაშინ ჟანგ-მბადს შეუძლიან სრულებით დასწვას ეს ალკოგოლი ამრიგად:

$C^2H^6O + O^6 = 2CO^2 + 3H^2O$, მარტო წყალი და ნახშირის სიმჟავე გაჩნდება; თუ ტემპერატურა დაბალია, მაშინ ალკოგოლი ალდეგიდად იქცევა და ან სიმჟავედ. როგორც ალდეგიდს, ისე სიმჟავეს შეუძლიანთ ალკოგოლს შეუერთდნენ და მაშინ პირველ შემთხვევაში, ე. ი. ალდეგიდის ზედმოქმედებით ალდეგიდის ეთერი—ACETALI გაჩნდება: $2C^2H^6O + C^2H^4O = C^6H^{14}O + H^2O$; მეორე შემთხვევაში, ე. ი. ძმრის სიმჟავის ზედმოქმედებით გაჩნდება ძმრის სიმჟავის ეტილ ეთერი: $C^2H^4O^2 + C^2H^6O = C^4H^8O^2 + H^2O$. ამგვარადვე ამ ალკოგოლს უერთდებიან ღვინოში მყოფი სხვა სიმჟავენიც ტემპერატურისა და ხანის (დროს) მოქმედებით და აქედან ჩნდებიან სხვა-და-სხვა ეთერები, რომლებიც ღვინოში რჩებიან და ბუკეტს უმატებენ.

ალკოგოლი — ჟანგ-მბადი. ნახშირის სიმჟავე. წყალი.

ალკოგოლი. ალდეგიდი. ACETALI. წყალი.

ძმრის სიმჟავე. ეტილ ალკოგ. ძმრის სიმჟავის ეტილ ეთერი. წყალი.

ღვინოში ალკოგოლის რაოდენობა სხვა-და-სხვა არის და ეს რაოდენობა პირდაპირ დამოკიდებულია ტკბილში მყოფი შა-

ქრის რაოდენობაზე და მისი დულილის გარემოებაზე. როგორც წინა ნათქვამიდან ვიცით, ამ ალკოგოლის რაოდენობაზე სხვა გარემოებანიც მოქმედებენ. არიან იმისთანა ღვინოები, რომლებშიაც ალკოგოლის რაოდენობა 5% არ გადაემეტება და არიან იმისთანანიც, რომლებშიაც ალკოგოლის რაოდენობა ადის 16%-დინ. აქ მკითხველების ყურადღება იმაზედაც უნდა მივაქციოთ, რომ ალკოგოლის რაოდენობა ღვინის დამთავრებამდინ თანდათან მატულობს და დამთავრების შემდეგ კი ცოტ-ცოტაობით თანდათან კლებულობს; ეს ალკოგოლი მატულობს, რასაკვირველია, ღვინოში დარჩენილი შაქრის განაწილებით და დაკლება კი დამოკიდებულია ბევრ სხვა-და-სხვა მიზეზზე: ზოგი ნაწილი შრება, ზოგი მჟავდება ან ალდეგიდად და ან სიმჟავედ და ზოგიც უერთდება ალდეგიდს და სიმჟავეს ეთერების გასაჩენად.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ღვინოში ამ ეტილ ალკოგოლის გარდა სხვა ალკოგოლებიც არიან, როგორც პროპილ ალკოგოლი, ბუტილ ალკოგოლი, ამილ ალკოგოლი და სხვანი. ეს ალკოგოლები ეტილ ალკოგოლზე უფრო რთულნი არიან, უფრო მძიმენი, უფრო მჭირხნენი და გემოთი და სუნითაც ბევრად განირჩევიან. მათი რაოდენობა ღვინოში ძალიან მცირეა პირველთან შედარებით. ორდონოს გამოკვლევიდან ვიცით, რომ ერთ გეკტოლიტრ (ასი ლიტრი) 12°-იან ღვინიდან გამოხდილი იყო ათი კილო ეტილ ალკოგოლი (10,000 გრამი); 10 გრამი პროპილ ალკოგოლი, 55 გრამი ბუტილ ალკოგოლი, 29 გრამი ამილ ალკოგოლი, $0,_{109}$ გრამი კაპროინ ალკოგოლი და $0,_{081}$ გრამი ენანტილ ალკოგოლი და დანარჩენნი ეთერები ერთმანეთში შერეულნი შეადგენდნენ მხოლოდ $0,_{199}$ გრამს[2]). ამ ალკოგოლების თვი-

[2]) ისიდორ-პიერმა და პიუშომ (Jsidore-Pierre et Puchot) გამოცდილებით დაამტკიცეს, რომ ღვინოში მოიპოვებიან სხვა ალკოგოლებიც; ორდონოც ეთანხმება ამათ და ამბობს, რომ ღვინოში უნდა იყვნენ კიდევ ოკტილ ალკოგოლი (კაპრილ), ნონილ ალკოგოლი (პელარგონ), დეცილ ალკოგოლი (კაპრი) და სხვანი. ორდონომ ერთ გეკტოლიტრ ძველი ღვი-

სების აღწერას არ შევუდგებით; მხოლოდ იმას კი ვიტყვით, რომ პროპილ ალკოგოლს შესამჩნევი ხილის გემო აქვს და გემო თუმცა მწვავია, მაგრამ სასიამოვნო. ბუტილ ალკოგოლს ნაზი და სასიამოვნო სუნი აქვს; ამილ ალკოგოლს კი ძლიერი და უსიამოვნო სუნი; სხვა ალკოგოლებს კი სასიამოვნო და არომატიული სუნი აქვთ.

ზემოდ მოყვანილ ალკოგოლებს ქიმიაში ერთ-ატომიან (monoatomique) ალკოგოლებს ეძახიან, რადგანაც მათ ტანში, მათ შედგენილებაში ერთი წყლის ნაშთია, ეგრედ წოდებული გიდროქსილი OH (hydroxyl).

იზობუტილ გლიკოლი ორ-ატომიანი ალკოგოლია ($C^4H^{10}O^2$), მჭირხნე და ცხიმოვანია, წყალში კარგად იხსნება და თუმცა სუნნელოვანი არ არის, მაგრამ გემო კი კარგი ტკბილი აქვს გლიცერინივით. ეს ალკოგოლი წყალზე მძიმეა და ერთ გეკტოლიტრ ღვინოში 50 გრამამდინ არის.

გლიცერინი სამ-ატომიანი ალკოგოლია ($O^3H^8O^3$) და, როგორც ვიცით, დუღილის დროს ჩნდება შაქრიდან; ეს ალკოგოლიც წყალზე მჭირხნეა, და სქელია ვაჟინივით; ტკბილი, შაქრის გემო აქვს და, როგორც ამბობენ, ეს სხეული აძლევს ღვინოს ერთგვარ თვისებას, რომელსაც ფრანგები veloute'ს ეძახიან (veloute'-ხავერდოვანი), როცა ღვინო დიდ ხანს საამო გემოს არჩენს პირში და სიამოვნებას სტომაქში. წყალში და ალკოგოლში ყოველ რაოდენობით იხსნება. პასტერის გამოკვლევით, გლიცერინის რაოდენობა სხვა-და-სხვა ღვინოში სხვა-და-სხვა არის, ღვინის ალკოგოლის რაოდენობის დაგვარად; რამდენადაც ღვინოში ალკოგოლი ბევრია დუღილით გაჩენილი, იმდენად გლიცერინიც ბევრი იქნება. პასტერის ანგარიშით,

---

ნის არაყში იპოვა ერთ გრამზე მეტი ამ სხეულებისა ამ რაოდენობით:

ოკტილ ალკოგოლი ანუ კაპრილ ალკოგოლი	0,40 გრ.
ნონილ ანუ პელარგონ ალკოგოლი	0,30 —
დეცილ ანუ კაპრი ალკოგოლი	0,20 —
და სხვანი . . .	0,15 —

ყოველ ღვინოში გლიცერინი შეადგენს $\frac{1}{16}$ მისი ალკოგოლის რაოდენობისას, თუმცა კი ჩვეულებრივ უფრო ბევრია და ხშირად შეადგენს $\frac{1}{12}$—$\frac{1}{14}$ თითო ლიტრ ღვინოში მისი ალკოგოლის დაგვარად მოიპოვება სამი გრამიდან რვა გრამამდინ, და საშუალოდ $5,_5$—$7,_5$ გრამამდინ.

მანიტი (mannite) შაქარივით ტკბილია და ალკოგოლეგბის რიგს ეკუთვნის, ექვს-ატომიანი ალკოგოლია; იმის შედგენილება არის $C^6H^{14}O^6$ და, როგორც ვხედავთ, შაქრიდან (გლიუკოზა) განირჩევა მხოლოდ ორი ნამეტი წყალ-მბადით: $C^6H^{12}O^6+H^2=C^6H^{14}O^6$ და ამისათვის ადვილი წარმოსადგენია მისი გაჩენა დუღილის დროს. თუმცა შაქრიდან არის წარმომდგარი, მაგრამ ფელინგის ხსნილზე არ მოქმედებს.

შაქარი წყალმბადი მანიტი.

ინოზანი (Jnosine) ანუ ინოზიტი ისეთივე შედგენილებისა არის, როგორც შაქარი, თუმცა კი თავის თვისებით შაქრისაგან ბევრად განირჩევა, მაშასადამე, შაქრის იზომერია (isomère) [3]). ის თავის თვისებით უფრო მანიტს უახლოვდება; იმის შედგენილება $C^6H^{12}O^6+4H^2O$ ამ ფორმულით გამოიხატება; შაქრის გემო აქვს, წყალში კარგად იხსენება და ალკოგოლში კი არა.

გლიუკოზა და ლევულოზა ხშირად რჩება ღვინოში შეუცვლელად; ამ სხეულზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, როცა ტკბილს ვარჩევდით, ამისათვი გამეორება საჭირო აღარ არის.

გომიზი. ღვინოში მოიპოვება ერთგვარი წებოვანი სხეული, რომელსაც გომიზს ეძახიან და რომელიც ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული; ერთ ლიტრ ღვინოში ერთი გრამიდან ორ გრამამდინ არის.

---

[3]) ქიმიაში იზომერებს იმისთანა სხეულებს ეძახიან, რომელთაც თუმცა ერთგვარი შედგენილება აქვთ, მაგრამ თავიანთი თვისებით ერთმანეთისგან განირჩევიან. ამგვარ სხეულებს ჩვენ უკვე ვიცნობთ, მაგალ. მარჯვენა და მარცხენა შაქარი (გლიუკოზა და ლევულოზა).

პექტინოვანი სხეულები. ღვინოში ნაპოვნია ერთგვარი წებოვანი სხეული—პექტინი (pectine), რომელიც წარმომდგარია პექტოზისაგან (Pectose). პექტოზი ყოველ მკვახე ხილში არის და დამწიფების დროს პექტინად იქცევა. ის წყალში იხსნება და რამდენიც წყალი თბილია იმდენად უფრო ბევრი იხსნება; გაცივების დროს ეს ხსნილი შედედდება, გასქელდება, ჟელედ (gelée) იქცევა.

3) სუნნელოვანი ანუ არომატიული სხეულნი. ეს ის არომატიული სხეულებია, რომლებიც ყურძნის კანში მოიპოვებიან და რომლებიც გამოწურვის და დღეილის დროს ღვინოში გადადიან. ამ სხეულებზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, როცა ტკბილს ვარჩევდით. ღვინის სუნნელოვანება სულ სხვა არის და ღვინის არომატი სულ სხვა—ბუკეტი ტკბილში და ყურძენში არ არის, მხოლოდ ღვინოში ჩნდება და ისიც ხანში შესვლით; სუნნელოვანება კი ყურძენშიაც არის, ტკბილშიაც და მაჭარშიაც; სუნნელოვანება აგრედვე განირჩევა თვითონ ღვინის სუნისგან,—ყოველ ალკოგოლიან სასმელს თავისი საკუთარი სუნი აქვს, ეს ხილის ანუ ყურძნის სუნი არ არის. ამის დასამტკიცებლად თუ ჩვენ რომელსამე არომატიულ ღვინოს ნახშირის ფქვილში გავატარებთ, მაშინ ის დაჰკარგავს თავის სუნნელოვანებას და საკუთარი ღვინის სუნი კი შერჩება.

4) სხვა-და-სხვა ალდეგიდები. ქიმიურად რომ ვთქვათ, ალდეგიდი დაჟანგული ალკოგოლია და რადგანაც ყოველ ალკოგოლს ადვილად უერთდება ჟანგ-მბადი, ამისათვის ეჭვი არ არის, რომ ღვინოში ყველა ის ალდეგიდები უნდა იყვნენ, რომელთა ალკოგოლიც კი ნაპოვნია. სამწუხაროდ, აქამდინ მხოლოდ ორი ალდეგიდია ნაპოვნი: ეტილ ალდეგიდი ანუ ეტილალი (éthylal) და ფურფუროლი (furfurol) $C^5H^4O^2$ და ერთი ალდეგიდ ალკოგოლი—აცეტალი, რომელიც ეტილალიდან არის წარმომდგარი. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ ეტილ ალკოგოლის გარდა სხვა ალკოგოლების რაოდენობა ღვინოში, როგორც ვნახეთ, ძალიან ცოტაა, თითქმის შეუმჩნეველი და ამას გარდა

მათი ალდეგიდები უფრო მალე გადადიან ჟანგბადისავე მოქმედებით სიმჟავედ.

კტილ ალდეგიდი ჩხინტი სხეულია და ძალიან სუმბუქი და მოძრავი; ეთეროვანი სუნი აქვს. როცა წმინდაა—სუნს ჰხუთავს და მავნებელია და თუ წყლით ან ალკოგოლით არის დანელებული, მაშინ კარგი ნაზი ხილის სუნი აქვს, განსაკუთრებით ვაშლის სუნი, როცა ამ უკანასკნელის ქერქი ცეცხლზეა. ალდეგიდის რაოდენობა ღვინოში ძალიან მცირეა, ძლივს შეადგენს $\frac{1}{10,000}$ ღვინოში მყოფი ალკოგოლის რაოდენობისას; ზოგიერთ ავადმყოფ ღვინოში კი ეს რაოდენობა ბევრად გადაჭარბებულია. სწავლულების გამოკვლევიდან სჩანს, რომ ეს ალდეგიდი ჩნდება დუღილის დროს, თუმცა კი ესევე შესაძლებელია ღვინის შენახვის დროსაც, როცა ჰაერი მოქმედებს ღვინოზე.

ფურფუროლი უფრო მცირედია ღვინოში, ძლივს შესამჩნევი რაოდენობით; ესეც ჩხინტი სხეულია და წყალზე სქელი, წყალში იხსნება და ჰაერის ზედმოქმედებით ფერს იცვლის, შავდება. მშვენიერი სასიამოვნო მიხაკის და ნუშის სუნი აქვს.

ანტეტალი ანუ ორ-ალკოგოლიანი ალდეგიდი ძველ ღვინოშია ნაპოვნი; ეთეროვანი სხეულია, ძალიან მოძრავი; გემო ნაზი და სასიამოვნო აქვს; წყალში და ალკოგოლში იხსნება.

5) **ღვინის სიმჟავენი.** ღვინოში ორგვარი სიმჟავენი არიან: 1) ორგანული სიმჟავენი და 2) მინერალური სიმჟავენი; როგორც წინად მოვიხსენიეთ, ორგანულ სიმჟავეთაგან ზოგნი ტკბილშივე იყვნენ და ზოგნიც დუღილის დროს გაჩნდნენ; ზოგიერთნი მათგანი ჩნდებიან ღვინის ხანში შესვლის დროს. ორგანული სიმჟავენი ან თავისუფალნი არიან ღვინოში და ან სხვა სხეულებთან შეერთებულნი, როგორც მარილოვანი და ეთეროვანი სხეულნი; რაც შეეხება მინერალურ სიმჟავეთა, ისინი ყველანი შეერთებულნი არიან მინერალურსავე ჟანგეულობასთან.

ნახშირის სიმჟავე,—როგორც ვიცით, დუღილის დროს ბლომად ჩნდება და ღვინოში იმდენი რჩება, რამოდენის გა-

ხსნაც იმას შეუძლიან და ამისათვის ეს სხეული ყოველ ღვინოში არის; ამ სხეულს სუსტი მჟავე გემო აქვს და, რასაკვირველია, ამ გემოს ღვინოსაც გადასცემს.

ძმრის სიმჟავე. ცხიმოვან სიმჟავეთა რიგიდან ეს პირველი სიმჟავეა ღვინოში. ცხიმოვანი სიმჟავენი ერთი საზოგადო ფორმულით შეიძლება გამოვხატოთ $C_nH^2nO^2$; თუ სიმჟავეში ერთი ნახშირ-მბადია, მაშინ ორი წყალ-მბადი და ორი ჟანგ-მბადი იქნება. ძმრის სიმჟავე ღვინოში ან თავისუფალია და ან შეერთებულია ალკოგოლთან, როგორც ეთერი. ამ სიმჟავის ღვინოში გაჩენის შესახებ სწავლულები ერთმანეთის თანახმა არ არიან: ზოგი ფიქრობს, რომ ძმრის სიმჟავე ღვინის ავადმყოფობის ნიშანიაო და მისი შედეგი და ზოგი კი იმ აზრისაა, რომ ეს სიმჟავე დულილის დროსვე ჩნდება, როგორც ნორმალური ნივთიერება; თუმცა ბევრმა კიდეც დაამტკიცა გამოკვლევით ეს უკანასკნელი აზრი, მაგრამ ჩვენ მაინც პირველების მომხრენი ვართ; თუ დულილი კარგად მიდის და ღვინო კარგად არის შენახული, მაშინ იმაში ძმრის სიმჟავე არ უნდა იყოს.— კარგ ღვინოებში ძმრის სიმჟავე ძალიან იშვიათია; თუ ეს სიმჟავე ღვინოში კარგა შესამჩნევია, მაშინ ღვინო გაფუჭებულია და ავადმყოფი. ეს სიმჟავე წყალში და ალკოგოლში კარგად იხსნება.

ბროპიონის სიმჟავე ძალიან ცოტაა ღვინოში; იმას მჟავე კომბოსტოს სუნი აქვს.

ბუტირინის ანუ ერბოს სიმჟავე ძალიან იშვიათია ღვინოში, თუმცა, ორდონოს აზრით, ესეც ნორმალური დულილით ჩნდება. ამ სიმჟავეს საშინელი ცუდი და მყრალი სუნი აქვს; წყალში და ალკოგოლში კარგად იხსნება.

კაპროინის სიმჟავე ღვინოში ყოველთვის მოიპოვება ან თავისუფალი ან ეთერად და დულილში არის გაჩენილი; ყველის სუნი აქვს და მისი გემო მწვავია.

ენანთოლის სიმჟავე ძალიან ცოტაა ღვინოში; აგრეთვე კაპრილის სიმჟავეც.

პელარგონის სიმჟავე უფრო შესაჩნევია ღვინოში; იმას ახალი კარაქის სუნი აქვს და გემო კი მწვავი.

კაპრის სიმჟავე—ამ სიმჟავეს თხის სუნი უდის და გემო კი მწვავი აქვს; მისი ეტილ ეთერი ნაზი სუნნოვანია.

ბუტილ ეთერი უფრო შესანიშნავია იმით, რომ კარგი ღვინის სუნი აქვს და გემო კი მწკლარტე, როგორც ყურძნის კურკას.

სხვა ამავე რიგის სიმჟავენი უფრო ცოტად შესამჩნევნი არიან.

ქარვის სიმჟავე ($C^4H^6O^4$). როგორც ჩვენ წინად ვნახეთ, ერთი ნაწილი შაქრისა დუღილის დროს სხვანაირად ნაწილდება და ამ განაწილების შედეგი არის ქარვის სიმჟავე, გლიცერინი და ნახშირის სიმჟავე;—ამგვარი განაწილების გამოკვლევიდან გამოჩნდა, რომ ქარვის სიმჟავე გლიცერინის $\frac{1}{5}$ შეადგენს.—ქარვის სიმჟავე ღვინოში ან თავისუფალ და ან ეტილ ეთერად არის, რომელსაც სასიამოვნო სუნი აქვს.

რძის სიმჟავე მხოლოდ ავადმყოფ ღვინოში არის; საღ ღვინოში კი არ უნდა იყოს.

კაშლის, ღვინის ლ ლიმონის სიმჟავეებზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და ამისთვის აქ აღარ გავიმეორებთ.

ტანინი ანუ ტანინის სიმჟავე. ტანინი ყოველ ღვინოში მოიპოვება; ის ამოღებულია დუღილის დროს ყურძნის კურკიდან, ჩენჩოდან და კლერტიდან და ის სხეულია, რომელიც ღვინოს მწკლარტე გემოს აძლევს; იმის რაოდენობა ღვინოში ბევრი არ არის; ჩვეულებრივად თეთრ ღვინოში 0,65—0,70 გრამს არ გადაამეტებს ლიტრში და წითელ ღვინოში კი 1 გრამიდან 2 გრამამდინ არის. ტანინი კარგად ინახავს ღვინოს და კარგი გავლენა აქვს მის დაწმენდაზე, რადგანაც, როგორც ვიცით, ტანინი ადვილად უერთდება აზოტურ და წებოვან ნივთიერებათ და მათთან შეერთებით ღვინოს ეცლება. ტანინის სიმჟავეს ენოტანინს ეძახიან (ღვინის ტანინი), რადგანაც ეს სხეული ბევრად განირჩევა სხვა მცენარეებიდან ამოღებული ტანინისაგან; თუ ტანინი რკინის მარილს მოხვდა, შავად შეიღებება. როგორც ვიცით, ჟელატინს და წებოს უერთდება და ამ თვისებით სარგებლობენ ღვინის დასაწმენდად. ტანინი ადვილად უერთ-

დება ჟანგ-მბადს და იცვლება—ნახშირის სიმჟავე და გუნდის სიმჟავე ჩნდება, ამისათვისაც ძველ ღვინოებში ეს უკანასკნელი ხშირად ბლომად მოიპოვება. ტანინზე და მის მომზადებაზე ჩვენ ბევრჯელ გვქონდა ლაპარაკი, ამისათვის აქ მეტს აღჭრას ვიტყვით.

6) ეთეროვანი სხეულები. როგორც წინად მოყვანილი ეთერების სიიდან სჩანს, ბევრი ნაწილი ამ ეთერებისა წარმოსდგებიან სიმჟავეთა ეტილ ალკოგოლთან შეერთებით და ცოტა ნაწილი კი პროპილ, ბუტილ, ამილ და კაპრილ ალკოგოლებთან; ამ შეერთების დროს, როგორც წინადაც ვთქვით, წყალი უნდა გამოეცალოს. თითქმის ყველას ნაზი და სასიამოვნო სუნი აქვს და გემო კი მწვავი და უსიამოვნო. ცხიმოვან სიმჟავეთა ეთერები წყალში არ იხსნებიან და ორთქლად ადვილად იქცევიან; სხვა სიმჟავეთა ეთერები კი, როგორც ღვინის სიმჟავისა, ქარვის სიმჟავისა და სხვანი წყალში კარგად იხსნებიან და ორთქლად იქცევიან მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე.

ღვინის ბუკეტი. ბევრი სწავლულები ცდილობდნენ შეეტყოთ—რისგან შესდგება ღვინის ბუკეტი, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდინ ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული—რა სხეულებისგან და რაგვარი რაოდენობით არის შემდგარი ეს ბუკეტი; ეს კი ცხადია, რომ ეს ბუკეტი შესდგება ბევრი სხეულებისგან, რომელთა შორისაც ცხიმოვან სიმჟავეთა ეთერებს დიდი ადგილი უჭირავთ და ამასთან მათში ცოტაოდენი ალდეგიდებიც ურევია; მოიმენეს გამოცდილებით, ამ ბუკეტში მეტი ნაწილი უჭირავთ ვალერიანის სიმჟავის და ამილ ალკოგოლის ეთერს, ბუტირინის სიმჟავის და ეტილ ალკოგოლისას, ენანტილის სიმჟავის და ეტილ ალკოგოლისას, აგრედვე ძმრის სიმჟავის და პროპილ ალკოგოლისას.—თვითონ ღვინის სუნი, ორდონოს აზრით, ენანტილის სიმჟავის და ეტილ ალკოგოლის ეთერია.—ამაზე მეტს ვერას ვიტყვით ღვინის არომატზე, რადგანაც საგანი ჯერ გამოკვლეული არ არის. უეჭველია, რომ ყველა ის ალდეგიდები, ყველა ის ალკოგოლები და ყველა

ის ეთერები, რომლებიც ღვინოში მოიპოვებიან, ერთად მონაწილეობას იღებენ ღვინის ბუკეტის შედგენაში. იმათი ურთიერთი რაოდენობა კი, რასაკვირველია, ამ ბუკეტს სხვა-და-სხვა გვარად შესცვლის.

7) **მარილოვანი სხეულები.** ღვინოში ისევ ის მარილოვანი სხეულები მოიპოვებიან, რომლებიც ტკბილში იყვნენ, თუმცა კი უფრო მცირედი რაოდენობით; ამისათვის არც ამათ გავარჩევთ ეხლა.

8) **აზოტური ნივთიერებანი.** ღვინოში, ერთის მხრით, იგივე აზოტური ნივთიერებანი მოიპოვებიან, რომლებიც ტკბილში იყვნენ, თუმცა კი აქ ისინი ძალიან შეცოტავებულნი არიან; ამათ გარდა, მეორეს მხრით, ხშირად ღვინოში მოიპოვებიან ერთგვარი აზოტური ნივთიერებანი, რომლებიც ტკბილში არ იყვნენ და რომლებიც დულილის დროიდან არიან გადმოსულნი, როგორც მაგ. ლეუცინი და ტიროზინი. ამ უკანასკნელ სხეულთა რაოდენობაც ძალიან მცირე უნდა იყოს, თუ დულილი კარგად იყო წაყვანილი და ღვინო მალე იყო გადმოღებული თხლეებიდან. როგორც ვიცით, თხლეში გროვდება ღვინიდან დალექილი ლეწ-ლილის დედა და აქ ეესაზრდოდ და ალკოგოლისაგან გაბრუებული და შეწუხებული ხოცება და სხვა-და-სხვა სხეულებად ნაწილდება, რომელთა შორის ტიროზინი და ლეუცინიც არის. აზოტური ნივთიერებანი თბილი ქვეყნების ღვინოში უფრო ბევრია და რამდენადაც განთქმული და კარგი ხარისხისაა ღვინო, იმდენად ბევრი იქნება მასში ეს ნივთიერებანი. თუ ღვინო კარგად არის დაწმენდილი და ტანინი არ აკლია, მაშინ კი ამ აზოტურ სხეულებთა რაოდენობა ძალიან მცირე იქნება. როგორც ვიცით, რომელ ღვინოსაც ბევრი აქვს აზოტიურ ნივთიერება, ის უფრო ძნელი შესანახავია.

9) **საფერავი ნივთიერებანი.** ღვინის საფერავის გამოკვლევასა დიდი ხანი მოუნდნენ, რადგანაც წინად ყველას ეგონა, რომ ეს საფერავი ერთი სხეულისაგან იყო შემდგარი. ამის გამოკვლევა დაიწყეს 1827 წელს და მხოლოდ 1878 წელს გაათავეს. ამ სხეულების გამოკვლევა უფრო იმიტომ იყო გაძ-

ნელებული, რომ თვითონ ნივთიერება რადაცა დაუდგრომელია, ძალიან მალე იცვლება ჟანგ-მბადის მოქმედებით; ამას გარდა ძნელია იმის ღვინიდან ან ყურძნიდან წმინდად გამოცლა, რის გამოც მისი ანალიზი შეუძლებელი იყო.—1878 წელს არ. გოტიეს მოახდინა ვრცელი და შესაქმნელი გამოკვლევა, რომელიც თითქმის ცხადად და აშკარად გვიხატავს ამ ნივთიერების ქიმიურ თვისებას და ხარისხს, თუმცა კი ჯერედ ჯერობით კარგად არ არის გადაწყვეტილი მათი ნამდვილი ბუნება. გოტიეს აზრით, წითელი ღვინის საფერავი ოთხგვარია, ოთხი რიგის სხეულებისაგან არის შემდგარი:

ა) წითელი საფერავი, რომელიც წყალში არ ისსნება; ეს საფერავი ყოველი ჯიშის შავ ყურძენშია და ამასთან ყოველი ჯიშის ყურძენში ამ საფერავს სხვა-და-სხვა შედგენილება აქვს, თუმცა კი ყველა მათგანს ტანინის თვისება აქვს. ეს წითელი საფერავი ღვინის უმთავრესი შემლებავი საფერავია.

ბ) ალკოჰოლში წითელი ფერის საფერავი და იმავე თვისებისა, მსგავსად ამ ანსსავებისა, რომ წყალში კარგად ისსნება. ზოგიერთ ჯიშის ყურძენში ეს საფერავი უფრო ბლანდად არის, ვიდრე პირველი, როგორც ფრანგული ყურძნის Teinturieur; ამავე ხასიათისაა, მგონი, ჩვენებური საფერავიც.

გ) ტანინოდანი სხვა სასიათის საფერავი, რომელიც სანაზოტურია და სან აზოტური და რკინიანი ერთად.

დ) ყვითელი საფერავი ნივთიერება, რომელზედაც ჟანგ-მბადი ვერ მოქმედებს. ახალ ღვინოში ეს საფერავი არა სჩანს, რადგანაც წითელი საფერავით არის შელებილი; როცა წითელი საფერავი დროს განმავლობაში დაჟანგდება და ღვინოს გამოეცლება, მაშინ ყვითელი საფერავი გამოჩნდება; ამის გამო ძველ ღვინოს ყოველთვის მოყვითანო ფერი აქვს. ღვინის საფერავს დიდ ხანს სახელად ერქვა ენოციანინი (œnocyanine) ანუ ენოლინი (œnoline); რადგანაც ეგონათ, რომელს ნეიტრალი ნივთიერება იყო. ახლა კი გოტიეს გამოკვლევიდან ცხადად გამოჩნდა ამ ნივთიერების სიმჟავის ხასხათი და ამისათვის დაარქვეს ენოლანის სიმჟავე (acide œnolique). ეს სხეული

ტანინივით მწკლარტეა და ტანინივით უერთდება წებოვან სხეულებს, შეერთებული წყალში აღარ იხსნება და ღვინოს ეცლება. თუ რკინის მარილი მოხვდა, მაშინაც ტანინივით ლბილექამს. თუ ეს სიმჟავე ტუტეში არის გახსნილი, მაშინ ჟანგმბადი ენერგიულად მოქმედებს, საფერავი ჟანგდება, ესე იგი ჟანგ-მბადს უერთდება და ფერსა ჰკარგავს. ერთი სიტყვით, ღვინის საფერავი თავის თვისებით შეღებილ ტანინსა ჰგავს. რადგანაც საფერავი სიმჟავეა, ამისათვის ის კარგად უერთდება ლითონებს და ამგვარად მარილოვან სხეულს იძლევა, რომელთა შედგენილებაც კარგად არის გამოკვლეული. სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ საფრანგეთის ყურძნების საფერავი გამოკვლეული და ამისათვის იქაურ ყურძნების საფერავის შედგენილებას მოვიყვანთ აქა:

საფერავის შედგენილება სხვა-და-სხვა ჯიშის ყურძნებში.	Gamay	$= C^{40}H^{40}O^{20}$
	Carignan	$= C^{42}H^{40}O^{20}$ მეტი ნაწილია.
	—	$= C^{43}H^{48}O^{20}$ მცირე რაოდენობისა.
	—	$= C^{47}H^{41}NO^{20}$ თხლეში.
	Grenache	$= C^{43}H^{44}O^{20}$ მეტი ნაწილი.
	Aramon	$= C^{46}H^{34}O^{20}$ მეტი ნაწილი.
	Teinturieur	$= C^{44}H^{38}O^{20}$ წყალში ძნელ იხსნება.
	Petit Bonjchet	$= C^{45}H^{36}O^{20}$ აგრედვე.
	—	$= C^{47}H^{38}O^{20}$ აგრეძვე.

თუ ეს სიმჟავენი გამმრალნი არიან, მაშინ წყალში ან სხეულებად არ იხსნებიან და ან ცოტად; აგრედვე ეთერშრაც; ალკოგოლში კი კარგად იხსნებიან. ამ წითელ საფერავთან, როგორც წინად ვთქვით, ღვინოში არის აგრეთვე ისეთი წითელი საფერავიც, რომელიც წყალში კარგად იხსნება.

ამათ გარდა ღვინოში არის ცოტაოდენი ალისფერი, იისფერი ან ლურჯი საფერავი, რომლებთაგანაც ზოგი აზოტიანია და ზოგიც აზოტიანი და რკინიანი ერთად. იის ფერი საფერავი იგივე წითელი საფერავია, მაგრამ რკინის მარილად გადაქცეული. თბილ ქვეყნების ყურძენში და ღვინოში ამგვარი საფერავი ბლომად არის; ამისათვის იქაურ ღვინოებს საღი წითელი ფერი არა აქვთ, უფრო მუქი იის ფერისანი არიან. ის საფერავი კი, რომელშიაც აზოტიც არის და რკინაც და რომელსაც მუქი ლურჯი ფერი აქვს, ძალიან რთული სხეულია

და მისი შედგენილება ესე გამოიხატება: $C^{126}H^{60}FN^{2}O^{60}$. ეს საფერავი ღვინოს მალე ეცლება ხანში შესვლის დროს, როცა ღვინოს სიმჟავე უმცირდება.

ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე, რომ ასე დიდ ხანს შევაფერხე მათი ყურადღება ასეთ დაწვრილებითი ცნობებზე ღვინის შედგენილების შესახებ; ჩვენის ფიქრით, ეს მიუცილებლად საჭირო იყო იმის შესატყობად, თუ რა დიდი და ძირითადი ცვლილება ხდება ტკბილში ღვინოდ დაყენების დროს; ესევე საჭიროა იმისათვისაც, რომ მკითხველმა შეიგნოს—რა ძლიერ რთული და ნაზი სხეულია ეს ღვინო და რარიგ ყურადღებას და შრომას თხოულობს მისი დაყენება. რასაკვირველია, ზევით მოყვანილი სია სხეულებისა და მათი აღწერა ბევრისთვის გასაგები არ იქნება და იქნება თავ-მოსაწყენიც იყოს—მათ, რასაკვირველია, შეუძლიანთ უყურადღებოდ დასტოვონ აქ მოყვანილი ცნობანი, მაგრამ იმედი გვაქვს და დარწმუნებულნიცა ვართ, რომ რამდენიმე მკითხველისათვის ეს ცნობები უსარგებლოდ არ ჩაივლის და იქნება საინტერესოდაც სცნან. ჩვენში თუმცა ღვინო ყველას უყვარს და აფასებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან გულ-გრილად ეკცევიან მის დაყენებას და დამთავრებას. როგორც ჩვენ შემდეგ ვნახავთ და დავრწმუნდებით, მრავალი ღვინის შემადგენარ ნივთიერებანი თუ უყურადღებობის გამო ან გამრავლდნენ და ან დაკოტავდნენ, ღვინოს სრულებით გააფუჭებენ და წაახდენენ იმ ხარისხამდინ, რომ მისი მობრუნება ძნელი-ღა იქნება.

ზემოდ მოყვანილი ცნობების შესავსებად მე აქ მოვიყვან სხვა-და-სხვა ქვეყნების ღვინოების ანალიზებს, რომლებისაგანაც ჩვენ შეგვეძლება საზოგადო ნორმალური ღვინის შედგენილება გამოვიყვანოთ და შემდეგ ამით ვისარგებლოთ ღვინის შემადგენარ ნივთიერებათა მეტ-ნაკლებობის გასასწორებლად. აქ ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ ჯერ არა ქვეყანაში არ მოუხდენიათ დაწვრილებითი და ვრცელი ანალიზი ღვინისა—ეს რამდენიმე წლის შრომას და დიდ ხარჯს და დროს მოინდომებდა. ამისათვის ქვემოდ მოყვანილ ანალიზებში ნაჩვენები იქნება მხოლოდ საზოგადო რიცხვები ალკოგოლთა და სიმჟავეთა რაოდენობისა, ექსტრაქტისა, გლიცერინისა, ტანინისა, აზოტურ ნივთიერებათა და მარილოვანთა სხეულთა და ხანდახან ამ უკანასკნელების დაწვრილებითი ანალიზიც.

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი % ტანით	ალკოგოლი % წონით	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერებანი %	მინერალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	ფერი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
1) სოფრანგეთის წითელი ღვინოები:																
შატოლაფიტი (Chat. Laffite) 1871 წ.	„	„	8,58	2,17	0,58	„	0,88	„	„	0,27	0,037	0,021	0,125	0,006	0,013	„
სენტ-ემილიონი (St. Emilion) 1874 „	„	„	8,36	2,45	0,48	„	0,81	„	„	0,21	0,024	0,006	0,078	0,010	0,012	„
მარგო მედოკი (Margaut medoc) 1880 „	0,9941	„	8,82	2,34	0,56	„	0,72	„	„	0,21	0,027	0,034	0,112	0,010	0,018	„
ბორდო (Bordeaux) 1875	„	8,6	„	2,40	0,46	0,26	0,90	„	„	0,21	0,026	0,020	0,114	0,010	0,023	„
შატო ლეონვილ (Ch.-Leonville) 1875 „	„	„	7,99	2,46	0,53	„	0,75	„	„	0,27	0,023	0,009	0,110	0,007	0,013	„
მედოკისენტ ესტეფი (Md. St. Estephe) — „	„	10,11	„	2,39	0,38	0,27	0,98	„	„	0,23	0,032	0,016	0,108	0,008	0,031	„
მედ. სენტ ჟულიენი (Md. St-Julien) — „	„	10,4	„	2,53	0,63	0,11	„	„	„	0,26	0,031	0,036	0,098	0,005	0,024	„
შამბერტენი (Chambertin, Burg.). — „	0,9938	11,23	„	2,63	0,59	„	0,68	0,30	„	0,21	0,062	0,036	„	„	„	„
შატო მარგო (Chat. Margaux). 1878 „	0,9966	10,56	„	2,13	0,54	„	0,65	0,20	„	0,26	„	0,032	„	„	„	„
შატოლაფიტ (Chat. Laffite). — „	0,9970	9,63	7,67	2,50	0,63	„	0,63	0,15	0,279	0,246	0,033	0,043	„	„	„	„
ბორდო (Bordeaux) 1878	0,9956	9,04	„	2,43	0,47	„	0,88	0,19	„	0,31	„	0,035	„	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი % ტანით	ალკოგოლი % წონით	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	ეზოტერული ნივთიერებანი %	მინერალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
სენტ ჟულიენი (St. Julien).	0,9971	10,04	8,10	2,60	0,64	„	0,62	0,15	0,258	0,288	0,039	0,043	„	„	„	„
საშუალო შედგენილება 28 ანალიზიდან გამოყვანილია	0,9982	9,71	7,80	2,56	0,57	0,30	0,73	0,18	0,269	0,248	0,030	0,033	0,106	0,010	0,018	„
სხვა ანალიზები არ მოგვყავს ადგილის შესამოკლებლად; შემდეგშიაც ასე მოვიქცევით.																
საფრანგეთის თეთრი ღვინოები:																
გრავი (Graves) 1869 წლისა	„	9,05	„	2,47	0,71	„	0,88	„	„	0,224	0,046	0,019	0,018	0,010	0,015	„
სოტერნი (Haut Sauternes) 1877 წლისა.	0,9956	12,49	„	3,54	0,54	„	1,00	„	„	0,28	0,023	0,015	0,015	0,007	0,013	„
იგივე სხვა წლისა. . .	0,9958	10,27	„	3,19	0,65	„	0,97	„	„	0,26	„	0,052	„	„	„	„
ბარზაკი (Haut Barsac) 1876 წლისა. . . .	1,0097	10,31	„	6,80	0,72	0,65	0,83	„	„	0,23	0,045	0,075	0,070	0,024	0,018	0,003
შატო იკემი (Chateau d' Jquem) 1879 წლისა.	0,9974	9,88	„	3,33	0,65	1,02	0,95	„	„	0,25	0,020	0,036	0,075	„	„	„
საზოგადო შედგენილება.	0,9963	10,31	„	3,03	0,66	0,83	0,97	„	„	0,25	0,032	0,038	0,098	0,010	0,015	0,003

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი წონით %	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანანი %	აზოტური ნივთიერებანი %	მანნიტალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
2) რეინის ნაპირების წითელი ღვინოები:																
ასმანს გაუზერი (Assmaushauser)	0,9957	11,2	„	2,51	0,41	„	„	0,15	„	0,225	„	„	„	„	„	„
Oberingelheimer. . . .	0,9985	10,22	„	3,75	0,510	„	„	0,12	„	0,240	„	„	„	„	„	„
Weisbadener Neuburg 1868 წლისა. . . .	0 9969	8,92	„	2,87	0,47	„	„	0,178	„	0,26	„	„	„	„	„	„
Swobenheimer 1866 წ.	1,001	9,11	„	4,38	0,48	„	„	0,106	„	0,238	„	„	„	„	„	„
საშუალო შედგენილება 20 ანალიზიდან. . .	0,9964	10,08	„	3,10	0,517	„	„	0,158	„	0,242	„	„	„	„	„	„
რეინის ნაპირების თეთრი ღვინოები:																
ლიბფრაუენმილხი (Liebfrauenmilch). . . .	„	„	10,39	2,04	0,48	„	0,93	„	„	0,20	0,043	0,050	„	„	„	„
შტეინბერგიდან (Steinberger რისლინგი) 1882	1,0034	„	5,30	2,88	1,30	„	0,49	„	„	0,21	0,041	„	0,091	„	„	„
იოგანის ბერგერ (Iohanais berger) 1848 წ.	0,9917	10,0	8,10	2,059	0,514	„	„	„	„	0,120	„	„	„	„	„	„
მარკობრუნიდან (Markobruner) 1882 წლისა.	4,001	„	5,76	2,161	0,78	„	0,776	„	„	0,26	0,037	„	0,078	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი % ტანით	ალკოგოლი % წყლით	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	მაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება %	მინერალური ნივთიერება %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალი-ქლორ %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
Assmanshäuser 1882, Traminer	0,992	"	6,17	2,40	0,67	"	0,47	"	"	0,27	0,057	"	0,123	"	"	"
Geisenheimer 1881.	0,999	10,5	9,3	3,37	1,28	0,13	0,91	"	"	0,180	"	"	"	"	"	"
Rüdenheimer Berg.	0,997	10,15	8,09	2,50	0,62	"	1,03	"	"	0,22	0,040	0,043	0,096	"	"	"
საშუალო შედგენილება 22 ანალიზიდან.	1,0005	9,90	8,50	2,60	0,81	"	0,85	"	"	0,23	0,046	0,020	0,085	"	"	"
3) მოზელის ნაპირების თეთრი ღვინოები.																
Brauneberger	"	10,3	"	2,67	0,79	"	0,65	"	"	0,185	0,041	0,014	"	0,006	0,021	"
Pisporter.	"	10,5	"	2,44	0,80	"	0,64	"	"	0,165	0,037	0,009	"	0,007	0,019	"
Moselblümcher.	0,9940	12,12	9,09	2,27	0,67	"	0,66	"	"	0,2015	0,179	0,026	0,058	"	"	"
საშუალო შედგენილება 10 ანალიზიდან.	0,9964	10,97	8,05	2,27	0,79	"	0,65	"	"	0,175	0,036	0,015	0,068	0,009	0,021	0,0031
4) ტიროლის წითელი ღვინოები:																
Meran.	0,9928	9,75	7,81	1,80	0,76	"	0,44	0,17	"	0,224	0,024	0,014	0,121	"	"	"
Traminer.	0,994	9,56	7,65	1,90	0,51	"	0,45	0,16	"	0,229	0,022	0,014	0,121	"	"	"
Vino di Posto..	1,010	8,41	6,86	5,11	0,59	"	0,95	0,19	"	0,234	0,027	0,013	0,095	"	"	"
Negrara. 1879 წ.	0,9948	15,6	12,48	3,44	0,71	"	"	0,16	"	0,239	0,025	0,012	0,128	"	"	"

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე.	ალკოგოლი %	ალკოგოლი % წონით	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტოვანი ნივთიერებანი %	მინერალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალი-ქვა %	ქლორი %	მაგნეზია %	ქლორი %
Negraro-Trento	0,9940	9,88	7,89	1,96	0,54	„	0,59	0,22	0,1134	0,1204	0,0020	0,0019	0,0097	„	„	„
საშუალო 60 ანალიზიდან	0,9943	11,13	9,08	2,34	0,22	„	0,65	0,17	0,1133	0,1222	0,0027	0,023	0,1106	„	„	„
ტიროლის თეთრი ღვინოები:																
Maderno	0,9923	10,10	8,03	1,56	0,59	„	0,67	„	0,1128	0,1158	0,0019	0,0027	0,1063	„	„	„
Nosila Trento	0,9841	8,79	6,93	1,51	0,47	„	0,57	„	0,1143	0,1182	0,018	0,0022	0,1079	„	„	„
Traminer	0,9925	12,67	10,16	1,70	0,45	„	0,70	„	0,0091	0,1154	0,018	0,0025	0,1068	„	„	„
Riesling	0,9930	11,15	9,21	1,96	0,58	„	0,74	„	0,0085	0,1176	0,0026	0,0039	0,1074	„	„	„
საშუალო 18 ანალიზიდან.	0,9927	10,90	8,84	1,87	0,59	„	0,65	„	0,1123	0,1175	0,0022	0,023	0,1077	„	„	„
5) ავსტრიული და უნგარული თეთრი ღვინოები:																
Klosterneuburger ~~1878~~ წ.	0,9980	9,07	7,24	2,34	0,75	„	0,63	„	0,1137	0,1171	0,0028	0,0036	0,1072	„	„	„
Affenthaler 1868 წ.	0,9925	11,29	9,04	2,04	0,73	„	0,69	„	0,1133	0,1157	0,0034	0,0021	0,1068	„	„	„
Badascon 1878 წ.	0,9946	11,12	8,98	2,41	0,63	„	0,70	„	„	0,1255	0,0036	0,023	0,1089	„	„	„
Kadarka Gyöngyös 1882.	0,9947	8,67	6,93	2,63	0,45	„	0,53	„	„	0,1157	„	0,0006	„	„	„	„
საშუალო 88 ანალიზიდან.	0,9952	10,15	7,98	2,23	0,68	„	0,72	„	0,1155	0,1202	0,0034	0,032	0,1081	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი წონით %	ექსტრაქტი %	სიმაღვე %	ფაკარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება %	მინერალური ნივთიერება %	ფოსფორის სიმაღვე %	გოგირდის სიმაღვე %	კალი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
ავსტრიული და უნგარული წითელი ღვინოები:																
Vöslauer Kabinet.	0,9954	10,728	„	2,753	0,759	„	0,969	„	0,2154	0,258	„	„	„	„	„	„
Vöslauer Ausstich.	0,9950	10,729	8,722	2,764	0,757	„	0,987	0,210	0,2142	0,249	0,041	0,027	0,110	„	„	„
Affenthaler.	0,9950	10,750	8,739	2,733	0,764	„	0,973	0,211	0,2162	0,187	0,041	0,016	0,085	„	„	„
Klosterneuburg, Strohwein.	1,052	„	„	„	+	„	„	„	„	0,252	0,039	„	0,111	„	„	„
Ofner Königswein.	0,9926	12,741	9,994	2,227	0,754	„	0,975	0,213	„	0,158	0,036	0,017	0,069	„	„	„
Vulanger.	0,9968	10,782	8,748	3,201	0,770	„	0,989	0,216	0,2113	0,221	0,041	0,038	0,088	„	„	„
Kadarka Villany	0,9940	10,753	8,742	1,797	0,775	„	0,954	0,211	0,2279	0,240	0,035	0,014	0,113	„	„	„
საშუალო 20 ანალიზიდან	0,9953	10,74	„	2,762	0,762	„	0,979	0,2145	0,2214	0,234	0,038	0,024	0,091	„	„	„
6) იტალიის წითელი ღვინოები:																
Barletta.	„	14,17	„	3,299	0,749	„	1,959	„	„	0,34	0,035	0,022	0,140	0,008	0,022	„
Bari.	„	13,96	„	3,246	0,751	„	„	„	„	0,335	0,03	0,018	„	0,008	0,019	„
Brindisi.	„	13,79	„	3,277	0,745	„	„	„	„	0,333	„	0,013	0,136	0,014	0,018	„
Ruvo.	„	12,79	„	3,232	0,745	„	„	„	„	0,334	0,030	0,014	0,116	0,011	0,017	„
Bitonto.	„	12,90	„	3,212	0,741	„	„	„	„	0,324	„	0,014	„	„	„	„

სხვა-და სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი % ტანით	ალკოგოლი % წონით	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება %	მინერალური ნივთიერება %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალიქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
იტალიის თეთრი ღვინოები:																
Bitonto.	„	13,10	„	3,133	0,153	„	1,140	„	„	0,123	0,0020	0,0022	0,0111	0,0008	0,0018	„
Ruvo.	„	13,10	„	3,133	0,151	„	1,142	„	„	0,131	0,0032	0,0028	0,0126	0,0007	0,0022	„
საშუალო 20 ანალიზიდან.	„	13,114	„	3,144	0,152	„	1,145	„	„	0,129	0,0032	0,0019	0,0115	0,0009	0,0017	„
აქვე მოვიყვან იტალიის სხვა-და-სხვა მხარის ღვინოების საშუალო შედგენილებას:																
წითელი ღვინოები:																
ვენეციის ღვინოები. (20 ანალიზიდან) . . .	0,9930	12,121	„	1,169	0,167	„	„	0,119	„	0,119	„	„	„	„	„	„
ლომბარდიის— ღვინოები (22 ანალიზიდან) . .	0,9955	12,185	„	2,161	0,167	„	„	0,122	„	0,124	„	„	„	„	„	„
პიემონტის ღვინოები (70 ანალიზიდან) . . .	0,9913	12,166	„	2,130	0,171	„	„	0,123	„	0,118	„	„	„	„	„	„
ლიგურიის ღვინოები (4 ანალიზიდან). . . .	„	13,15	„	3,147	0,169	„	„	„	„	0,131	„	„	„	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი % ანალ.	ალკოგოლი % ნაკლ.	მშრალ-ი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება %	მინერალური ნივთიერება %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	ქლორ-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
ტოსკანის ღვინოები (29 ანალიზიდან). . . .	0,9942	11,769	„	1,388	0,762	„	„	0,223	„	0,223	„	„	„	„	„	„
სიცილიის ღვინოები (22 ანალიზიდან). . . .	1,0005	14,533	„	3,195	0,764	„	„	0,231	„	0,246	„	„	„	„	„	„
სარდინიის ღვინოები (4 ანალიზიდან). . . .	0,9943	15,517	„	2,166	0,789	„	„	0,226	„	0,244	„	„	„	„	„	„
საშუალო 215 ანალიზიდან.	0,9945	12,789	„	2,136	0,768	„	„	0,224	„	0,225	„	„	„	„	„	„
თეთრი ღვინოები:																
ვენეციის ღვინოები (10 ანალიზიდან). . . .	0,9922	12,780	„	1,364	0,760	„	„	„	„	0,218	„	„	„	„	„	„
ლომბარდიის ღვინოები (2 ანალიზიდან). . .	0,9905	14,50	„	1,161	0,756	„	„	„	„	0,217	„	„	„	„	„	„
პიემონტის ღვინოები. .	0,9946	16,150	„	3,112	0,754	„	„	„	„	0,221	„	„	„	„	„	„
ლიგურიის ღვინოები. .	„	12,900	„	2,110	0,770	„	„	„	„	0,220	„	„	„	„	„	„
ტოსკანის ღვინოები . .	0,9926	13,550	„	1,168	0,762	„	„	„	„	0,220	„	„	„	„	„	„
სიცილიის ღვინოები . .	0,9985	17,70	„	3,142	0,759	„	„	„	„	0,239	„	„	„	„	„	„
სარდინის ღვინოები . .	0,9914	17,784	„	2,115	0,768	„	„	„		0,226	„	„	„	„	„	„
საშუალო 50 ანალიზიდან.	0,9930	14,146	„	2,111	0,759	„	„	„	„	0,136	„	„	„	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი წონით %	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება %	მინერალური ნივთიერება %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
7) ისპანიის წითელი ღვინოები:																
(ისპანიის ღვინოებს გაჯი აქვს მიმატებული და ამისათვის გოგირდის სიმჟავის და ნაცრის როდენობა მათში დიდია).																
Elda ალიკანტე. . . .	1,00063	15,19	12,35	5,760	0,580	„	„	0,133	„	1,207	0,0046	0,0304	0,0425	„	0,0008	„
Benicarla.	„	17,30	„	3,143	0,335	0,245	1,109	„	„	0,243	0,0023	0,0177	0,0182	0,0010	0,0016	„
Valencia.	„	15,16	„	3,781	0,245	0,254	„	„	„	0,260	0,0033	0,0276	0,0215	0,0009	0,0014	„
Jevilla	„	18,75	„	2,238	0,264	0,228	1,306	„	„	0,255	0,0025	0,0188	0,0202	0,0007	0,0014	„
Alikante.	„	12,70	„	2,781	0,143	0,339	„	„	„	0,267	0,0027	0,0239	0,0235	0,0006	0,0014	„
Taragona-Alikante. . .	0,99950	14,24	11,23	3,90	0,250	„	0,264	0,0247	„	0,264	0,0035	0,0226	0,0246	„	0,0007	„
Benilloba.	0,99939	13,25	10,38	2,780	0,250	„	„	0,0174	„	0,254	0,0024	0,0185	0,0186	„	0,0009	„
საშუალო შედგენილება.	0,99940	15,52	„	3,253	0,349	0,238	0,289	0,027	„	0,261	0,0027	0,0221	0,0242	0,0008	0,0015	„
თეთრი ღვინოები:																
ანდალუზიის ღვინოები .	„	16,23	„	2,253	0,260	0,227	1,204	„	„	0,258	0,029	0,0239	„	0,013	0,0130	„
სევილის ღვინოები . .	„	18,28	„	3,212	0,256	0,248	1,212	„	„	0,265	0,0026	0,0249	„	0,012	0,0012	„
ალიკანტის ღვინოები. .	0,99960	15,280	12,26	2,140	0,230	„	„	„	„	0,247	0,0021	0,0284	0,0161	„	0,0010	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი წონით %	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერებანი %	მინერალური ნაცრის ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
კატალანას ღვინოები. .	„	12,28	„	2,96	0,53	0,19	0,86	„	„	0,24	0,027	0,029	„	„	„	„
საშუალო შედგენილება.	„	15,99	„	2,68	0,65	0,37	1,00	„	„	0,157	0,025	0,19	0,166	0,012	0,014	„
8) პორტუგალიის წითელი ღვინოები:																
(თითქმის პორტუგალიის ყველა ღვინოებს ალკოგოლი აქვს მიმატებული.)																
Benavente.	1,062	18,4	„	20,09	0,39	13,97	„	0,13	„	0,32	0,042	0,016	„	„	„	„
Ega, კოამბრიიდან . .	0,9925	12,4	„	3,32	0,52	„	„	0,13	„	0,28	0,017	0,016	„	„	„	„
Ebendaher	1,014	13,5	„	8,09	0,63	3,18	„	„	„	0,22	0,038	0,017	„	„	„	„
თეთრი ღვინოები:																
Villa Real-იდან . . .	1,00	19,3	„	5,88	0,42	2,63	„	„	„	0,20	0,035	0,021	„	„	„	„
Alijo, ვილლარეალიდან.	1,00	12,3	„	4,32	0,42	1,43	„	„	„	0,20	0,085	0,017	0,083	„	„	„
9) ჟირიმის წითელი ღვინოები:																
(ეს ღვინოები სულ ევროპიდან გადმოშენებული ვაზისა არიან).																

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი წონით %	ექსტრაქტი %	სიმაღლე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება-ნი %	მინერალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმაღლე %	გოგირდის სიმაღლე %	კალი-ქა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
ბორდოს ყურძნიდან: ლასპი.	0,9959	11,08	8,81	2,16	0,57	„	0,836	0,350	0,15	0,218	0,029	„	0,097	„	„	„
ალუპკა.	0,9942	10,76	7,85	2,72	0,57	„	0,39	0,143	0,174	0,255	0,0169	„	0,155	„	„	„
მაგარაჩი.	0,9934	13,46	10,93	2,90	0,588	„	0,584	0,503	0,106	0,245	0,028	„	0,078	„	„	„
ლივადია.	0,9939	15,52	12,44	3,06	0,725	„	0,588	0,43	0,20	0,285	0,028	„	0,148	„	„	„
საშუალო 10 ანალიზიდან.	0,9939	13,30	10,46	2,76	0,56	„	0,64	0,34	0,225	0,267	0,027	„	0,111	„	„	„
თეთრი ღვინოები:																
რისლინგი: ლივადია	0,9922	14,81	11,87	2,20	0,63	„	0,713	„	0,060	0,171	0,021	„	0,082	„	„	„
მაგარაჩი	0,9906	15,58	12,51	2,80	0,605	„	0,608	„	0,144	0,163	0,036	„	0,082	„	„	„
სოტერნი: ლივადია	0,9897	15,09	12,13	2,57	0,412	„	0,39	„	0,175	0,212	0,011	„	0,096	„	„	„
მასანდრა	0,9895	14,28	11,43	2,08	0,420	0,225	0,315	„	0,201	0,200	0,023	„	0,106	„	„	„
გურზუფი	0,9905	16,93	13,59	2,22	0,437	„	0,662	„	0,194	0,183	0,019	„	0,078	„	„	„
Pedro-Ximenes	0,9948	14,15	11,31	3,24	0,505	„	0,83	„	0,124	0,38	0,090	„	0,092	„	„	„
კოკური	0,9934	14,85	11,51	1,35	0,54	„	0,58	„	0,125	0,215	0,028	„	0,127	„	„	„
საშუალო	0,9931	14,85	11,96	2,56	0,49	„	0,589	„	0,165	0,204	0,030	„	0,086	„	„	„
საშუალო სხვა ყირიმული ადგილების წითელი ღვინოებისა.	0,9964	11,20	9,26	2,34	0,64	1,75	0,32	0,143	0,175	0,317	0,0157	„	0,086	„	„	„
საშუალო სხვა ყირიმული ადგილების თეთრი ღვინოებისა.	0,9943	11,88	9,51	2,31	0,617	0,570	0,510	„	0,184	0,220	0,015	„	0,090	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი %-ით	ალკოგოლი წონით %-ით	ექსტრაქტი %-ით	სიმჟავე %	მაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტოვანი ნივთიერებანი %	მინერალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
10) ბესარაბიის წითელი ღვინოები:																
კიშინევის ღვინოები . .	0,9960	12,46	9,85	3,12	0,796	0,542	0,216	0,153	0,194	0,182	0,019	„	0,110	„	„	„
აკერმანის ღვინოები . .	0,9926	12,20	9,78	2,10	0,567	„	0,502	„	0,138	0,189	0,021	„	0,1006	„	„	„
ბენდერის ღვინოები . .	0,9921	13,15	10,54	2,01	0,601	„	0,662	„	0,306	0,157	0,022	„	0,100	„	„	„
პრუტის ნაპირების ღვინოები.	0,9931	11,49	9,19	2,06	0,60	„	0,631	„	0,150	0,136	0,029	„	0,100	„	„	„
საშუალო შედგენილება.	0,9934	12,82	9,88	2,33	0,64	„	0,50	0,153	0,196	0,176	0,027	„	0,1001	„	„	„
თეთრი ღვინოები:																
აკერმანის ღვინოები . .	0,9923	10,91	9,82	1,85	0,589	„	0,599	„	0,1188	0,185	0,019	„	0,046	„	„	„
ოდესის ღვინოები. . .	0,9933	10,08	8,41	2,11	0,407	„	0,404	„	0,248	0,185	0,012	„	0,095	„	„	„
პრუტის ნაპირებისა . .	0,9936	11,73	8,86	2,15	0,676	„	0,456	„	0,068	0,186	0,012	„	0,130	„	„	„
კამენკის ღვინო. . . .	0,9922	12,46	10,10	1,88	0,510	„	0,667	„	0,175	0,171	0,011	„	0,143	„	„	„
საშუალო	0,9925	11,45	9,13	2,15	0,56	„	0,45	„	0,150	0,175	0,022	„	0,1082	„	„	„
11) საქართველოს წითელი ღვინოები:																
იმერული	0,9967	7,80	6,04	3,23	0,602	0,931	0,118	0,811	0,136	0,331	0,001	„	0,088	„	„	„
ქართლის ღვინო: მუხრანი	0,9938	„	9,68	2,58	0,67	„	0,91	„	„	„	„	„	„	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი % ტანით	ალკოგოლი % წონით	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება %	მინერალური ნაცრის %	ფოსფორის სიმჟავე %	გოგირდის სიმჟავე %	კალიუმი %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
დამპალო	0,9945	„	10,451	2,782	0,371	„	0,792	„	„	„	„	„	„	„	„	„
კახური	0,9948	„	10,746	2,778	0,343	„	0,789	„	„	0,032	0,060	0,008	0,131	0,008	0,015	0,007
იგივე	0,9958	„	10,278	2,796	0,359	„	0,579	„	„	„	„	„	„	„	„	„
იგივე	0,9958	12,223	9,776	2,780	0,354	„	0,461	0,338	0,269	0,259	0,141	„	0,146	„	„	„
იგივე	0,9949	„	10,290	2,798	0,345	„	0,389	„	„	„	„	„	„	„	„	„
დერბენდის ღვინო	0,9937	14,209	0,952	2,028	0,408	„	0,544	0,494	0,113	0,176	0,003	„	0,089	„	„	„
საშუალო	0,9948	11,237	9,863	2,783	0,367	„	0,682	0,481	0,179	0,282	0,027	„	0,108	0,0085	0,118	0,006
საქართველოს თეთრი ღვინოები:																
ერევნული	0,9988	14,251	11,255	3,285	0,326	„	0,513	„	0,161	0,331	0,014	„	0,085	„	„	„
კახური	0,9908	„	10,288	2,125	0,260	„	0,380	„	0,325	0,225	0,027	„	0,125	„	„	„
იგივე	0,9934	12,257	10,506	2,280	0,457	„	0,584	„	0,131	0,330	0,014	„	0,085	„	„	„
ქართლის ღვინოები:																
მუხრანი	0,9932	„	9,288	2,230	0,368	„	1,208	„	„	„	„	„	„	„	„	„
რქა-წითელი	0,9916	„	11,293	2,269	0,369	„	1,212	„	„	„	„	„	„	„	„	„
მწვანე	0,9924	„	11,236	2,254	0,358	„	1,200	„	„	„	„	„	„	„	„	„
დამპალო	0,9910	„	11,274	2,248	0,263	„	1,212	„	„	„	„	„	„	„	„	„
დერბენდის ღვინო	0,9937	12,248	9,769	2,129	0,242	„	0,746	„	0,325	0,225	0,030	„	0,125	„	„	„
საშუალო	0,9953	„	11,210	2,180	0,258	„	0,286	„	0,218	0,226	0,022	„	0,110	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმკვრივე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი წონით %	მჟავ-ტრეტ %	სიმაღვე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერებანი %	მინერალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმაღვე %	გოგირდის სიმაღვე %	კალი-ქვა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
12) სამხრეთის წითელი ღვინოები:																
სანტორინის ღვინო Kamarite	0,9948	„	9,46	2,78	0.67	„	0,772	„	„	0,29	0.035	0,010	0,106	„	„	„
ათენის ღვინო	0,9940	12,20	9,43	3,42	0,168	„	0,776	0,337	0,081	0,253	0.018	„	0,126	„	„	„
ტკბილი ლიქიორიანი ღვინოები: Vinosanto rosato	1,029	12,09	9,23	12,02	0,259	9,223	0,614	„	0,168	0,291	0,146	0.039	0,072	„	„	„
Samos	1,0159	„	10,40	13,73	0,249	11,22	0,755	„	0,23	0,352	0,055	0,042	0,208	„	„	„
კეფალონიის ღვინო ეროსისა	0,490	„	13,15	3,09	0,282	0,227	0,190	„	„	0,296	„	„	„	„	„	„
პატრასის ღვინო Achaja	1,049	„	14,82	26,40	0,258	16,02	1,032	„	„	0,228	„	„	„	„	„	„
— ახილესსი	1,072	„	12,38	26,43	0,263	12,50	1,224	„	„	0,360	„	„	„	„	„	„
— აგამემნონი	1,046	„	15,87	18.53	0,250	13,15	1,209	„	„	0,315	„	„	„	„	„	„
13) ამერიკის ღვინოები:																
ვირგინიის ღვინოების საშუალო შედგ.	0,9950	„	10,62	2.58	0,871	0,72	„	0.012	0,079	0.12	„	..	0,122	„	„	..
კალიფორნიის თეთრი ღვინოების შედგენ.	0,9912	12.94	10.44	1,35	0.67	0,150	0.53	..	„	0.22	..	„	„	„	„	„
კალიფორნიის წითელი ღვინოები.	0.9943	12,40	10,01	2.05	0,82	0,210	0,53	„	„	0,29	„	„	„	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმჭიანე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი ყ/ყ ნაწილით	ექსტრაქტი %	სიმჟავე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერება-ნი %	მინერალურ-ი ნივთიერებ-ბანი %	ფოსფორის სიმჟავე %	ფოგირდის სიმჟავე %	ქლორ-ქმა %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
14) სხვა-და-სხვა ქვეყნის დიქორიანი ღვინოები:																
Tokayer Ausbruch . . .	1,1106	„	8,50	28,96	0,56	26,60	1.06	„	„	0,53	0,046	„	„	„	„	„
Tokayer.	1,109	9,67	6,95	24,82	0,52	21,97	0,46	„	„	0,32	0,041	0,041	0,118	„	„	„
Eohter Tokayer.	1,0121	15,6	12,98	7,22	„	3,90	„	„	„	„	„	„	„	„	„	„
Porto.	1,0081	20,80	16,70	8,05	0,40	5,82	0,43	„	„	0,23	0,031	0,023	0,110	„	„	„
Madeira.	1,004	„	15,53	5,21	0,48	3,46	„	„	0,21	0,40	0,056	0,097	0,048	„	„	„
Malaga.	1,069	15,76	11,93	21,73	0,55	17,11	0,47	„	0,26	0,41	0,049	0,043	0,187	40,011	0,007	„
Xeres.	„	18,50	„	3,20	0,35	0,62	0,92	„	„	0,40	0,016	0,065	0,172	„	„	„
Marsala	1,002	„	15,85	5,27	0,49	3,53	0,51	„	0,23	0,38	0,029	0,114	0,142	„	„	„
Sherry.	0,9932	21,29	17,45	3,98	0,45	2,12	0,52	„	0,17	0,38	0,031	0,128	0,206	„	„	„
Wermuth Trento. . . .	1,052	14,50	„	16,43	0,48	13,30	0,42	„	0,093	0,135	0,013	0,015	0,055	„	„	„
Aleatico.	„	„	13,10	10,6	0,47	6,96	„	0,16	„	0,38	„	„	„	„	„	„
Zucco rosso.	0,9976	17,61	„	4,53	0,74	„	„	„	„	0,40	„	„	„	„	„	„
Lacrimae Christi	1,0155	18,49	„	3,08	0,62	„	„	„	„	0,26	„	„	„	„	„	„
იგივე.	1,0076	„	12,10	21,12	0,54	18,55	0,55	„	„	0,28	0,038	0,017	0,120	„	„	„

სხვა-და-სხვა ქვეყნის ღვინოების ქიმიური შედგენილება.	სიმეჭარბე	ალკოგოლი ტანით %	ალკოგოლი წრეით %	ექსტრაქტი %	სიმეტე %	შაქარი %	გლიცერინი %	ტანინი %	აზოტური ნივთიერებანი %	მინერალური ნივთიერებანი %	ფოსფორის სიმეტე %	გოგირდის სიმეტე %	ქლორ-ქმე %	კირი %	მაგნეზია %	ქლორი %
15) შამპანური ღვინოები:		CO^2														
Veuve Cliquot	1,0056	1,51	10,20	19,45	0,80	17,52	1,13	„	„	0,12	0,016	0,017	„	„	„	„
Louis Röderer	1,0057	1,51	9,50	20,24	0,70	18,50	0,97	„	„	0,12	0,012	0,017	„	„	„	„
Monopole	1,0028	0,897	8,21	13,98	0,58	12,44	0,23	„	„	0,13	0,017	0,025	0,059	„	„	„
Astisrumante	„	„	8,50	13,25	0,52	„	„	„	„	„	„	„	„	„	„	„
Cook's imperial	1,00207	„	8,41	8,47	0,78	7,23	0,2247	„	„	0,13	„	„	„	„	„	„

ბ) ღვინის შემადგენარ ნივთიერებათა მეტ-ნაკლებობის შესწორება

როგორც ზემოდ მოყვანილი მრავალი ანალიზებიდან სჩანს, ღვინის უმთავრესი შემადგენარი ნივთიერებანი არიან: წყალი, ალკოგოლი და ექსტრაქტი და ამ ექსტრაქტში სხვა-და-სხვა სიმჟავენი: გლიცერინი, ტანინი, საფერავი, აზოტური ნივთიერებანი და მარილოვანი სხეულები. თუ ღვინო კარგად არის დაყენებული და შიგ შაქარი არ დარჩენილა, მაშინ ამ ნივთიერებათა ურთიერთი რაოდენობა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

წყალი	85	— 89,5%
ალკოგოლი	13,1	— 8 —
ექსტრაქტი	1,90	— 2,50 —
	100	100

ამ ექსტრაქტში:

სიმჟავენი	0,5	—0,75	გრამი
გლიცერინი . . .	0,75	—0,85	—
ტანინი ⁄ საფერავი .	0,20	0,30	—
აზოტური ნივთიერ. .	0,25	0,30	—
მარილოვანი სხეული	0,20	—0,35	—
	1,90	—2,55	

ამ სხეულთა მეტ-ნაკლებობა, რასაკვირველია, ბევრად შესცვლის ღვინის თვისებას და თუ რომელიმე მათგანი ან ძალიან გადამეტებულია და ან ძალიან ცოტა, მაშინ შეუძლიან სრულებით წაახდინოს მისი ღირსება. ჩვენ წინა წერილებში ვრცლადა გვქონდა მოხსენებული, თუ სხვა-და-სხვა გარემოებას რა დიდი და შესამჩნევი გავლენა აქვს ტკბილის შედგენილობაზე; რაღა თქმა უნდა, რომ ამ გარემოებათ თვითონ ღვინის შედგენილებაზედაც აგრეთვე დიდი გავლენა ექნებათ; როგორიც ტკბილია, რასაკვირველია, ისეთი ღვინო დადგება. ამას გარდა, ისიც ხომ კარგად ვიცით, რომ ტკბილის ღირსების მიუხედველად, ღვინის ვითარება დამოკიდებულია აგრედვე თვითონ დულილის რიგზე; ამის გამო ღვინო ან

მეტ-ნაკლებად იქნება შეფერილი, ან მეტნაკლები ტანინი და აზოტური ნივთერება ექნება, მეტ-ნაკლებად ალკოგოლიანი იქნება და სხვანი.

თუ დულილის წინად ტკბილი კარგად არის შესწორებული და მისი დულილიც შესაფერი თვალ-ყურის გდებით არის მოძღვარი, მაშინ, რასაკვირველია, ღვინოც კარგი დადგება და არავითარი შესწორება ანუ გადაკეთება არ დასჭირდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდისხან თვითონ ტკბილის შესწორება რომელიმე გარემოების გამო ადვილი მოსახერხებელი არ არის და თუ შესწორდა, რამე შეცდომა მოხდება ან თვითონ შესწორების დროს და ან დაყენების დროს. ერთი სიტყვით, ხანდახან მოსალოდნელი არიან იმისთანა სამწუხარო მოვლენანი, რომელთა გამოც ღვინო ისეთი არ დადგება, როგორც მოსალოდნელი იყო და ამისათვის საჭიროა ღვინის დამყენებელმა იცოდეს ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შეიძლება გასწორდეს შემჩნეული ნაკლულევანება. ზოგიერთი ღვინის ნაკლულევანებანი წარმოსდგებიან ტკბილის ნაკლულევანებიდან და ამისათვის იმათი გასწორება იმავე საშუალებას მოითხოვს, როგორც ტკბილის გასწორება, ზოგიერთი ნაკლულევანებანი კი მარტო ღვინისა არიან და აქ მოკლედ ვუჩვენებთ იმ საშუალებათ, რომლებსაც ჩვეულებრივ ხმარობენ ღვინის შესაკეთებლად.

რაღა თქმა უნდა, რომ კარგი მოსაველის ღვინოს და რიგიანად დაყენებულს არავითარი გასწორება არ დასჭირდება.

1) წყლის მეტ-ნაკლებობის შესწორება. წყლის მეტ-ნაკლებობა ღვინოს არ ახდენს, თუ რასაკვირველია ღვინო კარგი ტკბილიდან არის დაყენებული. არიან იმისთანა ღვინოები, რომელშიაც წყლის რაოდენობა 92% აიწევს და იმისთანანიც, რომელთა წყალი ძლივს 70% იქნება. ორივე შემთხვევაში შეიძლება ღვინოს კარგი ღირსება ჰქონდეს, თუ, რასაკვირველია, დაყენების დროს კარგი თვალყური ჰქონდა მიქცეული; მაგალითებრ, განთქმულ რეინის ნაპირების ღვინოებში **შტეინბერგერში** და **მარკობრიუნერში** წყლის რაოდენობა 92% შე-

ადგენს და ამდენი წყალი სრულებით არა ვნებს მათ სიკეთეს და ღირსებას. ზოგიერთ ლიქორიან ღვინოებში, როგორც მაგ. უნგარული Tokayer Ausbruch, მარტო 63% წყალია და Essenz Uso Tokayer-ში მხოლოდ 48,88%; პორტუგალიის პორტოში 70%, მალაგაში 65—68% და აგრეთვე სხვა ლიქორიან ღვინოებში წყლის რაოდენობა ძალიან ცოტაა, მაგრამ მათი ღირსება კი ყოველ მხრივ შესანიშნავია. მაშასადამე, წყლის რაოდენობა ყოველგვარია შესაძლებელი, ოღონდ ღვინო კარგ მოვლას არ იყოს მოკლებული. მხოლოდ ერთი შემთხვევა არის, როცა ზოგიერთი ღვინის დამყენებელი ურჩევს წყლის მიმატებას—ეს როცა ღვინოში ბევრი შაქარია დარჩენილი ან ალკოგოლის რაოდენობა კი ისეთია, რომ ყოველ ტემპერატურის შეცვლაზე ეს ღვინო დუღილში შედის. ამ შემთხვევაში წყალს იმიტომ უმატებენ, რომ ალკოგოლის რაოდენობა ძლიერ შემცირდეს და ღვინოში მყოფი შაქარი სრულიად დადუღდეს; მაშასადამე, წყლის მიმატებას შემდეგ ღვინო ხელმეორედ უნდა დადუღდეს; ჩვენის ფიქრით, ეს საშუალება კარგი არ არის, ღვინის ღირსება უეჭველად დაიკლებს; თუ მაინც და მაინც საჭიროა ღვინის შესანახად იმის შაქრის დადუღება, მაშინ ის უმჯობესია, რომ ეს ღვინო ცოტა-ალკოგოლიან ღვინოში შეერიოს და ისე დადუღდეს. ამ შემთხვევაზე ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი, როცა კუპაჟს გავარჩევთ.

2) **ალკოგოლის მეტ-ნაკლებობა.** ალკოგოლის მეტ-ნაკლებობაც არ ავნებს ღვინის ღირსებას; როგორც ბევრი, ისე ცოტა ალკოგოლი, თუ კარგად არის შეზავებული ღვინოსთან და თვითონ ღვინოც საღი არის, ღვინის ნაკლულევანებას არ შეადგენს, თუმცა კი, როგორც ვიცით, რამდენადაც ღვინოში ცოტა არის ალკოგოლი, იმდენად ის ძნელი შესანახია. ამისათვის ალკოგოლის მიმატებაზე მაშინ მოვილაპარაკებთ, როცა საზოგადოდ ღვინის შესანახავ საშუალებებზე გვექნება სჯა.

3) **სიმჟავის და ტანინის მეტ-ნაკლებობის შესწორება.** ორი გარემოება არის მოსალოდნელი: ან ისა, როცა ღვინოს სიმჟავე და ან ტანინი გადამეტებული აქვს და ან როცა ერთიცა

და მეორეც ღვინოს აკლია. თუ ღვინოს სიმჟავე ან ტანინ გადამეტებული აქვს, მაშინ იმას საზიზღარი გემო აქვს და ცუდი სასმელია; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ღვინო ძნელი შესანახავი იქნება და, მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ღვინოს შესწორება უნდა.

a) მჟავე და მწკლარტე ღვინის შესწორება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღვინოს ორგვარი სიმჟავე აქვს: ერთი თავისუფალი სიმჟავე, თავისუფალი ღვინის და ვაშლის სიმჟავეთაგან წარმომდგარი და მეორე— ღვინის მჟავე მარილისაგან. ამასთან ესეც ვიცით, რომ ეს უკანასკნელი სიმჟავე ღვინოს თავისთავად ეცლება იმ ხარისხამდინ, რომელიც ღვინოს მჟავე გემოს აღარ აძლევს. პირველი სიმჟავე კი დიდ ხანს რჩება ღვინოში და ღვინოს საზიზღარ გემოს აძლევს. ამის გამო გასწორებამდინ უნდა იყოს შეტყობილი— რა გვარი სიმჟავე არის ღვინოში, და მხოლოდ მაშინ უნდა გასწორდეს, თუ ეს სიმჟავე თავისუფალი სიმჟავისაგან წარმოსდგება. ამ სიმჟავის შესამცირებელი საშუალებანი უკვე ვუჩვენეთ, როცა ტკბილის შესწორებაზე გვქონდა ლაპარაკი. ტკბილის გასწორების დროს ნაჩვენებ საშუალებათა გარდა, ღვინის სიმჟავის შესაცოტავებლად ზოგნი ურჩევენ ალკოგოლის მიმატებას, ზოგნი შაქრისას და ზოგნიც გლიცერინს, მაგრამ არც ერთი მათგანი ღვინისათვის მარგებელი არ არის ამ მხრივ, სიმჟავე იმავე რაოდენობისა დარჩება, მხოლოდ სიტკბოსაგან დაფარული იქნება და ამისთვის მათი მოხმარება უმნიშვნელოა. ყველას ემჯობინება მჟავე ღვინო იმისთანა ღვინის შერევით გასწორდეს, რომელსაც სიმჟავე ცოტა აქვს და თუ ეს რამე მიზეზით მოსახერხებელი არ არის, მაშინ მხოლოდ ნეიტრალი კალიქვიანი ღვინის მარილი ($C^4K^2H^4O^4$) უნდა იხმარონ. ამ მარილის ხმარებაზე ჩვენ ვრცლად გვქონდა ბაასი, როცა ტკბილის გასწორებაზე ვლაპარაკობდით.

ღვინის სიმწკლარტე, როგორც ვიცით, ტანინის რაოდენობაზე არის დამოკიდებული; როგორც წინად ვთქვით, ღვინო ხანში შესვლის დაგვარად თან და თან ჰკარგავს სიმწკლარტეს და ბოლოს თითქმის სრულებით განთავისუფლდება. ამისათვის

თუ ეს სიმწკლარტე და ანუ, სწორედ ვთქვათ, ტანინის რაოდენობა ძლიერ გადამეტებული არ არის და ამასთან თვითონ ღვინო შესანახია, მაშინ მას გასწორება არ უნდა. თუ ღვინო ძლიერ მწკლარტეა და ღვინის დაძველებითაც ამ სიმწკლარტის მოშორება მოსალოდნელი არ არის, მაშინ ამ ღვინოს ისეთი ღვინო უნდა მიემატოს, რომელშიაც ცოტაა ეს ტანინი და თუ არც ეს არის მოსახერხებელი, მაშინ წებოთი უნდა დაიწმინდოს; წებო, როგორც ვიცით, ღვინის ტანინს კარგად უერთდება და ეს შეერთება ღვინოს ეცლება, რადგანაც ღვინოში არ იხსნება. 10 გრამი ტანინის გამოსაცლელად საკმარისია 3,25 გრამი ჟელატინი; საზოგადოდ, მიღებულია, რომ ერთ ლიტრ ღვინოში 6 გრამ სიმჟავეზე და 1 გრამ ტანინზე მეტი არ უნდა იყოს.

b) ღვინის სიმჟავის და ტანინის მიმატება. მრავალ შემთხვევაში საჭირო არ არის ღვინოს სიმჟავე და ტანინი მიემატოს: როგორც წინად ნათქვამიდან ვიცით, თუ ღვინოს ცოტაოდენი თავისუფალი სიმჟავე არ აქვს, ის კარგ ბუკეტს ვერ შეიძენს და ხანში შესვლის დროს არ უმჯობესდება. ამას გარდა თავისუფალ სიმჟავეს ის შესანიშნავი თვისებაცა აქვს, რომ წითელი ღვინის ფერს კარგად სწმენდავს და სასიამოვნო შეხედულობას აძლევს. რაც შეეხება ტანინს, ესეც ძალიან მარგებელია ღვინისთვის, თუ, რასაკვირველია, იმის რაოდენობა ერთგვარ ზომას არ გადასცილდა. მანამ ღვინო ჯერ შემთავრებული არ არის, ვიდრე ის ჯერ ახალგაზდაა, ტანინი კარგა ბლომად უნდა ჰქონდეს; ეს ტანინი დროს განმავლობით, ღვინის დაწმენდით და კარგი მოვლით მას გამოეცლება.—მაშასადამე, თუ ღვინოს არა აქვს და ან აკლია ეს მისი შემადგენარი ნივთიერებანი, მაშინ ამ ღვინოს უნდა მიემატოს ან ცოტაოდენი, ძალიან ცოტა თავისუფალი ღვინის სიმჟავე და ან ტანინი და ან ორივე ერთად სხვა-და-სხვა რაოდენობით ღვინის თვისების და ღირსების დაგვარად.

4) **ღვინის საფერავის მეტ-ნაკლებობის შესწორება.** მუქი ფერის წითელ ღვინოს უფრო დიდი გასავალი აქვს და ამი-

სათვის ფასიც კარგი აძევს. საფერავი ღვინოს ღირსებას უმატებს, რადგანაც კარგი საფერავი იმის ნიშანია, რომ ღვინო მწიფე ყურძნიდან არის დაყენებული. ეს არის მიზეზი, რომ ზოგიერთი მემამულენი და განსაკუთრებით სირაჯები თავიანთ ღვინოს ღებავენ სხვა-და-სხვა საფერავებით ანწლიდან დაწყებული ნახშირის ქვიდან ხელოვნურად მომზადებულ საფერავებამდინ. სვინიდისის და გიგიენის წინაშე ყოველი იმ საფერავის მიმატება, რომელიც ყურძნიდან არ არის ამოღებული, ყალბობა არის და ამისთვის შესაწყნარებელიც არ არის, მეტადრე უფრო იმიტომ, რომ სტომაქისათვის მავნებელია. ამისათვის ყველაზე კარგი და კანონიერი საშუალება მუქი წითელი ღვინის დასაყენებლად ის იქნება, რომ ვენახში ისეთი ვაზის ჯიში იყოს გაშენებული, რომლის ყურძენშიაც ბლომად არის ბუნებითი საფერავი და რომელიც კარგად ღებავს ღვინოს. რაც შეეხება ღვინის შეღებვას სხვა საშუალებით, ეს აკრძალული არის და დიდად მავნებელიც. ჩვენში, სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილებში გავრცელებულია ანწლით შეღებვა—ეს ღვინოს მწარე და საზიზღარ გემოს აძლევს და ადამიანს ტანშიაც აფარაღათებს, მაშასადამე, ღვინისთვისაც და იმის მსმელისთვისაც მავნებელია.—აქედან ცხადია, რომ ყოველ ვენახში, რომლის პატრონსაც ჰსურს მუქი ღვინოები იქონიოს, საკმაო საფერავი ვაზი უნდა იყოს გაშენებული. ამგვარი ყურძნის ჭაჭაზე დაყენებული ღვინ შეიძლება იხმარონ იმისთანა ღვინოების შესაფერავად, რომელთაც სასურველი მუქი ფერი არა აქვთ. ამ მხრით ჩვენებური საფერავი დიდად შესანიშნავია და დიდი ღირსების ყურძენს იძლევა, რომელიც მით უფრო არის შესანიშნავი, რომ საფერავის გარდა, ის ძალიან კარგი ღვინის მასალაც არის. შესანიშნავ ამფელოგრაფ Odart'ს მოჰყავს Hortwiss'ის სიტყვები, რომელიც ასეთი ქებით იხსენიებს ჩვენს საფერავს: „tout m'autorise à croire que le Saperavy est, pour la composition du vin rouge, la meilleur roisin qui existe et je puis en bonne concience vous le recommander pour essoi en grand". მაშასადამე, იმ მშვენიერ ქვეყანას,

რომელსაც ესეთი შესანიშნავი ვაზი აქვს გაშენებული, არავითარი საღებავი არ უნდა დასჭირდეს თავის ღვინოებისთვის. სამწუხაროდ, საფერავი უფრო კახეთშია გავრცელებული—ქართლში და იმერეთში ამ ვაზს ღირსეულ ყურადღებას არ აქცევენ და ამისათვის იქაური წითელი ღვინოები ვერ არიან კარგი ფერისანი. ამის გამო მე აქ ვეცდები მკითხველებს ვუჩვენო რამდენიმე საშუალება, რომელთა შემწეობითაც შეიძლება ამ საფერავის მომზადება.

ამისათვის უფრო ხშირად მაცერაციის ღვინოს ამზადებენ, ესე იგი ჭაჭას და ღვინოს დიდ ხანს უშვებენ ერთად სადუღებელში. მაგრამ ამასთან ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარტო მუქად შეღებვა ღვინისა საკმარისი არ არის—უფრო საჭიროა, რომ ეს საფერავი დიდ ხან დარჩეს ღვინოში და ამასთან ღვინოს გემო არ გაუფუჭოს. ეს ადვილი არ არის: დაგვიანებული გადმოღება, დიდი ხნით თხლის ზედმოქმედება ღვინოზე, ხშირი წებოთი დაწმენდა, ჰაერის ზედმოქმედება—ყველა ეს ისეთი გარემოებანი არიან, რომლებიც ღვინოს ფერს აკლებენ, რაც უნდა მშვენიერი ლ კარგი იყოს; არც საწურავში გაწურვა არის უვნებელი ღვინის საფერავისათვის. რა ადვილად ჰკარგავს ღვინო თავის საფერავს, ეს შეიძლება დამტკიცდეს უბრალო მაგალითით: თუ ღვინო დაასხეს თიხის ლამბაქზე, რომელიც დაქაშანურებული არ არის, მაშასადამე, ფოროვანია და ეს ღვინო ჰაერს გაუდგეს, ღვინო ამ გარემოებაში თითქმის მთელ თავის საფერავს დაჰკარგავს. აგრედვე თუ ღვინო დასაწმენდად საწურავ ქაღალდში გაატარეს, ის 60% თავისი საფერავისას დაჰკარგავს (რასაკვირველია, ვიდრე ქაღალდი გაიჟინთება საფერავით). ღვინის შესანახავი ჭურჭელიც მოქმედებს ღვინის ფერზე; მისი ფორებიც ართმევენ ღვინოს იმის საფერავს და ამ შემთხვევაში ჩვენებური ქვევრი უფრო ძალიან მოქმედებს, რადგანაც მეტად ფოროვანია; რაც შეეხება ბოჩკებს, რაოდენადაც ბოჩკის ფიცარი რბილი და ფოროვანია, იმდენად უფრო მავნებელი იქნება საფერავისთვის. თუ ბოჩკა ნახმარია და მისი გვერდები გაჟენთილია ღვინის მარილით და საფერავით, მაშინ ღვინის საფერავი ალარ

შემცირდება.—ამას გარდა, თუ ბოჩკის ყავრები გაფუჭებულია, დახრხნილი და დაფულოროებული, მაშინაც ცუდი გავლენა ექნება ღვინის საფერავზე, იმის მიუხედველად, ნახმარია თუ არა... ამის დასამტკიცებლად საკმარისია პატარა ფუტურო ხის ნატეხს დაასხან ცოტაოდენი წითელი ღვინო; ამ შემთხვევაში ცოტა ხანში ღვინოს სრულებით შეუსუსტდება ფერი... როგორც ვხედავთ, ღვინის ფერი მარტო ყურძნის საფერავზე არ არის დამოკიდებული—ამაზე დიდი გავლენა აქვთ იმ გარემოებათაც, რომელთა შორისაც ღვინო არის შენახული. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ გადაღების დროს ღვინოს ჰაერი არ მოხვდეს და ამასთან ისიც საჭიროა, რომ ღვინის გადაღება არ დაგვიანდეს, რადგანაც როგორც ჭაჭა, ისე თხლე წითელ ღვინოს ფერს ძალიან უმცირებს.

რადგანაც, როგორც ვთქვით, მუქ წითელ ღვინოს კარგი გასავალი აქვს და რადგანაც ამასთანავე ძნელია ყოველ შემთხვევაში ამნაირი მუქი ღვინის დაყენება, ამისათვის ღვინის დამყენებლებმა გამოიგონეს სხვა-და-სხვა საშუალებანი, რომ ყურძენს და ან ჭაჭასა და თხლეს ამოაცალონ ბევრი საფერავი და მხოლოდ ამ გვარი საფერავით შეავსონ ნაკლი წითელი ღვინის ფერისა.—ამ გვარი ბუნებითი საფერავით კი შესაძლებელია ღვინის შეღებვა.

იტალიაში კანონით აკრძალულია საფერავით ღვინის შეღებვა და იქ ამგვარად იქცევიან ამ საფერავის მოსამზადებლად:

რადგანაც ზოგიერთ ყურძენში იმდენი ბუნებითი საფერავია, რომ ღვინის დულილის შემდეგ ჭაჭაში ძალიან ბევრი საფერავი რჩება, ამისათვის ამ ჭაჭიდან ამზადებენ საფერავს: ჭაჭას ჯერ კლერტსა და კურკებს გამოაცლიან და გასუფთავებულ ჩენჩოს დაასხამენ ღვინის სიმჟავით შეზავებულ წყალს, მიუმატებენ შესაფერ ალკოგოლს და ჩაჭყრიან რამე ჭურჭელში. აი რაოდენობა ნივთიერებათა:

საფერავი ყურძნის ჩენჩო	— 20	კილო	
წყალი	15	—	ან 20 კილო 80-° ალკოგ.
ალკოგოლი	5	—	
ღვინის სიმჟავე	— 0,250	გრამი	

სამი დღის შემდეგ ამ ჩენჩოს გამოჰქაჯავენ; ნაწური მშვენიერი მუქი წითელი ფერით იქნება შეღებილი. გამოქაჯულ ჭაჭას მეორე ჭურჭელში ჩაჰყრიან და 20 კილოზე მიუმატებენ 4 კილო წყალს, 20 კილო ალკოგოლს და 250 გრამ. სიმჟავეს. ოთხი ხუთი დღის შემდეგ ამასაც გასწურავენ და ორივე ნაწურს ერთად აურევენ. ეს საფერავი ისეთი მუქი იქნება, რომ 4% ან 5% სრულიად საკმარისი იქნება ყოველი ღვინის შესაფერად.

დ-რი პრიუნერის (Prunaire) რჩევისამებრ, გადარჩეულ ჭაჭას ჩაჰყრიან ბოჩკაში და გაავსებენ 85% ალკოგოლით, ბოჩკას კარგა დაუცობენ და შვიდი-რვა თვით შეინახავენ. ამას შემდეგ ალკოგოლს გადმოიღებენ და ჭაჭას დაქანჩავენ. ახლა ამ ალკოგოლში ბევრი ტანინი და საფერავი არის გახსნილი და სუსტი ფერის ღვინოების შესავსებად ძლიერ კარგია. ამავე სწავლულის რჩევით, საფერავის მომზადება სხვანაირადაც შეიძლება: გადარჩეულ ჩენჩოს ჩაჰყრიან ქკაბში, ზედ დაასხამენ ღვინოს და რამდენიმე საათით აადუღებენ. გაცივების შემდეგ ღვინოს გადმოიღებენ და ჭაჭასაც დაქანჩავენ. ეს ღვინო ძალიან იქნება შეღებილი და იმის მიმატებით შეიძლება სხვა ღვინოების შეღებვაც, თუ ღვინო მალე დასახარჯი არის, და თუ საფერავი შესანახია, მაშინ ამ ღვინოს ბლომად ალკოგოლი უნდა მიემატოს.

ერთი იტალიელი სწავლული ოტავი (Ottavi) საფერავის მოსამზადებლად ამ დარიგებას იძლევა: საფერავ ყურძენს კარგად დასჭყლეტავენ და დასწურავენ; გამოწურულ ტკბილს, რომელიც ჩვეულებრივ კარგად არის შეფერილი, ცალკე შეინახავენ და ჭაჭას კი ჩაჰყრიან რამე ჭურჭელში, ზედ დაასხამენ იმდენ თბილ წყალს (22° 25°c), რამდენი ტკბილიც იყო გამოწურული. ამ წყალში გახსნილი უნდა იყოს ღვინის სიმჟავე, ყოველ ას თუნგზე 4 გირვანქა. თუმცა წყალში შაქარი არ არის მიმატებული, მაგრამ ის მაინც მალე ადუღდება, რადგანაც ჭაჭაში იყო დარჩენილი ცოტაოდენი გამოწურვის დროს. დუღილი სამი ოთხი დღის განმავლობაში დანელდება. ამას შემდეგ მუქად შეფერილ წყალ-ღვინოს გადმოიღებენ და

მიუმატებენ გამოწურულ და დადუღებულ ტკბილს. ჭაჭას გამოქანჩავენ და ნაწურსაც იქვე მიუმატებენ. გამოქანჩულ ჭაჭას ჩაჰყრიან უფრო პატარა ჭურჭელში და ზედ დაასხამენ თბილ წყალს ისე, რომ ჭურჭელი გაივსოს $^4/_5$-დინ. და ყოველ ას თუნგზე მიუმატებენ 8 გირვანქა ღვინის სიმჟავეს და 40 გირვანქა შაქარს; კარგათ აურევენ. ესეც მალე ადუღდება და რამდენსამე დღეში წყალ-ღვინო შეიფერება მუქად. ამასაც წინა ღვინოს მიუმატებენ. ჭაჭას კიდევ ჩასდებენ უფრო პატარა ჭურჭელში, თბილ წყალს მიუმატებენ და ამასთან ერთ კილო სიმჟავეს და 18 გირვანქა შაქარს. ღუღილის შემდეგ ამ წყალ-ღვინოსაც პირველს მიუმატებენ. თუმცა ჭაჭაში კიდევ არის საფერავი და იმის ამოღებაც შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია. მომზადებული საფერავი ღვინო ისეთი მუქია, რომ 5% ან 10% სრულიად საკმარისი იქნება ყოველგვარი ფერით სუსტი ღვინის შესაღებად.—ამგვარად მომზადებული საფერავი მალე უნდა მიემატოს შესაღებავ ღვინოს, რადგანაც ცალკე დიდ ხანს ვერ შეინახება ალკოგოლის რაოდენობის სიმცირის გამო. თუ ამ საფერავის შენახვა უნდათ, მაშინ ალკოგოლი ბლომად უნდა მიემატოს.

წითელი ღვინის თხლიდანაც შეიძლება საფერავის მომზადება და ამ შემთხვევაში მისამატებელი ალკოგოლის და წყლის რაოდენობა დამოკიდებულია თვითონ თხლის მდგომარეობაზე. თუ თხლე გაწურულია და დაქანჩული, მაშინ 20 კილო თხლეზე 5 ლიტრ წყალს და 15 ლიტრ ალკოგოლს მიუმატებენ და ამასთან 250 ლიტრ სიმჟაესაც. თუ თხლე მარტო გაწურულია და დაქანჩული არ არის, მაშინ წყლის მიმატება საჭირო არ არის; სიმჟავეს კი იმოდენსავე მიუმატებენ, რამდენსაც პირველ შემთხვევაში და ალკოგოლს კი 10-ან 12 ლიტრამდე.

თუმცა, როგორც ვთქვით, შესაძლებელია ამგვარად მომზადებული ყურძნის საფერავით სუსტ-ფერიანი წითელი ღვინის შეღებვა, მაგრამ ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ წითელი ღვინის ფერის შევსება შეიძლება. რაც თეთრ ღვინოს შეეხება, იმის შეღებვა წითლად სარჩევი არ

არის, რადგანაც, ერთის მხრით, ეს სიყალბე უსვინიდისობა იქ-ნება და, მეორეს მხრით, თეთრი ღვინო არ შეითვისებს ამ საფერავს და, მაშასადამე, ტყუილ-უბრალო შრომა იქნება და ამასთან ღვინოც წახდება. თეთრი და შავი ყურძნის არევა შესაძლებელია დუღილის წინად, მაგრამ თუ ღვინო თეთრად არის დადუღებული, იმის წითლად შეღებვა სარჩევი არ არის. ღვინის საფერავი, როგორც ვიცით, სამი ფერისაგან (პიგმენ-ტისგან) შესდგება: იისფერი, წითელი და ყვითელი. ეს სამივე ფერი ღვინოში და ალკოგელთან წყალში კარგად იხსნება, მაგრამ, როგორც ვიცით, იის ფერი ძალიან მალე იცვლის თავისს თვისებას, მალე ჟანგდება, ეცლება ღვინოს და თხლე-სთან ილექება. ამ ლექში გარეული საფერავი ალკოგოლში და სიმჟავეში ისევ იხსნება კარგ წითელ ფერად, მაგრამ თუ ამ საფერავით შევღებავთ ღვინოს, ეს ღვინო რამდენიმე თვის განმავლობაში აიმღვრევა და ფერი გამოეცვლება. თუ ამღვ-რევის დროს მის დასაწმენდად წებო ვიხმარეთ, ღვინო მაშინ სრულებით დაჰკარგავს წითელ ფერს და ისევ თეთრი ღვინო დარჩება.

საფერავის შემცირება. მუქ-ფერიანი წითელი ღვინო, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ თუ ღვინო შავად არის შეღებილი, მაშინ ის შესახედავად სასიამოვნო არ არის, ფერი გამჭვირვალი არ აქვს და ამისათვის სასმელად კარგი არ არის. ამგვარ ღვინოს ფერი უნდა შეუმცირდეს, ერთი ნაწილი სა-ფერავისა უნდა გამოეცალოს და ეს ხომ, როგორც ვი-ცით, ძნელი არ არის. წებოთი დაწმენდის დროს წი-თელ ღვინოს ფერი უსუსტდება და, მაშასადამე, ამ საშუა-ლებით სარგებლობენ საფერავის შესამცირებლად.—თუ ამ შემთხვევაში ღვინოს ტანინი ცოტა აქვს, მაშინ წებოს მიმა-ტების წინად ღვინოს ტანინი უნდა მიემატოს. ამას გარდა ხშირად რამე შეცდომის გამო თეთრი ღვინო შეღებილი დგე-ბა, ან ჭურჭლის ზედმოქმედებით და ან ხანში შესვლით; ამ შემთხვევაში ხანდისხან თეთრი ღვინო ფითქმის შავად იღებება.

ფერის გამოსაცვლელად ხშირად გოგირდის ბოლსა ხმარობენ. როგორც ვიცით, გოგირდის ბოლი გოგირდეული სიმჟავე (SO^2) არის და ამ სიმჟავეს დიდი ფერის წამართმევი ძალა აქვს. თუ საჭიროა, რომ გამუქებული ან გაშავებული თეთრი ღვინო ისევ გათეთრდეს, მაშინ ამ ღვინის პირას დასწვავენ გოგირდის პატარა ნატეხს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ჭურჭელი მთლად არ უნდა იყოს ღვინით გავსებული, ცოტაოდენი ცარიელი ადგილი უნდა იყოს, სადაც გოგირდეული სიმჟავე უნდა მოთავსდეს. გოგირდის დაწვის შემდეგ ბოჩკას პირს კარგად დაუცობენ და კარგად შეანჯღრევენ. ამით გოგირდეული სიმჟავე გაიხსნება ღვინოში და ფერს წაართმევს. საჭიროა რამდენჯელმე გამეორება ამ ოპერაციისა. ხშირად საკმარისი არ არის ეს საშუალება და მაშინ ან ნახშირის ფქვილს ხმარობენ და ან ტანინს და წებოს, როგორც წითელი ღვინისთვის ფერის გამოსაცლელად.

ნახშირი, რასაკვირველია, კარგად გამომწვარი უნდა იყოს; თონის ნახშირი სჯობია ყველას. ნახშირი კარგად უნდა იყოს დანაყული და გაცრილი. ამ ფქვილს მიუმატებენ ღვინოს და ხშირ-ხშირად დრო-გამოშვებით შეანჯღრევენ. რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა ღვინო დაჰკარგავს ფერს, იმას შეასვენებენ და დაწმენდის შემდეგ სხვა ჭურჭელში გადაიღებენ. თუმცა ეს საშუალება კარგად ართმევს ფერსა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფერთან ბუკეტსა და სუნნელოვანებასაც უსუსტებს. ამისათვის ეს საშუალება გავრცელებული არ არის. ისევ ისა სჯობია, რომ შეფერიანებულ თეთრ ღვინოს ტანინი მიემატოს და არევის შემდეგ თევზის წებოც. ამით ღვინო კარგად დაიწმინდება და ფერსაც დაჰკარგავს.

თუ თეთრ ღვინოს მხოლოდ ცოტაოდენი სიყვითლე აქვს და უნდათ ამ სიყვითლის გამოცლა, ეს მზის სხივების შემწეობით ადვილად შეიძლება. ამისათვის საკმარისია ღვინით სავსე ბოთლები ცოტა ხნით მზეზე გამოსდგან, ის მაშინვე დაჰკარგავს ფერს, თუმცა კი ამას დიდი სიფრთხილე უნდა, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელია ღვინო სრულიად გაფუჭდეს.

ღვინოების ერთმანეთში შერევა ანუ კუპაჟი (Coupage). ღვინის სხვა-და-სხვა ნაკლულევანებათა შესასწორებლად ჩვენ წინად ვუჩვენეთ სხვა-და-სხვა საშუალება: როგორც ვნახეთ, ხან ალკოგოლი უნდა მიემატოს, ხან ტანინი და სიმჟავე, ხან საფერავი, და ხან იმითი შემცირებაა საჭირო. ამგვარად ღვინოების გასწორება ყოველთვის ადვილი მოსახერხებელი არ არის და ზოგიერთ შემთხვევაში გაკეთების მაგივრად გაფუჭებაც შეიძლება.— ამისათვის დაწინაურებულ ქვეყნებში როგორც დიდი მამულის პატრონები, ისე ვაჭრები ღვინის რამე ნაკლულევანებას ღვინოთივე ასწორებენ, მათი ერთმანეთში შერევით. ამ საშუალებით უფრო კარგია ღვინის ნაკლულევანების შესწორება, მით უფრო, რომ ამ საშუალებით ხშირად შეიძლება ორი ცუდი ღვინის ერთმანეთში შერევით ერთი კარგი ღვინო დადგეს. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მარანში გვაქვს ორი ღვინო, რომელთა შორისაც ერთი სუსტ-ალკოგოლიანია, მჟავე არის და ფერიც სუსტი აქვს; მეორე ღვინო კი ბევრ-ალკოგოლიანია, სიმჟავე ძალიან ცოტა აქვს, ფერით და ტანინით კი დატვირთულია. ეს ორი ხარისხის ღვინო ცალკ-ცალკე არც კარგი სასმელი იქნება და არც ადვილი შესანახავი, მაგრამ თუ ამ ორ ღვინოს ერთი-ერთმანეთში შევურევთ, გამოანგარიშებული და გამოსინჯული რაოდენობით, მაშინ ისეთი ღვინო დადგება, რომელიც სასმელადაც კარგი იქნება და შესანახავადაც. მაშ მეღვინეობაში კუპაჟი ის საშუალება არის, რომლის შემწეობითაც რამდენსამე სხვა-და-სხვა ხასიათის ღვინოს ერთმანეთში შეურევენ, რომ ყველა მათი ნაკლულევანება გასწორდეს და ამასთან ერთგვარი და ერთი ხასიათის ღვინო გამოვიდეს. ღვინის ვაჭრობაში კუპაჟს სხვა მნიშვნელობაცა აქვს: იმის შემწეობით შეიძლება ყოველთვის ერთისა და იმავე თვისების და ხარისხის ღვინო იქონიონ თავიანთ მუშტრებისათვის, რასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს.—ამასთან ესეც უნდა ვიქნიოთ მხედველობაში, რომ კუპაჟი განსაკუთრებითს ცოდნას და გამოცდილებას თხოულობს; ღვინოების შერევას დიდი სიფრთხილე უნდა; ღვინის დამყენებელი ამ საქმეში კარგად და-

ხელოვნებული უნდა იყოს, უამისოდ გაკეთების მაგივრად, შეიძლება ღვინო წაახდინოს.

დახელოვნებული და ფრთხილი კუპაჟით ყოველი დაბალი ღვინის გასწორება და გაკეთება შეიძლება: თუ ღვინოს ფერი აკლია—ფერის მიცემა და თუ ალკოგოლი აკლია—იმის მიმატებაც. მაშასადამე, კუპაჟი მრავალ შემთხვევაში მიუცილებლად საჭიროა და დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან როგორც ღვინის დამყენებლისათვის, ისე ვაჭრებისა და მუშტრებისათვის. კარგად და გონივრულად შედგენილი ნარევი უფრო კარგია, ვიდრე ცალ-ცალკე ის ღვინოები, რომლებიც შერეულნი არიან. მხოლოდ ეს ოპერაცია ძნელი და ნაზია; ღვინოების შემრევმა კარგად უნდა იცოდეს მათი გემოთი დაფასება და დახელოვნებული უნდა იყოს ამ საქმეში. რაღა ბქმა უნდა, რომ გამოჩენილი და კარგი ღვინოებისთვის კუპაჟი საჭირო არ არის, კუპაჟი მხოლოდ ჩვეულებრივ სახარჯო ღვინოებისთვის არის საჭირო.

ღვინოების ამორჩევა. ყველა ღვინის მსმელს და მყიდველს, რასაკვირველია, ურჩევნია ყოველთვის ერთგვარი ღვინო იქონიოს, ერთის თვისებისა და ხასიათისა. ამისათვას საჭიროა კარგად და გარკვევით ვიცოდეთ—რომელი რაოდენობით უნდა შერეულ იქმნენ ერთმანეთში სხვა-და-სხვა ღვინოები, რა რიგად უნდა შეკავშირდნენ ისინი ერთმანეთში. ნარევ ანუ კუპაჟის ღვინოს ყოველთვის ფერიც ერთი უნდა ჰქონდეს, ალკოგოლის რაოდენობაც და გემოც, ყოველთვის ცხადი და სასიამოვნო.

კარგი კუპაჟის მოსახდენად უმთავრესი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ ასარევად ავადმყოფი, სნეული ღვინო არ იხმარონ. ვინც კუპაჟს შეუდგება, იმას მარანში სხვა-და-სხვა ღვინო უნდა ჰქონდეს და განსაკუთრებით: მუქი წითელი ღვინო, მხურვალე ღვინო, სუსტი ცოტა-ალკოგოლიანი ღვინო, გრილი ღვინო და ხანდისხან წყალ-ღვინოც. **მხურვალე** ღვინოს იმისთანა ღვინოს ეძახიან, რომელსაც ბევრი ალკოგოლი აქვს, როგორც ქვემო ქვეყნების ღვინო; **გრილი** ღვინო ის ღვინოა, რომელსაც ცოტა ალკოგოლი აქვს და სიმჟავე კი ბევრი და რომელიც დალევის დროს პირს აგრილებს, რო-

გორც მკვახე და მჟავე ხილი (იმერული და ზემო ქართლის ღვინო). ვისაც ჰსურს, რომ კუპაჟი კარგად მოახდინოს, იმან ყველაზე წინად კარგად უნდა შეიტყოს შესარევი ღვინოების ვითარება და ღირსება, მათი ექსტრაქტის რაოდენობა, აგრედვე სიმჟავისა და ალკოგოლისა და ფერის ძალა. ეს ცნობანი მიუ-ცილებლად საჭირონი არიან და უეჭველად მხედველობაში უნდა იქონიონ, თუ ჰსურთ სხვა-და-სხვა ღვინოები შეაკავშირონ ერთ-მანეთში იმ რაოდენობით და ისე, რომ მათგან წარმოსდგეს **ერთი**, ყველაზე კარგი თვისებისა და ღირსებისა.

საზოგადოდ, როცა ცნობაში კარგად არის მოყვანილი შესარევი ღვინოების ალკოგოლის, ექსტრატის და სიმჟავის რაოდენობა, მაშინ ძნელი აღარ არის გამოანგარიშება — რა და რა ღვინო რამდენი ნაწილით უნდა შევიდეს ნარევში. კუპაჟის დროს ხან გამოცდით მოქმედებენ და ხან კი პირდაპირ გა-მოანგარიშებით. საკუპაჟოდ საჭიროა ერთგვარი ჭურჭელი, რო-მელიც ნიშნებით განაწილებული უნდა იყოს მრავალ ერთი ტანის საწყაოდ. ამ შემთხვევაში ხმარობენ ლიტრს, რომელიც კუბიკურ სანტიმეტრებად არის გაყოფილი და რომელიც ვიწრო ტ მაღალია, რომ პატარა საწყაოს აღებაც შეიძ-ლებოდეს. სურათიდან ცხადად სჩანს ამ ჭურჭლის მოყვანილობა. ამ ჭი-ქაში ჯერ ჩაასხამენ რამდენსამე კ. ს. რომელიმე ღვინისას და დავთარში და-ნიშნავენ იმის საწყაოს; შემდეგ მიუ-მატებენ სხვა ღვინოს და ამასაც და-ნიშნავენ და ასე ბოლომდინ; კარ-გად შეანჯღრევენ, რომ კარგად აი-რიოს და ნარევს გემოთი გასინჯა-ვენ. თუ გემო კარგი აქვს, მაშინ იმ რაოდენობით დაკმაყოფილდებიან, რომელიც დავთარშია ჩაწერილი, და თუ არა, მაშინ კი-დევ მიუმატებენ იმისთანა ღვინოს, რომლის თვისებაც აკლია



სურათი 32.

ამ ნარევს და ამის რაოდენობასაც ჩასწერენ დავთარში. ერთი სიტყვით, იქამდინ გაიმეორებენ სხვა-და-სხვა ღვინოების მიმატებას და მიმატებულის დავთარში დანიშვნას, ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ ახლა კი შეიძლება ნარევის დამზადება.

როცა შესაზავებელი რაოდენობა კუპაჟის შემადგენელ წევრებთა ნაპოვნია, მაშინ, რასაკვირველია, ძნელი აღარ იქნება გამოანგარიშება კუპაჟის რომელიმე რაოდენობისა. ავიღოთ მაგალითი: წარმოვიდგინოთ, რომ ჭიქაში ბევრი მიმატების შემდეგ 800 კ. ს. ღვინოა და ეს ნარევი ოთხი ღვინიდან არის შედგენილი ამ რაოდენობით:

კახური წითელი მუქი ფერიანი ღვინო .	250	კ. ს.
იმერული სუსტი ფერიანი და მჟავე . .	200	„ „
ზემოქართლის ღვინო	250	„ „
და თეთრი ერევნული ღვინო	100	„ „
	800	კ. ს.

ახლა თუ გვინდა ამნაირი ნარევი ღვინით ავავსოთ რამე ჭურჭელი, რომელშიაც ასი გეკტოლიტრი ჩადის, მაშინ ჩვენ ასე უნდა გამოვიანგარიშოთ:

თუ 800 კ. ს. ღვინოში ერევნული ღვინის 100 კ. სანტიმეტრი არის, მაშ ას გეკტოლიტრში ანუ 100,000 ლიტრში იქნება X; აქედან $X = \frac{100 \times 100,000}{800} = 12,500$ ლიტრი ანუ $12,_5$ გეკტოლიტრი.

ერევნული . .	$12,_5$	გეკტოლიტრი
ზემო ქართლისა	$31,_{25}$	—
იმერული .	25	—
კახური . .	$31,_{25}$	—
	100	გეკტოლიტრი.

ღვინოების შეზავების დროს, რასაკვირველია, ყურადღება უნდა მიეპყრას შესარევი ღვინოების თვისებას და შედგენილობას და განსაკუთრებით ალკოგოლის, ექსტრაქტის და სიმჟავის რაოდენობას და ფერს. მაგალითებრ, წარმოვიდგინოთ,

რომ ჩვენ გვაქვს ორი ღვინო, ერთს 8^0 ალკოგოლი აქვს და მეორეს 14^0 და გვინდა შევადგინოთ ისეთი ღვინო, რომელსაც 10^0 ალკოგოლი უნდა ჰქონდეს. რა რაოდენობისა უნდა იყოს თითო მათგანი? ეს გამოანგარიშება ძალიან ადვილია პრაქტიკულად, თუ ამ ციფირებს დიაგონალად დავწერთ, ჯერ თავში დავწეროთ ერთ მხარეს 8 და იმის ქვეშ დავწეროთ 14—ეს ის ალკოგოლის რაოდენობა არის, რომელიც ღვინოებს აქვთ; მასუკან დავწეროთ 10^0, ის ალკოგოლის სიმაგრე რომელიც ღვინოს უნდა ჰქონდეს და შემდეგ დიაგონალად დავწეროთ ის ციფირები, რომლებითაც 10 განირჩევა წინა ციფირებისაგან. მაშ 14—10=4; ეს დავსვათ 10 თავზე, 8 პირდაპირ და 8—10=2. ეს დავსვათ ქვეით.—მაშ გამოვა, რომ თუ 14^0 ღვინის 2 ლიტრს ავიღებთ, მაშინ 8^0 ოთხი ლიტრი უნდა ავიღოთ და მათი შერევით 10^0 ღვინო გამოვა. აი გამოანგარიშება:

8 4

10

14 2

2	ლიტრი	14^0	ღვინოში	28^0	იქნება.
4	—	8^0	—	32^0	—
		სულ	. .	60^0	

და რადგანაც ექვს ლიტრ ღვინოში 60^0 არის, მაშ ერთში იქნება $\frac{60}{6}=10^0$.

თუ ორი ღვინის მაგივრად ოთხი ან ხუთი ღვინო არის შესარევი, მაშინაც გამოანგარიშება ისეეე მოხდება, მხოლოდ რამდენჯელმე (სამჯერ თუ ოთხჯერ) დასჭირდება გამოანგარიშება წყვილ-წყვილ ღვინოებზე, რომელთაგანაც ერთი სუსტი უნდა იყოს და მეორე მაგარი. ავიღოთ ხუთი ღვინო, რომელთა ალკოგოლის რაოდენობა სხვა-და-სხვა არის—4^0, 6^0, 8^0, 11^0 და 12^0, და გვინდა ერთმანეთში ისე შევურიოთ, რომ ნარევს 10^0 ჰქონდეს:

I		II		III	
4	2	6	1	8	2
10		10		10	
12	6	11	4	12	2

მაშასადამე, ამ ღვინოებიდან უნდა ავიღოთ	8	ლიტ.	12^0	$= 96^0$
	1	—	6^0	$= 6^0$
	4	—	11^0	$= 44^0$
	2	—	8^0	$= 16^0$
	2	—	4^0	$= 8^0$
	17	ლიტრი		170^0

როგორც ვხედავთ, 17 ლიტრ ღვინოში არის 170^0, მაშ ერთ ლიტრში 10^0 იქნება. თუ ალკოგოლის მაგვარად გამოსაანგარიშებელი იქნება სიმჟავის რაოდენობა, ან ექსტრაქტისა და ან ფერისა, მაშინაც გამოანგარიშება იმგვარადვე უნდა მოხდეს, როგორც ალკოგოლის რაოდენობა გამოვიანგარიშეთ.

როცა შესარევი ღვინოები ამორჩეულია, მათი ურთიერთი რაოდენობა გაგებული და გამოანგარიშებული, მაშინ, რასაკვირველია, ყველა ღვინოს ცალკე ასწყავენ და აწყულებს შემდეგ ჩაასხამენ ერთ ჭურჭელში. რაოდენადაც ბევრია რაოდენობით შერეული ღვინო, იმდენად უფრო კარგად შეკავშირდებიან ერთმანეთში. შერეული ღვინოები კარგად უნდა შეინჯღრიოს, აირიოს, თითქმის შეიდღვიბოს, რომ მათგან ერთგვარი ღვინო დადგეს. უამისოდ ღვინოები გაცალკევებულნი დარჩებიან: ბოჩკის პირას მოგროვდება ბევრ-ალკოგოლიანი ღვინო, ძირში კი უფრო მჟირხნე და მუქ-ფერიანი. კარგად არევის შემდეგ ნარევმა ღვინომ უნდა დაისვენოს. ამ შესვენების დროს ღვინოში სხვა-და-სხვა ცვლილება მოხდება, რომელთა შემწეობითაც ეს სხვა-და-სხვა ღვინოები ერთად შეკავშირდებიან, ასე ვთქვათ, შედუღდებიან და ერთგვარი ღვინო დადგება. ამ შე-

კავშირების დროს მოსალოდნელია ღვინის ამღვრევა. ამისათვის საჭიროა ღვინომ კარგა ხანს შეისვენოს, თითქმის ორი-სამი კვირა. ამ ხანში ის კარგად დაიწმინდება და დაწმენდის შემდეგ სხვა ჭურჭელში უნდა გადაიღონ. თუ ღვინო გამჭვირვალი არ არის, მაშინ წებოთი უნდა დაიწმინდოს. ამგვარად მომზადებული ნარევი ღვინო ახლა მის შემადგენელ ღვინოებზე უმჯობესი იქნება.—ამას გამეორება აღარ უნდა, რომ შესარევი ღვინოები უეჭველად საღი უნდა იყოს.

ბ) ღვინის შესანახავი და გასაუმჯობესებელი საზოგადო საშუალებანი

წინად ჩვენ მხოლოდ ის ნაკლულევანებანი და მათი შესწორება გავსინჯეთ, რომლებიც ღვინის შემადგენარ ნივთიერებათა მეტ-ნაკლებობას შეეხებოდა. ახლა აქ გავსინჯავთ იმისთანა საშუალებათა, რომლებიც ღვინოს კარგად და უვნებლად შეინახავენ, იმის მიუხედველად ღვინოს ნაკლულევანება ექნება რამე თუ არა. აქვე ვუჩვენებთ იმ საშუალებათაც, რომლებსაც საზოგადოდ ღვინის გასაუმჯობესებლად და განსაკარგებლად ხმარობენ. თუმცა ჩვენ წინად გვქონდა ლაპარაკი ღვინის მოვლაზე და შეკეთებაზე, მაგრამ იქ ჩვენ მხოლოდ იმისთანა ღვინოზე ვლაპარაკობდით, რომელიც ჯერ მხოლოდ შემოსვლის, მომწიფების ხანაშია. ახლა კი იმისთანა ღვინოებზე გვექნება ლაპარაკი, რომლებიც უკვე შემოსულნი და მომწიფებულნი არიან.

1) ალკოგოლის მიმატება (Vinage). ზოგიერთი ღვინოები და განსაკუთრებით თბილი ქვეყნების კარგად ვერ ინახებიან და შორს გადატანას ვერ იტანენ. ეს ღვინოები ზოგი (კოტა-ალკოგოლიანია 8° ან 10°-ნი და ზოგიც ბევრ-ალკოგოლიანი 14°—15°. როგორც ჩვენ წინად ნათქვამიდან ვიცით, თბილი ქვეყნების ღვინოებს ხშირად სიმჟავე და ტანინი აკლიათ და ხან ალკოგოლიც. რადგანაც თბილ ქვეყ-

ნებში დუღილი ხშირად მაღალ ტემპერატურაზე ხდება, ამისათვის ბევრი ალკოგოლი არა ჩნდება ღვინოში, შაქარი გაუნაწილებელი რჩება. მაშასადამე, თბილი ქვეყნების ღვინოებს ხშირად აკლიათ ის სამი უმთავრესი ელემენტები, რომლებზედაც დამოკიდებულია ღვინის შენახვა. ამას გარდა ხშირად ისიც მოხდება, რომ ამავე ღვინოებს აკლიათ ყველა ის პიროებებიც, რომელებიც ღვინის შენახვას ხელს უწყობენ, როგორც მაგალითად ერთგვარი ცივი ტემპერატურა მარანში და სარდაფში და სხვ. არიან იმისთანა ღვინოებიც, რომელთაც, თუმცა ბევრი ალკოგოლი აქვთ, 14°—15°, მაგრამ ვერც იმათ ინახავენ კარგად სხვა-და-სხვა მიზეზის გამო. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამისთანა ღვინოებში შაქარი რჩება გაუნაწილებელი, ღვინო ტკბილია. თუ ამისთანა ღვინოებს ცოტაოდენი ალკოგოლი დაუშრათ, ან ტემპერატურამ აიწია და ღვინო გათბა, ან ჰაერის ზედ-დაწოლა გამოიცვალა, შემცირდა, — მაშინ ღვინო ხელ-მეორედ დუღილში შევა, აიმღვრევა და დაჰკარგავს თავის სიმჭვირვალეს. ერთი სიტყვით, ეს ღვინოც ძნელი შესანახავი არის, თუმცა კი ალკოგოლი ბლომადა აქვს. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ღვინის დამყენებელი? თუ ღვინო ცოტა-ალკოგოლიანია და სიმჟავეც და ტანინიც აკლია, მაშინ ან მარტო სიმჟავე და ტანინი უნდა მიემატოს და ან ალკოგოლი. თუ ღვინო მაგარია, ბევრ-ალკოგოლიანი და შაქარი აქვს, ტკბილია, მაშინ ამასაც იმდენი ალკოგოლი უნდა მიემატოს, რომ არავითარ გარემოებას, არავითარი ტემპერატურის და ზედ-დაწოლის ცვლილებას აღარ შეეძლოს გამოიწვიოს ღვინოში დარჩენილი შაქრის განაწილება, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ალკოგოლს ის თვისება აქვს, რომ გააბრუვებს და გააჩუმებს ყოველ დუღილის, ან ავადმყოფობის ფერმენტს, ნებას აღარ მისცემს მოქმედობისას და ამისათვის ღვინო შეუცვლელად და შეურხეველად შეინახება, ესე იგი დამუნჯდება და დადუმდება.—მაშასადამე, როგორც მჟავე, ისე ტკბილი ღვინო ადვილად შეინახება, თუ ამ ღვინოს ჩვენ მივუმატებთ საჭირო ალკოგოლს.

ამასთან ვსეც არ უნდა დავივიწყეოთ, რომ ალკოგოლის მიმატება, რაც უნდა ცოტა იყოს მიმატებული, ცოტად თუ ბევრად ღვინოს აცლის თავის ბუნებითს თვისებას და ამისათვის ყოველმა სვინიდისიანმა ღვინის დამყენებელმა უნდა აღიაროს მყიდველის წინაშე არა თუ მარტო ის, რომ ღვინოს ალკოგოლი აქვს მიმატებული, არამედ თვითონ მიმატებული ალკოგოლის რაოდენობაც. ამისათვის ჩვენ არავის არ ვურჩევთ ალკოგოლის მიმატებას; უმჯობესია, რომ კუპაჟის შემწეობით გავაკეთოთ ამისთანა ღვინოები: თუ ღვინოს სიმჟავე და ტანინი აკლია, მაშინ იმისთანა ღვინოს მიუმატებენ, რომელშიაც ბლომად არიან ეს ნივთიერებანი; თუ ღვინოში შაქარი დარჩა, მაშინ ძალიან სუსტ-ალკოგოლიან ღვინოს მიუმატებენ და მაშინ მთელი შაქარი განაწილდება და ბოლოს კარგად შესანახავი ღვინო დადგება. თუ მაინც და მაინც ვისმე სურს ღვინისთვის ალკოგოლის მიმატება, მაშინ უეჭველად საჭიროა, რომ ეს მისამატებელი ალკოგოლი ღვინის წმინდა ალკოგოლი იყოს და ღვინოს მიემატოს მაშინ, როცა ის ჯერ შესრულებული არ არის, მაშასადამე, ჩუმი დულილის გათავების შემდეგ, და კარგად აირიოს. დაყენებული და დამთავრებული ღვინისთვის მიმატებული ალკოგოლი დიდ ხანს ინახავს თავის საკუთარს გემოს და ამისათვის თვითონ ღვინოსაც გემოს უფუჭებს. ყველა ის სწავლულები და ყველა ის მეღვინეები, რომლებიც ალკოგოლის მიმატებას ურჩევენ და სასარგებლოდაც მიაჩნიათ, იმ აზრისა არიან, რომ **ბევრი ალკოგოლის მიმატება არ შეიძლება.** თუ ალკოგოლის ზომა გადაჭარბებულია, მაშინ გაკეთების მაგივრად ღვინო წახდება, არყის გემო მიეცემა და სასმელად საზიზღარი იქნება. საზოგადოდ მიღებულია, რომ 2^0 ან $2^0,_5$ ალკოგოლი სრულიად საკმარისი იქნება ღვინის თვისების გასაუმჯობესებლად და შესანახავად.

ალკოგოლის მიმატება, რასაკვირველია, ღვინოს ძალას უმატებს და იმ ღონეს აძლევს, რომლითაც ის წინააღუდგება იმ ფერმენტებს, რომლებიც ცდილობენ ღვინო დაასნეულონ და გააფუჭონ. მაშასადამე, ალკოგოლ-მიმატებული ღვინო კარგად

შეინახება, მაგრამ მარტო ალკოგოლი ხომ არ შეადგენს ღვინოს? მართალია, ალკოგოლი წყლის შემდეგ ღვინოში ყველა სხეულებზე მეტია, მაგრამ თუ ღვინოს აკლია ეს უკანასკნელი სხეულები, ის სხეულები, რომლებიც მის ექსტრაქტს შეადგენენ, მის სხეულს, მის ხორცსა, მაშინ ის ღვინო კი არ იქნება, არამედ წყალ-ნარევი ალკოგოლი, ანუ არაყი.

ალკოგოლის მიმატების გამოანგარიშება. თუ ღვინის რაოდენობა კარგად ვიცით და ამასთან ისიც ვიცით, თვითონ ღვინოში რამდენი ალკოგოლია, მაშინ მისამატებელი ალკოგოლის რაოდენობის გამოანგარიშება ძნელი არ არის. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენა გვაქვს რამდენიმე ღვინო, რომლის ალკოგოლიც 8^0 შეადგენს და ჩვენ კი გვინდა, რომ იმას 10^0 ჰქონდეს; მისამატებელი ალკოგოლის ძალაც 95^0.

აი საზოგადო კანონი ამ ალკოგოლის რაოდენობის გამოსაანგარიშებლად:

95 2

10

8 85

აქედან სჩანს, რომ ყოველ შემთხვევაში, როცა აღებულია 85 ლიტრი ღვინო 8^0-ნია, მაშინ 2 ლიტრი 95^0 ალკოგოლი უნდა მიემატოს, და მაშინ ღვინო 10^0-ნი იქნება. აი გამოანგარიშება:

85	ლიტრი 8^0-ნი ღვინო	შეიცავს	$=680^0$
2	— 95^0-ნი ალკოგოლი	—	$=190^0$
		სულ	870^0

თუ 87 ლიტრში 870^0, მაშ ერთ ლიტრში იქნება: $\frac{870}{87}=10^0$.

ახლა რაკი ვიცით, რომ 85 ლიტრ ღვინოზე 2 ლიტრი ალკოგოლი უნდა მიემატოს, აქედან ადვილია შევიტყოთ ერთ გეკტოლიტ. რამდენი ალკოგოლი მოუნდება: $\frac{2\times100}{85}=2,353$ ლიტ.

2) **ღვინის გაყინვა ანუ გათოშვა.** ზოგიერთ ქვეყანაში გაყინვას ანუ გათოშვას ხმარობენ ღვინის გასაკეთებლად; გათოშვილ ღვინოს თუ ყინულებს ამოვაცლით, მაშინ ამით ღვი-

ნოს მარტო წყალი გამოეცლება და სხვა მისი შემადგენარი სხეულნი კი—ალკოგოლი და ექსტრაქტი—შიგვე დარჩებიან და რადგანაც ეხლა წყალი შემცირებულია, ამისთვის ღვინო უფრო მაგარი ალკოგოლნი და ექსტრაქტიანი იქნება.—ეს ჩვეულება განსაკუთრებით გავრცელებულია ბესარაბიაში, დონზე (რუსეთი), ბურგონიაში და ზოგიერთ ადგილას გერმანიაშიაც. როგორც ვიცით, წმინდა ალკოგოლი გაცივებით ანუ გაყინვით სრულებით არ ითოშება, მაგრამ თუ ამ ალკოგოლს წყალი აქვს მიმატებული, მაშინ იმდენად უფრო მალე და ადვილად გაითოშება, რამდენადაც წყალი ბევრი აქვს მიმატებული. თუ ამგვარად გათოშილი ალკოგოლიდან ყინულს ამოვიღებთ, გაცივებულ წყალში ამოვავლებთ და შემდეგ ცალკე გავალხობთ, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ამ გალხობილ ყინულში—ანუ ეხლა წყალში—ალკოგოლი სრულებით არ არის. მაშასადამე, ცხადია, რომ გაცივების დროს ითოშება მხოლოდ წყალი, და არა ალკოგოლი. თუ წყლით განელებული ალკოგოლის მაგივრად ჩვენ ღვინოს გავაციებთ, გავყინავთ, მაშინ, რასაკვირველია, ღვინოშიც ალკოგოლი არ გაითოშება, არამედ მხოლოდ წყალი. ამასთან მეცნიერთაგან ისიც არის გამოკვლეული, რომ თუ წყალში რამე მარილოვანი სხეულია გახსნილი, მაშინ ამ წყლის გათოშვის დროს ეს მარილი ყინულში არ გადავა, არამედ იმ წყალშივე დარჩება, რომელიც გათოშილი არ არის. მაშ ღვინის გათოშვის დროს, ყინულში არც იმის ექსტრაქტი გადავა. თუ გათოშილ ღვინოს ყინულს ამოვაცლით, მაშინ ღვინოს, რასაკვირველია, მარტო წყალი მოაკლდება და ამ ნაკლის დაგვარად მისი ალკოგელი და ექსტრაქტიც იმატებს. აქ შესანიშნავი ის არის, რომ წყლის დაკლების დროს ღვინოს სიმჟავეც აკლდება, რადგანაც ღვინის მჟავე მარილი ცივ წყალში უფრო ცოტად იხსნება და ღვინის გაცივების დროს ზოგიერთი ნაწილი ეცლება.

დიდი ხანია, რაც ღვინის გათოშვას ხმარობენ, მაგრამ მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში პარმანტიემ (Parmentier) გამოიკვლია ეს საგანი და რჩევა მისცა ღვინის დამყენებელთ ყინული მა-

ლე გამოეცალათ ღვინისთვის; იმისავე აზრით, გათოშვა უხდება მხოლოდ დაბალი ხარისხის, ძნელ შესანახავ ღვინოებს; ეს ღვინოები წყლის კლების გამო უფრო ალკოგოლიანი ხდებიან და გადატან-გადმოტანას კარგად იტანენ. ამას შემდეგ ეს საგანი დაახლოვებით შეისწავლა ვერნეტ-ლამოტმა (Vergnette-Lamotte) და ისიც აქებს ამ საშუალებას დაბალი ღვინოების გასაუმჯობესებლად. იმის აზრით, ყინულიდან გადმოღებულ ღვინოს უფრო ცხოველი ფერი აქვს, გემო მშვენიერი, უფრო ძარღვიანია, მაგრამ ბუკეტი აკლდება და ამასთან ჩამიჩის გემოც ეძლევა; ღვინო კარგად ინახება, რადგანაც ფერმენტებისგან გააზატებულია. სხვა სწავლულების გამოკვლევიდან აღმოჩნდა და თვითონ პრაქტიკამაც დაამტკიცა, რომ მხოლოდ იმისთანა ღვინოები უნდა გათოშონ, რომელთა ალკოგოლის რაოდენობაც 10°-ზე დაბალია; ამას გარდა ღვინო იმ ხარისხამდე უნდა გაითოშოს, რომ იმის ალკოგოლის სიმაგრე 10% არ გადასცილდეს. აქედან ცხადია, რომ კარგი ღვინოების გათოშვა სარჩევი არ არის.—მხოლოდ სადა, დაბალი ღვინოებისთვის იქნება სასარგებლო.

ღვინის გათოშვა, რასაკვირველია, ხელოვნურად შეიძლება მრავალ წყლის გასაყინავ მანქანებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვენახის პატრონებისთვის ეს ძნელი მოსახერხებელია ფასის სიძვირის გამო. ამისათვის უფრო ხშირად პატარა ბოჩკებს ხმარობენ. ბოჩკები მთლად გავსებულნი არ უნდა იყვნენ, რადგანაც წყლის ყინულად გადაქცევის დროს მისი ტანი მატულობს, მაშ ღვინის გათოშვა შეიძლება მხოლოდ ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, არა ნაკლებ—6°. ბოჩკებს გამოიტანენ გარედ და რიგზე დაამწკრივებენ. როცა ღვინო საკმაოდ მოითოშება, შიგ ბლომად ყინულები გაჩნდება, მაშინ ღვინოს გადმოიღებენ; ყინულები კი შიგ ბოჩკაში დარჩება. ამ ღვინის გადმოღებას დიდი სიფრთხილე უნდა, ბოჩკები არ უნდა შეინჯღრნენ. გადმოღებული ღვინო ცივ ადგილას უნდა შეინახონ. თუ ამ ღვინის ტემპერატურა ერთბაშად გამოიცვალა თბილ ადგილში შენახვით, მაშინ ღვინო უეჭველად გაფუჭდება. რამდენიმე ხნით დასვენების შემდეგ ღვინოს მუქი თხლე გა-

მოეცლება. დაწმენდის შემდეგ ღვინოს ახალ ჭურჭელში გადაიღებენ შესანახავად.—სამი ოთხი თვის შემდეგ ამ ღვინოს ხელ-მეორედ გადაიღებენ და ახლა მზად არის სასმელად.

რასაკვირველია, ძნელია გადაწყვეტით ითქვას, რა დროს უნდა გადმოიღონ ღვინო. ჩვეულებრივ ყინულში რჩება ხან ერთი მეოთხედი ღვინის წყალი, ხან უფრო მეტი და ხან ნაკლები; რაღა თქმა უნდა, რომ ყინულიდან გადმოღების დროს, ამ ყინულში ცოტაოდენი ღვინოც რჩება. მახის (Mach) გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ თუ ღვინო იმ ხარისხამდინ არის გათოშილი, რომ ნახევარი მისი წყალი ყინულად არის ქცეული, მაშინ შემდეგი განსხვავება იქნება გაუთოშავ და გათოშილ ღვინოებში:

	გათოშვის წინად:	გათოშვის შემდეგ:	ყინულში დარჩა:
ალკოგოლი	71,1	14,70	1,2
სიმჟავე	0,65	0,85	0,3
ექსტრაქტი	2,70	2,70	

აქედან ცხადია, რომ გაყინვის დროს ღვინო ბლოკად იკარგება, რომელიც გაყინულ წყალში რჩება; ამასთან, როგორც წინადაც ვთქვით, ღვინოს სუნნელოვანებაც ეკარგება. ღვინო გაითოშება თუ არა, მაშინვე უნდა გამოსცილდეს ყინულს; თუ ყინული ღვინოშივე გალხვა მაშინ ღვინო სრულებით გაფუჭდება.

აქვე მოვიყვან წყლის გასაყინავ მანქანაში გათოშვილი ღვინოების რაოდენობას.

ღვინო.	ალკოგოლის რაოდენობა.		ექსტრაქტის რაოდენობა.		ღვინიმ რამდენი იკლო.	რამდენი ალკოგოლი უნდა ჰქონოდა ღვინოს გათოშვის შემდეგ, ალკოგოლი რომ ყინულში დარჩენილიყო.	რამდენი ექსტრაქტი უნდა ჰქონოდა ღვინოს, ყინულში რომ არ დარჩენილიყო.	ყინულში დარჩენილი ალკოგოლის რაოდენობა.	ყინულში დარჩენილი ექსტრაქტის რაოდენობა.
	გათოშვის წინად.	გათოშვის შემდეგ.	გათოშვის წინად.	გათოშვის შემდეგ.					
1.	10°,6	15°	3,34%	4,47%	32,50	15,71	4,95	0°,75	0,208
2.	9°	15°	3,128 —	7,80 —	45	16,36	5,687	1,36	0,887
3.	12°	17°	2,66 —	3,76 —	38,75	19,59	4,34	2,59	0,58

ამნაირად გაყინულ ღვინოს ფერი ისეთი ცხოველი აღარა აქვს, როგორც გაყინვამდინ ჰქონდა; იმის ფერი ეხლა ცოტად მოყვითალოა, როგორც დაძველებული ღვინოებისა. გარდა ამისა თვითონ ღვინოს დამწვარი, ჩამიჩის გემო აქვს. მაშასადამე, დიდი დაფიქრება ჯ სიფრთხილეა საჭირო, ვიდრე გადასწყვეტდეთ ღირს თუ არა ღვინის გათოშვა. რადგანაც ყინულში ბლომა ალკოგოლი რჩება, ამისათვის საჭიროა იმის ცოდნაც: შეიძლება თუ არა ამ ალკოგოლის გამოყენება არყის გამოხდით.—თუმცა გამოთოშილ ღვინოს ძველი ღვინის ფერი აქვს, მაგრამ გემო და ბუკეტი კი სრულებით არ მიემსგავსება ძველი ღვინისას. მაშასადამე, ის აზრი, რომ ვითომ გაყინვა ღვინოს აძველებდეს დიდი შეცდომა არის. სადაც კი ეს საშუალება გავრცელებულია, იქ ყველგან შემჩნეულია, რომ გაყინული ღვინო უფრო გვიან მწიფდება, ვინემ გაუყინავი.

ერთი სიტყვით, გაყინული და ყინულიდან გადმოღებული ღვინო უფრო ალკოგოლიანია, უფრო ექსტრაქტიანი; სხეული და სიმტკიცე აქვს მოპოებული; თუმცა ბუკეტი ძალიან კლებულობს, მაგრამ ცოტაოდენი შესვენებით ისევ მოიპოვებს თავის სინაზეს და ისე დაბუკეტოვანდება, თითქო კარგი წლის მოსავალი იყოს. მაშასადამე, გათოშილი ღვინო ბევრად სჯობია გაუთოშავ ღვინოს; ამ ღვინოს თავისი სუნნელოვანება და ხელის გემო არა აქვს წართმეული. რადგანაც გაყინვით ღვინოს უფრო წყალი ეცლება, ვიდრე სხვა მისი შემადგენარი ნივთიერებანი, ამისათვის ეს ნივთიერებანი უფრო შეთთაგულიანებულნი არიან და ღვინოს ჯანს და ღონეს აძლევენ.

3) ღვინის გათბობა ანუ გაცხელება. სითბო, როგორც ვიცით, ერთის მხრით ძლიერი ბუნებითი აგენტია, რომელიც აცხოველებს და აღორძინებს მიძინებულ და გაბრუებულ არსებას, სიცოცხლის ფეხზე აყენებს და მეორეს მხრით კი იგივე სითბო ზოგიერთ სხვა შემთხვევაში ცხოვრების მომსპობელია — ეს სითბოს რაოდენობაზე და მის ენერგიაზე არის დამოკიდებული. სითბოს შეუძლიან რომელიმე არსების გაცხოველებაც, მისი მიბნედაც და მისი სიკვდილიც. ერთი სიტყვით, სითბო სიცოცხლი-

სა და სიკვდილის წყაროა, მისი სიცხოველის დაგვარად. სითბო ღვინოზედაც ამგვარადვე მოქმედებს; იმას შეუძლიან მისი გაცხოველებაც, მისი შეხნიერებაც და მისი სიკვდილიც. ღვინის გათბობას ანუ გაცხელებას, როგორც ისტორია გვაუწყებს, დიდი ხანია ხმარობდნენ. პირველ ხანებში საბერძნეთში ძნელად მოიპოვებოდა ისეთი ღვინო, რომელიც გაცხელებული არ ყოფილიყო მის გასაკეთებლად. საბერძნეთიდან ეს ჩვეულება გადავიდა არაბეთში, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში ცეცხლის მაგივრად მზის სხივებით სარგებლობდნენ ღვინის გასათბობად. ღვინის გათბობა რომაელებმაც იცოდნენ, მხოლოდ ამას სხვა დანიშნულება ჰქონდა—ღვინის მსწრაფლი დამთავრება და მომწიფება.

სითბოზე, როგორც ღვინის შემნახავ საშუალებაზე პირველად 1804 წ. ფრანსუა აპპერტმა (Appert) აღძრა ლაპარაკი. თუ რამე სხეული კარგად არის გაცხელებული და უჰაეროდ შენახული, ის სხეული რამდენიმე წლით უვნებლად შეინახება. შემწვარი ხორცი რომ რამე ყუთში უჰაეროდ შევინახოთ, ის დიდ ხანს არ გაფუჭდება და არც აყროლდება. თუ ხორცის მაგივრად ღვინოს ავიღებთ, კარგად გავაცხელებთ და შეძერწილ ჭურჭელში შევინახავთ, ის კარგად შეინახება ძალიან დიდ ხანს, არც ბრკე მოეკიდება, არც ჭანკი და არც არავითარი სხვა სნეულება არ გაუჩნდება. აპპერტის შემდეგ ჟერვემ (Gervais), ვერნეტ-ლამოტმა და სხვებმა ბევრი გამოცდილება მოახდინეს ღვინის გათბობის შესახებ ⁄ ყველამ ცხადად აღმოაჩინა, რომ სითბო ძალიან კარგად მოქმდებს ღვინოზე და გამთბარი ღვინო უფრო კარგად და დიდ ხანს ინახება. ბოლოს პასტერმა[1]) ცხადად უჩვენა, რომ ღვინის შეუნახაობის მიზეზი ხშირად სხვა-და-სხვა პაწაწა ცხოველები და მცენარენი არიან. ღვინის გაცხელებით ეს არსებანი იხოცებიან და ამის გამო ღვინო ჯანსაღ ხდება, კარგად ინახება; ამასთან ისიც საჭიროა ვიცოდეთ, რომ ღვინის ძლიერ გაცხელება კარგი არ არის, ღვინო იმღვრევა

[1]) ამისგამო სასმელების გათბობას მარ შესანახავად დაარქვეს პასტერიზაცია.

და ნადუღის გემო ეძლევა. გამოცდილებამ ისიც დაამტკიცა, რომ ღვინოების შესანახავად არც საჭიროა მათი გაცხელება; გამოჩნდა, რომ ის მცენარენი და ცხოველნი, რომელნიც ღვინოს ასნეულებენ, მჟავე გარემოებაში უფრო დაბალ ტემპერატურაზე იხოცებიან [2]); ცოტაოდენი ტემპერატურის ამაღლება აძლიერებს სიმჟავეთა ენერგიას და ამისგამო საკმარისია 48-დან 55-° ღვინის გათბობა ამ არსებათა მოსასპობლად.

გარდა ამისა ამასაც ნუ დავიწყებთ, რომ თავი და ზამოჩენილი ღვინოების გათბობა არ არის კარგი და არც საჭიროა, რადგანაც თავ ღვინოს კარგადა აქვს შეზავებული ყველა ის მასალა, რომელიც ღვინის შემნახველია; ამისათვის ის კარგადაც ინახება და კარგადაც იტანს გადატან-გადმოტანას.—არც ლიქორიანი ღვინისთვის არის საჭირო გათბობა, რადგანაც მათ მათი ალკოგოლიც კარგად ინახავს. ვერც თეთრი ღვინო იტანს გათბობას. გათბობა მხოლოდ დაბალი ხარისხის ღვინოებისთვის არის საჭირო, იმ ღვინოებისთვის, რომლებიც ძნელი შესანახნი არიან და შორს გადატანასაც ვერ იტანენ.—გასათბობ ღვინოს ჩვეულებრივ ათბობენ გაზაფხულზე და განსაკუთრებით მარტში. ღვინო კარგად დაწმენდილი და ერთხელ გადაღებული მაინც უნდა იყოს. ახალი, მღვრივე და დულილში მყოფი ღვინო გასათბობად არ ვარგა; სიკეთის მაგივრად სითბო ავნებს, უფრო წაახდენს ამისთანა ღვინოს. ესეც საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ღვინო უჰაეროდ უნდა გათბეს; თუ გათბობის დროს ღვინოს ჰაერი მოხვდა, მაშინ ფერს დაუკარგავს და აამღვრევს. ამასთან გასათბობი ქვაბი ცეცხლზე არ უნდა იდგეს, რადგანაც გახურებული ქვაბის კედლები ღვინოს დასწვავენ და დამწვარ, საზიზღარ გემოს მისცემენ.

---

[2]) როგორც ვიცით, ყველა ეს ცხოველები და მცენარენი აზოტურ ნივთიერებათაგან შესდგებიან და ეს ნივთერებანი ხომ სითბოს გარდა, სიმჟავითაც ისპობიან.

ღვინის გათბობა შეიძლება ბოთლებშიაც ადვილ გასათბობ მანქანაშიაც. ბოთლებში ჩადგმულ ღვინოს ან თბილი წყლით და ან თბილი ჰაერით ათბობენ. ამ შემთხვევაში ბოთლების პირი კარგად უნდა იყოს დაცობილი და საცობელი ან მუნ-თულით და ან ბაწრით დამაგრებული. ბოთლების სენაკში ცელ-ტაოდენი ჰაერი უნდა იყოს დარჩენილი; უამისოდ ბოთლები დასქდება ღვინის გაგუნიერების გამო (გათბობით ღვინო ტანს იმატებს). გათბობის დროს ბოთლები კალათებში უნდა იყვნენ ჩამდგარნი, თუ წყალი ცეცხლზე შემდგარი ქვაბით თბე-ბა; თუ წყალს ოთახის შემწეობით ათბობენ, მაშინ ბოთლებს ჩასდგამენ დიდრონ გეჯებში; კარგი იქნება, რომ ბოთლები ერთი-ერთმანეთისგან იყვნენ გაშორებულნი ან შემოწნული და ან ფიცრის უჯრებიან; ბოთლების ერთი-ერთმანეთისგან გაშორება იმისთვის არის საჭირო, რომ თუ გათბობის დროს რომელიმე ბოთლი გასქდა, იმის ნამშხვრევებმა სხვა ბოთლე-ბი არ დაამტვრიოს. როცა ბოთლები ცეცხლზე შემდგარ ქვა-ბში თბება, მაშინ საჭიროა, ბოთლები გაცხელებულ ქვა-ბის ძირს და გვერდებს არ ხვდებოდნენ, რომ ძალი-ან არ გახურდნენ. ღვინის ტემპერატურამ ბოთლებში 60° ზევით არ უნდა აიწიოს. ამგვარად გამთბარ ბოთლებს ნელ-ნელა გაანელებენ ან ქვაბში ცივი წყლის მიმატებით და ან ჩავისთავად გაცივებით. როცა ბოთლებში ღვინო კარგად გა-ცივდება, მაშინ ქვაბიდან ამოიღებენ და სარდაფში ან მარან-ში გადაიტანენ შესანახავად. გადატანის დროს ბოთლები უნდა დათვალიერდეს და თუ რომელიმე საცობელი ამოწეულია, უნდა გასწორდეს.

ბოთლებში ღვინის გათბობას ის ნაკლულევანება აქვს, რომ ამას დიდი ხანი უნდება და დიდ შრომას თხოულობს; ამას გარდა ხშირად გათბობის დროს ღვინო ცოტაოდენად იმღვრევა და ლექი ბოთლებშივე რჩება.

უფრო გავრცელებულია ღვინის გათბობა სხვა და სხვა იმისთანა ჭურჭელში, რომელშიაც ღვინო მოძრაობაშია და ჰაერს არსად არა ხვდება. მაშასადამე, ღვინო სრულიად უჰაე-

რიდ თბება და ეს უფრო კარგია ღვინისთვის, რადგანაც, როგორც ვიცით, ჰაერი ფერს უსუსტებს ღვინოს და ამას გარდა თვითონ გათბობაც უფრო ეკონომიურია. ღვინის ასაბობი ჭურჭელი ბევრგვარია, შეიძლება ასობით ჩამოვთვალოთ მათი სახელები, მაგრამ ყველანი ერთ პრინციპზე არიან აგებულნი: ღვინო ჭურჭელში გავლის დროს თბება და იქვე ცივდება კიდეცა იმავე ტემპერატურამდე, რა ტემპერატურაც მას ჰქონდა ჭურჭელში ჩასხმის დროს.

თუ ღვინოს იმისთვის ათბობენ, რომ ეს ღვინო შემდეგ კარგად და უვნებელად შეინახონ, მაშინ ეს ღვინო ცოტა ხნით უნდა გათბეს; თუ ამის წინააღმდეგ ღვინის გათბობას ის დანიშნულება აქვს, რომ ამით ღვინო უფრო შემთავრდეს, უფრო დამწიფდეს და ბუკეტი მოიპოვოს, მაშინ დიდი ხნით უნდა თბებოდეს ეს ღვინო, ესე იგი დიდ ხანს უნდა დარჩეს ის ღვინო თბილი.

თუ ღვინო კარგად შენახვისათვის არის გამთბარი, იმას შემდეგაც დიდი თვალ-ყურის გდება უნდა; ერთხელ გამთბარი ღვინო, რასაკვირველია, უვნებელი და უკვდავი არ არის, ისიც წახდება და გაფუჭდება, თუ კარგად არ მოუარეს და კარგად არ შეინახეს; მაშასადამე, იმასაც კარგი მოვლა და შენახვა სჭირია. ამისათვის ღვინის შესანახავი ჭურჭელი კარგად უნდა იყოს გარეცხილი და გაწმენდილი, ცოტაოდენად ოგირდიანაც უნდა იყოს ნაბოლები, რომ სხვა და სხვა ავადმყოფობის ფერმენტები იქაც დაიხოცნენ. ამასთან ესეც საჭიროა ვიცოდეთ, რომ საფბობი ჭურჭლებიდან გამონადენი ღვინო მალე უნდა ჩაისხას შესანახავ ჭურჭელში, რომ ჰაერმა დიდ ხანს არ იმოქმედოს იმაზე.

თუმცა ერთხელ გამთბარი ღვინო, როგორცა ვიქვით, უვნებელი არ არის, მაგრამ იმას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ეს ღვინო იმდენ ძალას და ღონეს იძენს ამ გათბობით, რომ ბევრ შემთხვევაში კარგა ხანს ინახება შეუცვლელად. მაგალითად, გამოცდილებით შეიტყეს, რომ თუ ეს ღვინო რამდენიმე ხანი დარჩა პირ-ახდილ ჭურჭელში, ისე მალე არ დაძმარდება, როგორც გაუთბარი ღვინო, რომელიც იმავე გარემოებაშია. მაშა-

სადამე, სხვა-და-სხვა ავადმყოფობის ფერმენტები გამთბარ ღვინოში უფრო ძნელად მრავლდებიან, ვიდრე გაუმთბარში.

ჩვენის აზრით, ზოგიერთ ჩვენებურ ღვინოებს გათბობა დიდ სარგებლობას მოუტანს, მეტადრე იმერულ და ზემო ქართლის ღვინოებს, რომლებსაც ძალიან ცოტა ალკოგოლი აქვთ და, მაშასადამე, შესანახავი ძალაც ძლიერ სუსტი. ამას გარდა, ჩვენ ქვეყანაში ბევრ ადგილას ტკბილის დუღილის დროს ტემპერატურა ისე მაღალია და თვითონ ტკბილიც ისე შაქრიანია და ღარიბი სიმჟავით, რომ დუღილი ძალიან მალე ნელდება და ამის გამო ღვინოში ბევრი შაქარი რჩება შეუცვლელი. თუ ამისთანა ღვინოში დუღილის ფერმენტი არ დაიხოცა გათბობით, ის ხშირად აიმღვრევა, ხშირად შევა დუღილში და ამის გამო ძნელი შესანახავი იქნება. ამასთან ცოტა სიმჟავისა და ალკოგოლის გამო სხვა ბევრი ავადმყოფობაც მოსალოდნელია, რასაც, სამწუხაროდ ჩვენი, ღვინოების მდგომარეობა ხშირად გვიმტკიცებს. ჩვენში იშვიათია ორი ან სამი წლის საღი ღვინო: ხან პრკე ეკიდება, ხან დაჭანკდება და ხან სრულიად გადაბრუნდება ხოლმე.

მრავალ ღვინის სათბობ ჭურჭელთა შორის მე მკითხველების ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ ერთზე, რომელიც როგორც თავისი აგებულებით, ისე სიიაფით და კარგად მოქმედებით ჩვენის ფიქრით ყველას სჯობია. ეს არის ბრეიერის (Brèhièr) სათბობი ქვაბი.

ჭურჭელი ორი ქვაბისაგან არის შედგენილი. ერთი ქვაბი სათბობ ღუმელზე არის მიკეთებული და შიგ წყალი არის ჩასხმული; ეს წყალი გათბება რომელსამე ტემპერატურამდინ და ამით ღვინოც გათბება. ცეცხლის სანთები ღუმელიდან სამი ბოლის მილია გატარებული წყლის სათბობი ქვაბის შუა გულში და თავდებიან საზოგადო ბოლის მილის ქვეშ. ამ მილების ირგვლივ ცოტა მოშორებით შემორტყმულია ღვინის სათბობი მილი, რომელიც ბოლოს გადადის პირდაპირ მდგარ განიერ მილში, რომელიც თავის მხრივ, შევიწროვდება და გადადის მეორე ვიწრო მილში; ეს უკანასკნელი მეორე გარეგან

ქვაბში-არის ირგვლივ შემოგრეხილი და ბოლოს ონკანით თავ-
ვდება. თვითონ ეს ქვაბი შიგნით ქვაბზე ირგვლივ არის შემო-



სურათი 53.

რტყმული და ამ ორ ქვაბთა შორის ბლომა ადგილია დარჩე-
ნილი, ოდეს შიგნითი ქვაბის სითბო არ გადაეცეს გარეთა ქვაბს.

ამასთან ეს გარეგანი ირგვლივი ქვაბი შიგნითი ქვაბის გვერდზეა დაყრდნობილი კარგა მაღლა და ჰაერით არის გაშორებული, რომ აქედანაც სითბო არ გადაეცეს. ამგვარად შიგნითი ქვაბი ღვინის სათბობია და გარეგანი კი საცივებელი. როცა ღვინის გათბობა უნდათ, აი როგორ მოიქცევიან: ჯერ წყლით გაავსებენ შიგნით ქვაბს (3—3) და შემდეგ ღუმელში (1—1) ცეცხლს გააჩაღებენ. როცა ამ ქვაბში წყალი გათბება 60°-დინ, რასაც შეიტყობენ შიგ ჩადგმული ტერმომეტრით (12), მაშინ გარეთა ქვაბის მილის თავზე მყოფ ონკანს (11) გააღებენ და ბოჩკიდან ღვინოს ჩაუშვებენ მასთან შეერთებულ მილში (2). აქედან ღვინო ჩადის გარეგან ქვაბში (4—4) და როცა ეს აივსება, მაშინ ამ ქვაბის თავში მიკეთებულ მილში (5—5) გადავა; ამ დროს აქ მყოფი ონკანი უნდა დაიკეტოს. ღვინო ამ მილში (5—5) ჩაივლის და როცა ძირს ჩავა, მაშინ განიერ მილში (6—6) გადავა. ღვინის ამგვარი მოძრაობა, ჯერ ძირისკენ და შემდეგ ზევით, იმისათვის არის საჭირო, რომ კარგად გათბეს და მიიღოს ქვაბში მყოფი წყლის ტემპერატურა; ვიწრო ირგვლივ მოხრილი მილიდან განიერ მილში გადასვლის დროს ღვინო ერთმანეთში კარგად ირევა და ამისათვის ყველა მის ნაწილებს ერთგვარი ტემპერატურა ექნება. როცა ეს განიერი მილი შევიწროვდება, ის მოხრილია და შეერთებულია გარეთა ქვაბში მყოფ მოხრილ მილთან. იმ ადგილას, სადაც ერთი მილი მეორეში გადადის, ტერმომეტრია ჩადგმული (13), რომელიც ღვინის ტემპერატურას უჩვენებს. თუ ღვინოს შესაფერი ტემპერატურა არა აქვს, ან მაღალია და ან დაბალი საჭირო ტემპერატურაზე, მაშინ ღვინის მოძრაობას ან ააჩქარებენ და ან შეაფერხებენ ონკანის მთლად გაღებით ან ცოტად დახურვით.—ასე გამთბარი ღვინო ეხლა გარეთა ქვაბში მყოფ მილებში ჩაივლის და გაცივდება; როგორც ვიცით, ეს ქვაბი იმ ღვინით არის გავსებული, რომელიც უნდა გათბეს; მაშასადამე, გამთბარი ღვინო ამგვარად გაცივებით ღვინისავე ტემპერატურას მიიღებს და შეიძლება პირდაპირ ჩასხათ ან შესანახავ ჭურჭელში და ან ბოთლებში. ამ მოხრილ მილთან

შეერთებულ ონკანის შემწეობით (8). ამგვარად ამ ჭურჭელში ღვინო კარგად გათბება და გაცივდება კიდეც. ეს მანქანა ადვილი სახმარებელიც არის. როცა ოპერაცია გათავებულია, მაშინ ამ ქვაბს ამგვარად დააცარიელებენ: ჯერ, რასაკვირველია, ღუმელში ცეცხლს გააქრობენ; შემდეგ გააღებენ თბილი ღვინის გამოსაშვებ ონკანს (9) და შიგნით მილებს დააცარიელებენ; ამ დაცარიელების დროს ჰაერის ონკანიც (11) უნდა გაღებული იყოს, უამისოდ მილებიდან ღვინო არ გამოვა.—ამას შემდეგ გრძელ მილს (2) მოაცლიან ბოჩკას და ცივი ღვინის გამოსაშვებ ონკანს (10) გააღებენ; ამგვარად გარეგან ქვაბს დააცარიელებენ. ამას შემდეგ შინაგანი ქვაბის დაცარიელებაც შეიძლება, თუ საჭიროა; ამისათვის ჯერ თბილი წყლის საჩვენებელ ტერმომეტრს (12) ამოიღებენ და შემდეგ წყლის გამოსაშვებ ონკანს გააღებენ (14). ამგვარად მთელი ჭურჭელი დაცარიელებულია და მისი დანაწილება და გაწმენდა ადვილი მოსახერხებელია. სურათზე (15) ნაჩვენებია ბოლის საზოგადო მილი.

4) მზის სხივებით გათბობა ღვინისა. ამბობენ, რომ რომაელები ღვინით სავსე ქვევრებს (ამფორებს) ზაფხულში გარედ აწყობდნენ ფანჩატურის ქვეშ და ამ რიგად თბილ ჰაერში დიდ ხანს ინახავდნენ თავიანთ ღვინოს გასაკეთებლად და დასიმწიფებლად ანუ დასაძველებლად. პორტუგალიაში კუნძულს მადერაზე ეხლაც ზოგიერთ დიდ ხანს შესანახავ ღვინოებს ამგვარადვე ათბობენ მზეზე და ამით აჩქარებენ მათ მომწიფებას. მზის სითბოს ზედმოქმედება იტალიელმა სწავლულებმაც გამოსცადეს და იმათაც ამგვარად ღვინის გათბობა დიდ სასარგებლოდ სცნეს. ღვინით სავსე პატარ-პატარა ბოჩკები გამოაქვთ და მზის სხივებ ქვეშ აწყობენ რამდენიმე ხნით, ასე რომ ღვინო 54°-დინ თბება. იტალიელმა სწავლულებმა ამგვარადვე გამოცდილება მოახდინეს დასნეულებულ, პრკე-მოკიდებულ ღვინოზე და აქაც ის გამოჩნდა, რომ ეს სითბო ძლიერ მარგებელია;—ღვინო შეკეთდა და მისი ავადმყოფობა სრულიად შეფერხდა. ხსენებულმა სწავლულებმა თავიანთი მრავალი გამოცდილებიდან შემდეგი დასკვნანი გამოიყვანეს:

a) მზის სითბოთი ბოთლებში ღვინის გათბობას უფრო დიდი სიკეთე და სარგებლობა მოაქვს, ვიდრე საბობ ჭურჭელში გათბობას.

b) ამგვარად გამთბარ ღვინოს ფერი ეცვლება, უფრო მქრთალი ფერი ეძლევა—წითელ-ყვითელი დაძველებული ღვინის ფერი.

c) ღვინით სავსე ბოთლების ხუთი ექვსი დღით გამოფენა კმარა შიგ ჩასხმული ღვინის გასაუმჯობესებლად და მოსამწიფებლად.

d) ესე გამთბარი ღვინო ფერთან ხშირად გემოსაც იცვლის, გემო უფუჭდება, თუმცა კი შემდეგ ორი თვის მარანში შენახვით დაკარგული გემო ისევ უბრუნდება. ამგვარად დროებით გემო ეკარგება მხოლოდ დაბალ ხარისხის ცოტა ალკოგოლიან ღვინოს, რომელსაც ამასთან სიმჟავე ბევრი აქვს. თუ ამის წინააღმდეგ ამგვარად გამთბარი ღვინო კარგი ხარისხის ღვინო იყო, მაშინ ის უფრო კეთდება, თუმცა კი ამასაც ჩამიჩის გემო ეძლევა და ფერიც ძველი ღვინისა.

e) მზეზე გამთბარ ღვინოების საკუთარი ბუკეტი კარგად დამდგარი და დაძველებული ღვინის ბუკეტს მიემსგავსება.

f) გასათბობი ბოთლები ღვინით მთლად სავსენი არ უნდა იყვნენ; ოთხი ან ხუთი კუბიკური სანტიმეტრი უნდა აკლდეთ.—გასათბობი ღვინო კარგად დადუღებული და დაწმენდილი უნდა იყოს.

g) ბოთლები პირდაპირ მზის სხივებ ქვეშ არ უნდა იყვნენ გამოდგმულნი—ღვინო ერთბაშად გათბება; არც გათბობის შემდეგ სარდაფში თბილი ბოთლების გადატანა შეიძლება. ორივე შემთხვევაში მოსალოდნელია ბოთლების დახეთქა. ბოჩკებით ღვინის მზეზე გამოფენა არ არის სარჩევი, რადგანაც ამ გარემოებაში ღვინო შრება და იკლებს (ას თუნგზე ერთ თუნგს); ბოთლებში და შუშის დიდრონ ჭურჭელში კი დაშრობის შიში არ არის.

ნ) ღვინის გოგირდის ბოლით დამუნჯება. როგორც უკვე ვიცით, თუ გოგირდს ცეცხლს მოვუკიდებთ და ავანთებთ, მაშინ

ის ჟანგ-მბადს უერთდება და ამ შეერთების შედეგი გოგირ-
დეული სიმჟავე ანუ გოგირდის მჟავეიდია (SO^2). გოგირ-
დის დაწვა როგორც თავისრფალ ჰაერში, ისე დახურულ ჭურ-
ჭელშიაც შეიძლება. თუ გოგირდი დახურულ ადგილში იწვის,
ის მხოლოდ მაშინ გაქრება, როცა მთელ ჟანგ-მბადს ამოართ-
მევს იქ შემწყვრეულ ჰაერს. ამისგამო თუ გოგირდი დამწვა-
რია ან ბოჩკაში, ან დახურულ ქვევრში, მაშან იქ მყოფი
ჟანგ-მბადი მთლად შეუერთდება ამ გოგირდს და ამ ჟანგ-მბადი-
სავე ტოლი (ტანით) გოგირდეული სიმჟავე გაჩნდება. ჩვენ
ხომ კარგად ვიცით, რა გავლენა აქვს ჟანგ-მბადს ღვინოზე; ისიც
ვიცით, რომ უამისოდ ბევრი ფერმენტი ვერა სძლებს და ამი-
სათვის თუ ღვინოში ჟანგ-მბადი არ არის, მაშინ რაც უნდა სუ-
სტი დაბალი ხარისხისა და მრავალ-ნაკლულევანებიანი იყოს,
მაინც შეინახება და უფრო მეტად აღარ გაფუჭდება. ამას გარ-
და ისიც ხომ ვიცით, რომ თვითონ გოგირდეული სიმჟავე კარ-
გი სადეზინფექციო ნივთიერება არის და საცა ის არის, იქ სხვა-
და-სხვა ღვინის საავადმყოფო ფერმენტები ვერ გასძლებენ.—
ამის გამო დიდი ხანია, რაც ეს გოგირდეული სიმჟავე გავრცე-
ლებულია ღვინის დამყენებელთა შორის, როგორც ჭურჭლის
დასაწმენდავად, ისე ტკბილის დასამუნჯებლად. ღვინის ჭურ-
ჭლების გოგირდით ბოლება, როგორც ეტყობა, ძველ დრო-
შიაც ყოფილა გავრცელებული და ყველას სცოდნია, რომ გო-
გირდით ნაბოლები ღვინო კარგად ინახებოდა, დიდ ხანს სძლებ-
და, ფერს არა ჰკარგავდა და კარგად იწმინდებოდა. თუმცა დიდი
ხანია, რაც ეს ღვინის შესანახავი საშუალება ცნობილია, მაგ-
რამ მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში იყო გამოკელეული გერ-
მანიაში, თუ რამდენი არის საჭირო ღვინის შესანახავად.—ეს
საშუალება ღვინოს კარგად ინახავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველ-
თვის არ შეიძლება იმისი ხმარება. წითელ ღვინოს ფერს აკ-
ლებს და ამას გარდა ხშირ-ხშირად არის საჭირო გოგირდის
აბოლება, რადგანაც ის ძალიან ადვილად გადადის გოგირდის
სიმჟავედ და ხშირი გამეორება არის საჭირო. ამას გარდა ღვი-
ნოში გაჩენილი გოგირდის სიმჟავე, თუ ბევრია ღვინოში, მეტ-

ნებელია. ამ საშუალების მოხმარებაზე ჩვენ აქ აღარაა ვიტყვით, რადგანაც ჩვენ ბევრჯელ გვქონდა ამაზე ლაპარაკი.

6) სინათლის ზედმოქმედება ღვინოზე. 1887 წ. იტალიაში პირველად ტურჩეტიმ შენიშნა (Turchette), რომ ერთი დღით მზეში გამოფენით (რასაკვირველია, ზაფხულში, როცა ტემპერატურა 38°—70°) ღვინო ისეთ ძალას და ღონეს იძენს, რომ შემდეგ კარგად ინახება, არავითარი სენი აღარ ეკიდება: არც ბრკე, არც ჭანკი, არც სიმწარე, არც გადაბრუნება და სხვ. ამ სწავლულის გამოცდილების დროს ღვინო შავი შუშის ჭურჭელში იყო ჩასხმული და თეთრად შეღებილ ფიცარზე ან თეთრ ქაღალდზე იყო დამდგარი, რომ ამგვარად სითბოც და სინათლეც (სხივები) კარგად ყოფილიყო ჩანთქმული. ამას შემდეგ ისპანიელმა სწავლულმა მარტინეც ანიბარომ (D.J–M. Aartinez Anibaro) მოიგონა ერთი პატარა ჭურჭელი ენოფოტო (oenopho-to), რომელშიაც ადვილად შეიძლება ღვინოზე მზის სხივების და სითბოს მოქმედება. ეს ენოფოტო ისეა გაკეთებული, რომ ღვინო ჯერ შუშის გძელს და ვიწრო მილებში შედის, სადაც მზის სხივებიც და მათი სითბოც მოქმედებს და შემდეგ ამ მილებიდან ღვინო გადადის საცივებელ ჭურჭელში, რომ ისევ წინანდელი ტემპერატურა მიიღოს. ამგვარი მოქმედებით ღვინოს ფერი, ბუკეტი და გემოვანეცვლება და სიმჟავე უმცირდება; ბუკეტი და გემო უფრო კარგი ქმლევა. სამწუხაროდ, ჯერ კარგად ჯერ არის გამოკვლეული ამგვარი მოქმედება მარტო სინათლისაა, თუ სითბოსი; როგორც წინად ვნახეთ, სითბოც ხომ ამისთანა ცვლილებას ახდენს ღვინოში.

7) ელექტრონის ზედმოქმედება ღვინოზე. დიდი ხანია, რაც სწავლულებს უნდათ დაწვრილებით შეიტყონ—რაში მდგომარეობს ელექტრონის ზედმოქმედება ღვინოზე, და ამ მხრით ამ უკანასკნელ დროში ბევრი გამოცდილება არის მოხდენილი, თუმცა კი, სამწუხაროდ, ჯერ გადაწყვეტილი არა არის-რა დამტკიცებული; ამის მიუხედავად მრავალნი ფიქრობენ, რომ ელექტრიზაცია რგებს ღვინოს. პირველი გამოცდილება მოახდინეს საფრანგეთში, მაგ. 1869 წელს სეუტუ-

ტენმა (Scoutteten) სცნო, რომ ელექტრონი ყოველთვის ერთგვარად მოქმედებს ღვინოზე: ღვინო ხნიანდება და მწიფდება; ამას შემდეგ Hull-მა ინგლისში ეჩვენა, რომ ღვინო ელექტრონით ძალიან კეთდებაა, ბუკეტი ემატება და სიმაგეე უმცირდება.—იტალიაშიაც კარპენემ (D-r Karpene) ბევრი გამრცდილება მოახდინა ელექტრონის მოქმედების შესახებ და აი რა დასკვნა გამოიყვანა:

a) ელექტრონის ზედმოქმედებით ღვინო დიდ ხანს ინახება ურყეველად.

b) ძველი ღვინის თვისებას იძენს; ცოტა ოდენ ფერსა და ალბუმინსა ჰკარგავს ამის მაგივრად სასიამოვნო ეთეროვან სუნს შეიძენს.

c) ეს ეთეროვანი სუნი ერთი და იგივეა ყველა ელექტრონით ნამოქმედ ღვინოში იმის მიუხედველად—თეთრია თუ წითელი, თუ სხვა-და-სხვა ჯიშისა; თუ ღვინო თვითონ სუნიანი ლოვანი იყო, მაშინ კი არ ეტყობა ელექტრონით მოპოვებული სუნი. ამ ელექტრონით მოპოვებულ ერთგვარ სუნს ის ნაკლულევანება აქვს, რომ ძველ-და-სხვა გვარი ღვინო ძნელი-და გასარჩევია.

d) ეს სუნნელოვანება, რომელიც პირველად თითქოს სასიამოვნოა, შემდეგ დაკვირვებით ადვილად ემჩნევა, თითქოს მიტებული იყოს, და ბოლოს საზიზღარიც ხდება.

ამასთან ღირსია ყურადღებისა მეორე იტალიელი სწავლულის მენგარინის (Mengarini) გამოკვლევაც, რომელმაც ცხადად აღმოაჩინა, რომ ელექტრონით მოქმედება ღვინოს ააზატებს სხვა-და-სხვა მავნებელი ფერმენტებისაგან; ერთი სიტყვით, ელექტრონს დიდი სარგებლობა მოაქვს იმისთანა ღვინებისათვის, რომლებიც სუსტი აგებულებისანი არიან და გაუთბობლად ვერ ინახებიან. ამასთან ისიც აღმოჩნდა, რომ ღვინო ფერსა ჰკარგავს. ამას შემდეგ მარტინოტიმ (Martinotti) გასინჯა ელექტრონის მოქმედება დასნეულებულ და ამღვრეულ ღვინოებზე და ნახა, რომ ღვინო იწმინდება და ზრდიერთ კალაბრუნებული ღვინო გაკეთდა კიდეც.

ზემოდ მოყვანილი გამოცდილებანი მოხდენილი იყო სუსტ-ძალიანი ელექტრონით და ამის გამო ელექტრონს დიდ ხანს უნდა ემოქმედა და დიდ ხანს მოქმედება ღვინოს ფერს და გემოს უფუჭებს. ბოლოს მოიფიქრეს გამოეცადნათ დიდი დინამო-ელექტრონის მანქანების ზედმოქმედება ღვინოზე; როგორც ვიცით, დინამო-ელექტრონის მანქანა ჰბადავს ორს ურთიერთ წინააღმდეგ ელექტრონებს (de courant alternatit), რომელთა მიმართულება ჩქარ-ჩქარა და დრო-გამოშვებით იცვლება [1]. ამგვარი ელექტრონის მოძრაობით ღვინოს ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ეტაკებიან ელექტრონის ჭველნი. ელექტრონის ჭველის მიმართულების ყოველი შეცვლა მეხივით ეტაკება ღვინოს, მეხივით სტეხს და ეს შეტაკება ისეთ ფიზიოლოგიურ ძალას აჩენს, რომელსაც ვერავითარი არსება ვერ უძლებს, იხოცება. ამგვარად ღვინო თავისუფლდება საავადმყოფო ფერმენტებისგან.—ამგვარი გამოცდილება მოახდინა გამოჩენილმა საფრანგეთის მეელექტრონემ მერიტანსმა (Meritans) და ამ გამოცდილებიდან ცხადად გამოჩნდა შემდეგი:

a) ყოველი ღვინო, ამგვარი ელექტრონით ნამოქმედი, კარგად ინახება და შესახედაობა კარგად მოვლილი და კარგად შენახული ღვინოებისა აქვს.

b) ესევე ღვინოები, რომლებზედაც ელექტრონი არ იყო ნამოქმედი, ისე წახდნენ, რომ მათი დალევა აღარ შეიძლებოდა.

c) ცოტად შეჭანკებული ღვინო ელექტრონის ზედმოქმედების შემდეგ შეფერხდა, აღარ დაძმარდა; უელექტრონოდ კი ღვინო მალე დაძმარდა.

d) ამგვარად ნამოქმედმა ელექტრონმა არავითარი უცხო გემო არ მისცა ღვინოს, მხოლოდ ცოტად ხანში შესვლა დაეტყო.

ამ გამოცდილების შედეგი დიდად შესანიშნავია და ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ ამგვარად ღვინოზე ელექტრონის მოქმედება დიდ სამსახურს გაუწევს ღვინის დამყენებლებს. აქ საფიქრებელი მხოლოდ ის არის, რომ ყველას არ შეუძლიან ხელად იქონიოს ძვირად ღირებული დინამო-ელექტრონის მანქანა.

---

[1]) წამში 15,000 ჯერ სცვლის ელექტრონის ჭველთა მიმართულებას.

8) **ოზონიზაცია ღვინისა.** როცა ჟანგ-მბადზე ელექტრონი მომქმედებს, მაშინ ის ჟანგ-მბადი ოზონად იქცევა, რომელსაც ჟანგ-მბადზე დიდი ენერგია და ძალა აქვს. დიდი ხანია, რაც პასტერმა, კომბონიმ და ლევემ გამოსცადეს ოზონის ზედმოქმედება ღვინოზე და ყველამ ცხადად სცნეს მისი კეთილი მოქმედება. უფრო დაწვრილებითი და უფრო ვრცელი გამოცდილება მოიხდინა პროფესორმა ჯიანეტომ (Gianetto) და სცნო, რომ ამ სხეულს ძალიან კარგი მოქმედება აქვს ღვინოზე; იმის აზრით, ოზონი ისევე მოქმედებს, როგორც ელექტრონი, სინათლე და სითბო და ამისთვის ჰგონია, რომ ყოველ ამ გარემოებაში მხოლოდ იქ გაჩენილი ოზონი მოქმედებს ღვინოზე. ეს პროფესორი ურჩევს, რომ იმ მარნებში და სარდაფებში, სადაც ღვინო ინახება დასამთავრებლად, კარგი იქნებოდა, რომ ოზონი ყოფილიყო. იმან ერთგვარი მანქანაც მოიგონა სარდაფებში ოზონის გასაჩენად, მაგრამ ჩვენ იმის აღწერას არ შევუდგებით. ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული—რა ძალისა და რაოდენობისა უნდა იყოს ეს ოზონი, რომ ღვინოზე კარგად იმოქმედოს. მომავალი გამოკვლევანი გამოარკვევენ ალბად ამას.

ვ. პეტრიაშვილი

(გაგრძელება იქნება)

ინდოეთი

ე. ლიმენსკის თხზულებიდან

V

შიმშილი ინდოეთში და ამის წამალი

ბუნებით მდიდარს და მოსავლით უსვს ინდოეთს უწვიმობით ხშირად ისეთი დღე დასდგომია, რომ მცხოვრებნი შიმშილისაგან მიღიონობით დასოცილან. მანამ ინდოეთს ინგლისელები დაეპატრონებოდნენ, მკვიდრნი, რასაკვირველია, შიმშილს უეურებდნენ როგორც ღვთის რისხვას, მოელენილს რაიმე დანაშაულობისათვის და ბედს ემორჩილებოდნენ. ან კი რა უნდა ექმნა სალხს, როდესაც იმის სელში არავითარი ნიეთიერი ძალა არ მოიპოვებოდა. მიწის მფლობელნი, როგორც მესაკუთრენი, იღებდნენ მიწის შემოსავალს, სალხის ეანითა და ოფლით შემუშაკებულს. სალხს რჩებოდა მხოლოდ ერთი წლის საზეთი საარჩო. ამისთანა მდგომარეობაში მეოთეთ რაკი კარზე მიმშილი მიადგებოდათ, ცხადია, სიკვდილს აწკვევდა, თუ რომ ტეის მცენარეულობით და ცხოველთა და ქვემძრომთა ხორცით ვერ იარსებენ თავს. შიმშილს მოსდევდა ურთიერთ შორის ბრძოლა არსებობისათვის, ეჭირი, აკვდმეოფობა.... ამ კაბაში იყვნენ იმ დრომდე, მანამ დადგებოდა მოსავლიანი წელიწადი, ესე იგი ისეთი წელიწადი, როდესაც უსვად ნადენი ცის ნამი ამოწკანებდა, აბიბინებდა არე-მარეს.

1770 წ. შიმშილისგან დაიხოცა ათი მილიონი სული, ანუ მცხოვრებთა ერთი მესამედი. შიმშილი კი იყო მხოლოდ სამხრეთ ბენგალიაში და ბეკარში. ეს ფაქტი ადვილად წარმოგიდგენთ მძვინვარებას შიმშილისას ინდოეთის ზოგიერთ ადგილებში.

ინგლისელებმა ამ საუკუნის დასაწყისში მოიმაგრეს ფეხი ინდოეთში და ამ დროიდან იწყება კიდეც ტოტალოდენი მათი ზრუნვა შიმშილისგან ინდოელთა დასახსნელად.

ეს, ჩვენის შესედულებით, იმდენად საინტერესო საგანია, რომ ნებას მივცემთ ჩვენს თავს მეტი ადგილი დავუთმოთ ამას და შეძლებისამებრ კვალ-და-კვალ მივუკვეთ იმ საშუალებათა, რომლებიც ინგლისის მართველობამ საჭიროდ დაინახა ესმარა ამ უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1803 წ. ბომბეის საპრეზიდენტოში და გაიდერაბადის ზოგიერთ ნაწილში შიმშილი იყო, რადგან 1802 წ. ამ ადგილებს გვალვიანი წელიწადი დაუდგა. შემდეგ 1804 წ. შიმშილი ქუჩია მადრასის ჩრდილოეთ ნაწილსაც და აგრედვე ჩრდილოეთ დასავლეთ პროვინციებს. იმ დროის მართველობამ დამშეულთ შემწეობა აღმოუჩინა იმით, რომ პური იყიდა, მიიტანა ბომბეიში და დადებულ ფასად გაყიდა. ამასთანავე დამშეულ ადგილებიდან პურის გატანა აღკრძალა. ბომბეიში და სურათში მართველობამ დარიბთათვის საკვამეოფოები გახსნა და საერო სამუშაოები დაიწყო (общественныя работы); ჩრდილოეთ-სამხრეთ პროვინციებში მართველობამ მცხოვრებთ დედა-მიწის სარეცი აპატია; მიწის შემმუშავებელთ ფული დაურიგა ესესხად და ვაჭრებს, რომელნიც ქ.ქ. ბენარესში, ალლაგაბადში და კანუპორში, სადაც სანოვაგე უფრო ეჭირდათ, პურს მიიტანდნენ გასაყიდად, ჯილდო დაუნიშნა.

ინდოეთი ამ საუკუნეში ჩვიდმეტი დიდი შიმშილის მოწმეა, ისეთი დიდი შიმშილისა, როდესაც საჭირო შეიქმნა მართველობას შემწეობა აღმოეჩინა სალხისათვის.

რაც სანი გადიოდა იმდენი მეტად ეგრძნობდა ინგლისის მართველობა, რომ იგი კალდებულია შემწეობა აღმოუჩინოს სალხს და ამ მოვალეობას ასრულებდა კიდეც, რამდენადაც ღონე და გამოცდილება შესწევდა.

შემოსავალი თუ მოგება გაიჩინოს იმ ადგილებში, რომელნიც, ისტორიის ბრუნვით, მისზე უფრო დაქვეითებული და უკან ჩამორჩომილნი არიან. ეს იმდენად მართალია, რომ ეხლანდელი საზოგადოებრივი მეცნიერების წინა-მორბედი სენ-სიმონი და მისი მოწაფე ოგიუსტ კონტი მთელი კატობრიობის განვითარების ისტორიას სამ ნაწილად, სამ საფეხურულად ჰყოფენ. მათი სწავლით, ყოველმა ერმა აუცილებლად შემდეგი სამი სტადია უნდა გაიაროს, ერთი მეორის შემდეგ: მხეცრული, მრეწველი და საზოგადოებრივი. კინც მათ ნაწერებს გადიკითხავს და მას ჩვენს მდგომარეობას შეადარებს, ის დარწმუნდება, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს თავიდან ბოლომდინ და კიდით-კიდემდე ჯერეც პირველ სტადიას, მსედრულ წეს-წყობილებას ვერ ასცილებია, ვერ გამოსთხოვებია. როცა ევროპა საფუძვლიანად იწუნებს და აუმჯობესებს თავის მრეწველ წყობილებას, იმ აზრით, რომ მესამე უმაღლეს სტადიაზე შედგას ფესი და საზოგადოებრივი წესი გაიწყოს, ჩვენ ისევ ისა გვაქვს სანატრელი და საძიებელი, რომ იქნება როდისმე მსედრული წყობის შემუსრვა და მრეწველის დაარსება გველირსოსო!... ტუუილად კი არაა ნათქვამი, ქართველს ნატვრის შნოც არა აქვსო...

აგერ ოც და სუთი წელიწადია, რაც რუსეთი მტკიცედ შეუდგა თავისი საკუთარი მრეწველობის დაარსებას და გაძლიერებას. იმას ბევრგვარი გზა ედვა წინ, ამ საგნისკენ მიმავალი, და მათში იმან ის აირჩია, რომელსაც მფარველობითი სისტემა ჰქვიან. ეს სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ბაჟი ედება ყოველი იმ საქონლის შემოტანას უცხოეთიდან, რომელიც რუსეთშიაც კეთდება. აქ საქმე იმაში კი არ არის, კარგია ეს სისტემა, თუ ავი, შეიძლებოდა უმჯობესის გამოძებნა, თუ არა. ამის გამოძიება ერთობ შორს გადაგვსვამდა ჩვენი საგნიდან. ჩვენთვის საგულისხმო მარტო ის არის, რომ ეს სისტემა რუსეთში შეუფერებელად მეფობს ბევრ მეოთხედი საუკუნე, თან-და-თან ძლიერდება და ფესვებს იკეთებს, ისე რომ მისი შეცვლა ესლა სრულიად შეუძლებელია, თვით მის მოწინააღმდეგესაც რომ ჩაბარდეს ჩვენი სამინისტრო. თითქმის მთელი რუსეთის მრეწველობამ ისარგებლა ამ მიმართულებით. განსაკუთრებით დიდად ისარგებლა ბოლინიამ და ფინლიანდიამ, სადაც თითქმის ყოველ ნა-

ბიჯზე დაარსდა ასალ-ახალი ქარსანა, ზოგი ადგილობრივი მასალის, ზოგი შორიდან მოტანილის გადასაკეთებლად საქონლად... მართალია, უმეტესი წაწილი ამ ორ ქვეყანაში და თვით რუსეთშიც დაარსებული ქარხნებისა უცხოელებს კეკუთვნის და უცხოეთური თანხით წარმოობს. მაგრამ ქვეყანა მაინც სარგებლობს: თანხისა და ქარხნის პატრონს, წარმოებაში, ბეკრი, ბეკრი, თუ მეოცედი ან მეათედი წაწილი ერგება საქონლის ღირებულობისა. დასარჩენი წაწილი მიაქვს მასალის პატრონს, გზას, მუშას, ოსტატს, შუშას ან ნასშირს და სხვ. და. სხვ. რასაკვირველია, დიდიც კარგი და კეთილი იქნებოდა, წარმოებისა და მრეწველობისაგან წარმომდგარი სარგებლობა ერთიანად რომ რჩებოდეს ქვეყანაში. მაგრამ დასაწუნარი არც ის არის მხარესთვის, რომ მრეწველობის ცხრა წაწილი იმას დარჩეს და ერთი, მეათედი, თუნდ თანხის პატრონმა გაიტანოს უცხოეთში... უცხოეთიდან მოტანილის მზა-მზარეულის საქონლის ფასიდან ქვეყანას, ხომ, უკანკე ერთი, მეათედი, წილი რჩება, დასარჩენი ცხრა წილი კი უცხოეთში მიდის...

ამ მდგომარეობით პოლონიამ ისე მოსერხებულად ისარგებლა, რომ დღეს, მოსკოვის არე-მარეს გარდა, თითქმის მთელი რუსეთი პოლონიაში გაკეთებულ საქონელს სარჯავს და მით პოლონიის სასარგებლოდ დაბეგრული შეიქნა. პოლონიის ადებ-მიცემობა ერთი-ასად გამრავლდა, და თან მეტად გაძლიერდა და სკვანანი შეიქნა პოლონიის მეურნეობა. ყოველ მის წაწარმოების დიდი ფასი დაედგა, რადგანაც იმდენი ქარხნების სალხს რჩენა უნდა. ის ბევრ სელფასს იღებს, საქმის სიმრავლის გამო, და არც თვითონ ძუნწობს სორაგის ყიდვაში. ამას გარდა შორიდან მოტანილ მასალას ადგილობრივი ყოველთვის მოერევა, რადგანაც მას გზის სარჯი არა აწევს-რა, ან ერთობ ცოტა აწევს. გამოანგარიშებულია, რომ პოლონიაში დღეს მეურნეობის საქმე ერთი-ორად უფრო სარგებლიანი და გაძლიერებულია, ვინემ ქარხნების დაარსებამდე ყოფილა...

რუსეთში მარტო ერთი მხარე დარჩა ისე, რომ სრულიადაც არ უსარგებლია ამ ბედნიერი გარემოებით: ეს ჩვენი ქვეყანა გახლავს. იმას სრულებითაც კი არ დასტყობია მფარველობითი სისტემის მეფობა რუსეთში. ამ სისტემამ რუსეთის ერს ყოველისფერი საყი-

დელი გაუმკირა, მართალია, მაგრამ სამაგიეროდ ერთი-ათად გაუმრავლა და გაუადვილა ფულისა, მუშაობის და გასაკვლის შოვნა. რუსეთის ხალხთან ერთად ჩვენსასაც გაუმკირდა ყოველისფერი, რაც კი საუიდელი აქვს. საუბედუროდ, სამაგიერო სიკეთე მას რადი რგებია. რადგანაც მფარველობითი სისტემას ჩვენში არავითარი მრეწველობა არ დაუარსებია, არც, მაშასადამე, ჩვენი ხალხისთვის შრომისა თუ მოსაკლის ფასი გაუმკირებია, ცხადია მისგან სიმწარის მეტი არაფერი გვრგებია ხვედრად. ჭკუა რომ გვქონოდა კი, ბოლოსიასავით, სიმწარეს ადვილად ავიშორებდით, და სიკეთეს დაეუწაფებოდით...

ეს მით უფრო ადვილი იყო ჩვენთვის, რომ ამ ათი-თერთმეტი წლის წინად მთავრობამ ერთი შესანიშნავი განკარგულება მოასდინა ჩვენში. უწინდელ დროში სპარსეთს რაც რამე საუიდელი სჭირდებოდა, ევროპიდან შეჭქონდა. ეს საქონელი ძავი-ზღვიდან კასპიისამდე, ან სპარსეთამდი, ჩვენს ქვეყანას გადაჭქონდა, ჯერ ჩალვადრებით, მერე რკინის გზით. რუსეთს სპარსეთი ამ საქონლის ბაკუს, რასაკვირველია, არ უსდიდა. საქონელს უბაჟოდ გაატარებდნენ სოლმე კავკასიაში. ამას ერქვა **транзить**-ი. 1883-ში, ბაქოს რკინის გზის გასსნის წინ, მთავრობამ ეს ტრანზიტი ერთიანად მოსპო, მოსკოვისა და ბოლონელი მექარხნეების თხოვნით. ჩვენს ქვეყანას, უეჭვოა, ამ ტრანზიტის მოსპობამ ბევრი წყარო მოუსპო სარგებლობისა, განსაკუთრებით კი რკინის გზა დაისაკა ამით. მაგრამ გარემოებით სარგებლობა რომ გვცოდნოდა ან შეგვძლებოდა, ერთობ დიდ სეირს მოუტანდა ჩვენს მსარეს სპარსეთის ტრანზიტის მოსპობა. ჩვენში დაარსებულ სხვა-და-სხვა ქარხნებს ადვილად შეეძლოთ სანასკვროდ მაინც ჩაეგდოთ ხელში სპარსეთის გამოკვება. მართლაც, სპარსეთის უმეტესი ნაწილი მოჭრილი და დაშორებული დარჩა ევროპისაგან; რუსეთის გზა კი (ვოლგით) თითქმის ნახევარ წლის განმავლობაში ყინვით შეკრულია. სპარსეთი, შუაგული აზია, ზოგიერთი მსარე წინა-აზიისა ჩინებული გამსაღებელი იქნებოდა ჩვენი ასლად დაბადებული მრეწველობის ნაწარმოებისთვის... არც იმან გვიშველა, სამწუხაროდ, ვერც ამ გარემოებით ვისარგებლეთ.

ამ სასეირო მდგომარეობაში, როცა ასე ადვილი, ასე მოხერხებული იყო ყოველგვარი ახალი წარმოების და მრეწველობის გამართვა, ჩვენში სულ ორი თუ სამი ქარხანა გაიხსნა, მეტი არა. ერთი—ბ-ნი ადელხანოვისა, ტუალეტებისთვის, მეორე—ბ-ნი რენგვისტისა (დღეს ბბ. იარალოვის და ივ. ალიხანოვის), თუჯისა და რკინეულობისათვის, და მესამე—ბ-ნი მდებროვისა (ესლა ბბ. კ. ალიხანოვის და ი. თაიროვის) ზეთისათვის. ესაა და ეს. ბაქოს ჩინებული მრეწველობა და იქაური უთვალავი ქარხნები ანგარიშში მოსაყვანი არ არიან: ნავთი ერთობ ძვირობს. მთელს დედა-მიწაზე ის მარტო ორს ალგას იპოვებს ასე უხვად, ბაქოსა და სპერიაში. ამ იშვიათობამ აუდგა ფესი ბაქოს მრეწველობას, თორემ მეტოქე რომ ჭეოლოდა სადმე ახლოს ან ბლომად, მეტი არაა თქვენი მტერი, ბაქო ვერაფერს გაბედავდა, ვერც გაარიგებდა...

ეველა, რასაკვირველია, იმას იფიქრებს ესლა, რომ სხვა-და-სხვა ქარხნებს, მრეწველობას დიდ-ძალი ფული სჭირია როგორც თავისად, გამართვისთვის, აგრედგე, და უფრო მეტი, საქმის თუ მუშაობის საწარმოებლადო. ეს უეჭვო და უდავოა. მაგრამ ისიც მართალია, როგორც ერთმა რუსის პოეტმა სთქვა:

Нѣтъ у насъ денегъ для дѣла,
На óбезобразіе есть....

ჯერ ერთი ეს, რომ ყოველგვარ მრეწველობას სომ არ სჭირია იმდენი ნაღდ ფული, რამდენიც, მაგალითად, მიტკლის ან მაუდის ქარხანას უნდა. ზოგი წარმოება ოთხი თვის თუმანს თხოულობს, ზოგი ორი თვისს, ბევრი ისეთიც არის, რომ თვისი და ხუთვისი თუმნითაც ჩინებულად გაიმართება. მართალია, ყველას ამდენი ფული არც აქვს, არც ექნება, მაგრამ ბევრს ადვილად შეუძლიან ამისთანა თანხის გამოღება, რადგანაც იმდენი სიგეთე ჩემ კეთილს მიეცეს, რამდენიც პირი იყოს ისეთი ჩვენში, რომელნიც ერთი კეირის განმავლობაში ამაზე უფრო მეტს ფულს აგებენ ბანქოში. ან რა საჭიროა, მაინცა და მაინც, რომ ერთმა პირმა გამოიღოს, გამოიმეტოს, ადენი თანხა? ეკრობაში, პოლონიაში, თვით რუსეთშიაც ჩვენ უფრო ხშირად იმას ვხედავთ, რომ უმეტესი ნაწილი ახალი ქარხნებისა შეგროვებული ფულით შენდება და იმართება. ძნელია,

რასაკვირველია, რომ ასალს, მაშასადამე უტყობს, საეკლესიო ან საშიშს საქმეს მიალიოს ადამიანმა მთელი მისი ქონება და მომავალი. ამგვარ თავგამომეტებას კაცი კაცს ვერ მოსთხოვს ვერასოდეს. მაგიერად ყველასთვის ადვილია, იქ, საცა ერთმანეთის მაყოლვა და მსარში შედგომა იციან, საცა შეერთებული შრომა შესაძლოა, რომ თვითეულმა ერთი ბატარა საწილი თავის ქონებისა საამსანაგო საქმესთვის გამოიმეტოს. თუ ისეარა ამ საქმემ, ხომ კარგი და ბატიოსანი, თუ არა და, მისი უკარგისობა არავის დაეკარგოს: თვითეული მონაწილე თითქმის შეუმჩნეველ ზიანს მიიღებს და არა სრულს დაღუბვას. ჩვენი უბედურება და უკარგისობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დიდი თანხის გამოდება არავის შეუძლიან: საცდელად, საეკლესიო საქმეში, კიდეც რომ ჭქონდეს ერთის კაცს დიდი თანხა, რადი უნდა ბედავდეს მის გამომეტებას. სამწუხარო და საბიერალი ჩვენ ის უნდა გვქონდეს, რომ ერთმანეთის ნდობა და მაყოლა არ კიცით, არც ერთგულები კარი საერთო საზოგადო საქმისა; ამიტომაც ამსანაგობის შედგენა შეუძლებელია ჩვენში, რამე ასალი წარმოების საცდელად და დასაბრსებლად. უამისოდ კი, ჩვენს დროში, როცა თითქმის მთელი ქვეყნის მრეწველობა და წარმოება, ამსანაგობის ძალით, შეერთებული შრომით და ქონებით, უშველებელ უთვალავ მილიონებს აგროვებს და ატრიალებს, ჩვენ რისი იმედით უნდა გამოვდიოდეთ ეკონომიურ ასპარეზზე, ან რისი მოხერხება შეგვეძლება?

როგორც ყოველ გონება-გაუხსნელ საზოგადოებაში, ჩვენშიც თუ ორიად-ისაი ამსანაგობა გამართულა, ისიც უფრო გაწრეული, კინემ მრეწველი, მთელი მეცადინეობა ამსანაგებისა იმაზე ყოფილა მიქცეული, რომ მოზიარეს ავნონ: ჭკა და, თუ ამსანაგი წასდა, საქმე მარტო მე დამრჩებაო. რამდენსაც აი ამ ამსანაგის წასვლენაზე მეცადინეობს თვითეული ამსანაგი, იმის მეათედს საქმის საკეთებზე რომ ზრუნავდეს, სწორედ რომ გაბედნიერებული იქნებოდა ის საქმე. სამწუხაროდ, ყველა მოზიარეს, ყველა ამსანაგებს საქმის წინ წაყოლა კი არა აქვს გულში, უფრო ის მწვავი გრძნობა უდგეს, რომ მოზიარები როგორ მოვიტიტო, ან გავაცურო, რომ საქმე მარტო მე დამრჩესო, მარტო მე კიყო შიგ, და სხვა არავი-

ნო. ეი მაშინ ვიფიქრებ მის წინწაწევაზე, მის წარმატებაზეო. რაღა თქმა უნდა, სასმელ მოზიარენი ამსაირად ერთმანეთს ფეხქვეშ ოხ-მოს უთხრიან და მასეს უგებენ, საქმე უპატრონოდ რჩება და მალე ერთიანად ინგრევა... ოორეშ ნდობა და სვინიდისი რომ მოქმედებდეს, ჩვენ განა ადამიანები არა ვართ, რომ სხვებსაკით საწყირო თანსა შეეგროვოთ ერთმანეთში, და საზიაროდ ვმართოდ სხვა-და-სხვა ქარხნები, როგორც ესლა ევროპაში და თვით რუსეთშიაც სრულიად უბრალო და უსწავლელი სალხიც კი ახერხებს ხოლმე?

ასეც რომ არ იყოს, თუნდ ვერც კერძო პირმა მოახერხოს, ან გაპედოს მარტომ ქარხნის გამართვა, ვერც ამხანაგობის შემწეობით მოგროვდეს საწყირო თანსა, რატომ ჩვენი ადგილის-პატრონები იმას მაინც ვერ ასერხებენ, რაც ბოლონელებმა ისე ადვილად გაირიგეს? ბოლონიაში მიწა-წყლის პატრონმა უტხოეთელი თანხის-პატრონი გაიმასაგა: ჩემი მიწა იყოს, ან ტყეო, ან ხორაგიო, და შენი—ფული და მაშინაო. მოგებიდან ერთი წილი მე მქონდეს, ოთხი, ან ხუთი, ან ტხრა შენაო. ამსაირად იქაურ თავად-აზნაურობას ტოდნაც მიეცა, თუ მოუვიდა, და ფულიც. ეგეა დამეთანხმება, რომ მეტად ძნელი არც ჩვენთვის იქნება ამგვარიგე «ბიზნესობის» შოვნა, განსაკუთრებით ჩვენის დიდრონი მემამულეებისათვის.

ამდენს ანს ჩვენში მრეწველობის უქონლობას ერთი დიდი და დაფარდვეველი საფუძველი ჰქონდა. რომელი ფულის პატრონი მოინდომებდა საეკლო ან საძნელო საქმეში ჩაემარსა თავისი თანსა, როცა სესხის გატემით, და ყოველის უეჭველად, სალი გირაოს ქვეშ, ბაზის და ექვსი შაურის აღება შეეძლო თუმანზე თვეში სარგებლად. ეს ხომ 24 და 36% შეადგენს წლიურს. ქვეყანაზე ისეთი მრეწველობა არ მოიძიება, რომ ნიადაგ ამოდენი სარგებელი აძლიოს ძირის ფულზე. ამიტომაც ყოველი ფულის პატრონი ნიადაგ ამას ბრძანებდა ჩვენში: «ჩვენი ქარხანა—ლერწი ქალალდიაო (გირავნობის პირობა). იმოდენ მოგებას, მერე უსრეუნველად, ბაბ რომელი მრეწველობა მოგვცემსო»? თან-და-თან, ეკონომიური მიზეზებით, ჩვენი კაცრული ბალანსის სიგოცლით, ფული უფრო და უფრო ძვირდებოდა; მისი საწყიროება კი ყველასთვის მატულობდა.

ამისთან ისიც უნდა დაესძინოთ, რომ ჩვენში ერთობ დიდია იმი-სოანა ჰირების რიცხვი, გისაც ფული რაა, ან რა სიმწრით იშოვების, არც კი ესმის. ისინი გაუბატონურად არიან აღზრდილნი და გერცერთ თავიანო სურვილს, ვერცერთ ქეიფს, ვერ იკმაყოფენ. ოღონდ ფული კი იშოვონ, იმავე წამს, როცა დასჭირდებათ ან მოუნდებათ, და სარგებლის აღთქმა, ბევრი იქნება, თუ ცოტა, როდი ეზარებათ. ისინელოვან წინაპრებს მათთვის საკმაო მიწა-ყანა დაუტოვებიათ, დიდი ღვაწლით, თავ-დადებით და ჭირნასულობით შეკრებილი და შენახული. მაგ რადა დაპარაკი უნდა, რომ მათგან სელმონაწერ «ლურჯს ქაღალდს» სრული გასავალი და ნდობა აქვს ფულის ბატრონების თვალში. აღთქმული აბაზის, თუ ექვსი შაურის, სარგებელი შეუჩერებლივ ბარტყობს და იზრდება, ისინმ, ბოლოს, მთელი მოდგმის, მთელი საუკუნოების ნაღვაწი უცსოელს არ ჩაუვარდება სელში ქეიფისთვის ნასესხი ფულის თავნში და სარგებელში. ამ გარემოებამ, ამ სესხის საადვილემ და სარგებლის სიძვირემ, ის შედეგი იქონია, ჩვენში, რომ მთელი აქაური ფული ერთიანად ასტიღდა მრეწველობას, და არავითარ მწარმოებელ საქმეს ადარ ეკარებოდა, რადგან სესხში ბევრად უფრო სანდო და მოგებელ ადგილს ჰოულობდა. ამ სასით ფული, ეს უმეობესი და სასწაულ-მოქმედი იარადი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმეობესებისა, ჩვენში თავის ჰირდაპირ დანიშნულებას ერთიანად ასტიღდა. ეს კიდევ არაფერი. უბედურება იმაშია, რომ ის ჩვენს სელში გაღატაკების იარაღად გადიქცა. ეოკელმა ნამდვილმა ძალამ ასე იცის: თუ მარჯვედ მოიხმარ, გაგაკეთებს, თუ არა და—გაგლეწს. ჩვენებურ, მსედრულ, დროში მეორე შედარება უფრო გასაგები: ბედაური მარჯვე კაცს მსასურად გამოადგება, და ძაბუნს კი წაიღლით გასეთქს...

უეჭველია, რომ ასადი კანონი, სესხის გამტანლების შესახებ, საკმაოდ შესტვლის ამ ავმწუხარო მდგომარეობას. რასაკვირველია, ბევრი იმასაც გვერდს აუსვამს. მაგრამ, ითასიც რომ იოსტატის გაიმეორა კაცმა, შეუძლებელია არ გაებას საფუძვნში, ადრე თუ გვიან. თითო-ოროლეერ რომ გადურჩება გასესაცდელს, მაი უფრო და უფრო გათამამდება: ეოკელთვის ხომ ვერ მოიტანს კოკა წყალს. ამას გარდა ბევრი თავადანვე შეუშინდება კანონის რღვევას. ფული ამნაირად

წესიერ სარგებელში ჩადგება, გაიაფდება. მაშინ შეუძლებელია, რომ იმან მრეწველობას არ მიმართოს, რადგანაც ნამდვილს და შეუწყვეტელს, საშვილი-შვილო მოგებას მას მრეწველობის მეტი ვერაფერი მისცემს. დღეს ჩვენი ქვეყანა სწორედ ამ წერტილზე დგას. ფული—ის მცირედი ფული, რომელიც ჩვენში რჩება, თუმც ვაჭრული ბალანსი მასაც უცხოეთისკენ სდევნის—დღეს შეშინებული და ფას-დაცემულია. ის კეთილ ბედავს სესხის გზისკენ დაბრუნებას. დიდ ხანს მას გაჩერება და გულ-სელ დაკრება არ შეუძლიან. ბუნებას მისთვის—როგორც ყოველი ძალისთვის—ის თვისება დაუყოლებია, რომ უმუშაოდ, უმოძრაოდ ის დნება და ქრება: კინც არ იზდება—კვდება. ამ მიზეზით, უნდა თუ არა, ის სამ გზიდან ერთ ერთს უნდა დაადგეს: ან კანონს უნდა შეეტაკოს, ან მის ძალის ქვეშ გაილეწოს, ან მრეწველობას უნდა შეუდგეს, ანა-და ნელ-ნელა უნდა შემოეჭამოს სელში პატრონს. უეჭვოა, რომ ამ სამი გზიდან ფულის მექონის უმრავლესობა მეორე, სასეირო, გზას აირჩევს, რადგანაც მომავალი მარტო მისია.

ეს გზა სასეირო იქნება არამც თუ მარტო ფულის პატრონებისთვის, თვით ჩვენი ქვეყნისთვისაც. ჩვენი წარმატება თსოულობს, რომ რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება ბლომად იზდებოდეს ჩვენში ეგრედ წოდებული შუათანა დასი (среднее сословіе). მართალია, კინც ევროპულ სწავლას თუთიეუშსავით კითხულობს, კისაც მისგან ცოდნა და აზრი კი არა, მარტო სახელები, მარტო სიტყვები გამოაქვს, ის იუცხოვებს ამ ჩვენს მოაზრებას.—თქვენ ევროპის მეცნიერებისგან დაწუნებული ბურჟუაზია მოგწონთ, ვენატრებათო, ვაიკვირვებენ. დიაღ, ვენატრება ჩვენთვის და არა ევროპისთვის. ევროპამ შოსესა გზებიც დიდი ხანია რაც დაიწუნა და იქ დაღაც დასაწუნარია დღეს შოსესა გზა. ჩვენში კი ყოველი ეროვანი მოუკვრე ჩვენი ქვეყნის წარმატებისა ორმოცი წლის განმავლობაში უნდა სატრულობდეს კიდევ: იმ დღეს მოგვასწარი, რომ ყოველგან რიგიანი შოსესა გზები ჰქონდეს ჩვენს საქართველოსო! ბურჟუაზიის საქმეც ავგოიოვე გახლავსთ. ევროპაში დაიბადა და ნელ-ნელა იზდება ახალი ძალა, უფრო სანდო, უფრო სამართლიანი, უფრო სახეირო, კიდრე ბურჟუაზია, ამიტომაც იქ ეველა, კისიც გული კი მარ-

ჯერედ ჰფეთქს სიმართლის და სამართლისთვის, ამ ახალს ძალას ეჭომაგება: შეერთებული, თანასწორად შეერთებული შრომის ძალას. მაგრამ როცა ეგროპა—ამ ასი, ას ორმოც და ათი წლის წინად—სწორედ იმ ნაირსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ, ეგვლათფერი, რაც კი შიგ ახალგაზდა, გულწრფელი, პატიოსანი და შორს-გამჭვრეტი იყო სწორედ იმ შუათანა დასის მომხრე გახლდათ, რომელსაც დღეს ბურჟუაზიას ეძახიან. ისტორიული პროგრესის კანონი თსოულობდა ამას და ეხლაც ამასვე თსოულობს ჩვენგნით. ერის და ქვეყნის გამომეკანი საღარიბისა და მონებისგან, უმეტრებისა და უსწორმასწორობისგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნება. ყოველად შეუძლებელიც არის, რომ ეს სხვათფრივ იყოს. მართალია, ამ ეკებს ბურჟუაზია უფრო საკუთარი სარგებლობისათვის შვრება ყოველთვის: სიმართლეს ის იმიტომ აარსებს, წესს და თავისუფლებას იმიტომ ეძებს, რომ უამისოდ ის თავად მძლავრის მსხვერპლად იქცეოდა... მაგრამ რა ვუყოთ? უანგარო, თავგამომეტებული გმირი დედა-მიწაზე ტოტაა. ბუნება მას იშვიათად ბადავს, რადგანაც უიმისოდაც შეუძლია წესის დადგინება ბუნებითი ინტერესების და ძალების ბრუნვით თუ ბრძოლით. ან მარტო გმირი სად დარჩენილა გამარჯვებული, თუ მისთვის მსარი არ გაუმაგრებია და საშველება არ მიუცია იმ მხნე, მარჯვე გამოცდილ დასს, რომელშიაც ხალხის უძლიერესი და უჭკვიანესი შვილები გროვდება?

ნ. ნიკოლაძე

უსხოეთის მიმოხილვა

საფრანგეთის საქმეებზედ

ამ წლის ივანობისთვის შუა რიცხვებში (13—25) იტალიელმა ხაბაზმა კაზერიომ ხანჯლით მოჰკლა საფრანგეთის რესპუბლიკის თავმჯდომარე (პრეზიდენტი) კარნო. ეს ამბავი კვირა საღამოს მოხდა. სამი დღის შემდეგ, ოთხშაბათს ნაშუადღევს, იქაური კონსტიტუციის (წესდების) ძალით ახალი თავმჯდომარის ასარჩევად შეიკრიბა „კონგრესი", რომელსაც მარტო პარლამენტის წევრები, ხალხისგან არჩეული სენატორები და დეპუტატები, შეადგენენ. ამ კონგრესმა იმავ დღეს რესპუბლიკის თავმჯდომარედ, მოკლული კარნოს ადგილზე, კაზიმირ-პერიე ამოირჩია, რომელიც წინად დიდ ხანს დეპუტატების კრების თავმჯდომარეობას და სამინისტროს წინამძღოლობას ასრულებდა.

იმ წესდების ძალით, რომელიც ეხლა საფრანგეთში მოქმედებს, და რომელიც 13 (25) თებერვალს 1875 დამტკიცდა პარლამენტისგან, რესპუბლიკის თავმჯდომარეს დიდი არაფერი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნამდვილი ძალა, უფლება და გავლენა საფრანგეთში მარტო პარლამენტს ეკუთვნის და მისგან ამორჩეულ, ან, უფრო სწორედ ვთქვათ, მისი ნდობით შემოსილ, სამინისტროს, რომლის გამოცვლა თუ გადაყენება ყოველთვის მის ხელშია. რესპუბლიკის თავმჯდომარესაც პარლამენტი ირჩევს, შვიდი წლის ვადით. როგორც ამ მიზეზით, ისე იმითაც, რომ თავჯდომარის ბრძანება ან განკარგულება უიმისოდ კანონიერად არ ითვლება, თუ ზედ

მინისტრსაც ხელი არ უწერია, რესპუბლიკის თავმჯდომარე მარტო წარმომადგენელია პარლამენტისა, მარტო იარაღია მის ხელში, და თავის-თავად მარტო მანამდინ შეადგენს ძალას, მარტო მანამდინ არის ძლიერი, სანამ ერთგული წარმომადგენელი და ამსრულებელია პარლამენტის უმრავლესობის სურვილისა და ნებისა. რაკი ის ამ უმრავლესობის ნდობას ჰკარგავს, ის ერთიანად უძლურდება. კარნოს წინამოადგილე, გრევი, მალე იძულებულ იქნა თანამდებობა მიეტოვებინა ვადის შესრულებამდინ ბევრით ადრე, რადგანაც პარლამენტს აღარ ჰსურდა, რომ ის თავმჯდომარედ დარჩენილიყო. საფრანგეთის წესდების (კონსტიტუციის) შემდგენლების აზრით და მთელი საფრანგეთის განათლებული საზოგადოების შეხედულობით, რესპუბლიკის თავმჯდომარის ადგილი თუ თანამდებობა უფრო თვალის ასახვევად, თვალის-მოსატყუებლად არის გაჩენილი, ვინემ ნამდვილი ძალის ან გავლენის სარბიელად. უცხოეთს, უცხოეთის მეფეებს უნდა ვუჩვენოთ ვინმე, ქვეყნის მოთავე, უაღრესი უფლებით შემოსილი, ჩვენი უპირადო, საზოგადო პოლიტიკური წესის და მმართველობის უმაღლესი წარმომადგენელიო. მდაბიო ხალხის თვალშიაც საჭიროა ჯერ კიდევ, რომ ხორც-შესხმული წარმომადგენელი უდგეს ნიადაგ თვალ-წინ საზოგადო, საქვეყნო მეუფებისაო. რადგანაც 1848—1852 წწ. მეორე რესპუბლიკის თავმჯდომარემ, ლუი ნაპოლეონმა, თავისი ძალა და უფლება ისე ურიგოდ და უკანონოდ მოიხმარა, რომ პარლამენტიც განდევნა, რესპუბლიკაც დაამხო და მის მაგიერად თვითონ თავის თავი იმპერატორად გამოაცხადა, მესამე რესპუბლიკამ, თავისი წესდების შედგენის დროს, ყოველი ღონისძიება იხმარა, ოღონდ კი არავითარი ნამდვილი ძალა არ მიეცა რესპუბლიკის თავმჯდომარისთვის. გარეგანი შეხედვით რესპუბლიკის თავმჯდომარე მეფის ტოლი და სწორი ეგონება ადამიანს. საქმით კი ის მორჩილი ხელის-მომწერია იმ კანონებზე და ბრძანებებზე, რომელთაც მას პარლამენტი ან მინისტრების კრება წარუდგენს. მართალია, ეხლანდელი წესით, ევროპაში—და თვით აზიაშიაც—ბევრ მეფეებსაც ბევრი არაფერი უფლება შერჩენიათ ხელ-

ში, მაგრამ იმათ ხარისხი მაინც მამა-პაპური აქვთ, სამუდამოდ, საშვილიშვილოდ დამტკიცებული...

რაკი რესპუბლიკის თავჯდომარეს თავის-თავად არავითარი მმართველობის ძალა არა აქვს მინიჭებული, რაკი იმას უპარლამენტოდ და უსამინისტროდ არც ომის გამოცხადება შეუძლია, არც ტრაქტატის შეკვრა, არც ხარჯის გაწერა, არც ფულის შევსება, არც არავის დასჯა, არც არავისი პატიება, რაკი ის, ერთი სიტყვით, ცარიელი მოროთულობაა, მუნდირია, რესპუბლიკისა, რაღა თქმა უნდა, რომ იმას არანაირად არ შეუძლია საფრანგეთის პოლიტიკა ან შესცვალოს, ან გადაასხვაფეროს, ან შეაფერხოს თუ შეაჩეროს. პირადი ხასიათი ძლიერი ჰქონდათ, და სახელიც დიდი წინ-მიუძღოდათ ხალხში და ქვეყანაზე სამივე პირველ თავმჯდომარეს ამ მესამე რესპუბლიკისას: ტიერს, მაკ-მაჰონს და გრევის. მაგრამ სამივე გადააყენა პარლამენტის უმრავლესობამ, მათი სამსახურის ვადის შესრულებამდე, და სამივეს გადასაყენებლად ერთი წარბის-შეღუშვის მეტი არა დასჭირვებია-რა. სამივე თავმჯდომარემ ხმა-ამოუღებლად ბარგი აიკრიბა და თანამდებობას თავი დაანება, პირველმა 1883, მეორემ 1878-ში და მესამემ—1887-ში. ეს სამი მაგალითი—კონსტიტუციის გაუსინჯველადაც—საკმაოდ გვიჩვენებს, რომ საფრანგეთში რესპუბლიკის თავჯდომარე იქაური მმართველობის მბრძანებელი კი არა, მარტო წარმომადგენელია. მის ნებას და ბრძანებას კი არავინ ასრულებს, ის თვითონაც ასრულებს, და სხვასაც ყველას ასრულებინებს ქვეყნის წარმომადგენლობის, ხალხისგან ამორჩეული წარმომადგენლების აზრს, გადაწყვეტილებას და სურვილს. ის მოძრავი ჩარხი კი არა, მარტო დროშაა იმ პოლიტიკისა, რომელიც საუკეთესოდ უცვნია ერის წარმომადგენლობის თავისუფალს, ხანგრძლივს და ყოველმხრიანს სჯას...

ვისთვისაც ეს ცხადია, იმის თვალში, რასაკვირველია, ამგვარი თავმჯდომარის მოკელა მტკნარ რეგვენობად ჩაითვლება. მართლაც, იმისთანა ქვეყანაში, საცა მართვისა და კანონმდებლობის უფლება ურთიანად ერის წარმომადგენლობის ხელშია,

რა უნდა შესცვალოს, ერთი, ან ორი, ან ოცი, თუნდ ასი და ორასი კაცის სიკვდილმა? ამგვარ ქვეყნებში მმართველობა და კანონმდებლობა დამოკიდებულია მარტო ერის **საზოგადო აზრზე** (общественное мнѣніе). აქ პირადი ნება ან ქეიფი კი არავისი ზედმოქმედებს, მარტო ერის გონებითი და ზნეობრიები გახსნა იჩენს თავს. ათასობით რომ სწყვიტოთ ამ ერის რწმუნების თუ სურვილის წარმომადგენლები, „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდება,“ ხალხი მაინც იმგვარსავე პირებს ამოირჩევს, როგორიც უწინ ჰყავდა წარმომადგენლად თავისი აზრისა, რადგანაც არსებითი ძალა და სარძიკველი საქმის მიმდინარეობისა ეს ხალხის აზრი ან რწმუნება გახლავსთ, და არა მისი დროებითი წარმომადგენლები ან გამომთქმელები. ვისაც არ მოსწონს ეხლანდელი მიდრეკილება თუ ხასიათი საზოგადო ცხოვრებისა, ეხლანდელი წესი და წყობილება ევროპისა—და რომელი გრძნობიერი გული, რომელი სუფთა სვინიდისი დაკმაყოფილდება ამ წყობილებით—იმან აი ამ აზრის, ამ რწმენის შეცვლას, გაუმჯობესობას, გაახლებას უნდა ამსახუროს თავისი ღონე და ჭკუა, თუ არა ჰსურს, რომ მისი პოლიტიკური მოქმედება დონ-კიხოტის ბრძოლას დაემსგავსოს ქარის-წისქვილთან და ცხვრის ფარასთან...

მართლაც, რა შესცვალა, საფრანგეთში, კარნოს მოკვლამ? თუ შეიცვალა რამე, წარმატების სასარგებლოდ მოხდა ეს ცვლილება, თუ უკუქცევისა? პარლამენტი იგივ დარჩა საფრანგეთში, როგორიც კარნოს დროს იყო. სამინისტროც ერთიანად იმ დროინდელი მართავს ეხლაც ქვეყანას. შეიცვალა მარტო ის, რომ რესპუბლიკის უაღრესი თანამდებობა უკავია ეხლა მოწინავე რესპუბლიკელი დასის წევრის, კარნოს, მაგიერ, მეტად ფრთხილი, მეტად ზომიერი რესპუბლიკელი დასის წევრს, კაზიმირ-პერიეს. თვით ეს ცვლილება პირდაპირ მოასწავებს, რომ ერის წარმომადგენლობის შუათანა ღერძს საფრანგეთში უკან დაუხევია, 1887-თან შედარებით. ეს, აგრედვე, იქიდანაც სჩანს, რომ სამინისტრომ, პარლამენტის უმრავლესობის სურვილით და დასაკმაყოფილებლად, ისეთი უფლე-

ბები მოითხოვა და მიიღო, ისეთი კანონები შეადგინა და დაამტკიცებინა, რომლის მსგავსს დაწინაურებულ თუ თავისუფალ ქვეყნებში ადგილი როდი აქვს ხოლმე. ეს ორი ცვლილება ცხადი ნიშანია—თან ნიმუშიცაა—საფრანგეთის შინაგანი პოლიტიკის აწინდელი მიმართულებისა. ეს პოლიტიკა, რასაკვირველია, თავის-დღეშიაც არ დაუბრუნდება სრული რეაქციის გზას. მაგრამ ცხადი მაინც არის, რომ წარმატების და წინმსვლელობის მიმდინარეობა სრულ თავისუფლებისკენ ცოტაოდნად კი არა, თვალსაჩენად შეფერხდა...

საფრანგეთის ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა მით არის განსაკუთრებით შესანიშნავი, რომ იქაური ბრძოლის მიზეზი და საგანი უცხოეთისთვის დაფარული, გაუგებარია. როცა ლიბერალები ედავებოდნენ, 1815—1830 წწ., რესტავრაციას, ან, 1830—1848-ში, რესპუბლიკაში—მონარქიას, ანა და, კიდევ, 1852—1870-ში რესპუბლიკელები და ლიბერალები—ნაპოლეონ მესამეს, საფრანგეთში და უცხოეთშიაც ყოველ გონება. გახსნილ კაცს ცხადად ესმოდა, ვის რა უნდოდა და რისთვის უნდოდა, ვინ რას დაეძებდა, რას აარსებდა, რისთვის იბრძოდა. მაშინ თვითოეულ პოლიტიკურ პარტიას სრული პლანი და იდეალი ჰქონდა, ნათლად და ცხადად გამოფენილი თავ-თავის დროშაზე. დღეს საქმე ასრე აღარ არის. რესპუბლიკელმა პარტიამ, რომელსაც უწინ სრული და ჩინებული პლანი ან პროგრამა ჰქონდა, ხანგრძლივი და სახელოვანი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება დაიმკვიდრა, და მაშინვე აასრულა მთელი თავისი პროგრამა. უფრო სწორედ ვთქვათ, აასრულა ყველა ის მხარე ამ პროგრამისა, რომელიც გამოკვლეული, შესწავლული და მოწონებული იყო მეცნიერებისგან. ის დიდი, თითქმის განუზომელი ცვლილება, რომელიც მესამე რესპუბლიკამ მოახდინა საფრანგეთის მართვის წესში და წყობილებაში, კანონმდებლობაში, მართვაში, ერის სწავლებაში და გაწრთვნაში შეადგენდა მიუღწეველს, სანატრელს, სიზმრულ იდეალს ყველასთვის, ვინც კი ამ ოცდა ხუთის წლის წინად პოლიტიკას აკვირდებოდა. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ

ჩვენი თავობა, ან ეხლანდელი საუკუნე მართლა მოესწრებოდა ამ ოცნების, ამ ნატვრის თუნდ ერთი მცირეოდენი ნაწილის ასრულებას? ვინ იფიქრებდა, ვის დაესიზმრებოდა, რომ მაშინდელი სანატრელი ყველაფერი განხორციელდებოდა, სისრულეში მოვიდოდა, ისე, რომ კაცს, ახალ ახალი ნატვრის მსურველს, სანატრელიც კი აღარაფერი დარჩებოდა, ყველასათვის გასაგები. აი, სწორედ ეს სასწაული მოხდა საფრანგეთში, ჩვენ დროში. იქაურმა ახალმა თავობამ, ნაპოლეონ მესამის ტახტის დამხობის შემდეგ, 1870-ში, თითქმის ერთბაშად განახორციელა, რამდენიმე წლის განმავლობაში, რესპუბლიკელი პარტიის სრული პროგრამა: დააფუძვნა თითქმის უსაზღვრო პოლიტიკური თავისუფლება, სრული თვით-მმართველობა სოფლისა, მაზრისა, დეპარტამენტისა (გუბერნიისა) და მთელი რესპუბლიკისა და სხვ. და სხვ. რაც შეეხება პროგრამის პოლიტიკურ მხარეს, რესპუბლიკური იდეალი ერთიანად მიღწეულია დღეს. მარტო წვრილმანობაში შესაძლოა ზოგიერთი უმნიშვნელო და ადვილად შესაცვლელი დაწესებულების დაწუნება, თორემ მართლა შესამჩნევი ან საზარალო და საშიში ნაკლულევანება ვერავის შეუნიშნავს. ზოგი ფიქრობს, მაგალითად, რომ რესპუბლიკის თავმჯდომარის თანამდებობა საჭირო არ არის და ემჯობინება მოისპოსო. სხვანი იმ აზრს აერცელებენ, პარლამენტი ორ ნაწილად რად არის გაყოფილიო, სენატი რად გვინდა, მარტო დეპუტატების კრებაც გვეყოფაო, და სხვ. ისეთებიც არიან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მომრიგებელი მოსამართლეები და მსაჯულები ხალხის არჩეულები ემჯობინებიან მთავრობისგან დანიშნულებსაო. უფრო მეტი იმას ჰქადაგობს, რომ სამღვდელოებას ჯამაგირი ნულარ მიეცემა ხაზინასაგანაო: ვინც ლოცულობს, ან ალოცვინებს, იმან აძლიოს ხარჯი თავის მღვდელსაო. ესაა და ეს. ბევრი ითქმის ამ აზრების სასარგებლოდ და წინააღმდეგაც, მაგრამ ყოველი გონება-გახსნილი კაცი დაგვთანხმდება, რომ არცერთი ამ საგანთაგანი მაინც და მაინც თავის-ტეხის ღირსი არ არის. ქვეყნის ბედი ბევრად ან შესამჩნევად არც კი შეიცვლება, ასე გადაწყდეს, თუ ისე, ყველა ეს

კითხვები. უმთავრესი, უზენაესი, ნამდვილად არსებითი, საშვილიშვილოდ მდგომარეობის გამაუმჯობესებელი საქმე, რომელიც იდეალად ჰქონდა საფრანგეთის ინტელიგენციას, და რომელიც მას წინანდელმა მოდგმამ, და თვით მთელმა ისტორიამ აღთქმად დაუდო, ის იყო, რომ პირადი უფლება მოესპოთ მმართველობაში, სრული თვით-მმართველობა მიენიჭებინათ ერისთვის, სრული თავისუფლება დამკვიდრებიათ ბეჭდვისა, ყრილობისა, ქადაგებისა, ერთი სიტყვით, ისეთი წესი და წყობილება დამკვიდრებიათ, რომ პირველობა, წინამძღვრობა, თანასნობა ჭკუასა და გონიერებას რგებოდეს... ვიმეორებ, შეიძლება წვრილმანობაში აქა-იქ რამე აკლდეს ან გამოსაცვლელი რამ ჰქონდეს ამ ახალ წყობილებას. მაგრამ უეჭვო აქ ის არის, რომ რაც დაარსდა, ისიც გასაოცარია, იმისი დაარსების იმედიც კი არავის ჰქონდა.

მარტო ერთი მხარეა შეუსრულებელი. ყველა რესპუბლიკელები კი არა, და არც უმეტესი ნაწილი, მარტო ზოგიერთი მათგანი ჰქადაგებდნენ ხალხში, რომ რესპუბლიკა ეკონომიურად გააუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას, რესპუბლიკა მოსპობს თქვენში სიღარიბესო, რესპუბლიკა მდიდრების მონებისგან გაგანთავისუფლებთო. ეს მართალია, და ესეც იქნება. მაგრამ ის რესპუბლიკელები, რომელნიც ამეებს ჰპირდებოდნენ ხალხს, იმას კი არა ფიქრობდნენ და აცხადებდნენ, რომ რესპუბლიკა თვითეულ ღარიბს მილიონს უწყალობებს ან მიართმევსო. ისინი იმ რწმუნებისა იყვნენ, რომ რესპუბლიკა, ერთის მხრით, სრულს თავისუფლებას მისცემს მშრომელებს შეერთებისას, შეერთებულად შრომისას და შეერთებულად ბრძოლისას, და, მეორეს მხრით, უზრუნველად ჰყოფს მშრომელს ავადმყოფობის, მუშაობის შეწყვეტის და სიბერის დროს. ამასთანავე, რასაკვირველია, ისინი თხოულობდნენ კანონ-მდებლობის შეცვლას იმრიგად, რომ მუშაკს კანონისა და მთავრობის მფარველობა დასტყობოდა. ამ ცვლილებების შემწეობით, მათი აზრით და რწმუნებით, შესაძლო იყო მშრომელების განთავისუფლება ეკონომიური მო-

ნებისგან, რასაკვირველია, ერთი დღისა ან წლის განმავლობაში კი არა, ხანგრძლივი შრომისა და ბრძოლის შემდეგ.

უმეტესი ნაწილი ამ დაპირებისა მესამე რესპუბლიკამ კიდეც შეასრულა. ახალი კანონმდებლობა სრულ თავისუფლებას აძლევს მშრომელებს შეერთდნენ, შეერთებულად შეიძინონ ქონება და სხვ. და სხვ.. შეერთებულ მშრომელების ამხანაგობებს კანონმა ბევრი შესამჩნევი უპირატესობა მიანიჭა და სრული თავისი მფარველობა დაუმკვიდრა: უბაჟოდ დაუთმო ზოგიერთი სახაზინო ქონება ტ მადნები, საწინდრის წარმოდგენისაგან გაანთავისუფლა, უპირატესობა მისცა სახაზინო მუშაობის თუ სამუშაოთა ნარდად აღებისათვის და სხვ. ფაბრიკების, მადნების და ქარხნების მართვისათვის ახალი წესები შესდგა და ზედამხედველობა გაიმართა, მუშა ხალხის უფლების დასაცველად. მათში ბავშვების და ქალების მუშაობა კანონმდებლობამ შემაკირა და ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც მოსპო. რომელ მუშასაც შრომის დროს მარცხი შეემთხვა, იმ მარცხის ზღვევა სამუშაოთა პატრონის მოვალეობად გახადეს. დამახინჯებულებისა და დაბერებულებისათვის, გადაცვლილების ოჯახებისათვის პენსია გააჩინეს. უთანხმოების და შეტაკების გასარჩევად, მუშას და პატრონს შუა, გამართეს ახალი წესი, მედიატორულ საფუძველზე. ამასთანავე შეადგინეს ათასი ნაირ-ნაირი პროექტი საზოგადოდ ყველა მშრომელების უზრუნველ-სამყოფელად ხაზინის შუამავლობით და მათი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მომავალი მიუდგომელი და პირუთვნელი ისტორია იტყვის, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში არ ღირსებია არც ერთს ევროპელ ერს ისეთი დიდი წარმატება, რომელიც საფრანგეთმა ამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში დაუმკვიდრა მშრომელ ხალხს. თვით საფრანგეთის წარსულშიაც ამ პერიოდს ვერაფერი დრო ვერ შეედრება, გარდა დიდი ცვლილებების ჟამისა, 1678—1804 წ.წ.

მართალია, ძალიან ბევრი რამ არის კიდევ შესაცვლელი და დასაარსებელი, ისე ბევრი, რომ გასაკეთებელთან შედარებით გაკეთებული ძლივსღა ჩნდება, მაგრამ ხალხის განთავისუფლე-

ბა ეკონომიური მონებიდან ისე ადვილი საქმე როდია, რომ ათისა ან ოც და ათი წლის განმავლობაში შესრულდეს. ამ განთავისუფლებისთვის ის არის საჭირო, რომ შრომის ნიადაგი და იარაღი მშრომელისა იყოს, ანა და საერო, სახაზინო, დროებით დათმობილი მშრომელებისთვის. ამგვარი „ნაციონალიზაცია“ მადნებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა, რკინის გზებისა მიწისა და სხვ. და სხვ. დიალაც შესაძლებელი და სასურველია, მაგრამ ადვილი როდია. ეს პროგრამა ყველაზე უწინ იმას მოითხოვს, რომ ჩინებულად გაწვრთნილი და გაპატიოსნებული იყოს ის მშრომელების კრება, რომელსაც საერთო სახმარად უნდა გადაეცეს გახაზინებული მადანი ან ქარხანა. ორი და სამი წლის ვადით ხომ არ გადიცემა ეს ქარხანა, და მოკლე ვადიანი ამხანაგობა ხომ ვერ გამოიტანს მისგან საკმაო სარგებლობას. ამ საჭირო, აუცილებლად საჭირო გაწვრთვნისთვის, ხანგრძლივი ამხანაგობის გამართვისთვის მუშებისგან, ჯერ-ჯერობით იურიდიულ მეცნიერებას ვერ მოუფიქრებია მტკიცე ფორმულები ან შეურყეველი წესდება. არც საკმაო პრაქტიკა ჰქონია მშრომელ ხალხს, შეერთებული შრომით საერთო საქმის წაყვანისა ხანგრძლივად, რომ ის საძიებელი წესი, რომელიც იურისტებს თეორეტიულად ვერ აღმოუჩენიათ, იქნება გამოცდილებით, პრაქტიკულად შექნას ან შეაზაოვოს. უეჭველია, რომ აქ უმთავრესი დაბრკოლება მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ხანგრძლივი მეცადინეობაა საჭირო, სანამ ადამიანის გროვა ურთიერთის უფლების ცნობას და დაცვას შეეჩვევა, სანამ თვითეული წევრი თავისი ქეიფის ალაგმვას და სხვისი უფლების მორიდებას ისწავლის. ამგვარი დისციპლინის შეძენისთვის, რასაკვირველია, უმთავრესი საქმე და საჭიროება ის არის, რომ მშრომელ ხალხს კანონმდებლობამ საკმაო თავისუფლება და ასპარეზი მისცეს, ნელ-ნელად თავის გასაწრთვნელად, გამოსაცდელად, ძალისა და მოხერხების სასინჯად, ერთი სიტყვით, ჭკუისა და ღონის შესაძენად. დანარჩენს ყველაფერს — და მასთან გამარჯვებასაც — მარტო დრო მოიტანს...

საფრანგეთში ეს ყველაფერი ჩინებულად ესმის ყველას, ვისაც კი გულ-წრფელად ჰსურს და სწამს ხალხის სიკეთე და კეთილ-დღეობა. ისინი ყველანი კარგად ხედავენ, რომ მარტო შეერთებული შრომით, მარტო ამხანაგობის გზით, მარტო კერძო ინტერესების ალაგმვით და ურთიერთობის შეთანხმებით შესაძლოა მშრომელი ხალხისთვის იმ რეალური პოლიტიკური ძალის შეძენა, რომელსაც მმართველობა და კანონმდებლობა შეადგენს, და რომელიც აუცილებლად საჭიროა საზოგადო სიკეთის და კეთილ-დღეობის დასამყარებლად და დასაცველად. ამიტომაც ამ მიმართულების მომხრენი ნელ-ნელა კიდეც შეუდგნენ გონიერ გზას და რიგიანად, წესიერად მიდიან ზედ წარმატებისკენ: თანდათან ახალ-ახალ მომხრეებს იძენენ, თავიანთი აზრის, მიზნის და საშუალების გონიერი გამოთქმით. მართალია, ჯერ დეპუტატების კრებაში ამ მიმართულების მარტო მეათედი ნაწილია წევრებისა. მაგრამ ამ სამი წლის წინად მეასედიც არ ყოფილა, და ესეც დიდი წარმატებაა... ქვეყანა ერთ დღეს კი არ არის გაჩენილი. თვითონ ღმერთმა მთელი ექვსი დღე იშრომა მის გაჩენაზე, და მაინც ბევრი რამ დააკლდა, თუნდ ქალი მაგალითად, რომლის შესათხზავად წინად გამზადებული ადამის გვერდების გამონგრევა ინება, მერვე თუ მეცხრე დღეს...

თავის-თავად ეს მიმართულება ჯერ-ჯერობით მეტად სუსტია როგორც რიცხვით, ისე მტკიცე და ცხადი პროგრამის უქონლობით. იმ ორმოც და ათ თუ სამოც მომხრეს ამ მიმართულებისას, რომელნიც დღეს დეპუტატების კრებაში იმყოფებიან, თუ ორმოც და ათი სხვა-და-სხვა ფერი პროგრამა არა, ოცი ხომ მაინც აქვთ, ერთმანეთის წინააღმდეგი და შეუთანხმებელი, შეუხამებელი. ესაა უმთავრესი მიზეზი მათი სისუსტისა. ეგრედ წოდებული სოციალისტების მდგომარეობა დღეს სწორედ იმნაირივეა, როგორიც რესპუბლიკელი პარტიისა იყო საფრანგეთში გამბეტას გაძლიერებამდე. ბევრი ჩინებული, ნიჭიერი, გულ-წრფელი მომხრე და წინამძღოლი ჰყავს, მაგრამ ჯერ არავინ დაჰბადებია ისეთი, რომ წვრილმან უთანხმოებაზე,

უბრალო და უმნიშვნელო ქიშპობაზე ხელი აიღებინოს და საერთო გზაზე დააყენოს, ერთი, შეუცვლელი და მეცნიერულად შეუცდომელი მეთოდა მისცეს სახელმძღვანელოდ, ერთს საზოგადო დისციპლინას დაუმორჩილოს ყველანი, და მარტო მერმე გამოიყვანოს, საბრძოლველად, რიგიანად გაწვრთნილი და დამარაგებული დასი...

ამ შეუხამებელ დასს ჯერ არც საერთო და ყველასგან ცნობილი წინამძღვარი ჰყავს, თუმც ამ როლს ბევრი ჩემობს: მილიერანი, გედი და სხვ. მის წევრებს საერთო, შემაერთებელი, მარტო წინააღმდეგობა აქვთ ეხლანდელი წესისა. მაგრამ ეს წინააღმდეგობაც უფრო მოგონილი და ფარისეველურია, ვინემ ნამდვილი. მართლაც, როცა 1887—1889-ში რესპუბლიკა განსაცდელში იყო, და როცა მის დამორჩილებას გენერალი ბულანჟე ცდილობდა, მონარქიელების შემწეობით, თითქმის ყველა სოციალისტები, ან მათი უმთავრესი ნაწილი მაინც, რესპუბლიკისთვის იბრძოდნენ. ეს ყველასთვის ადვილად გასაგებია. რაკი პოლიტიკური თავისუფლება დაიკარგებოდა, ეკონომიური განთავისუფლების მომხრეებსაც მალე ხელ-ფეხს შეუკოჭავდნენ, როგორც 1851—1870 წლების განმავლობაში უქნა მათ ნაპოლეონ მესამის იმპერიამ, რომელიც მათ წინად გაკეთებას ჰპირდებოდა...

მთელი ეხლანდელი შინაგანი ცხოვრება საფრანგეთისა აღბეჭდილია იმ ბრძოლის დაღით, რომელიც შეუმჩნეველად მზადდება ამ საზოგადოებრივ მიმართულებას და ეხლანდელ, ბურჟუაზულ წეს შუა. ეს უფრო ეკონომიური ბრძოლაა, ვინემ პოლიტიკური, რადგანაც პოლიტიკურ წესზე და წყობილებაზე ორივე მებრძოლი მხარე თითქმის ერთისა და იმავე აზრისა და რწმუნებისა არიან, უმთავრეს საგნებში მაინც, თუ არა, ყველაფერში. ორი წინააღმდეგი მოაზრება ებრძვის ერთმანეთს ამ ეკონომიურ ნიადაგზე, ორი გაცალკევებული და შეურიგებელი რიგი, წესი, მიმართულება, რწმუნება. ერთის აზრით მმართველობა და კანონმდებლობა მარტო მისთვისაა გაჩენილი ან სასარგებლო, რომ ადამიანს თავისულად შეეძლოს შრომა, შე-

ძენა და მოსვენება. მთავრობა მარტო გარეშე მტრისგან და მოძალადეებისგან უნდა იფარვიდეს. კანონი მარტო ავაზაკებს უნდა ლაგმვიდეს, და თვითეულს მის შეძენილს უნდა უმკვიდრებდეს, უცავდეს. დანარჩენში სრული თავისუფლება უნდა მიეცეს ყველას—როგორც მოახერხონ, ისე იბრძოლონ საცხოვრებლად. „აცადეთო“, laissez faire: ვისაც ღონე აქვს, ის თვითონაც გაიკაფავს გზას, და ვინც ძაბუნია—ვაი მის გუნებასაო. ცხოვრება, ქვეყანა მარტო მარჯვესთვის, მარტო მხნესთვისაა გაჩენილიო, მარტო იმისთვის, ვინც იმას იერიშით აიღებსო! ეს არის დედაბოძი იმ შეხედულობისა და წყობილებისა, რომელიც დღეს ევროპაში მეფობს, და რომელსაც ბურჟუაზულ წესს უძახიან ხოლმე. მეორე—„საზოგადოებრივი“—შეხედულობა პირდაპირ და ყველაფერში წინააღმდეგია იმისი. ამ მეორე შეხედულობის აზრით, კაცობრიობა მგლის ხროვა ხომ არ არის, რომ ურთიერთის გლეჯაში და კბენაში ატარებდეს დროს. მმართველობა იმითია სასარგებლო, რომ მხეცობას სპობს ადამიანის საზოგადოებაში და ძალის მაგიერ შიგ სამართლეს, ძმობას ამეფებს. მარტო გარეგანი მტრისაგან, მარტო ავაზაკებისა და ქურდებისაგან კი არ უნდა იცავდეს საზოგადოებას მთავრობა და კანონი, არამედ ყოველგვარ გაჭირვებისგან, ყოველგვარ სიმძიმისგანაც. მთავრობა, როგორც მოთავე და წარმომადგენელი მთელი ხალხისა, ისე უნდა აგროვებდეს და ხმარობდეს ამ ხალხის ძალას, რომ წესი, სამართალი და ბედნიერება დაუმყაროს ყველას: არა თუ მარტო შემძლეს ან ძალუმს, სუსტსაც და ღარიბსაც. ის ყველას უნდა უადვილებდეს ცხოვრებას, და ნიადაგ უნდა ცდილობდეს, რომ **„რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს რაც შეიძლება უმეტეს ნაწილს ერისას.“** ერთი სიტყვით, პირველი შეხედულობა მთავრობას თითქმის მარტო სეკუნდატის როლს აძლევს ცხოვრების ბრძოლაში, მაშინ როდესაც მეორე მას შრომის-თავად, მშრომელთ-წინამძღვრად ხდის.

ამ ორ მიმართულებას შუა ბრძოლა შეადგენს უმთავრესს ხასიათს მომავალი მეოცე საუკუნისას. იმ საგანზე წინასწარ-მეტყველობა, თუ რომელი როდის ან სად გაიმარჯვებს, მტკნარი

ბავშვობა იქნება, აგრედვე როგორც მათი შედარება და მათ შუა არჩევნის მოხდენა. ჩვენთვის საკმაოა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ თვითეული ამ მიმართულებათაგანი ზედ-გამოჭრილია ხალხის სხვა-და-სხვა ტანზე და ასაკზე. სანამ საფრანგეთში პირადი უფლება მეფობდა, სანამ იქაური კანონმდებლობა და მმართველობა ფეოდალიზმის ან არისტოკრატიის ხელში იმყოფებოდა, სანამ მთავრობა და კანონი მარტო მდიდრებს იფარვიდა, რასაკვირველია, პირველი შეხედულობა საჭიროც იყო, სასარგებლოც, და მარტო ის გამოდგებოდა, მარტო მისი ხმარება მოუხერხდებოდა უკეთესის, წარმატების, სამართლიანობის მაძიებელს. მაგრამ რაც უფრო და უფრო მეტად უახლოვდება კანონმდებლობა და მმართველობა, საფრანგეთში, სიმართლის გზას, რაც უფრო მეტი და ვრცელი პოლიტიკური უფლება ეძლევა ხალხს, რაც უფრო ახლოვდება, ან შესაძლო ხდება, მმართველობის ძალის გადასვლა ხალხის ხელში, მით მეორე შეხედულობა სძლევს პირველს. რა საჭიროა მოიგოს ერმა პოლიტიკური უფლება, თუ კი თავიდანვე, პირველი შეხედულობის მიღებით, თითონვე გააუქმებს ამ უფლებას, მმართველობის და კანონმდებლობის წრის შევიწროებით?..

ამ ორ მიმართულებას შუა ბრძოლა საფრანგეთში მეტად ადვილი, წყნარი და უშფოთო იქნებოდა, იქაური პოლიტიკური თავისუფლების მეოხებით, სხვა-და-სხვა სახიფათო გარემოება რომ არ დართოდა საქმეს. ხალხის ცხოვრება მართლა მდინარე კი არ არის, რომ ერთს ან ორს კალაპოტში ჩადგეს და ისე დინჯად იაროს. ჩვენ აქ გამოვსახეთ ორი კალაპოტი ორი **უმთავრესი** მიმართულებისა, რომელთა შუა ატეხილია და თანდათან უფრო და უფრო უნდა ძლიერდებოდეს შეურიგებელი ბრძოლა. მაგრამ ამ ორ მიმართულებას გარდა ბევრი სხვა წვრილმანი წრე და პარტია მოქმედებს ჯერ კიდევ საფრანგეთში. მოაზრეს თვალში, ისტორიულად ან ფილოსოფიურად თვითეული ამ პარტიებთაგანი უსათუოდ ან პირველ მიმართულებას ეკუთვნის, ან მეორეს. მაგრამ ეს კუთვნილება, ჯერ-

ჯერობით მაინც, არც ყველასთვისაა შესამჩნევი, არც, ზოგჯერ, თვით ამ პარტიებისთვისაც. ნუდარაფერს ვიტყვით მონარქიელებზე, რომელნიც, რასაკვირველია, როგორც დიდ-ძალი მიწა-წყლის ან ფულის მეპატრონენი, უნდათ თუ არა, არსებითად ბურჟუაზიას მიუდგებიან საბოლოოდ, გაჭირვების დღეს. ნურც ეგრედ-წოდებულ რადიკალებს მოვიხსენიებთ: რაგინდ ოინურად იჯამბაზონ, ბოლოს მაინც ორად უნდა გაიყნენ ისინი, ზოგი აქედ, და ზოგი იქით მისაკედლებლად. პოლიტიკურ ასპარეზზე რადიკალების გამარჯვება არც ერთ იოტადაც არ შესცვლის ბრძოლის ხასიათს. მართლაც, ეხლანდელი მმართველები საფრანგეთისა, პარლამენტის უმრავლესობა და მთელი სამინისტრო სულერთიანად ნამდვილი რადიკალები არიან, რადიკალურ მიმართულების მექონნი, რადიკალური პროგრამის აღმსრულებელნი. მათ და იმ პარტიას შუა, რომელიც დღეს რადიკალის სახელს ირქმევს, სულ უბრალო უთანხმოების მეტი არაფერი განსხვავება მოიძიება. მისი გამთავრება საქმის მსვლელობას ისე ვერ შესცვლის, როგორც მისს მოქმედებას და ქადაგებას ვერაფერი ახალი ნათელი შეაქვს ერის მოაზრებაში. ბევრად უფრო შესანიშნავია იმ აზრის მოქმედება, რომელზედაც ეხლა საყოველთაო ყურადღებაა მიქცეული საფრანგეთში, და რომელსაც ანარხისტებს ეძახიან.

ამ წრეს, თუ პარტიას, დიდ-ძალი მომხრე არა ჰყავს საფრანგეთში. მაგრამ ის ისეთ გზას დაადგა, ისეთ საქმეებს სჩადის, რომ მთელ ევროპას ძალა-უნებურად მათკენ უჭერია თვალი. საზოგადოდ ჰგონიათ, ვითომ ანარხისტები და სოციალისტები ერთი მიმართულებისა იყვნენ, ერთ მიზანს მისდევდნენ. ეს სრული შეცდომაა. ანარხიზმი ბუნებითი, შეურიგებელი, არსებითი მტერია სოციალიზმისა, როგორც სოციალიზმი—ანარხიზმისა. სოციალიზმი, კარგად თუ ავად, სულ იმას ცდილობს, რომ ახალი წესი დაადგინოს საზოგადოებაში, **შეერთოს** ყველა, საერთო, საზოგადო შრომაში და ბედნიერებაში. ანარხიზმი არსებითი წინააღმდეგია ყოველგვარი წესისა, ერთობისა და მმართველობისა. სოციალიზმი ცდილობს გააზვიადოს, გაადიდოს მთავ-

რობის და კანონმდებლობის როლი, და ისეთი ძლიერი, ყოვლის შემძლე, მოწინავე მთავრობა დაადგინოს, რომელსაც მართლა შეეძლოს ერის ბედნიერების შემზადება და დადგინება. ანარხიზმი არც მთავრობას ცნობილობს, არც კანონმდებლობას. რისაც ეხლა თქმას ვაპირებ, ის ყველას გააკვირვებს, თუმც კი ეს მეცნიერების გამოკვლევაა. ანარხიზმი უკანასკნელი სიტყვაა ბურჟუაზიული წესისა, მისი ნამდვილი სინტეზია.

ანარხიზმი, მგონია, უკანასკნელი შეცდომა უნდა იყოს ადამიანის მოაზრებისა და უკანასკნელი მოლიკანი იმ მეტაფიზიკური შეხედულობისა, ვითომ ბუნება, თავის უცვლელ კანონებს კი არა, ჩვენს ლოგიკას ემორჩილებოდეს. ეს მოძღვრება უსწავლელმა პრუდონმა მისგან სრულებით უცნობი გეგელის მეტაფიზიკიდან გამოიყვანა. პრუდონი დიდი ნიჭის და უფრო დიდი ენერგიის პატრონი მუშაკი იყო, რომელმაც თავისი შრომით და ნაწერებით ქვეყანაში გზა თავისთავად გაიკაფა. ის სასტიკი კრიტიკოსი იყო, თავის ნაწერებში, ეხლანდელი წყობილებისა, მაგრამ არც იმდენად ღრმა და ძლიერი მოაზრე იყო, არც ისე დიდი მეცნიერი, რომ დაწუნებული წყობილების მაგიერ სხვა, ახალი, თავისი, უკეთესი, სამართლიანი, წარმოედგინა, როგორც რობერტ ოვენმა ჰქნა, ან ფურიემ, ან სან სიმონმა, ან კაბემ და სხვ. და სხვ. პირადმა მი'ომ ცხოვრებამ და გამოცდილებამ გააცნო მას, თუ რა საძნელოა თვით ნიჭიერი და ენერგიული მშრომელისთვის გზის გაკაფვა ქვეყანაში. ის ირგვლივ ნიადაგ იმას ხედავდა, რომ ძველი წესი და კანონმდებლობა ძველი მმართველობა ნიადაგ წინ ეღობებოდა მას. ამისგამო იმან შეიძულა ეს წესი, კანონმდებლობა და მმართველობა, და მასთან ყოველი სხვა წესი, ყოველგვარი კანონმდებლობა და მმართველობა. სულ რომ არაფერი იყოს დედამიწაზეო, მაშინ მხნე, ნიჭიერს და ენერგიულ ადამიანს ეხლანდელზე უფრო ადვილად შეეძლება ბედნიერების შეძენაო. მართალია, იქნება. მაგრამ მხნე, ნიჭიერი და ენერგიული მშრომელი ეხლაც გვარიანად იწყობს თავის ცხოვრებას და ადვილად შედის აქაურ საზოგადოებაში, მაგარი ის არის ვიცოდეთ, სუსტ, უნიჭო და სულ-

მოკლე ადამიანს რა ეშველება იმ საზოგადოებაში, საცა არც წესი იქნება, არც მთავრობა, არც ურთიერთის მორიდება, არც საზოგადოებრივი წყობილება, არც საზოგადოებისგან ხელის გაწყობა სუსტისა და უძლურისათვის? პრუდონი, როგორც ყოველი მარჯვე გაუნათლებელი კაცი, მაგარი აგებულობისა და ხასიათისა, სრული ზიზღით და შეურაცხყოფით დასცქეროდა ყველა უძლურებს და მათ ბედზე ან უბედობაზე არც კი ფიქრობდა.

იმ დროს, 1846-ში, კიდევ შესაძლებელი, მოსაფიქრებელი თუ არა, გასაგები იყო ამგვარი შეცთომა. მაშინ სრულებით ახლად-დაბადებული იყო ის ფილოსოფიური მიმართულება, რომელმაც მას შემდეგ ერთიანად შესცვალა მეცნიერების ხასიათი და რომელმაც ისეთი ძლიერი და აუხოცველი დაღი დაასო ჩვენი საუკუნის მეორე ნაწილის გონებითს შრომას. მაშინ ცოტას ესმოდა ვისმე, რომ ეკონომიური ცხოვრება კაცობრიობისა იმავე ნაირად უნდა გამოიკვლიოს მეცნიერმა, როგორც დღეს ექიმი ავადმყოფობას აკვირდება, ფიზიოლოგი ცხოვრების კანონებს, ბოტანიკი—მცენარეების ზრდას და სხვ. მაშინ ბევრს კიდევ ეგონა რომ, კაცი როგორც უნდა, ისე გადაასხვაფერებს ცხოვრებასო, ხანგრძლივი მეცადინეობით კი არა, პირდაპირი შეგონებით, ლოგიკური ახსნით ან დამტკიცებით. არავინ დაიჯერებს, მაგრამ ეს მართალი და ჭეშმარიტია, რომ დიდად გამოჩენილი ფილოსოფოსები იმ დროს გრძელ თხზულებას სწერდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ბუნება შესცდაო, ადამიანის მოდგმა ორ-ნაწილად, ორ სქესად რომ გაყოო, ბევრად უმჯობესია, რომ ადამიანი გერმაფროდიტი (ორ-სქესიანი) იყოსო. თითქო ამ დამტკიცებას, მართალიც რომ ყოფილიყოს, დედამიწაზე რისამე შეცვლა შეეძლო!

ეს ერთი მხარეა საქმისა. მეორე იმაში მდგომარეობს, რომ იმ დროს, 1846-ში, ჯერ კიდევ გაუცნობელი ჰქონდა კაცობრიობას ბევრი ისეთი დაწესებულება თუ გაწყობილება, რომლის მეოხებითაც, მას შემდეგ, ერთიანად შეიცვალა ცხოვრე-

ბის ხასიათი და ისტორიის მსვლელობა. იმ დროს კიდევ შეიძლებოდა განკერძოვებული ცხოვრება და მოქმედება კერძო პირისა, კერძო ოჯახისა, რადგანც ადამიანებს, მაშინ, საერთო მთავრობის მეტი როდი რამ აერთებდა. მას შემდეგ კი კაცობრიობის მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ თუ რომელიმე ხალხმა ასი და ათასი მილიონის საღირალი რკინის გზები, ფოშტები, გემები და საზოგადოდ, საშრომო იარაღეულობა (оборудованіе) არ შეიძინა, ის ხალხი მალე უნდა გახდეს უფრო მდიდარი და გამართული მეზობლის მონად, და, მაშასადამე, მისი წევრებიც, რა გინდ ნიჭიერი და ენერგიული იყვნენ, ცარიელი თავისი ნიჭით და ენერგიით საერთო მონებას ვერ გადარჩებიან. ამ ახალი მიგონილი, ახლად გაცნობილი იარაღეულობის შემოღებამ აუცილებლად საჭიროდ გახადა „შეერთებული შრომა“, „საზოგადო დისციპლინა“, წესი, მთავრობის გაძლიერება, კანონმდებლობის როლის გაზვიადება, ერთი სიტყვით, ინდივიდუალიზმის შემუსვრა თუ შემცირება, რომელზედაც დამყარებულია ეხლანდელი წესი და პროუდონის სწავლა.

პროუდონი ამეებს არც მოსწრებია, არც დაჰკვირვებია. მისი გონება უფრო გამჭრიახი იყო, ვიდრე შემოქმედი. მისმა კრიტიკამ რაკი დიდი ყურადღება მიიქცია ყველა გაჭირვებულისა, მისმა შეგირდებმა საჭიროდ აღარ დაინახეს ხელ-ახლავ საქმის დაკვირვება. უამისოდაც დიდი გასავალი ჰქონდა, ბნელ და გამწარებულ მუშებ შორის, მათ აწერილობას ეხლანდელი უწესოებისას. ქვა-ქვაზე არ უნდა დავაყენოთ ამ წყობილებისაო, ასწავლიან ისინი. და მაგიერად რა ავაშენოთო, თუ იკითხავთ, გიპასუხებენ—ეს რა ჩვენი საქმეაო. ჩვენ დავაქციოთ და აშენდება რამე თუ არა—ეს მომავალს მივანდოთო...

ამ აზრით ზოგიერთი გამწარებული ან ატაცებული ახალგაზდა გამოდის და ხან პარლამენტის დაქცევას თუ ამოჟლეტას ცდილობს, ხან თეატრში თუ ყრილობაში ყუმბარას აფეთქებს, ხან თავმჯდომარეს ჰკლავს, თითქო აქედან რამე შესა-

მჩნევი ცვლილება მოსალოდნელი იყოს პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობაში! საქმით ეს საქციელი მარტო მთავრობას აძლიერებს, რადგანაც ერში თან-და-თან უფრო და უფრო მეტად ის მოაზრება თუ რწმუნება ვრცელდება, რომ ამისთანა დანაშაულობის მოსასპობლად საჭიროა უკიდურესი სისასტიკით სდევნოს მმართველობამ ყველა წინააღმდეგი ეხლანდელი წესისაო. ამ სახით ანარხიზმი, ძველი, შემცდარი, უმომავლო მიმართულება ბევრს შეუწყნარებელ დანაშაულებას სჩადის, და „საზოგადოებრივ“ მიმართულებას, ახალი შეხედულობის მექონს, ახალი წესის მაძიებელს, ხელს სჭრიან...

იმისთანა ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთია, საცა სრული პოლიტიკური თავისუფლება არსებობს და ყოველ სრულწლოვან კაცს პოლიტიკური უფლება აქვს მინიჭებული, ერთად ერთი გზა ნამდვილი და შეურყეველი წარმატებისა—ერის გონების გახსნა ტ გულის-მოგება არის. ვისაც ღონე აქვს თავის ქვეყნის ცხოვრებაში ახალი წესი და სიმართლე შეიტანოს, იმას პირდაპირი გზა აქვს თავის-წინ გაშლილი — ხალხის და მისი წარმომადგენლობის შეგონებისა. საფრანგეთი აგერ ორასი წელიწადი იქნება მალე, რაც დაუცხრომელად შრომობს და იბრძვის იმ აზრით აღჭურვილი, რომ პირადი უფლება მოსპოს მმართველობაში და მის მაგიერ, ქვეყნის საქმეების მმართველად, მთელი ხალხის ნება დაადგინოს. საფრანგეთმა ვერ აიტანა ისეთი გენიოსების პირადი უფლება, როგორიც ლუი (ლიუდოვიკო) მეთოთხმეტე ან ნაპოლეონ დიდი იყვნენ. საფრანგეთი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ სანამ მისი ბედი ერთი კაცის ქეიფზე იყო დამოკიდებული, მას არც სამართალი ჰღირსებია, არც მშვიდობიანობა, არც კაცური ცხოვრება. ორასი წლის ბრძოლით და შეუწყვეტელი მეცადინეობით, უშველებელი სისხლის-ღვრისა და სამი რევოლიუციის შემდეგ, საფრანგეთმა, როგორც იქნა, მოსპო კერძო პირების უფლება მის ბედზე და ნებაზე. პირადი მმართველობის მაგიერ, იმან ერის თვით-მმართველობა დაადგინა. როგორ არ უნდა გაეცინოს ღმერთს, რომ აი ამ ქვეყანაში, საცა ხალხმა მამა-პაპური, სახელოვანი მეფეების ნებაც კი აღარ

იცნო, არც გენიოსების ქეიფის აყოლა მოინდომა, ვიღაც უცხო, უსწავლელი და უცნობი ხაბაზი იმედეულობს მთელი ეს ერი თავის საკუთარ ნებას დაუმორჩილოს! რა ჭკუაში მოსასვლელია, ვითომ საფრანგეთის ხალხი, როშელიც ბასტილიას არ მოერიდა, არც მთელი ევროპის ჯარს შეუშინდა, ასი, გინდ ათასიოდე ანარხისტის შიშით შესცვლის თავის აზრს და შეხედულებას, თავის წესს და ისტორიულ გზას?

ნ. ნიკოლაძე

ეროვნული ბიბლიოთ.

1894

„მოამბე“

თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

7—10. თაბახი (224—320 გვ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ-გარედ	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 მაისამდე—3 მან., და 1 სექტემბრამდე – 3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა ადრესის გამოცვლისათვის **ათი** შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція Моамбе.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—შერმე ეველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მაო ორ-ო�sალი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მოწერთ, რომელსაც კი ამას მემდეგ ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მიწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი	გამომცემელი
ალექსანდრე ჭყონია	**ალექსანდრე ჯაბადარი**